ფილიპ როთი

პორტნოის სინდრომი

ფილიპ როთი

პორტნოის სინდრომი

ინგლისურიდან თარგმნა
ქეთი ქანთარიამ

1997 წელს ფილიპ როთს რომანისთვის „ამერიკული პასტორალი“ პულიცერის პრემია მიენიჭა. 1998 წელს მწერალს თეთრ სახლში ხელოვნების ნაციონალური მედალი გადაეცა, ხოლო 2002 წელს – ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიის უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი მხატვრული ლიტერატურის დარგში, რომლითაც მანამდე, სხვადასხვა დროს, დოს პასოსი, უილიამ ფოლკნერი და სოლ ბელოუ დაჯილდოვდნენ. როთს ორჯერ მიენიჭა წიგნის ნაციონალური პრემია და წიგნის კრიტიკოსთა ნაციონალური ჯილდო. მწერალმა სამჯერ მიიღო ამერიკული პენკლუბის ფოლკნერის სახელობის პრემია. 2005 წელს მის რომანს „შეთქმულება ამერიკის წინააღმდეგ“ ამერიკის ისტორიკოსთა საზოგადოებამ ჯილდო „2003-2004 წლებში ამერიკის თემაზე დაწერილი გამორჩეული ისტორიული რომანისთვის“ მიაკუთვნა.

რამდენიმე წლის წინ როთმა პენ-ის ორი ყველაზე პრესტიჟული პრემია მიიღო: 2006 წელს – პენკლუბის ნაბოკოვის სახელობის ჯილდო „გაუხუნარი ორიგინალობითა და შეუდარებელი ოსტატობით აღბეჭდილი ნაწარმოებისთვის“, 2007 წელს კი – პენკლუბის სოლ ბელოუს სახელობის პრემია ამერიკულ ლიტერატურაში გამორჩეული მიღწევებისათვის. ამ პრემიის გადაცემისას აღინიშნა, რომ როთის „მიღწევათა მასშტაბურობა ხანგრძლივი ლიტერატურული კარიერის განმავლობაში... მას ამერიკული ლიტერატურის კორიფეთა შორის უმკვიდრებს ადგილს“.

როთი ერთადერთი ცოცხალი მწერალია, რომლის თხზულებათა სრულ კრებულსაც „ამერიკის ბიბლიოთეკა“ გამოსცემს. ამ მრავალტომეულის ბოლო რვა წიგნი 2013 წელს გამოვა. 2011 წელს ფილიპ როთს თეთრ სახლში ჰუმანიტარული სფეროს სახელმწიფო მედალი გადაეცა. ამ მოვლენიდან ძალიან მალე კი იგი 2004 წელს დაარსებული მენ-ბუკერის საერთაშორისო პრემიის მეოთხე მფლობელი გახდა.

ჩემი ცხოვრების ყველაზე დაუვიწყარი პერსონაჟი

წარმოიდგინეთ, ცნობიერებაში ისე ღრმად მყავდა ჩაბეჭდილი, რომ სკოლაში სწავლის პირველ წელს, მგონი, მჯეროდა: ყოველი მასწავლებელი დედაჩემი იყო, ოღონდ გადაცმულ-შენიღბული. გაისმებოდა თუ არა ბოლო ზარი, სახლში გამოვრბოდი და ენაგადმოგდებულს ყოველ ჯერზე ეს მაინტერესებდა: დედას მანამდე თუ მივუსწრებდი, სანამ გარდასახვას დაასრულებდა. შინ დაბრუნებულს მუდამ სამზარეულოში მხვდებოდა და მაგიდაზე რძესა და ფხვიერ ნამცხვარს მიდგამდა. მე კი იმის მაგივრად, რომ ეს წარმოდგენები გამფანტვოდა, მისი ჯადოსნობის მიმართ მოწიწება მემატებოდა. თან ერთი რამე მიხაროდა: ამ ინკარნაციებს შორის მისთვის თვალი არასდროს მომიკრავს, მიუხედავად იმისა, რომ ცდა არ დამიკლია. დარწმუნებული ვიყავი: ჩემს დასა და მამაჩემს წარმოდგენაც არ ჰქონდათ დედაჩემის ნამდვილ ბუნებაზე, მე კი, ხუთი წლის ასაკში,

სულაც არ მსურდა, მოღალატეობის ტვირთი მეტარებინა, რომელიც, ჩემი წარმოდგენით, მაშინვე დამაწვებოდა მხრებზე, როგორც კი მას მოულოდნელად გადავაწყდებოდი. მგონი, იმისიც კი მეშინოდა, რომ შეიძლებოდა თავიდან მოვეშორებინე, თუ ერთ მშვენიერ დღეს თვალს მოვკრავდი, როგორ შემოფრინდებოდა სკოლიდან დაბრუნებული საძინებელი ოთახის ფანჯარაში, ანდა უხილავ მდგომარეობაში მყოფი ხორცს ჩემს თვალწინ შეისხამდა და მერე წინსაფარსაც აიფარებდა.

რასაკვირველია, როცა საბავშვო ბაღში გატარებული დღის ამბებს მეკითხებოდა, ყველაფერს წვრილად ვუყვებოდი. თავს არ ვიტყუებდი: წარმოდგენა არ მქონდა, რას მოასწავებდა მისი ყველგანმყოფობა, მაგრამ ის, რომ რაღაცნაირად სულ ჩემ გარშემო ტრიალებდა და კარგად მოეხსენებოდა, რა ჩიტიც ვიყავი, ეჭვგარეშე მეჩვენებოდა. ამ უცნაურმა წარმოდგენამ, პირველ რიგში, ის მომიტანა – რაც (სწორედ ასეთი ფორმით) პირველ კლასშიც გამომყვა – რომ პატიოსანი ბავშვი გავხდი; თუმცა მაშინ მეჩვენებოდა, რომ სხვა გზა არც მქონდა.

ჰო, პატიოსანი და ტვინიკოსი. ჩემს უფერულ, მსუქანა უფროს დას, ჰანას დედაჩემი ასე ახასიათებდა (რა თქმა უნდა, მისივე თანდასწრებით: პატიოსნება ხომ მისი პოლიტიკის ნაწილი იყო): „ეს ბავშვი გენიოსი არ არის, მაგრამ შეუძლებელს არც ვთხოვთ. ღმერთი უშველის, იმდენს მუშაობს, სამეცადინოს ტვინს ასხამს. ერთი სიტყვით, რაც შეუძლია, იმას აკეთებს და კარგადაც გამოსდის". ჩემზე, თავისი გრძელი ეგვიპტური ცხვირისა და ჭკვიანურად მოლაქლაქე პირის მემკვიდრეზე, დამახასიათებელი თავშეკავებით ბრძანებდა: „ეს ბანდიტი ესა! ამის გადაშლილი წიგნი არ მინახავს, მაგრამ ფრიადი, ფრიადი, ყოველდღე ფრიადი მოაქვს. მეორე აინშტაინია! "

როგორ უყურებდა ამ ამბებს მამაჩემი? სვამდა. ვისკის კი არა, როგორც ვიღაც გოი– მამაჩემი მინერალურ ზეთსა და მაგნიუმის

ჰიდროქსიდს სვამდა, „ექს-ლაქსის“ ტაბლეტებს ღეჭავდა, დილა-საღამოს „ოლბრანის“ ქატოს ყლაპავდა და შერეულ ჩირს ჭამდა, დღეში ფუნტიან პაკეტს ამთავრებდა. შეკრულობა აწუხებდა, ექიმო. თუმცა არ ვიცი, მართლაც აწუხებდა თუ არა. ყველგანმყოფი დედა-ჩემი და კუჭში შეკრული მამაჩემი. დედა, რომელიც შეიძლება საძინებლის ფანჯრიდან შემოფრინდეს და უნიტაზზე დაბუდებული მამა, რომელსაც ტრაკში სანთელი აქვს შეთხრილი და საღამოს გაზეთს კითხულობს... ეს, ექიმო, ჩემი მშობლების, იმათი ყოფისა და საიდუმლოს შესახებ პირველი შთაბეჭდილებებია. მამაჩემი სინამაქის ხმელ ფოთლებს პატარა ქვაბში ხარშავდა და სულ ეგ იყო: მისი ჯადოქრობა ამ ნაყენისა და სწორ ნაწლავში დამდნარი სანთლის ერთობლივი მოქმედებით ამოიწურებოდა. ძარღვიან მწვანე ფოთლებს რომ მოხარშავდა, აყროლებულ ნაყენს კოვზით მოურევდა, მერე კი საწურში ფრთხილად გაატარებდა და იქიდან საჯდომდაცობილ ორგანიზმში ჩაისხამდა. ამ დროს სახეზე ყოველთვის ნატანჯი და მოქანცული კაცის გამომეტყველება ჰქონდა. ამის შემდეგ ცარიელ ჭიქას ცოტა ხანს მდუმარედ დაჰყურებდა, თითქოს შორეულ ჭექა-ქუხილს აყურადებდა და სასწაულს ელოდებოდა... პატარა რომ ვიყავი, ხანდახან სამზარეულოში ჩამოვუჯდებოდი ხოლმე და თვალს ვადევნებდი. თუმცა ჩემს იქ ყოფნაში სასწაული არ მომხდარა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ფორმით არა, ლოცვებში რომ ვითხოვთ და წარმოსახვით რომ ვატარებთ, სასიკვდილო განაჩენის გაუქმებასავით, ან შავი ჭირისგან სრული განკურნებასავით რომ წარმოგვიდგენია. მახსოვს, როცა რადიოთი პირველი ატომური ბომბის აფეთქების ამბავი გადმოსცეს, მამაჩემმა ხმამაღლა წამოიძახა: „იქნებ ამან მაინც მიშველოს! “ ამ კაცს არანაირი კათარზისი არ უშველიდა: მრისხანება და იმედგაცრუება რკინის ხელებს უჭერდა მის ნაწლავებს. ბევრ რამეში არ გაუმართლა, მათ შორის იმაში, რომ მისი ცოლის ფავორიტი მე გახლდით, თქვენი მონა-მორჩილი.

უბედურ მამაჩემს, თითქოს საკუთარი თავისთვის ცხოვრების

გართულება ჰქონოდა გადაწყვეტილი, ძალიან ვუყვარდი. ჩემში, საკუთარ ვაჟიშვილში, ჩვენი ოჯახის შანსს ხედავდა – შანსს, რომ ოდესმე, ჩემი წყალობით, ისეთები გავხდებოდით, „როგორიც დანარჩენები" და სახელსა და პატივისცემას მოვიპოვებდით, თუმცა კი, პატარა რომ ვიყავი, ამ ამბიციას, უმთავრესად, ფულთან დაკავშირებული ტერმინებით გამოხატავდა. „მამაშენივით არ გამოყეყეჩდე, – მეტყოდა ხოლმე ხუმრობით, როცა მუხლებზე ვეჯექი, – ლამაზიქალი არ მოიყვანო, ცოლი სიყვარულით არ შეირთო, ბიჭო – მდიდარი მამის შვილი მოიყვანე! " ოჰ, როგორ არ უყვარდა,როცა ვინმე ზემოდან უყურებდა! მთელი დღე და მოსწრება წელებზე ფეხს იდგამდა და რისთვის – უკეთესი მომავლისთვის, რომელიც ვერა და ვერ დადგა მის ცხოვრებაში. ამდენი იშრომა, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაეყარა: არც დედაჩემით მოსწონდა თავი, არც ჩემით და არც ჩემი თბილი და მოსიყვარულე დით, რომლის ქმარსაც დღემდე კომუნისტად თვლის (მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სიძე უალკოჰოლო სასმელების შემოსავლიანი საწარმოს თანამფლობელია და უესტ ორინჯში მშვენიერი კერძო სახლი აქვს). რა თქმა უნდა, მის პატივმოყვარეობას ვერც იმ უმდიდრესმა პროტესტანტულმა ორგანიზაციამ („ინსტიტუტმა" – ამ ორგანიზაციის მესვეურებს მოსწონდათ, როცა ასე მოიხსენიებდნენ) უსალბუნა, რომელმაც ჯანი და ყველაფერი გამოსწურა. „ამერიკის ყველაზე ხელგაშლილი და ქველმოქმედი ფინანსური ინსტიტუცია", – მახსოვს, რა ომახიანად წარმოთქვა, როცა „ბოსტონ & ნორსისტერნ ლაიფის" თვალუწვდენელ ოფისში პირველად შემიძღვა და თავისი მოცუცქნული სამუშაო კუთხე – პატარა საწერი მაგიდა და სკამი დამათვალიერებინა. ჰო, ჩემი თანდასწრებით „კომპანიას" დიდი მოწიწებით მოიხსენიებდა: აბა, თავის სახალხოდ დამცირებას რა აზრი ჰქონდა. ისე, რაც მართალია, მართალია, ის კომპანია ხელფასს დიდი დეპრესიის დროსაც კი უხდიდა. თანაც საფოსტო ქაღალდის მთელი დასტა ჰქონდა გამოყოფილი, რომელზეც კომპანიის სახელწოდებისა და „მეიფლაუერის" გამოსახულების

ქვეშ მისი სახელი და გვარი იყო დაბეჭდილი. „მეიფლაუერი“ იმათი ემბლემა იყო (მაშასადამე, მამაჩემისაც, ჰა ჰა). ყოველ გაზაფხულზე, როცა საქველმოქმედო საქმიანობა ყვაოდა, ინსტიტუცია მამაჩემს და დედაჩემს კანზას-სითის გოების რომელიმე მოდურ სასტუმროში ერთ უფასო შაბათ-კვირას ჩუქნიდა (მარტო მამაჩემს არა – შუა ატ-ლანტიკური შტატების ფილიალებში მომუშავე იმ აგენტებსაც, რომ-ლებიც სადაზღვევო პაკეტების გასაღების წლიურ ნორმას გადაა-ჭარბებდნენ), რათა შემდეგ ეს უბედურები ყველას ერთიანად დაეფ-რთხოთ: პორტიეს, მიმტანს, მეკორიდორეს, რომ აღარაფერი ვთქვათ სასტუმროს საგონებელში ჩავარდნილ სტუმრებზე, რომლე-ბიც ფულს საკუთარი ჯიბიდან იხდიდნენ.

ვითომ ეგ არ იყო საკმარისი, მამაჩემს მთელი სულით და გულით სწამდა იმისი, რასაც ყიდდა და რაც პურს აჭმევდა – დაზღვევის პრინციპებისა, და ამ რწმენას ენერგიისა და ძალ-ღონის მონარჩენ-საც სწირავდა. როცა ნასადილევს პალტოს იცვამდა, შლაპას იხუ-რავდა და ისევ სამსახურის საქმეებს უბრუნდებოდა, უკვე საკუთარი თავისა და ჯიბის კი არა, იმ ნაბიჭვრების სულების სახსნელად მიიჩ-ქაროდა, ვისი დაზღვევის პოლისებსაც ვადა გასვლოდა და ვისაც უნებლიეთ საკუთარი ოჯახის წევრები „წვიმაში მოსაყოლად გაემე-ტებინათ“. „ალექს, – მიხსნიდა ხოლმე, – კაცს წვიმიანი ამინდისთვის ქოლგა უნდა ჰქონდეს გადანახული. შენც გამოიქექე ყურები, წვიმი-ან ამინდში ოჯახი უქოლგოდ არ დატოვო! “ მე, ხუთი-ექვსი წლის ბავშვს მისი ნათქვამის დედააზრი მშვენივრად მესმოდა და მგონი, გულიც მიჩუყდებოდა, თუმცა მის ამ წვიმისსაწინააღმდეგო გამოს-ვლას სულ სხვანაირად აღიქვამდნენ მოგლეხო პოლონელები, საკუ-თარი მუშტის მოიმედე ირლანდიელები და წერა-კითხვის უცოდინა-რი შავკანიანები, ანუ ის ხალხი, ამერიკის ყველაზე ხელგაშლილი და ქველმოქმედი ფინანსური ინსტიტუციის მიერ მამაჩემისთვის გამო-ყოფილ უბანში რომ სახლობდა.

ეს ხალხი მათ ქოხმახებში მისულ მამაჩემს დასცინოდა და მასხარად იდგებდა. ყურსაც არავინ უგდებდა. კარზე რომ მიუკაკუნებდა, შიგნიდან ცარიელ ბოთლებს ესროდნენ; წაეთრიე, სახლში არ ვართო, – უყვიროდნენ, გამობრძმედილ ებრაულ ტრაკს ძაღლებს უქსევდნენ. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში მამაჩემმა მოახერხა და კომპანიისგან მიღებული დეკორატიული თეფშების, სიგელებისა და მედლების ისეთი რაოდენობა დააგროვა, რომ უფანჯრებო შემოსასვლელში, სადაც ჩვენი პასექის ჭურჭელი მუყაოს ყუთებში ინახებოდა, ზაფხულობით კი მას რუბეროიდის სქელ სახვევებში მუმიებივით გამოხვეული „აღმოსავლური" ნოხებიც ემატებოდა, ოთხივე კედელი ამ ავლა-დიდებით იყო დაფარული. ნუთუ ეს კაცი, რომელიც ქვას წვენს გამოადენდა, კომპანიას საპასუხო სასწაულით არ უნდა დაეჯილდოებინა? განა „პრეზიდენტს" იქ, მაღლა, „სათავო ოფისში" მისი მიღწევები არ უნდა დაენახა და ერთ დღესაც წელიწადში ხუთიათასდოლარიანი შემოსავლის მქონე აგენტიდან მენეჯერის თხუთმეტიათასდოლარიან თანამდებობაზე არ უნდა დაეწინაურებინა? მაგრამ იქ დატოვეს, სადაც მისი დატოვება ჭკვიანურად მოეჩვენათ. მამაჩემის გარდა სხვა ვინ მიაღწევდა წარმოუდგენელ შედეგებს იმ ყამირ მიწაზე? მეტსაც გეტყვით, „ბოსტონ & ნორსისტერნს" თავისი არსებობის მანძილზე ებრაელი მენეჯერი არასდროს ჰყოლია (ჩვენი წრის ხალხი არ არისო – ასე იტყოდნენ ალბათ „მეიფლაუერის" გემბანზე). რვაწლიანი სასკოლო განათლების ამარა დარჩენილმა მამაჩემმაც სადაზღვევო ბიზნესის ჯეკი რობინსონობა-ვერ გაქაჩა.

„ბოსტონ & ნორსისტერნის" პრეზიდენტი ნ. ევერეტ ლინდბერიც ეკიდა ჩვენს შემოსასვლელში – რა თქმა უნდა, პორტრეტის სახით. ეს ჩარჩოიანი ფოტოსურათი მამაჩემს მაშინ უსახსოვრეს, როცა პირველი მილიონიანი დაზღვევა გაყიდა. უფრო სწორად, არ მახსოვს – შეიძლება ამნაირ საჩუქარს ათმილიონიანი დაზღვევის გაყიდვის შემთხვევაში იძლეოდნენ. „მისტერ ლინდბერი", „სათავო ოფისი"...

მამაჩემის გამოისობით, ამ სიტყვებს ჩემს ყურში ისეთი ჟღერადობა ჰქონდა, როგორც ფრაზას: „რუზველტი თეთრსახლში, ვაშინგტონში“. არადა, ყველა სძაგდა, მისტერლინდბერი განსაკუთრებით – მისი თავთუხისფერი, პრიალა თმა, ახალი ინგლისიდან გამოყოლილი ლაკონური მეტყველება, მისი ვაჟები ჰარვარდ კოლეჯში, გოგონები იმ სკოლებში, სადაც იყვნენ და როგორც იყვნენ... უჰ, დედაბუდიანად, იმათი მასაჩუსეტსური ფესვები და შეიგეცურითავშექცევა, მელიებზე ნადირობა! პოლოს თამაში! (ერთხელ მშობლების საძინებელი ოთახის კარწინ გაწოლილმა ეს ყველაფერი ჩემი ყურით მოვისმინე) – ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მამაჩემს საშუალებას არ აძლევდა, საკუთარი ცოლ-შვილის თვალში თავი გმირად წარმოეჩინა. ღმერთო, რა მრისხანება იყო მის სიტყვებში! რა მძვინვარება! თან ჯავრსაც მხოლოდ საკუთარ თავზე თუ იყრიდა: „კუჭშიც რომ ვერ გავდივარ! პროჭამდე ვარ დატენილი შავი ქლიავით! ან ეს თავი რატომღა მტკივა წამდაუწუმ! ჩემი სათვალე სად ჯანდაბაშია! ჩემი შლაპა ვინ აიღო! “

აი, ასე, თავისი თაობის სხვა ებრაელი მამაკაცების მსგავსად, მრისხანებითა და თვითგვემით ემსახურებოდა მამაჩემი დედაჩემს, ჩემს დას, ჰანას, ყველაზე მეტად კი – თქვენს მონა-მორჩილს. რაკი თავად ცხოვრება დილეგში გაატარა, მე უნდა მეფრინა – აი, რაზე ოცნებობდა მამაჩემი. ჩემი ოცნება მისი ნატვრიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა: ჩემი გათავისუფლება მისიც უნდა ყოფილიყო, უცოდინრობისგან, ექსპლუატაციისგან, უსახელოდ ცხოვრებისგან უნდა მეხსნა. ჩემს წარმოსახვაში ორივეს ბედი დღემდე გადაჯაჭვულია. როცა წიგნის ესა თუ ის პასაჟი გამორჩეული ლოგიკითა თუ სიბრძნით ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, მაშინვე მამაჩემი მახსენდება. რამდენჯერ გამიფიქრია: „ნეტავ ახლა ამის წაკითხვა შეეძლოს – წაკითხვა და გაგება! “ ოცდაცამეტი წლის ვარ და ეს იმედი ჯერ არ დამიკარგავს, ნატვრა ჯერ არ გამნელებია. იმ წელს ვიხსენებ, როცა კოლეჯის პირველ კურსზე ვსწავლობდი და როგორც

შვილს, სხვა იმედიც მქონდა: რომ საკუთარი მამა გამიგებდა. მახსოვს, იმ ინტელექტუალური ჟურნალებიდან, რომელთა არსებობაც, კოლეჯის ბიბლიოთეკის გამოისობით, ახალი შეტყობილი მქონდა, ერთ-ერთი ავიღე, გამოსაწერი ბლანკი ამოვხიე, შიგ მამაჩემის სახელი და ჩვენი სახლის მისამართი ჩავწერე და ფოსტით გავუგზავნე – ერთგვარი ანონიმური საჩუქარი გავუკეთე. თუმცა საშობაო არდადეგებზე მშობლებთან დაბრუნებულმა, პირქუშმა და მამაჩემის გასაკიცხად მომზადებულმა შინ ვერანაირი „პარტიზენ რივიუ" ვერ აღმოვაჩინე. „კოლიერზ ჰაიჯია", „ლუკი" და კიდევ რაღაც-რაღაცები კი ვიპოვე, მაგრამ ჩემი „პარტიზენ რივიუ" სად იყო? დახია ან შეიძლება კონვერტი არც კი გაუხსნია-მეთქი, – გავიფიქრე ქედმაღლურად, მაგრამ გულდაწყვეტით. ასეც იყო. წაუკითხავად გადააგდო, ჩვეულებრივი ნაგავი ეგონა, ფოსტით ხშირ-ხშირად რომ მოგვდის ხოლმე – ამ შმუკს, ამ სულელს, ამ ფილისტერ მამაჩემს!

მახსოვს – თუ მაინცდამაინც ძველი იმედგაცრუებების გუდაში დავიწყებ ქექვას – ერთ კვირადღეს მამაჩემს ჩავაცივდი, ბეისბოლი მეთამაშე-მეთქი და ბურთი ჩავაწოდე. ვდგავარ და ველოდები, ალბათ ისე დაარტყამს, თავს ზემოთ გადამატარებს-მეთქი. რვა წლის ვარ და დაბადების დღეზე პირველი ბეისბოლის ხელთათმანი, ბურთი და კეტი მივიღე, რომელსაც წესიერად ვერც კი ვიქნევ – მაგდენი ძალა ჯერ ვინ მომცა. მამაჩემი დილაუთენია გავიდა სახლიდან და მთელი ქვეყნიერების შემოვლა მოასწრო. თავისი განუყრელი შლაპა ახურავს, პალტო და შავი ფეხსაცმელი აცვია და ყელზე „პეპელა"-ყელსახვევი შეუბამს. იღლიაში ჩანაწერების შავი წიგნი აქვს ამოჩრილი, რომელშიც წვრილად უწერია, ვის რამდენი მართებს მისტერ ლინდბერის. დაიჭერს ამ წიგნს და ყოველ კვირადღეს შავკანიანების უბნებში დადის. როგორც მეუბნება, იმ მამაძაღლების გამოსაჭერად, ყოველთვიური ათი-თხუთმეტი ცენტის გადახდა რომ არ უნდათ, ეს ყველაზე კარგი დროა. მამაჩემმა იმ ადგილის შორიახლო იცის ჩასაფრება, სადაც უბნის მამაკაცები კვირაობით მზეს ეფიცხებიან.

მათ თავზე დაადგება და რამდენიმე ათცენტიანს მანამდე წაგლეჯს ხოლმე, სანამ ეს მონეტები „მორგან დევისის“ ბოთლებად გადაიქცევა, მათი პატრონები კი უგონოდ გაილეშებიან. ასე გამოუტყვრება ხოლმე შუა გზაზე ეკლესიისკენ მიმავალ იმ ღვთისმოსავ მრეცხავ ქალებსაც, რომლებიც სადაგ დღეებში სხვათა სახლებს ალაგებენ, საღამოობით კი მამაჩემს ემალებიან. „ეჰეჰეჰე, – დაიყვირებს ვიღაც, – დაზღვევის კაცი მოდის, ხალხო! “ დაიყვირებს და მარტო დიდები კი არა, პატარებიც სადღაც ორთქლდებიან. „ჰო, ბავშვებიც, – ზიზღით და აღშფოთებით იმეორებს მამაჩემი, – ამათი შემყურე ვკითხულობ: ვინმეს კიდევ აქვს იმედი, რომ ეს ოხერი ზანგები ოდესმე ადამიანურად ცხოვრებას ისწავლიან? ადამიანურად ცხოვრებას როგორ ისწავლიან, როცა ისიც არ ესმით, რა მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაზღვევა? ოდნავ მაინც არ ადარდებთ საკუთარი ოჯახის წევრები? რომ დაიხოცებიან, ვის იმედად ტოვებენ? რა, არ დაიხოცებიან? ისე დაიხოცებიან, შენი მოწონებული“. აბა რა, ის კაცი რა კაცია, მამაჩემო, შვილებს წვიმაში დასატოვებლად რომ გაიმეტებს და ერთი წესიერი ქოლგაც რომ არ ექნება გადანახული!

ერთი სიტყვით, სკოლის უკან დიდ ტალახიან მოედანზე ვდგავართ. მამაჩემი ჩანაწერების წიგნს მიწაზე დებს და არენაზე პალტოთი და ყავისფერი ფეტრის შლაპით გამოდის. სწორკუთხა, რკინისჩარჩოიანი სათვალე უკეთია, თმა (ახლა, მის ასაკში, მეც ზუსტად მისნაირი თმა მაქვს) ერთ რამედ ღირს: ჯაგარს არა, ქვაბების სახეხს უფრო მიუგავს, ველურად ნაზარდი ბუჩქია; კბილები კი, რომლებიც წუხელ სააბაზანოში წყლიანი ქილიდან მეღრიჯებოდნენ, ახლა აქ, ამ მინდორში მიღიმიან – მე, მის სისხლსა დახორცს, მის საყვარელ პატარა ბიჭს, რომელსაც თავზე წვეთი წვიმა არ უნდა დაეცეს. „აბა, დიდო ბეისბოლისტო! “ – მეუბნება მამაჩემი და ჩემს კეტს შუაში ჰკიდებს ხელს, ჩემდა გასაოცრად – მარცხენა ხელს, მაშინ, როცა კეტი, წესით, მარჯვენა ხელით უნდა ეჭიროს. უცებ გული სევდით მევსება:

მინდა ვუთხრა, მამი, კეტი წესიერად დაიჭირე-მეთქი, მაგრამ არ შეიძლია; მეშინია, რომ ხმას თუ ამოვიღებ, ავტირდები, ან მამაჩემი ატირდება.

– მიდი, დიდო ბეისბოლისტო, ბურთი ჩამომაწოდე, – მიყვირის ისევ. მეც ვაწოდებ და იმავე წამს ვხვდები, რომ, როგორც ვეჭვობდი, სხვა ყველაფერთან ერთად, მამაჩემი არც „კინგ კონგი" ჩარლი კელერიყოფილა.

ჩემი მფარველი ქოლგა.

დედაჩემი კი დიდი ყოჩაღი ვინმე იყო: რასაც ხელს მოკიდებდა, ყველაფერი გამოსდიოდა. თვითონაც აღიარებდა, რომ სრულყოფილება იყო. როგორ გგონიათ, იმ პატარა ბიჭს, მაშინ რომ ვიყავი – გონიერებისა და დაკვირვებულობის განსახიერებას, ამ ამბავში ეჭვის შეტანა შეეძლო? მაგალითად, დედაჩემი რომ ჟელეს გააკეთებდა, თხლად დაჭრილი ატმები, დედამიწის მიზიდულობის ძალის მიუხედავად, ზუსტად მის შუა ნაწილში ჩერდებოდნენ. შეეძლო ისეთი ნამცხვარი გამოეცხო, რომელსაც ბანანის სუნი და გემო ექნებოდა. წვალებითა და ცრემლის ღვრით პირშუშხას თვითონ ხეხავდა, ოღონდ კი ის საძაგლობა არ ეყიდა, დელიკატესების მაღაზიაში ბოთლებით რომ იყიდებოდა. ყასაბს თავზე დაადგებოდა ხოლმე და, როგორც ამბობდა, შევარდენივით დასცქეროდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ნაყიდი ხორცის რბილ ნაჭრებს კოშერულსაკეპში ატარებდნენ. მთელი სახლის ქალებს დაუზარებლად ჩამოურეკავდა – ერთ ღირსსახსოვარ დღეს ზედა სართულის მეზობელს, ცოლს გაცილებულ გოისაც კი დაურეკა, რაფას წვიმის წვეთი დაეცა, სასწრაფოდ სარეცხი ჩამოხსენითო. ასეთი რა რადარი ჰქონდა! თანაც როდის? იმ დროს, როცა ჯერ რადარი გამოგონებულიც არ იყო. ან რა ენერგიის პატრონი იყო! რა გულმოდგინე! მთელი სამყაროს შეცდომებს ჩემს რვეულებსა და დღიურებში ეძებდა, ნახვრეტებს – ჩემს წინდებში, ჭუჭყსა და ზინტლს – ჩემს ყურებში, კისერზე, სხეულის ყველა ნაკეცსა და თვალს მიფარებულ ადგილში. ყურის ნიჟარის

თვალისთვის მიუწვდომელ კუნჭულებსაც კი სწვდებოდა და თუ ვერ სწვდებოდა, შიგნით – პრაქტიკულად, თავში – ცივ წყალბადის ზეჟანგს მასხამდა. რამდენიმე წამში თავის არეში შიშხინი, შხუილი, ქავილი და წვა მეწყებოდა, მერე კი ზედაპირზე ყვითელი გოგირდის მანამდე უხილავი ნარჩენი ამოდიოდა, რომელიც, დედაჩემის თქმით, ადამიანის სმენას საფრთხეს უქმნიდა. ამნაირ სამედიცინო პროცედურას, როგორ სისულელესაც არ უნდა ჰგავდეს, ბუნებრივია, საკმაოდ დიდი დრო სჭირდება; თუმცა, როცა საქმე ჯანმრთელობას და სისუფთავეს, მიკრობებსა და გამონადენს ეხებოდა, დედაჩემი საკუთარ თავს ივიწყებდა, უფრო სწორად, თავფეხიანად მოყვასს უძღვნიდა. მიცვალებულებს სანთლებს ახლაც უნთებს ხოლმე, რაც სხვებს აზრად არ მოსდით. დედაჩემს რელიგიური თარიღები ყოველთვის ახსენდება და ამისათვის კალენდარი არ სჭირდება. წესების გულმოდგინედ დაცვა სისხლში აქვს. როგორც ამბობს ხოლმე, სასაფლაოზე იმისთვის დადის, რომ „საღი აზრისა" და „ღირსების გრძნობის" კარნახით, ჩვენი ნათესავების საფლავები სარეველას არ დაანებოს. გაზაფხულის პირველ დღეს დადგომას არ აცლის, შალის ტანსაცმელს ამზეურებს, ნოხებს თოფებად ახვევს და შემოსასვლელში აბინავებს, მამაჩემის სიგელ-მედლებით დაფარულ კედლებზე აყუდებს. დედაჩემი ის ქალია, სახლში უცხო ადამიანის შეშვებისა რომ არ შერცხვება. რა დროც არ უნდა იყოს, იმ უცხოს ნებისმიერ კარადაში, ნებისმიერ უჯრაში ჩაახედებს და მისი თვალი იქ ისეთს ვერაფერს დაინახავს, რომ დედაჩემს შერცხვეს. სააბაზანო ისე აქვს დაწკრიალებული, საჭირო რომ გახდეს, იატაკის ფილებს ალოკავ. მაჯონგის თამაშის დროს რომ აგებს, ამ ამბავს სპორტსმენივით უყურებს, აბა, თავს ხომ არ მოიკლავს ზოგიერთებივით, არა, სახელსა და გვარს არ დაასახელებს და არც ტილი ჰოხმანს ახსენებს, საერთოდაც, ისეთი სისულელეა ეს ყველაფერი, სათქმელადაც არ ღირს. დედაჩემი ჭრის და კერავს, ქსოვს და კემსავს, უთოობით ხომ შვარცეზეუკეთესად აუთოებს. შვარცე ჩვენი შავკანიანი მოსამსახურეა,

რომელიც დედაჩემის ყველა მეგობარს ემსახურება, მაგრამ დედაჩემი ამტკიცებს, რომ ამ ჩვენს მუდამ მომღიმარ, ბავშვურ, ბებერ შვარცეს ადამიანურად მხოლოდ თვითონ ექცევა. „მარტო ჩემგან ახსოვს სიკეთე და კარგი მოპყრობა. ჩემ გარდა, ლანჩის დროს თინუსის მთელ ქილას არავინ დაუდგამს. რაღაც ნაგავზე კი არ ვლაპარაკობ, „ჩიკინ ოვ ზი სის" თინუსზე ვამბობ, ალექს. დიდი ბოდიში, ძუნწი ვერაფრით ვერ ვიქნები! მაპატიეთ, მაგრამ მე ასე ვერ ვიცხოვრებ! " ესთერ ვასერბერგი დოროთის (იგივე შვარცეს) მოსვლამდე კართან ხუთცენტიანებს აწყობს და მერე ითვლის, რამე ხომ არ მოკლებია, დოროთიმ ხელს ხომ არ გააყოლა. „არ ვიცი, შეიძლება ზედმეტად კეთილი ვარ, – ჩურჩულით მეუბნება, ცალი ხელით კი იმ თეფშს მდუღრავს, რომლიდანაც ჩვენმა დამლაგებელმა ცოტა ხნის წინ ჭამა, კეთროვანივით მარტოდმარტომ, – დიდი ბოდიში, მაგრამ მე ასეთი რამეების კეთება არ შემიძლია! " ერთხელ ისე მოხდა, რომ დოროთი სამზარეულოში ზუსტად მაშინ შემობრუნდა, როცა დედაჩემი ნიჟარასთან იდგა და შვარცეს სქელ ვარდისფერ ტუჩებში გამოვლებულ დანასა და ჩანგალს მდუღარეს ასხამდა. დედაჩემი არ დაბნეულა: „ხომ იცი, რა ძნელია ამ ბოლო დროს ჭურჭლიდან მაიონეზის მოშორება, დოროთი! " მერე ეამაყებოდა, რომ თავისი საზრიანობის წყალობით მოახერხა და ფერადკანიანი ადამიანის გრძნობები არ შეურაცხყო.

ცუდად რომ მოვიქცეოდი, რამეს რომ დავაშავებდი, სახლიდან-მაგდებდნენ და კარს მიკეტავდნენ. ვიდექი ასე, ზღურბლთან ატუზული, ვაბრახუნებდი და ვაბრახუნებდი, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავდა, სანამ არ დავიფიცებდი, რომ იმ დღიდან ცხოვრებას ახალი ფურცლიდან დავიწყებდი. ეგ კი ჭრიდა, მაგრამ მაინც სულ ვფიქრობდი, ნეტავ ასეთიც რა ჩავიდინე-მეთქი? რას აღარ ვფიქრობდი: ყოველ დილით ფეხსაცმელს ლინოლეუმზე გაფენილ წინა დღის გაზეთზე ვიპრიალებ, გაპრიალებას რომ მოვრჩები, არ მავიწ-

ყდება და საპრიალებელი საცხის თუნუქის ქილას თავსახურს მაგრად ვახურავ, მერე კი თავის ადგილას ვდებ; კბილის პასტას ჯაგრისზე მოზომილ ზოლებად ვაწვენ; კბილებს, როგორც წესი და რიგია, წრიულად ვიხეხავ და არა ზემოთ-ქვემოთ მოძრაობებით; მისალმებას, მადლობის თქმას, ბოდიშის მოხდას კაცი ვერ დამასწრებს, ნებართვის აღება არასდროს მავიწყდება, ჰოდა, რას მერჩიან-მეთქი? როცა ჰანა ავადაა, ან შინ არ არის, ვთქვათ, ვახშმობის დრომდე ლურჯი თუნუქის ქილით გარე-გარე დაიარება და ებრაული ფონდისთვის შესაწირს აგროვებს, მე, ჩემი ნება-სურვილით, სუფრას ვშლი – მაშინაც კი, როცა ჯერი არ მიწევს. არ მავიწყდება, რომ დანა და კოვზი თეფშის მარჯვნივ უნდა დავაწყო, ჩანგალი მარცხნივ უნდა დავდო, ხელსახოცი კი ჩანგალს გვერდით, სამკუთხედად გაკეცილი უნდა მივუდო. იმასაც ვიტყვი, რომ მილხიკებიდა ფლეიშიკებიერთად არასდროს მიჭამია – თავს დავდებ ამაზე – არასდროს! და მაინც, ამდენი დამსახურების მიუხედავად, თვე არ გავა, რომ ბარგი-ბარხანის აკვრა და სახლიდან წავლა არ მიბრძანონ. ასეთი უპატიებელი რა ჩავიდინე? დედა, დედიკო, შემომხედე, ეს ხომ მე ვარ, შენი პატარა ბიჭი, რომელიც ჯერ სკოლაში არ დადიოდა, რომ დღე და ღამე ძველი ინგლისური ანბანის ასოები გამოჰყავდა! სავარცხელი და სუფთა ცხვირსახოცი სულ ჯიბით დამაქვს; წინდებს ფეხსაცმელში არასდროს ვტენი, ამას განსაკუთრებით ვერიდები; საშინაო დავალებებს დავალების მოცემამდე რამდენიმე კვირით ადრე ვასრულებ – შემომხედე, დედიკო! ყველაზე ჭკვიანი და მოწესრიგებული ბიჭუნა ვარ სკოლის არსებობის მანძილზე! მასწავლებლები (ეგ კარგად მოგეხსნება, იმიტომ რომ თავიანთი პირით გეუბნებიან) სკოლის მერე ქმრებს ბედნიერები უბრუნდებიან და ამის მიზეზი მე ვარ, შენი შვილიკო! მითხარი, რა დავაშავე? ვინც ამის პასუხი იცის, ხელი ასწიოს და ფეხზე წამოდგეს! უცებ ასეთი საძაგელი რატომ აღმოვჩნდი, რომ სახლში ერთ წუთსაც ვეღარ გამაჩერებ? როცა ჩემს

დას „ყაყა“ დავუძახე, პირი სარეცხის ყავისფერი საპნით გამომირეცხეთ. კი, გასაგებია, ეგ დავიმსახურე. მაგრამ ასეთი სასჯელი? ნეტავ ახლა რა დავაშავე!

რაკი კეთილი ქალია, საჭმელს მაინც მიხვევს და საგზლად მატანს, მე კი კარი უნდა გამოვაღო და სადღაც უნდა წავიდე პალტოსა და კალოშების ამარა. მერე რა მოხდება ჩემს თავს, ეგ დედაჩემს აღარ აინტერესებს.

– კარგი, ბატონო, – ვეუბნები ბოლოს, – ეგრე იყოს, რაკი შვილზე ხელი აგიღია! (მელოდრამები მეც მიყვარს – აბა, როგორ, ამ ოჯახში ტყუილად კი არ გავიზარდე) ჩემთვის გამოხვეული საჭმელიც დაიტოვე! სულაც არ მჭირდება!

– აღარ მიყვარხარ. პატარა ბიჭი, რომელიც შენსავით იქცევა, სულ არ არის საყვარელი. წადი, მე აქ მამიკოსთან და ჰანასთან ერთად ვიცხოვრებ, – მეუბნება დედაჩემი (რადგან ისეთი ფრაზების დიდოსტატია, გულში დანად რომ გესობა და გკლავს). – სამშაბათობით, ჩემი მეგობრები რომ მოვლენ, მაჯონგის მაგიდას ჰანა გაგვიწყობს ხოლმე! შენი დახმარება აღარ დაგვჭირდება.

აჰა! გასაგებია. ჰოდა, მეც ფეხებზე მკიდიხართ! კარს ვშორდები და გრძელ ჩაბნელებულ დერეფანს მივუყვები. სულ არ მენაღვლება! ფეხშიშველა ვივლი და ქუჩაში გაზეთებს გავყიდი. მატარებლებში ჩავჯდები – ვივლი ხოლმე ასე, საითაც გული გამიწევს, ტრიალ მინდორში დავიძინებ. მერე, საკმარისია, კართან გამწკრივებული რძის ცარიელი ბოთლები დავინახო, რომ უეცრად ვაცნობიერებ, რამდენად დიდი და შეუვსებელია ჩემი დანაკარგი. „მძულხარ! – ვუყვირი და კალოშწამოცმული ფეხით კარს წიხლებს ვუშენ, – საძაგელი ხარ! “ ამ გაუგონარი სიტყვების, ამ ერესის საპასუხოდ, ჩვენი მრავალბინიანი სახლის დერეფნებში რომ გუგუნებს, სადაც დედაჩემი ოცივე ბინაში მოსახლე ებრაელ ქალებს დედობისათვის თავგანწირვასა და მფარველი წმინდანის სახელის მოპოვებაში ეჯიბრება, ჩვენი

კარის მეორე საკეტიც ტრიალდება. აი, როდის ვიწყებ გაბმულ ბრა-ხუნს, რომ როგორმე შემიშვას. ფეხის საწმენდ ტილოზე ვემხობი, რა-თა ჩადენილი ცოდვა (რომელი – მაინც ვერ გავიგე, მაგრამ რა დროს ეგაა) მოვინანიო, ვპირდები, სიტყვას ვაძლევ, რომ სანამ პირში სუ-ლი გვიდგას, სანამ ორივენი ცოცხლები ვართ (ამ ასაკში მგონია, რომ სამუდამოდ ვიცოცხლებთ), სრულყოფილების განსახიერება ვიქნე-ბი.

კიდევ ის საღამოები მახსენდება, როცა ჭამაზე უარს ვამბობდი. ოთხი წლით უფროსი და, ჰანა მარწმუნებს, რომ ყველაფერი ზუსტად ისე მახსოვს, როგორც იყო: საჭმელზე უარს ვამბობ, დედაჩემი კი, ბუნებრივია, ამნაირ თავნებობასა და იდიოტიზმს ვერაფრით შე-ეგუება. არ შეუძლია და არც აპირებს, ისევ ჩემივე ინტერესებიდან გამომდინარე. მხოლოდ იმას მთხოვს, რომ რაღაც ვიღონო, დიახ, ჩე-მივე ინტერესებიდან გამომდინარე. მე კი როგორ ვიქცევი? ყველაფ-რის მიუხედავად, ჭამაზე უარს ვამბობ! ვითომ არ ვიცი, რომ უკა-ნასკნელ ლუკმას იღებს პირიდან და მე მაძლევს! ამას როგორ ვერ ვხვდები?

მე კიდევ, რა ვქნა, არ მინდა მისი პირიდან გამოღებული საჭმე-ლი. საჭმელი საკუთარი თეფშიდან აღებულიც კი არ მინდა. ეს არის და ეს!

ღმერთო! ჩემი პოტენციალის მქონე ბავშვი! ჩემი მიღწევების მქონე! მერერა მომავალი მელის! ღმერთმა ამდენი რამ მომამადლა: ცალკე შესანიშნავი გარეგნობა, ცალკე ტვინი – მაქვს მე უფლება, ერთი წუთით მაინც წარმოვიდგინო, რომ ჩემნაირმა ბავშვმა – მერე რისთვის! სულ უმიზეზოდ! – შეიძლება თავი შიმშილით მოიკლას?

უნდა ავირჩიო, რა მირჩევნია: გაძვალტყავებულ ბიჭუნას, რომე-ლიც უჭმელობის გამო აღარ გაიზრდება, მთელი ცხოვრება ზემოდან დამყურებდნენ, თუ ქვემოდან ზემოთ აღფრთოვანებით შემომყუ-რებდნენ – კაის მჭამელ და კაის მსმელ მოწიფულ მამაკაცს?

მომეწონება, რომ თითს ყველა ჩემკენ იშვერდეს და დამცინოდეს? მინდა, რომ ცარიელი ძვალი, ტყავი და ყურები ვიყო და სხვები თავში მიკაკუნებდნენ? რა სჯობს, როცა ყველა პატივს გცემს და თვალებში შემოგციცინებს!

როგორი მინდა, ვიყო, რომ გავიზრდები: სუსტი და უსუსური, თუ ძლიერი და ყოვლისშემძლე? უნდა გადავწყვიტო: წარმატებას ვირჩევ თუ დამარცხებას? კაცი მინდა ვიყო, თუ წრუწუნა, ბოლოს და ბოლოს?

მე კი არ მშია და არ ვჭამ-მეთქი, – აი, ასეთ პასუხს ვიძლევი.

ჰოდა, მაშინ დედაჩემის ხელში პურის საჭრელი უზარმაზარი დანა ჩნდება. გვერდით მიჯდება და ასე, დანამომარჯვებული დამყურებს. უჟანგავი ფოლადის დანაა, საჭრელი პირი ხერხივით აქვს დაკბილული. ესე იგი, ვინ მინდა ვიყო: ძლიერი თუ სუსტი, კაცი თუ წრუწუნა?

ექიმო, რატომ, რატომ, რატომ, რატომ, რატომ უნდა აღმართოს დედამ დანა ღვიძლ შვილზე? ექვსი თუ შვიდი წლის ვარ, როგორ მივხვდე, მართლა დამარტყამს იმ დანას თუ დამინდობს? რა მომეთხოვება ამ ასაკში, თვალებში ნაცარი შევაყარო? შვიდი წლის ბავშვმა? გასაგებია, რომ ეგ დედაჩემის სტრატეგია იყო, მაგრამ ამ ასაკში რა მესმის, ღმერთო ჩემო – ჯერ სამოც ფუნტსაც არ ვიწონი! მარტო იმას ვხედავ, რომ დანას მიღერებენ. ამიტომ ძალიანაც მჯერა, რომ დანის მქნეველს ჩემი დაჭრა განუზრახავს, სადაცაა ჩემი სისხლი დაიღვრება! ოღონდ რატომ? აბა, მე რა ვიცი, რა უტრიალებს დედაჩემს თავში! იქნებ გაგიჟდა? ვთქვათ, დამითმო და ჩემი გავიტანე – მერე რა! ვის რა დაუშავდება? ეს დანა მაინც რა საჭიროა, ეს სასიკვდილო მუქარა და ჩემი დაზაფვრა ნეტავ რას აძლევს? რაში სჭირდება სრული და გამანადგურებელი გამარჯვება საკუთარ შვილზე? გუშინ არ იყო, უთო რომ განზე გადადო და გაოცებული ტაშს მიკრავდა, როცა მესამეკლასელების სპექტაკლისთვის მომზა-

დებული კოლუმბის როლი განვასახიერე და სამზარეულოში არტისტულობის ქარბუქი დავატრიალე? კლასის მასშტაბით ვარსკვლავი ვარ, უჩემოდ სკოლაში სპექტაკლი არ იდგმება. ერთადერთხელ სცადეს, როცა ბრონქიტი დამემართა და მაშინაც მასწავლებელი დედაჩემს გამოსტყდომია, დადგმა კინაღამ ჩაგვივარდაო. ღმერთო, ნეტავ როგორ შეუძლია სამზარეულოში ჩემთან ერთად მშვენიერი საღამოების გატარება, ვერცხლის დანა-ჩანგლის გაპრიალება, ძროხის ღვიძლის დაჭრა, ჩემი შორტისთვის რეზინის გამოცვლა და ამავე დროს ისიც, რომ პიესების რეპლიკები დამაზეპირებინოს? როცა კოლუმბს ვასახიერებ, დედოფალ იზაბელად გადაიქცეს, თუ ვაშინგტონის როლი მაქვს, ჩემი ბეტსი როსი გახდეს, როცა ლუი ვარ, მისის პასტერად გარდაისახოს? ღმერთო, როგორი მხვდება სკოლიდან მოსულს, როგორ ზღაპრულ საღამოებს ვატარებთ ერთად, ამ საათებში ჩემი ტალანტის დიდი დამფასებელია, მერე კი, ერთ საღამოს, როცა ჩაშუშული კარტოფილისა და ლობიოს ჭამაზე უარს ვამბობ, ხელში დანას იღებს და გულზე მაბჯენს. აი, ეგ როგორ ხდება, ექიმო?

ან ნეტავ მამაჩემი რატომ არ აჩერებს?

დიდი ნძრევა

მერე სიყმაწვილეც მოვიდა, რომლის ნახევარი მაინც, ალბათ, საბაზანოში მაქვს გატარებული: ჩაკეტილ კარს უკან ჩემს თეთრ სითხეს ხან უნიტაზში მოდგაფუნე წყალს ვატანდი, ხან სარეცხით სავსე კალათაში ვასხამდი, ხან კიდევ საოჯახო აფთიაქის სარკეს ვუშხაპუნებდი, რომლის წინაც შარვალჩახდილი ვიდექი, საკუთარ თავს ვუყურებდი და ვცდილობდი, უმცირესი წვრილმანიც არ გამომპარვოდა. ხანდახან თვალებს მაგრად ვხუჭავდი, წელში ვიხრებოდი და თან ჩემს მარდ ხელს არ ვაჩერებდი, ამავე დროს პირს ფართოდ ვაღებდი, რომ დოსა და სარეცხის მათეთრებლის ნაზავის მსგავსი, წებოვანი სოუსი ენასა და კბილებზე მომხვედროდა. ამ ჩემს სიბრმავესა და თავდავიწყებაში ბევრჯერ მომსვლია, რომ თმის ჟელეს მსგავს რაღაცაში თავფეხიანად ამოვსვრილვარ, თითქოს მთელი ფლაკონი თავზე დაიცალაო. დაჭმუჭნული ცხვირსახოცების, „კლინექსებისა“ და დალაქავებული პიჟამების საუფლოში ჩემს უწვრთნელ და ნაწვალებ პენისს შიშისაგან ყურებდაცქვეტილი ვანძრევდი. ცალი ყური კარისკენ მეჭირა, გული მისკდებოდა, ხმაურიანი გასროლის წამებ-

ში ვინმე შეუმჩნევლად არ მომპარვოდა. მიუხედავად ამისა, როგორც კი ასო თავს შემახსენებდა და მუცელთან ასატუზად დაიძვრებოდა, თავს ვერაფერს ვუხერხებდი, ხელი მისკენ თავისით გამირბოდა. შემეძლო შუა გაკვეთილზე ხელი ამეწია, ბოდიშის მოხდით გასვლა მეთხოვა და დერეფანში გასული პირდაპირ ტუალეტისკენ გავქცეულიყავი, მერე ათი-თხუთმეტი დაქნევა და პირდაპირ პისუარში ვათავებდი. შაბათობით მეგობრებთან ერთად კინოში რომ წავიდოდი, შუა ფილმის დროს წამოვხტებოდი, ვითომ კანფეტების საყიდლად, მაგრამ, ჰმ, ვინ რა იცოდა – კინოთეატრის ცარიელ აივანს ვეძებდი და ნაჭამი შოკოლადის ქაღალდში საკუთარ თესლს ვახვევდი. ვაშლი რომ ვაშლია, ერთხელ ნათესავების თავყრილობაზე ვაშლი ჩავკბიჩე, დავხედე და ჰოი, საოცრებავ, იმან, რაც ხელში მეჭირა, ჩემდა გასაკვირად (და ჩემი ატეხილობის წყალობით) ისეთი რამე მომაგონა, რომ მაშინვე გარეთ გავვარდი და ხეებს შევერიე, რათა მაცდურ ხილს იქვე, ბალახებში შევრწყმოდი. როგორც ვთქვი, ვაშლმა ისეთი რამე მომაგონა, რამაც თავი სრულად დამაკარგვინა – ჩემს წარმოსახვაში შობილი მითიური არსების ფეხებს შუა მოთავსებული გრილი, სველი ნაპრალი. თავად ეს არსება ყოველთვის „დიდ ბიჭს“ მეძახდა და მთხოვდა, ის, რაც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ჯერ არც ერთ გოგოს არ ღირსებია, ფეხებს შორის შემიდეო. აი, ახლაც! „მიდი, შემიცურე, დიდო ბიჭო“, – მთხოვა ჩაკბეჩილმა ვაშლმა. „დიდო ბიჭო, ოჰ, დიდო ბიჭო, მომეცი, რაც გაქვს, არ დამინდო“, – ამ სიტყვებით მევედრებოდა საკუჭნაოს კუთხეში მალულად მიდგმული რძის ცარიელი ბოთლი, რომელთანაც თავდავიწყებას სკოლიდან დაბრუნებისთანავე ვეძლეოდი ხოლმე, მანამდე კი ასოზე ვაზელინს საგულდაგულოდ ვისვამდი. „მოდი ჩემთან, დიდო ბიჭო, მოდი“, – მეძახდა ახურუშებული ღვიძლის ნაჭერი, რომელიც ერთ ნაშუადღევს, გახელების ჟამს, საყასბოში შევიძინე და ვიცი, გაუგონარი ამბავია, მაგრამ ბარ-მიცვას მოსამზადებელ გაკვეთილზე მიმავალმა სარეკლამო სტენდის უკან გავაუპატიურე.

ჩემი უფროსკლასელობის პირველი წელიწადი იყო – და სხვათა შორის, მასტრუბაციის ხელოვნებაშიც ახალბედა გახლდით – როცა ჩუჩის შიდა მხარეს, ზედ პენისის ლაგამთან, პატარა უფერული წერტილი აღმოვაჩინე, რომელიც ბოლოს ხალი აღმოჩნდა. მაშინ კი საკუთარ თავს დიაგნოზი თავად დავუსვი: ჩემი მოკლე ჭკუით, კიბო მქონდა. გადავწყვიტე, ამ უკურნებელ სენს ამდენი ნძრევა და ხახუნი გამოიწვევდა-მეთქი. ჯერ თოთხმეტი წლისაც არა ვარ და უკვე კიბო მაქვს-მეთქი. ღამ-ღამობით, საწოლში, თვალებზე ცრემლები მადგებოდა. „არა, სიკვდილი არ მინდა, ღმერთო, გთხოვ, ოღონდ ეს არა! " – მოვთქვამდი უხმოდ. მერე კი, რაკი მალე მაინც დაღუპვა მეწერა, მავნე ჩვევას ვუბრუნდებოდი და საკუთარ წინდებში ვათავებდი. გასარეცხი წინდები სააბაზანოდან საძინებელში გამქონდა და საწოლში ვიწყობდი, რომ პირველი ძილის წინ მეხმარა, მეორე კი – დილით, გაღვიძებისთანავე.

ეჰ, რომ შემძლებოდა და ეს საცალხელო საქმე დღეში ერთ ჯერამდე დამეყვანა, ან ერთს ვინ ჩივის, ორ ან სამ ჯერს დავჯერებოდი! მაგრამ კარს მომდგარი აღსასრულის პერსპექტივამ თავზე ხელი სულ ამაღებინა და ამ საქმეში საკუთარ რეკორდებს ლამის ყოველდღე ვხსნიდი. ჭამის წინ. ჭამის მერე. ჭამის დროს არა, რო? სასადილო ოთახის მაგიდიდან წელში მოხრილი წამოვდგებოდი, ტრაგიკული გამომეტყველებით ვიტყოდი, კუჭი ამეშალა-მეთქი. წამოვიძახებდი: ვაიმე, ფაღარათი დამემართა-მეთქი! ასე, ფაღარათის ძახილით, მუცელზე ხელებმიჭერილი სააბაზანოსკენ გავიქცეოდი, შიგ შევვარდებოდი, კარს ჩავკეტავდი და წავიდააა... ერთხელ ხელს ორი ტრუსიც გავაყოლე, რომლებიც ჩემს დას კომოდიდან ავწაპნე და დაგორგოლავებულებსა და ცხვირსახოცში გამოკრულებს ჯიბით დავატარებდი. თვით სიტყვათშეთანხმების „ქალის ტრუსი" გაგონებას ჩემს ტვინში აფეთქების მოწყობა შეეძლო. აი, როგორ ხდებოდა ეს საქმე: ტუჩებზე ჩემი მონაპოვარი მაქვს მიკრული, ასო ხელში მი-

ფეთქდება და ეაკულაციის ტრაექტორია ჭერს აღწევს – ჩემი გასაშ-ვები აპარატიდან რაკეტასავით გამოვარდნილი სითხე ნათურისკენ მიფრინავს, და რაც ყველაზე მეტად მაოცებს და მზარავს, პირდაპირ მინას ხვდება და ზედ ეკრობა. თავს მაშინვე ხელებში ვმალავ, ნამ-დვილ აფეთქებას ველოდები: შუშის მსხვრევის ხმას და ცეცხლის ენებს. მოგეხსენებათ, როცა კაცს სულ რაღაც აქვს დასამალი,კატას-ტროფის მოლოდინი მუდამ თან სდევს. მაგრამ კატასტროფა რატომ-ღაც იგვიანებს და მეც, მეტ-ნაკლებად (რამდენადაც შესაძლებელია) დამშვიდებული, რადიატორზე ვდგები და აშიშხინებულ მასას, რო-მელიც ფურთხს უფრო ჰგავს, ნათურას ტუალეტის ქაღალდის ნაგ-ლეჯით ვაშორებ. მერე გაფაციცებული ვეძებ: აბაზანის ფარდას, კბილის პასტას, იატაკის ფილებს, ოთხ კბილის ჯაგრისს – ერთი სიტ-ყვით, ყველაფერს, რასაც ჩემი მზერა სწვდება, ციებიანივით ვათვა-ლიერებ და ბოლოს, ის-ისაა, კარი უნდა გავაღო, რომ თვალში საკუ-თარი ფეხსაცმლის ჭვინტი მხვდება. იმის დანახვაზე, რაც ზედ წვინ-ტლივით ჰკიდია, ლამის ინფარქტი დამემართოს. ფაქტობრივად, ნძრევის რასკოლნიკოვი ვარ – გარშემო ყველაფერს ჩემი დანაშაუ-ლის ბლანტი კვალი აზის! იქნებ სახელოზეც მაქვს? ან თმაზე? ვაი და ყურზე მკიდია? ამაზე მაშინაც ვფიქრობ, როცა სამზარეულოში ვბრუნდები, გაავებული და გაღიზიანებული ისევ მაგიდასთან ვჯდე-ბი და წითელი ჟელეთი პირგამოტენილი მამაჩემის კითხვებს მართა-ლი და ნატანჯი კაცის გამომეტყველებით ვპასუხობ.

– არ მესმის, რატომ კეტავ სააბაზანოს კარს? რა გაქვს დასამა-ლი? გაუგებარი ამბავია. სად ვცხოვრობთ, ბოლოს და ბოლოს, სახ-ლში თუ გრენდ-სენტრალზე? – მებუზღუნება მამაჩემი.

– პირადი სივრცის შეგრძნება... ადამიანს უფლება აქვს... ნუთუ საკუთარ სახლში შეუძლებელია... – ვისვრი რაღაც სიტყვებს და უცებ დესერტიან ლამბაქს ხელს გაავებით ვკრავ, – ცუდად ვარ! შე-მეშვით! თავი დამანებეთ!

დესერტის მერე – რომელსაც მაინც ვამთავრებ, იმიტომ, რომ ჟელე მიყვარს და მაშინაც კი ვჭამ, როცა ყველა ნერვებს მიშლის – ისევ სააბაზანოსკენ მივიძურწები. ერთი კვირის ნაგროვებ სარეცხში ვიქექები, სანამ ხელში ჩემი დის ჭუჭყიანი ლიფი არ მომხვდება. ცალ ბრეტელს კარის სახელურს გამოვდებ, მეორეს – სარეცხის კალათის კიდეს და ახალი ზმანებაც არ ახანებს. „მიდი, დიდო ბიჭო, მიდი, ღრმად შემიდე! “ – მევედრება ჰანას ლიფი სწორედ იმ დროს, როცა ვიღაც დახვეულ გაზეთს სააბაზანოს კარს ურტყამს. იძულებული ვხდები, ის, რაც ხელში მიჭირავს, უნიტაზისკენ მივმართო.

– ჩვენც ადამიანები ვართ! მაგ უნიტაზთან სხვაც მიუშვი ხანდახან! – იძახის გარეთ მამაჩემი. – ერთი კვირაა, კუჭს არ უმოქმედია. ღმერთი აღარ არის?

ძნელი კია, მაგრამ წონასწორობას ჩივილების ფრქვევით ვიბრუნებ – ესეც თანდაყოლილი ნიჭია:

– საშინელი ფაღარათი მაქვს! ალბათ რაღაც მჭირს! ამ სახლში, ეტყობა, ეს ყველას ფეხებზე ჰკიდია!

ამას გავყვირი და თან დამაგვირგვინებელ აკორდებს ვიახლოებ, ნძრევის სიხშირეს ვზრდი, ჩემს სიმსივნემოდებულ ორგანოს კი ისევ თრთოლა-ჟრუანტელი ედება.

მერე ჰანას ლიფიც ჰამაკივით იწყებს ქანაობას. თვალებს ვხუჭავ და აჰა, ხილვა იგი! ლინორ ლაპიდუსი მეცხადება! გოგო, რომელსაც მთელ კლასში ყველაზე დიდი ჯიქნები აქვს და როცა გაჩერებაზე სკოლის ავტობუსი გაასწრებს ხოლმე, ეს ხელუხლებელი, უზარმაზარი რამე-რუმეები ბლუზის შიგნით ისე მძიმედ მიუდ-მოუდის... წარმოსახვას ბოლომდე ვძაბავ, რომ ესენი, ლინორ ლაპიდუსის ნამდვილი ძუძუები ბუდეებიდან ამოყრილები წარმომიდგნენ თვალწინ, თუმცა ამავე წამს ვაცნობიერებ, რომ ჩემი მშობელი დედა კარის სახელურს ღონივრად ეჯაჯგურება. ვაი, ბოლოს მაინც გამომიჭირეს, კარის ჩაკეტვა დამვიწყებია! ვიცოდი, ვიცოდი, რომ ერთხელაც ეგრე მოხდებოდა. ჩამავლეს! დავიღუპე!

– გააღე, ალექს! მოვითხოვ, რომ ახლავე, ამწამსვე გააღო ეს კარი!

აჰა, ესე იგი, ჩაკეტილია. ვერ ჩამავლეს! და რაკი მხოლოდ საკუთარ ხელს კი არ ვხედავ, არამედ იმასაც, რაც ჩაბღუჯული მაქვს, ესე იგი, დაღუპვას გადავურჩი, ცოცხალი ვარ! მაშინ გააგრძელე, კაცო! გააგრძელე! „მოდი, ამლოკე, დიდო ბიჭო – შენი ცხელი ენა ამისვი! ხომ არ დაგავიწყდი, ლინორ ლაპიდუსის სავსე ძუძუებზე მომდგარი, ახურუშებული ლიფი ვარ! "

– ალექს, შენს პასუხს ველოდები. გამოტყდი, სკოლის მერე ფრანგული ჩიპსები ჭამე, არა? ხომ ამიტომ გაქვს ახლა კუჭი აშლილი?

– აარა, ა�ა...

– ალექს, ძლიერი ტკივილები გაქვს? ხომ არ სჯობს, ექიმი გამოვიძახო? გამაგებინე, გტკივა მუცელი თუ არ გტკივა? ზუსტად უნდა ვიცოდე, რომელ არეში გაქვს ტკივილი. მიპასუხე!

– უუუ, უჰუჰ...

– ალექს, ყური მიგდე. უნიტაზი არ ჩარეცხო, გასაგებია? – მკაცრად მეუბნება დედაჩემი, – შიგნით უნდა ჩავიხედო! უნდა ვნახო, როგორ გამოყურება შენი განავალი. ეს ხმები არ მომწონს.

– მე რაღა ვქნა? – ამბობს მამაჩემი, რომელსაც ჩემი მიღწევები მუდამ გულთან ახლოს მიაქვს: სიამაყით ივსება და თან შურს კიდეც, – ერთი კვირაა, კუჭს არ უმოქმედია!

სწორედ ამწამს უნიტაზთან ვბარბაცებ, ჯოხით ნაცემი ცხოველის წკავწკავით ორიოდე საწყალობელ წვეთს გამოვყოფ და ლიფის ცალ მხარეს იმ ადგილს ვაპოხიერებ, ჩემი ფიცარივით ბრტყელი დაიკოს ძუძუსთავს რომ ეხება ხოლმე. ეს დღის განმავლობაში ჩემი მეოთხე ორგაზმი იყო. ნეტავ სისხლის დანთხევას მერამდენე ჯერზე იწყებენ?

– გამობრძანდი გარეთ, – ამბობს კარს იქიდან დედაჩემი, – რატომ ჩარეცხე უნიტაზი, არ გითხარი, წყალი არ ჩაუშვა-მეთქი?

– დამავიწყდა.

– ნეტავ რა დაინახა შიგნით ისეთი, რომ ასე სასწრაფოდ ჩარეცხა, ჰა?

– ტრაწი.

– როგორი იყო, წყალწყალა თუ უფრო კუკებს შერეული ლორწო?

– არ ვიცი! უნიტაზში არ ვიყურები! ამ სიტყვის გაგონებაც აღარ შემიძლია! რა დროს „კუკებია", სადაცაა, სკოლას დავამთავრებ!

– მე ნუ მიყვირი, ალექს! შენ რომ ტრაწი გაქვს, ეგ ჩემი ბრალი არ არის. იმას რომ სჯერდებოდე, რასაც ოჯახში გაჭმევენ, ტუალეტში დღეში ორმოცდაათჯერ არ ირბენდი. ჰანამ მითხრა, ვაჟბატონო, რასაც მამაძაღლობ. ტყუილად გეგონა, რომ არ ვიცოდი!

ვაი! ჰანამ თავისი ტრუსები მოისაკლისა. ჩამავლეს! ნეტავ მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს... თუმცა ცოტა ხანი და მაინც იქ აღმოვჩნდები.

– ჰოო? და რაო, რა მიმამაძაღლია?

– სკოლის მერე „ჰაროლდსში" ჰოთდოგებს ვინ მიირთმევს? „ჩეზერაი პელისში" მელვინ ვეინერთან ერთად ფრანგულ ჩიპსებს ვინ ჭამს? შენ არა, ვაჟბატონო? ნუ მატყუებ! გამოტყდი: შენ არ იყორავ მუცელს სკოლის მერე ფრანგული ჩიპსებით და კეტჩუპით ჰოთორნ ავენიუზე? ჯეკ, მოდი აქ, მინდა, შენც გაიგონო, რასაც ვამბობ, – გასძახის დედაჩემი მამაჩემს, რომელიც ამასობაში სააბაზანოს დაუფლებია.

– მოიცა რა, ვცდილობ, კუჭში გავიდე, – იქიდან მშვიდად პასუხობს მამაჩემი, – ჩემი პრობლემები არ მეყოფა, რომ კართან ატუზული ცოლ-შვილი თავს არ დამჩახოდეს, სანამ მე აქ მოსაქმებას ვცდილობ?!

– იცი, რას აკეთებს შენი ვაჟი, შენი ფრიადოსანი ბიჭი გაკვეთილების მერე? ეს ზრდასრული და მოწიფული ვაჟბატონი, რომელიც იმხელა გამხდარა, რომ საკუთარ დედას მისთვის სიტყვა „კუკები" ვეღარ უთქვამს? აბა, გამოიცანი, რას აკეთებს შენი მოწიფული ვაჟი

იმ დროს, როცა ჰგონია, რომ ვერავინ ხედავს?

– ცოტა ხანს რომ შემეშვათ და ჩემს გასაჭირთან მარტო დამტოვოთ, არ შეიძლება? – ყვირის მამაჩემი. – იქნებ მომასვენოთ, რომ დაწყებული საქმე წყნარად დავასრულო?

– კარგი, ბატონო, დაველოდოთ, რას იტყვის მამაშენი, როცა გამოვა და გაიგებს, რას უშვრები შენს ჯანმრთელობას. ალექს, ერთ რამეზე მიპასუხე. ასეთი ჭკუა-გონების პატრონი ხარ, ყველაფერზე პასუხი გაქვს, ჰოდა, ერთი ამაზეც გამეცი პასუხი: როგორ გგონია, მელვინ ვეინერმა კოლიტი როგორ იშოვა? შენი აზრით, ეგ ბავშვი ნახევარ ცხოვრებას საავადმყოფოებში რატომ ატარებს?

– როგორ იშოვა და „ჩეზერაი პელისში" ჭამს.

– აბა! ენა დაიმოკლე და ნუ მეანგლები!

– კარგი! – ვგმინავ, – როგორ იშოვა მელვინ ვეინერმა კოლიტი?

– როგორ იშოვა და „ჩეზერაი პელისში" ჭამს. ოღონდ მე არ ვხუმრობ! მაგ ბიჭის წარმოდგენით, საჭმელი ისაა, ჰოთდოგს რომ შეჭამს და ზედ დაყოლებული პეპსით ჩარეცხავს. იმიტომ, რომ მაგის საუზმე... იცი, რას ჭამს ეგ ბავშვი დილაობით? საუზმეზე ადამიანმა – ამას მარტო მე, დედაშენი კი არ ვამბობ, ალექს, საუკეთესო დიეტოლოგებიც დამემოწმებიან – დღიური ულუფის ყველაზე მეტი წილი უნდა მიიღოს! ეგ ბავშვი კი, იცი, რას ჭამს საუზმის მაგიერ?

– ბლითებს.

– ყოჩაღ, სწორი პასუხია. ჭკვიანი ბიჭი. ბლითებს ჭამს და ყავას სვამს. ესე იგი, რა გამოდის? დღეს სანახევროდ ცარიელი მუცლით იწყებს ეს ცამეტი წლის პიშერი. შენ, მადლობა უფალს, სულ სხვანაირად ხარ გაზრდილი. დედაშენი ქუჩა-ქუჩა არ დაწანწალებს ზოგიერთებივით – სახელებს და გვარებს არ დავასახელებ – სახლში რომ არ შედიან, სანამ მთელი ქალაქის მაღაზიებს არ მოივლიან. ერთი ეს მითხარი, ალექს, ალბათ დიდი საიდუმლო არ არის და თან გაგების უნარიც შემწევს, იმიტომ, რომ სულელი არა ვარ; მითხარი,

რას აკეთებ და რის დამტკიცებას ცდილობ, როცა კუჭს ამდენი საძაგლობით ივსებ, იმის მაგიერ, რომ სახლში მოხვიდე და დედიკოს გამომცხვარი, ყაყაჩოს თესლმოყრილი ნამცხვარი და ერთი ჭიქა გადასარევი რძე მიირთვა? არაფრის მოსმენა არ მინდა სიმართლის გარდა. სიმართლე მითხარი. მამაშენს არაფერს ვეტყვი, – მეუბნება და ხმაში იდუმალება ეპარება, – სიმართლე უნდა ვიცოდე.

მერე მრავლისმთქმელი სიჩუმე დგება.

– მარტო ფრანგულ ჩიპსებს ჭამ, საყვარელო, თუ კიდევ არის რაღაც, რაც არ ვიცი?.. მითხარი, კიდევ რა ნაგავს იდებ პირში, რომ ასეთი ფაღარათი გემართება? ამის მიზეზი ხომ უნდა გავიგოთ? გულწრფელი პასუხი მჭირდება, ალექს. ქუჩაში ჰამბურგერებსაც ჭამ? პასუხი გამეცი, თუ შეიძლება. იმიტომ ჩარეცხე უნიტაზი, რომ განავალში ჰამბურგერის ნარჩენები ჩანდა?

– გითხარი, როცა უნიტაზს ვრეცხავ, შიგნით არ ვიყურები-მეთქი! შენგან განსხვავებით, არც ჩემი და არც სხვისი განავალი არ მაინტერესებს!

– ოჰ, ოჰ, ცამეტი წლისაა ეს ყმაწვილი და რამსიგრძე ენა მისცა გამჩენმა! ოღონდ იმისთვის არა, რომ კეთილმოსურნე მშობელს, რომელსაც მისი ჯანმრთელობისა და კარგად ყოფნის გარდა არაფერი უნდა, ასე უტარტაროს! – ვითარება სულ უფრო მძიმე და არაპროგნოზირებადი ხდება და დედაჩემს ორივე თვალი ცრემლებით ევსება. – ალექს, რატომ გახდი ასეთი? ვცდილობ, გავიგო. მიმახვედრე მაინც. რა დაგიშავეთ, რა საშინელება ჩავიდინეთ, რომ ჩვენს დასასჯელად ასე იქცევი?

დარწმუნებული ვარ, ეს კითხვა ძალიან გონებამახვილური და ორიგინალური ეჩვენება. ალბათ ჰგონია, რომ მას პასუხი არ მოეძებნება. რაცყველაზე უარესია, მეც ასე ვფიქრობ. მართლაც, რა დამიშავეს ჩემმა მშობლებმა, რომლებსაც მუდამ თავი ჰქონდათ ჩემთვის გადადებული? ეს ის საზარელი კითხვაა, ექიმო, რომლის გააზრებაც დღემდე ვერ შევძელი! წარმოგიდგენიათ? დღემდე არ მესმის!

ნელ-ნელა იმ წუთისთვის ვემზადები, როცა დედაჩემი ჩურჩულზე გადავა. ამ ჩურჩულის მოახლოებას ერთ მილზე ვგრძნობ. სადაცაა, მამაჩემის თავის ტკივილზე დაიწყებს ლაპარაკს.

– ალექს, ხომ გახსოვს, როგორ სტკიოდა დღეს მამას თავი? ისე სტკიოდა, რომ კარგა ხანს თვალებში ვერ იხედებოდა, – თან ცალი თვალი იქით უჭირავს, საიდანაც მამაჩემის გამოსვლას მოელის (ღვთის წყალობით, საკუთარი მდგომარეობის სიმძიმე მამაჩემს საერთოდ არ ესმოდა. ნუ აბუქებო, დედაჩემს ეუბნებოდა). – არც ის გახსოვს, რომ მომავალ კვირას ანალიზები უნდა გაიკეთოს, იმიტომ რომ ექიმებს ეჭვი სიმსივნეზე აქვთ?

– სიმსივნეზე?

– ექიმმა მითხრა, მომიყვანეო. სიმსივნეს ვერ გამოვრიცხავ, ანალიზები უნდა გაიკეთოსო.

მაინც თავისას აღწევს. ტირილს ვიწყებ. სინამდვილეში უმცირესი მიზეზიც კი არ არსებობდა საიმისოდ, რომ იმ დღეს დედაჩემის ნათქვამზე მეტირა, მაგრამ ჩვენს ოჯახში ყველა სათითაოდ ეძებდა მიზეზს, რათა დღეში თითოჯერ მაინც წაეტირა და თუ გაუმართლებდა, სხვაც აეტირებინა. მამაჩემი... ახლა ისეთ რამეს ვიტყვი, ექიმო, რაც ისედაც კარგად მოგეხსენებათ: ადამიანთა მოდგმის – და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი პაციენტების – უმეტეს ნაწილს შანტაჟისადმი საოცრად დიდი მიდრეკილება აქვს. გამონაკლისი არც მამაჩემი იყო: რაც თავი მახსოვს, სულ იმ სიმსივნის გამოსარიცხ ანალიზებზე დადიოდა. რასაკვირველია, თავი იმიტომ სტკიოდა, რომ მთელი თავისი დღე და მოსწრება კუჭში იყო შეკრული. შეკრული რატომ იყო? იმიტომ, რომ მის კუჭ-ნაწლავის ტრაქტს ფირმა „შფოთვა, შიში & იმედგაცრუება“ დაპატრონებოდა. ერთხელ ექიმმა დედაჩემს მართლაც ურჩია, რომ მამაჩემს სიმსივნის გამოსარიცხად ანალიზები გაეკეთებინა – თუ ეს გამოკვლევა დაგაწყნარებსო... დარწმუნებული ვარ, რაღაც ასეთს ეტყოდა. იმასაც აუხსნიდა,

რომ უფრო იაფი და ალბათ უფრო ეფექტური გამოსავალი ოყნის შეძენა იქნებოდა. ჰო, ვიცი, ვიცი ეს ყველაფერი, მაგრამ ცრემლები მაინც მომდის, იმიტომ, რომ წარმომიდგენია, როგორ უპობს მამაჩემს თავის ქალას უზომოდ გაზრილი ავთვისებიანი წარმონაქმნი; წარმომიდგენია და მეტირება.

აჰა, მოახერხა დედაჩემმა, კედელთან მიმაყენა. იცის, რომ თავისას მიაღწია. მე კი ჩემი სიმსივნე სულ მავიწყდება, რადგან უფრო დიდი დარდი და ნაღველი მერევა. ახლაც, ისევე, როგორც მაშინ, ბავშვობაში, დავფიქრდები თუ არა, როგორ ჩაუარა მამაჩემს ცხოვრებამ განზე (თვითონ სწორედ ასე ამბობდა), რამდენი რამე დარჩა გაუგებარი და გაუაზრებელი, როგორ გაატარა მთელი ცხოვრება ყოფითი წვრილმანების მარწუხებში – ისე გამოვიდა, რომ არც ფული ჰქონდა, არც განათლება და არც წიგნიერება, ცნობისწადილი კი ჰქონდა, მაგრამ შინაგანი კულტურა აკლდა, ჟინი ჰქონდა, მაგრამ შესაძლებლობები – არა, გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ სიბრძნე ვერ დააგროვა... ღმერთო, რა ადვილად მადგება თვალებზე ცრემლები... რა მალე მახრჩობს ბოღმა, როცა ამ შეუსაბამობებზე, ამ უსამართლობაზე ვფიქრობ!

თეატრის ცნობილი პროდიუსერი ბილი როუზი მოჰყავდა ხოლმე იმის ნიმუშად, როგორ შეიძლება, კაცი არავინ იყოს და ყველაფერი გახდეს. უოლტერ უინჩელის ნათქვამი გულში ჩარჩენოდა: ბერნარდ ბარუქმა როუზი მდივნად მხოლოდ იმის გამო აიყვანა, რომ სტენოგრაფირება შეეძლოო. ეს ამბავი გულში ამოიჭრა და სკოლის ბოლო კლასებში სულ იმას მიჩიჩინებდა, სტენოგრაფიის კურსებზე შედიო.

– ალექს, ვინ იქნებოდა ახლა ბილი როუზი, ეგ ხელობა რომ არ ჰქონოდა? არავინ! ჰოდა, რატომ მეწინააღმდეგები?

მანამდე სხვა საძიძგილაო თემა გვქონდა: პიანინოზე დაკვრა. შინ პატეფონი კი არა, ერთი ფირფიტაც არასდროს ჰქონია, ამიტომ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე ჭკუას კარგავდა. „არ მესმის, როგორ შეიძლება ადამიანს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა არ უნდოდეს?

შენი ბიძაშვილი ტობი პატარა გოგოა, მაგრამ ნახე, რას აგუგუნებს! პიანინოს მიუჯდება და რა სიმღერაც არ უნდა სთხოვონ, დაუკრავს. საკმარისია, „ჩაი ორისათვის“ დაუკრას, ყველას მასთან მეგობრობა უნდება. ამ გოგოს ცხოვრებაში მარტო ყოფნა არ ემუქრება, ალექს. ყოველთვის ხალხში მიღებული ადამიანი იქნება. მითხარი, რომ პიანინოზე დაკვრას ისწავლი და ხვალ დილითვე სახლში დაგიდგამ. მისმენ საერთოდ, ალექს? ისეთ რამეს გთავაზობ, რაც მთელ შენს ცხოვრებას შეცვლის! “

მე კი სწორედ ის არ მინდოდა, რასაც მამაჩემი მთავაზობდა და რაც მე მინდოდა, იმას მამაჩემი ვერასდროს შემომთავაზებდა. ვის გააკვირვებ ამით, ცხოვრებაში სულ ასე არ ხდება? ოღონდ რატომ მაყენებს ეს ყველაფერი დღემდე ამხელა ტკივილს? იქნებ თქვენ გაქვთ პასუხი, ექიმო? რაღაცაზე უნდა ვთქვა უარი, არა? ალბათ გულიდან უნდა ამოვიშალო სიძულვილი... თუ სიყვარული? დააკვირდით, ამდენი ვილაპარაკე, მაგრამ რისი გახსენებაც მსიამოვნებს, იმაზე ჯერ სიტყვაც არ მითქვამს – ისეთ რამეებზე, ექიმო, რომლების გამოც დანაკარგის მწველ განცდას ვერ ვიშორებ... ყველა ამ მოგონებას გარკვეული ამინდი, დღის გარკვეული მონაკვეთი მიღვიძებს ხოლმე. ასეთ წუთებში გონებაში რაღაც მიტრიალდება და უკვე იქ კი აღარვარ, სადაც სინადვილეში ვიმყოფები, ვთქვათ, მეტროში, საკუთარ ოფისში, ან სულაც რომელიმე მაგარ ქალთან ერთად რესტორანში – ჩემი ბავშვობის დღეებში ვინაცვლებ, იმათთან ვარ, ჩემებთან. შეიძლება, ეს სრულიად უსაგნო მოგონება იყოს და მაინც, ჩემი, როგორც ადამიანის, წარსულის ისეთსავე მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდეს, როგორსაც ჩემივე ჩასახვა. გაგიკვირდებათ და შეიძლება დედაჩემის კვერცხუჯრედთან მამაჩემის სპერმატოზოიდების დაჯახებაც კი მომაგონდეს. რა დიდია ამ დროს ჩემი მადლიერება – დიახ, ჩემი მადლიერება! – რაოდენ წამლეკავი და ენით გამოუთქმელია ჩემი სიყვარული! დიახ, ჩემზე მოგახსენებთ, მე და

წამლეკავი, ენით გამოუთქმელი სიყვარული! მაგალითად, სამზარეულოში ვდგავარ (შეიძლება, სულაც პირველად ვდგავარ ჩემს ცხოვრებაში) და დედაჩემი ხელს ფანჯრისკენ იშვერს: „გარეთ გაიხედე, შვილო". მე ფანჯრიდან ვიჭყიტები. „ხედავ, როგორი მტრედისფერი ადევს ყველაფერს? ასეთია გვიანი შემოდგომის ცა". პირველი შეხვედრა პოეზიასთან, ლექსის პირველი პწკარი ჩემს ცხოვრებაში! და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი მახსოვს! გვიანი შემოდგომის ცა... ჰო, კიდევ ცივზე ცივი იანვრის დღეა და... ბინდი მახსოვს. შებინდებების მოგონებებს ვერაფერს ვუხერხებ, შეიძლება ერთ დღეს დამახრჩონ. ჭვავის პურზე წასმული ქათმის ქონი მახსოვს – სადილის წინ მაჭმევდა ხოლმე დედაჩემი. გარეთ, ფანჯარაში მთვარე მოჩანს, უკვე ცაზე ამოცურებულა. სახლში ახალი შემოსული ვარ, ლოყები გახურებული და აჭარხლებული მაქვს; ეზოს თოვლისგან ვწმენდდი და დოლარიც დავიმსახურე. „იცი, რა გექნება დღეს სადილად? – ისეთი სიყვარულით, ისე თბილად მეღუღუნება დედაჩემი, – იცი, რა ეკუთვნის შენნაირ დაუზარებელ ბიჭუნას? შენი საყვარელი ზამთრის კერძი: ბატკნის ჩაშუშული"... ღამეა. მთელი დღე ნიუ-იორკში გავატარეთ, „რეიდიო სიტიში" ვიყავით, ჩაინათაუნში, ახლა კი შინ ვბრუნდებით, მანქანით ჯორჯ ვაშინგტონის ხიდზე გადავდივართ. პელ სტრიტსა და ჯერსი სიტის შორის უმოკლესი გზა გვირაბ „ჰოლანდ ტანელზე" გადის, მაგრამ მე ხიდზე გადასვლა ავიტეხე, მშობლებს ძალიან ვეხვეწები და დედაჩემიც მთანხმდება, მამაჩემს ეუბნება, ამ ხიდს „საგანმანათლებლო ღირებულება" აქვსო. მამაჩემმა მაშინ სახლის გზა ათი მილით მაინც დაიგრძელა, რომ ჩემთვის სურვილი აესრულებინა. წინ ჩემი და ზის და იმ ბიჯგების რაოდენობას ითვლის, რომლებზეც ლითონის წნელებისგან შეკრული, „საგანმანათლებლო ღირებულების" მქონე ეს სასწაულია გადებული, მე კი, ამასობაში, უკანა სავარძელზე დედაჩემის შავი წავის ქურქზე მიხუტებულს მეძინება... ერთ ზამთარს, შაბათ-კვირას, ჩვე-

ნი მშობლების საკვირაო კლუბის, „ჯინ რამი ქლაბის“ წევრებთან ერთად ლეიკვუდში წავედით. ღამით ერთ განიერ საწოლში მე და მამა შევწექით, მეორეში კი დედაჩემი და ჰანა მიუწვნენ ერთმანეთს. გამთენიისას მამაჩემი მაღვიძებს და გეგონება, გაქცევა გვქონდეს დათქმული, უხმაუროდ ვიცვამთ, მერე კი კარს უჩუმრად ვაღებთ და ოთახიდან ვიძურწებით. „წამო, – მეუბნება ჩურჩულით და თან მანიშნებს, რომ ქუდს ყურები ჩამოვუწიო და პალტო შევიკრა, – რაღაც მინდა გაჩვენო. იცი, რომ როცა თექვსმეტი წლის ვიყავი, აქ, ლეიკვუდში, მიმტანად ვმუშაობდი?“ სასტუმროდან გავდივართ. ულამაზესი, გარინდებული ტყისკენ იშვერს ხელს. „აბა, რას იტყვი? – მეუბნება, თან ბილიკზე მივსეირნობთ, – ყოჩაღად, მხნე ნაბიჯით!“ ვერცხლისფერ ტბას გარშემო ვუვლით. მარიგებს: „ახლა კარგად, ღრმად ისუნთქე. ამნაირ ჰაერს დედამიწის ზურგზე ვერ იპოვი. ფიჭვის სურნელით გაჟღენთილი ზამთრის ჰაერია“. ეს სიტყვები, გადაბმით, ახლაც ყურში მიდგას; პოეტურობის კიდევ ერთი უეცარი გამოვლინება ჩემი მშობლისაგან... ფიჭვის სურნელით გაჟღენთილი ზამთარი! უოდსუორთის შვილი რომ ვიყო, მღელვარება ამაზე მეტად ვერ ამიტანდა!

...ზაფხულობით მამაჩემი ქალაქში რჩება, ჩვენ სამნი კი ზღვაზე მთელი თვით მივემგზავრებით და ავეჯით გაწყობილ ოთახებს ვქირაობთ. მამა ბოლო ორ კვირას შემოგვიერთდება ხოლმე, ისიც, თუ შვებულება მისცეს... ჯერსი სიტიში ხანდახან საშინელი ტენიანობა იცის, ჭაობების მხრიდან კოღოები მოსვენებას არ გვაძლევენ და მამაჩემი სამუშაო დღის დასრულებისთანავე ყოველდღე, ჩიზქეიქ ჰაივეის გავლით – წარმოიდგინეთ, რა სახელია ჩიზქეიქის გზატკეცილი! რას აღარ გაიგებს კაცის ყური! – სამოცდახუთ მილს გადის, რომ ჩვენთან ჩამოვიდეს და ღამე გრილ და ნიავიან ბრედლი ბიჩში ოჯახთან ერთად გაატაროს.

მამა ნასადილევს ჩამოდის, თუმცა მისი კუთვნილი ულუფა ყოველთვის ელოდება. მერე ოფლით გაჟღენთილ ტანსაცმელს იცვლის,

რომლითაც მთელი დღე ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში დარბოდა და საცურაო კოსტიუმს იცვამს. მე მისი პირსახოცი მომაქვს, როცა ქუჩას ზონარშეუკრავი ფეხსაცმელების ფრატუნით მოუყვება. ამ დროს მე გაქათქათებული მოკლე შორტი და პოლოს მაისური მაცვია, ისიც თოვლივით თეთრი, ზედ ერთი ლაქაც არ ატყვია; მარილიანი წყალი ცოტა ხნის წინ ჩამოვიბანე, ჯერ კიდევ პატარა ბიჭის რბილი, დამყოლი თმა მაქვს, რომელსაც ძალდაუტანებლად ვივარცხნი – შუაზე კოხტად გაყოფილი და გადავარცხნილი თმა. სანაპიროს გასწვრივ სასეირნო ბილიკს ჟანგმოდებული რკინის ბორდიური მიუყვება და მეც ზედ ვჯდები. ქვემოთ მამაჩემი ისევ ისე მიაფრატუნებს ფეხსაცმელებს და ბოლოს ცარიელ პლაჟზე გადის. ვხედავ, რა კოხტად აფენს პირსახოცს ქვიშაზე, წყალთან ახლოს. მაჯიდან საათს იხსნის და ფეხსაცმელში დებს, მეორე ფეხსაცმელში სათვალეს აცურებს. აჰა, წყალში შესასვლელადაც მზადაა. წყალში მეც დღემდე ისე შევდივარ, როგორც მამაჩემმა მასწავლა: ჯერ მაჯები უნდა ჩაყო, მერე წყალი იღლიებში უნდა შეიშხეფო, პეშვით უნდაამოიღო და საფეთქლებსა და კისერზე მოისვა... ჰო, ოღონდ ნელა, აუჩქარებლად. ასე წყალსაც ეჩვევი და არც ორგანიზმი განიცდის სტრესს. დაახლოებით ამ სიტყვებით მიხსნიდა ხოლმე. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ აბრუნებს თავს უკვე წყალს მიჩვეული, სტრესგანუცდელი მამაჩემი და რაღაც კომიკურ ჟესტს აკეთებს: იმ ადგილს უქნევს ხელს, სადაც, როგორც ჰგონია, მე ვდგავარ, მერე კი ხელებგაშლილი ზურგზე წვება და ტივტივს იწყებს. ცოტა ხანს ასე ტივტივებს – აბა, წარმოიდგინეთ, სულ მუშაობს, მუშაობს და ვისთვის, თუ არა ჩემთვის? – ბოლოს კი მუცელზე ტრიალდება, რათა მკლავი რამდენჯერმე მაინც მოუსვას; ამ მოძრაობებს, რა თქმა უნდა, მისი ადგილიდან დაძვრა არ შეუძლია და მამაჩემიც ნაპირზე ამოდის. სველ, მკვრივ ტორსზე მზის უკანასკნელი ათინათები უთამაშებს. მე ნაპირზე ვზივარ, მზე ჩემს ზურგს უკან ჩადის – ნიუ-ჯერსის ჩახუთული ყურისკენ, საიდანაც სიცხეს გამოვექეცით.

ასეთები ბევრი მაქვს გასახსენებელი, ექიმო. ბევრად მეტი. დედაჩემისა და მამაჩემის ამბებს ვგულისხმობ.

მაგრამ... მაგრამ... მაგრამ... ნება მომეცით, სათქმელს თავი მოვუყარო. სხვა სურათებიც მიტივტივდება მეხსიერებაში... მამაჩემი გახელებული გამოდის სააბაზანოდან, კეფას იქექავს და მოძალებულ გულძმარვას ნერწყვის ყლაპვით იხშობს.

– კარგი, აბა, რა უნდა გეთქვა ამისთანა, რომ ჩემს გამოსვლამდე ვერ მოიცდიდა?

– არაფერი, – ამბობს დედაჩემი, – მოვაგვარეთ უკვე ის ამბავი.

მამაჩემი თვალს თვალში მიყრის – რომ იცოდეთ, როგორი იმედგაცრუება აწერია სახეზე! ჰო, მე ვარ, ვისთვისაც ცხოვრობს. ეგ ხომ ისედაც ვიცი.

– არა, მითხარი, რა ქნა ასეთი!

– რაც ქნა, ქნა, დამთავრდა ეგ ამბავი, ღვთის წყალობით. ის თქვი, შენ რა ქენი, კუჭმა თუ იმოქმედა? – ახლა დედაჩემი ეკითხება.

– რა თქმა უნდა, ვერ იმოქმედა.

– ჯეკ, რა გჭირს ამისთანა, კუჭმა ამდენ ხანს როგორ ვერ უნდა იმოქმედოს?

– კუჭ-ნაწლავი ჩაბეტონებული მაქვს, ეგ არის, სხვა რა უნდა მჭირდეს!

– იმიტომ რომ სულ ჩქარ-ჩქარა ჭამ!

– ჩქარ-ჩქარა სულაც არ ვჭამ!

– აბა, როგორ ჭამ, ნელა?

– ისე ვჭამ, როგორც საჭიროა!

– არა, ღორივით ჭამ. ეტყობა, ვიღაცას უნდა ეთქვა შენთვის ეს ამბავი!

– ოჰოჰო, ხანდახან როგორ იცი ენის წაგრძელება! რა არის ეს, რა გამოთქმაა!

– მე სიმართლის თქმა მიყვარს, – ამბობს დედაჩემი, – მთელი დღე

სამზარეულოში ფეხზე ვდგავარ, შენ კიდევ ისე ჭამ, გეგონება, ხანძარი გქონდეს ჩასაქრობი! და ამან კიდევ, აი, ამ ბიჭმა გადაწყვიტა, რომ ჩემი გაკეთებული საჭმელი თურმე არ იჭმება. ურჩევნია, თავი დაიავადმყოფოს და დედას სიცოცხლე შეუმოკლოს!

– აღარ იტყვი? რა ქნა-მეთქი ამისთანა, ამოღერღე!

– რა ვქნა, თუ არ მინდა, გული გატკინო? – ამბობს დედაჩემი, – მოდი, დავივიწყოთ, ვითომ არაფერი მომხდარა.

დავიწყება კი თვითონვე არ შეუძლია და ამიტომ ახლა ის იწყებს ტირილს. თურმე არც დედაჩემი ყოფილა ყველაზე ბედნიერი ქალი დედამიწის ზურგზე. ერთ დროს მაღალი, შოლტივით გოგო იყო, ალისფერი თმა ჰქონდა და ბიჭები „ცეცხლისფერას" ეძახდნენ. ცხრაათი წლის ასაკში მისი სკოლის ალბომი ისე შემიყვარდა, რომ ხელიდან ვერ მგლეჯდნენ. კარგა ხანს ის ალბომი იმავე უჯრაში მქონდა ჩაკეტილი, რომელშიც ჩემს ერთადერთ საგანძურს, მარკების ალბომს ვინახავდი.

სოფი გინსკის ჩვენ, ბიჭები, ცეცხლისფერას ვეძახით,
კარგი ტვინის პატრონია, თვალები აქვს ლამაზი,
ჰოდა, ვიცით, ძაან დიდი მომავალი მოელის.

აი, რას უწერდნენ ალბომში. და ეს გოგო დედაჩემი იყო!

მერე დედა ფეხბურთის გუნდის მწვრთნელის მდივნად მუშაობდა. ჩვენს დროში დიდი ვერაფერი საქმიანობაა, მაგრამ მაშინ, პირველი მსოფლიო ომის წლებში, ჯერსი სიტის კვალობაზე, კარგი სამსახური უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი, როცა იმ ალბომის გვერდებს ვფურცლავდი. ერთხელ დედამ მაშინდელი შეყვარებულის, ლამაზი შავთვალება ბიჭის ფოტო მაჩვენა, რომელიც იმ დროს გუნდის კაპიტანი იყო, ახლა კი, როგორც სოფი ამბობს, „ნიუ-იორკში მდოგვის მთავარი მწარმოებელია". „შემეძლო, მამაშენს კი არა, ამას გავყოლოდი", – გამომიტყდა ერთ დღეს დედაჩემი და მერეც რამდენჯერმე გაიმეორა. ძალიან მაინტერესებდა,

როგორ შეიცვლებოდა დედაჩემის და ჩემი ცხოვრება, სოფი მართლაც იმას რომ გაჰყოლოდა. ამნაირი ფიქრები, როგორც წესი, მაშინ მეძალებოდა, როცა მამას ჩვენი ქუჩის კუთხეში მდებარე დელიკატესების რესტორანში მივყავდით ხოლმე. მივიხედ-მოვიხედავდი და გავიფიქრებდი, სადა ვზივარ, არადა, მთელი ქალაქის მდოგვი ჩვენი უნდა ყოფილიყო-მეთქი! ეჭვი მაქვს, რომ დედაჩემსაც ეს სიტყვები უტრიალებდა თავში.

– ისევ ფრანგულ ჩიპსებს ჭამს ეს ბიჭი, – ამბობს დედა და სამზარეულოში სკამზე მოცელილივით ეშვება, რათა ჩემს საძაგელ მენიუსთან ერთად გამოიტიროს ყველაფერი, რაც ამ ცხოვრებაში აქვს გამოსატირებელი. –სკოლის მერე მელვინ ვეინერთან ერთად მიდის და მუცელს ფრანგულად შემწვარი კარტოფილით იყორავს. ჯეკ, შენ უნდა უთხრა რაღაც, მე დედა ვარ, ჩემი ნათქვამი ამას არ ესმის... ალექს, – მომმართავს უაღრესად შეშფოთებული და თან თვალით მაცილებს, როგორ მივიძურწები ოთახიდან, – უბედურება ფაღარათით იწყება, მაგრამ იცი, რით მთავრდება? იცი, შენნაირი აზიზი კუჭის მქონე ბავშვს რა დაემართება ბოლოს? წელზე პოლიეთილენის პაკეტს ჩამოგკიდებენ, სხვანაირად ვეღარ მოისაქმებ!

ვის ამარცხებდა ქალის ცრემლები კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სწრაფად? მამაჩემს! მეორე მე ვარ.

– ხომ გაიგონე, რა თქვა დედაშენმა. აღარ ჭამო ფრანგული ჩიპსები მელვინ ვეინერთან ერთად სკოლის მერე! – მეუბნება მამაჩემი.

– არც სკოლის მერე და არც სხვა დროს, – ამატებს დედაჩემი.

– ჰო, არც სხვა დროს, – იმეორებს მამა.

– არც ჰამბურგერები ჭამო, – მოთქვამს დედა.

– არც ჰამბურგერები ჭამო, – ამბობს მამა.

სიტყვა ჰამბურგერებს დედაჩემი ისეთი მწველი სიძულვილით წარმოთქვამს, როგორითაც, ვთქვათ, ჰიტლერს ახსენებდა:

– ჰამბურგერები, რომლებშიც ყველანაირ სისაძაგლეს ტენიან, რაც კი ხელში მოხვდებათ! ეს ვაჟბატონი კი ამ სისაძაგლით მუცელს

იყორავს. ჯეკ, უთხარი, დაიფიცოს, რომ აღარ შეჭამს! მანამ შეგპირდეს, სანამ რაღაც საშინელება დამართვია! მერე გვიან იქნება!

– ვფიცავ, გპირდებით, მეტს აღარ შევჭამ! – ვყვირი და სამზარეულოდან გავრბივარ. საით გავრბივარ? რა ძნელი გამოსაცნობი ეგაა!

თვალის დახამხამებაში ტრუსს მუხლებამდე ვიწევ, მოზარდის ნაწამებ-ნაწვალებ სირს ვათავისუფლებ და საქმეს მაშინაც არ ვწყვეტ, როცა სააბაზანოს კარს მომდგარი დედაჩემი კივილს იწყებს:

– ახლა მაინც არ ჩარეცხო! გესმის, რას გეუბნები, ალექს? უნდა ვნახო, რა დამხვდება უნიტაზში!

ექიმო, ხვდებით, რა დღეში ვიყავი? ესე იგი, მხოლოდ ჩემს ასოში არ მეცილებოდა არავინ. კარგი, ამას თავი დავანებოთ. უნდა გენახათ, რას აკეთებდა დედაჩემი, როცა დროდადრო პოლიომიელიტის ინფექცია ვრცელდებოდა. აი, ვის ეკუთვნოდა „მარჩ ოვ დაიმსის“მედალი! ალექს, პირი გამიღე! ალექს, რატომ გაქვს ყელი წითელი? თავი გტკივა და არ მეუბნები, არა? მორჩა, ალექს, ბეისბოლზე აღარ წახვალ, სანამ არ დავინახავ, რომ კისერს თავისუფლად ამოძრავებ. მითხარი, კისერი გაგიშეშდა, არა? მაშინ რატომ ხარ ასე გაშეშებული? ისე ჭამ, თითქოს სადაცაა, გული უნდა აგერიოს! ალექს, გულის რევის შეგრძნება გაქვს? არა? აბა, ისე რატომ ჭამდი, თითქოს გული უნდა აგრეოდა? არ მინდა, რომ სპორტულ მოედანზე სასმელი შადრევნიდან წყალი დალიო! თუ გწყურია, უნდა მოითმინო და წყალი სახლში დალიო ხოლმე. ყელი აგტკივდა, არა? ახლა გეტყვი, როგორ უნდა გადაყლაპო საჭმელი. გეტყვი, რა უნდა ქნა, მისტერ ჯო დიმეჯიო. ეს ხელთათმანები უნდა გაიხადო და საწოლში შეწვე. ხომ არ გგონია, იმის უფლებას მოგცემ, რომ ამ სიცხეში გარეთ გახვიდე და წინ და უკან ირბინო? სიცხე უნდა გაიზომო. რაღაც არ მომწონს შენი ხმა, აბა, ისევ ყელში ჩამახედე! სიმართლე რომ გითხრა, ძალიან გაბრაზებული ვარ: მთელი დღე ამ მტკივანი ყელით დარბოდი და დედაშენს არ უთხარი, რომ ყელი გტკიოდა. რატომ დამიმალე, დედამ

არ უნდა იცოდეს? სხვათა შორის, ბეისბოლის თამაში პოლიომიელიტისგან ვერ დაგიცავს. იცოდე, დაგემართება და მთელი ცხოვრება საპყარი დარჩები! არ მინდა, რომ ირბინო და მორჩა! არც ის მინდა, რომ გარეთ ჰამბურგერები ჭამო. არც მაიონეზი. არც დაკეპილი ღვიძლი. არც თინუსი. ყველა დედაშენივით სისუფთავეზე გადარეული კი არაა! შენ გაწკრიალებულ სახლში ცხოვრებას ხარ მიჩვეული. სჯობს, არც კი დაინტერესდე, რას აჭმევენ ხალხს რესტორნებში! რესტორანში რომ მივდივართ, გაინტერესებს, რატომ ზის დედაშენი ყოველთვის სამზარეულოსკენ ზურგშექცევით? იმიტომ, რომ არ მინდა, დავინახო, რაც იქ ხდება! ალექს, ყველაფერი კარგად უნდა გაირეცხოს – ყველაფერი, გასაგებია? ღმერთმა იცის, ვინ მოჰკიდა ხელი შენამდე!

ყური მიდგეთ, გგონიათ, ვაჭარბებ, როცა ვამბობ, რომ მხოლოდ სასწაულის ძალით გამოვედი ნორმალური ადამიანი? მე, მუდმივი ისტერიისა და ცრურწმენების გარემოში გაზრდილი ბიჭი! ამდენი „ფრთხილად" და ამდენი „არ შეიძლება" როგორია?! ეს შეიძლება, ის არ შეიძლება, ამის უფლება გაქვს, იმის არა – შემეშვით! ! ! „არ შეიძლება! ამწუთას ძალიან მნიშვნელოვან წესს არღვევ! ჩვენს ჩვეულებებს ღალატობ! " კარგი ერთი, რა წესი, რა ჩვეულება! ვინ მოიგონა ეგ წესები? ხომ შეიძლებოდა, ამ ხალხს ყელზე რგოლები აესხა, ან მთელი ტანი ლურჯად შეეღება – ზოგიერთ ტომში ეგეც კარგ რამედ ითვლება. ოჰ, მერე ეს მილხიკები და ფლეიშიკები, ეს სულელური წესები და შეზღუდვები – თითქოს ჩვენ-ჩვენი ოფოფები არ გვყოფნიდეს! ოჯახში ანეკდოტივით ვიხსენებდით ხოლმე ამ ამბავს: ერთხელ, პატარაობისას, ფანჯრიდან ქარბუქს შევცქეროდი, მერე თურმე მოვბრუნებულვარ და იმედიანად მიკითხავს: „დედი, ჩვენ, ებრაელებს ზამთრის არსებობა გვჯერა, ხო? " გესმით, რას ვამბობ? ღმერთო ჩემო! ჰოტენტოტებისა და ზულუსების გაზრდილი ვარ! ერთი ჭიქა რძე და ძეხვიანი ბუტერბროდი არ შემრგებია, სულ იმის მეშინოდა, სანამ ჩემთვის, წყნარად ვილუკმები, მამაზეციერს დიდ

შეურაცხყოფას ხომ არ ვაყენებ-მეთქი! ახლა წარმოიდგინეთ, როგორი დანაშაულის გრძნობა უნდა მქონოდა ამ დაუსრულებელი ნძრევის გამო? სინდისის ქენჯნა, დანაშაულის განცდა დაშიშები! შიში ხომ ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი! ან კი რა იყო უფროსების სამყაროში ისეთი, რასაც საფრთხე არ ახლდა – ყველგან ეს სახიფათო ბაქტერიები და განსაცდელი იყო ჩასაფრებული! ღმერთო, ცხოვრებას გემოს რატომ ვერ ატანდნენ! სად იყო სილაღე, სიხალისე, გამბედაობა! ვინ შთააგონა ჩემს მშობლებს, ცხოვრების საზრისი შიშსა და სიფრთხილეშიაო! მამაჩემი, რომელიც ახლა პენსიონერია, ერთადერთ რამეზეღა ილესავს კბილებს – ნიუ-ჯერსის ახალ ავტოსტრადაზე: „ფულიც რომ გადამიხადონ, მანდ მაინც არ გავივლი. გიჟი უნდა იყო, რომ მანდ იარო – თვითმკვლელობის ლეგალიზებული ხერხია და მეტი არაფერი! “ არ გაინტერესებთ, რას მეუბნება კვირაში სამჯერ, როცა მოსაკითხად მირეკავს ხოლმე? მხოლოდ იმ ზარებს ვთვლი, რომლებსაც ვპასუხობ. ისე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მირეკავს ყოველ საღამოს ხუთიდან ათ საათამდე! „არ გაყიდი მაგ მანქანას? ხომ გაქვს ჩემი ხათრი, ჰოდა, გაყიდე. არ გინდა, რომ მამაშენს ღამით მშვიდად ეძინოს? რაში გჭირდება მანქანა ამ ქალაქში – ტვინს ვიჭყლეტ და ვერ გამიგია. ან დაზღვევის ფული რატომ უნდა იხადო, ან გარაჟის და შეკეთების – ამას ვერასდროს გამაგებინებ. ეგ კი არა, ისიც ვერ გავიგე, მაგ ჯუნგლში ცხოვრება რატომ მოგწონს! გამახსენე, რამდენს უხდი ვიღაც მძარცველებს მაგ ერთი ციცქნა ბინაში ყოველთვიურად? ბინაში ორმოცდაათ დოლარზე ერთი პენსით მეტის გადახდა როგორ შეიძლება – არ შემშალოთ, ხალხო! რატომ არ გინდა, ისევ ჩრდილოეთ ჯერსიში გადმოხვიდე? აი, კიდევ ერთი გამოცანა – მომკალი და ვერ ვიგებ! ეგ ნაგავი, გამონაბოლქვი და დამნაშავეებით გაძეძგილი ქუჩები გირჩევნია, არა? “

დედაჩემი ჩურჩულით მიმეორებს ამ ყველაფერს. სოფის ჩურჩული უყვარს! მშობლებთან სასადილოდ თვეში ერთხელ დავდივარ და რომ იცოდეთ, რა ბრძოლა გადამაქვს ხოლმე საკუთარ თავთან, რა

ძალა და თავშეკავება მჭირდება, რომ ასეთ რამეებს ამდენი წლის განმავლობაში გავუძლო. წარმოუდგენელს ვუძლებ: თვეში ერთხელ ზარს ვრეკავ, დედაჩემი კარს აღებს და ეგრევე ჩურჩულს იწყებს:

– არ მკითხო, რა გადავიტანე გუშინ მამაშენის გამო.

არ მკითხოო და მეც არ ვეკითხები.

– ალექს, – ძლივს გასაგონად ჩურჩულებს, – შენ არ იცი, ასეთ დღეებში როგორ უცვლის გუნება-განწყობას შენი ერთი ზარი.

მე თავს ვუქნევ.

– ჰო, ისა, ალექს... – კიდევ ერთხელ ვუქნევ თავს, ჩემი რა მიდის?! ასე თავი ბევრჯერ დამიძვრენია, – ალექს, გახსენებ, იმ კვირაში მამაშენის დაბადების დღეა. დედის დღე და ჩემი დაბადების დღე ისე მოვიდა და გავიდა, შენგან მოსალოც ბარათს ვერ ვეღირსე, მაგრამ მე ასეთ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევ. მამაშენი კი წელს სამოცდაექვსი წლის ხდება, ალექს! დიდი ხანია, პატარა ბიჭი აღარ არის! გესმის, როგორი თარიღია? ამიტომ აუცილებლად უნდა გამოუგზავნო ღია ბარათი. ერთი ბარათის გამოგზავნა არ დაგაქცევს.

აი, რის თქმა მინდა: წარმოუდგენელი ხალხია, ექიმო! ენით აღუწერელი! ეს ორნი ჩვენი დროის ყველაზე დიდი პროდიუსერები და მენეჯერები არიან: დანაშაულის გრძნობის საუკეთესო მწარმოებლები და შემფუთავები! ამ გრძნობას ისე ოსტატურად მწურავენ, როგორც დედლისგან ცხიმს გამოწურავდნენ.

– დაგვირეკე, ალექს! ჩამოდი, ალექს! შენი ამბები გაგვაგებინე! ისე არსად გაემგზავრო, რომ არაფერი გვითხრა. ამჯერად მაინც შეგვატყობინე! წინა ჯერზე არაფერი გვითხარი და მამაშენმა კინაღამ პოლიციაში დარეკა. იცი, დღეში რამდენჯერ გირეკავდა? ყურმილი კი ერთხელაც არ აგიღია! აბა, გამოიცანი, რამდენჯერ დაგირეკა!

– დედა, – ვცრი ხოლმე კბილებიდან, – თუ მოვკვდი, სამოცდათორმეტ საათში ბინიდან ხრწნის სუნი გამოვა, დამიჯერე.

– ამას რას მეუბნები! ღმერთო, შენ დაგვიფარე! – ტირილს იწყებს დედაჩემი. თან რომ ტირის, თავი მოსწონს, იმიტომ, რომ ცრემლები უხდება. კაცმა რომ თქვას, სხვა რამეს ველოდი? შეიძლება, საკუთარ დედას შეუძლებელი მოსთხოვო? – ალექს, ყურმილის აღება ძალიან მარტივი საქმეა. წარმოიდგინე: განა რამდენ ხანს ვიცოცხლებთ? კიდევ რამდენ წელს შეგაწუხებთ?

ეს ხომ ჩემი ცხოვრებაა, ექიმო შპილფოგელ, ერთადერთი ცხოვრება, რომელიც დღემდე რომელიღაც ებრაულ ანეკდოტში გავატარე! ჰო, მე ებრაული ანეკდოტების ტიპური შვილი ვარ, ებრაელი მშობლების მორჩილი ვაჟი – ოღონდ ეს ანეკდოტი არ არის! ღმერთო, ვინ დაგვასახიჩრა ამნაირად? ვინ დაგვასნეულა, გაგვაფრენინა და დაგვაუძლურა? რატომ მიყვირიან დღემდე მშობლები: „ფრთხილად! ხელი არ ახლო! ალექს! არ გაბედო! " რატომ მაქვს მოსჯილი ამხელა ნიუ-იორკში სიმარტოვე და ჩემს საწოლში გამუდმებით ნძრევა? ექიმო, რას ეძახით ამ ავადმყოფობას? იქნებ ესაა ებრაელთა წყევლა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ? იქნებ პოგრომებისა და დევნილობის დაღია? იქნებ გოების მხრიდან ორიათასწლოვანი დაცინვა და აბუჩად აგდებაა ჩემი წვალების მიზეზი? ჩემი საიდუმლოს, ჩემი სირცხვილის, ჩემი ჭირის ოფლის მიზეზი. იმის, რომ ასე ვპასუხობ ხოლმე პატარა ცხოვრებისეულ უკულმართობებს. ექიმო, აღარ შემიძლია შიშითა და კანკალით ცხოვრება! მოიღეთ მოწყალება – კაცობა, ადამიანობა დამიბრუნეთ! რამე იღონეთ, რომ გული მომეცეს და წელში გავიმართო! თავი ძლიერად ვიგრძნო! მთლიანობა დამიბრუნეთ, ექიმო! კმარა, რაც ებრაელ დედიკოს ბიჭად ვიცხოვრე, როცა სხვების დასანახად მშობლებს თვალებში შევციცინებდი, ხოლო როცა არავინ მხედავდა – ვანძრევდი და ვანძრევდი. მორჩა! მეტი აღარ შემიძლია!

ებრაული სევდა

ცხრა წლის ვიყავი, როცა ჩემმა ერთმა კვერცხმა გადაწყვიტა, რომ საკმაოდ დიდხანს იცხოვრა სათესლე პარკში და ჩრდილოეთის გზას გაუდგა. თავიდან ვგრძნობდი, რომ სადღაც მენჯთან ბოლთას სცემდა და თავის განზრახვაზე ფიქრობდა, მერე დაბნეულობამ გადაუარა, ფეხის და ტანის გასაყარს გასცდა და ზემოთ-ზემოთ წაიწია. ალალბედზე მიცურავდა, გემის დაღუპვისას გადარჩენილი მგზავრივით. ძვლებს შეფარებულმა თავი უსაფრთხოდ იგრძნო, გაჩერდა და იქვე დაბინავდა, მამაცი მეწყვილე კი მარტო დატოვა ბიჭური სამყაროს საფრთხეების – ფეხბურთის ბუცების, ღობეების, ჯოხების, ქვებისა და ჯაყვების – ერთი სიტყვით, ყველა იმ საშინელი განსაცდელის წინაშე, რომელთა წარმოდგენაც დედაჩემს ზაფრავდა და ცუდ წინათგრძნობას უღვიძებდა. ჰოდა, მაფრთხილებდა და მაფრთხილებდა და მაფრთხილებდა... ამ გაფრთხილებებში გავატარე მთელი ბავშვობა.

ჰო, იმას გეუბნებოდით, რომ ჩემმა ცალმა კვერცხმა ბუდე საზარდულის არხში დაიდო. მისი გაუჩინარების პირველ კვირებში, როცა

თითს ვიჭერდი, საზარდულსა და თეძოს შორის თანთალა სიმრგვალეს ვგრძნობდი. მერე კი ის საზარელი ღამეები დადგა, როცა ჩემს ბურთულას ვეძებდი და ვერ ვპოულობდი, ნეკნებამდე თითებს სულ ტყუილად ვიჭერდი. ვაგლახ, ჩემი მოგზაური რუკებზე დაუტანელ, უცნობ მიწებზე გაჭრილიყო. ნეტავ სად ხარ ახლა-მეთქი, – ვფიქრობდი, – რა შორს წასულხარ, რა სიმაღლეებს შეთამაშებიხარ-მეთქი. ხომ შეიძლებოდა, რომ ერთხელაც დაფასთან გასულს პირი საპასუხოდ გამეღო და ბურთულა ენის წვერზე დამბზრიალებოდა! მახსოვს, იმ წელს სკოლაში ამას გვამღერებდნენ: „ჩემი ბედის კაპიტანი მე ვარ, ჩემი სულის მეალმე მე ვარ". ამ დროს კი რა ხდებოდა! ჩემი სხეულის პაწაწინა გაანარქისტებული ნაწილი ჯანყს მიწყობდა და მისი თავგასულობის წინაშე სრულიად უძლური ვიყავი!

ექვსი თვის განმავლობაში ჩემი ფიქრები სულ ამ ამბავს დასტრიალებდა, სანამ ყოველწლიური სავალდებულო გამოკვლევისას ძებნილის საიდუმლო თავშესაფარი ჩვენი ოჯახის ექიმმა არ აღმოაჩინა. რა ვარაუდები აღარ მომდიოდა თავში, სულო და გულო! არა, იმის არ მეშინოდა, რომ თავამდე ააღწევდა, მაგრამ ის კი წარმომედგინა, რომ ჩემი სათესლე ჯირკვალი ერთხელაც უკან დაბრუნებას განიზრახავდა, გზას ნაწლავებში გაიკვლევდა, იქ დაიბუდებდა და ისეთ ყვითელ კვერცხად გადაიქცეოდა, როგორსაც დედაჩემი აცლიდა ხოლმე გაფატრულ ქათამს შიგნეულთან ერთად. ხომ შეიძლებოდა ძუძუებიც წამომზრდოდა? ხომ შეიძლებოდა ჩემი პენისი თანდათან გამომშრალიყო და გამომხმარიყო, ერთ მშვენიერ დღეს კი, შუა ფსმაში რომ ვიქნებოდი, მომტეხოდა და ხელში შემრჩენოდა? მერე გოგოდ რომ გადავქცეულიყავი? ანდა ამაზე უარესი – ისეთ ბიჭად, რობერტ რიფლი „გინდ დაიჯერეთ, გინდ არაში" ასი ათას დოლარს რომ შეპირდა (ამ ამბავს სპორტულ მოედანზე მოვკარი ყური)? გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ნიუ-ჯერსიში ერთი ცხრა წლის ბიჭი ცხოვრობს, რომელიც ყველა თვალსაზრისით ბიჭია, ერთი გამონაკლისის გარდა: მას მშობიარობა შეუძლია!

საკითხავი ის იყო, ვინ მიიღებდა ამხელა ფულს – მე თუ ის ადამიანი, ვინც ჩემს ვინაობას გაამხელდა?

ექიმმა იზიმ სათესლე პარკი თითებით ისე მომისინჯა, თითქოს კოსტიუმის შესაკერად ქსოვილს ირჩევსო და მერე მამაჩემს მიუბრუნდა: ამ ბიჭს მამაკაცის ჰორმონები აქვს შესაშხაპუნებელიო. ცალი კვერცხი სათესლე პარკში ბოლომდე ჩამოსული არასდროს ჰქონიაო. ასეთი რამეებიც ხდებაო... ექიმო, ჰორმონებმა რომ ვერ უშველოს, მერე რა მოხდებაო, – ჰკითხა დადარდიანებულმა მამაჩემმა. „რა და..." ამ დროს ექიმმა და მამაჩემმა მისაღებში გამიშვეს, რამე ჟურნალი დაათვალიერეო.

თუმცა ნემსებმა მიშველა. დანას გადავურჩი (ამჯერადაც!).

ეჰ, მამა, მამა! გულკეთილი, მუდამ შეშფოთებული, შეკრულობისგან გაწამებული მამაჩემი, რომელსაც წესიერად არც ესმოდა, რას ეუბნებოდნენ! ამ ქვეყანაში, პროტესტანტიზმის ამ წმინდა იმპერიაში მარტოობისთვის განწირული კაცი, რომელსაც არც საკმარისი თავდაჯერება ჰქონდა, არც ცბიერება, არც ქედმაღლობა და არც გავლენიან ნაცნობთა წრე – არაფერი იმ არსენალიდან, რაც მისი თაობის ქერა და ცისფერთვალება მამაკაცებს ძალაუფლების მოსაპოვებლად, ადამიანთა გულების ასანთებად, საჭიროების შემთხვევაში, ჩასაქრობად და დასაჩაგრადაც, დაბადებიდან დაჰყვათ. არა, მამაჩემს იმათი ფორის მეასედიც არ დასიზმრებია. სხვას როგორ დაჩაგრავდა, როცა ყოველთვის თვითონ იყო დაჩაგრული. ძალაუფლებას მამაჩემთან ახლოს არ გაუჭაჭანია – მუდამ უძალო და უსუსური იყო. საკუთარი ტრიუმფით როგორ დატკბებოდა, როცა მთელი ცხოვრება გამარჯვებულები და მგონი, თვით გამარჯვების არსიც კი სძულდა. „ალექს, ეს ხალხი ებრაელს ეთაყვანება, გესმის? მთელი ამათი დიდი რელიგია ერთი კაცის თაყვანისცემას ემყარება, რომელიც ებრაელი იყო. ხვდები, რა იდიოტები არიან? ხედავ, როგორ აყრიან ხალხს თვალებში ნაცარს? იესო ქრისტე, რომელზეც

ყველას ეუბნებიან, ღმერთიაო, სინამდვილეში ერთი ჩვენნაირი ებრაელი იყო! მკლავს და ბოლოს მიღებს ის ამბავი, რომ ამას არავინ აქცევს ყურადღებას! ერთი ჩვეულებრივი ებრაელი, როგორებიც მე და შენ ვართ. ეს კაცი ღმერთად დაისვეს, თან სიკვდილის შემდეგ – და რაც ყველაზე ძალიან მაგიჟებს – თუ ვინმეა დამნაშავე მის სიკვდილში, ამ გარეწრების აზრით, თურმე ჩვენ, ებრაელები ვყოფილვართ! ვისზეა ამ კაცის სისხლი, ვის უღერებენ მუშტებსორი ათასი წელი? ებრაელებს! მაშ, ის ვთქვათ, ვინ მისცა მაგათ საყვარელი იესო? ებრაელებმა. ცხოვრებაში ვერ შეხვდები იმნაირ სისულელესა და უნამუსობას, რაც ქრისტიანების რელიგიაშია. ამ გაბღენძილებს კიდევ ეს ყველაფერი სწამთ და ჩვენ გვერჩიან! "

სამწუხაროდ, საოჯახო ფრონტზე თავდაცვის სტრატეგია ასე მწყობრად ვერ ჰქონდა ჩამოყალიბებული, თან დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, რომ მთავარ მტრად ერთადერთი და საყვარელი ვაჟიშვილი ჰყავდა. ჩემი მოზარდობისა და მრისხანების გაწელილ წლებში იმდენად მამაჩემის გაბრაზებისა არ მეშინოდა, რამდენადაც იმის, რომ საშინელი სურვილები, რომლებსაც საღამოობით, ვახშმობის დროს უხვად ვუგზავნიდი, ერთ დღეს მართლაც აუხდებოდა. მეშინოდა, რომ ამ უვიცი ბარბაროსის გოგრას უბედურება დაატყდებოდა. როგორ მინდოდა, მაგრად დამეყვირა მისთვის, როცა ჩანგლით საერთო თეფშს წასწვდებოდა და ჭამას იქიდან იწყებდა, ან როცა ცხელ წვნიანს ხვრეპდა იმის მაგიერ, რომ თავაზიანად დალოდებოდა მის გაგრილებას და მერე უხმაუროდ მოესვა კოვზიდან. ნაკლებად არც მაშინ მაღიზიანებდა, როცა – ღმერთმა დაგვიფაროს! – რაღაცაზე მსჯელობას იწყებდა... ყველაზე საშინელი კი მაინც ეს იყო: თავზე ხელი რომ ამეღო და მისი მოკვლა მეცადა, არ გამიჭირდებოდა! წინააღმდეგობასაც კი არ გამიწევდა, პირიქით, წამეხმარებოდა! მარტო თეფშებით სავსე მაგიდაზე უნდა გადავხრილიყავი, ყელში ვწვდენოდი და თავის თეფშს ენაგადმოგდებული დაემხობოდა. არა, ყვირილი კარგად იცოდა, ხელების ქნევა, ჯაჯღანი, ცაცხანი

კარგად გამოსდიოდა. ეს ყველაფერი კი, მაგრამ თავის დაცვა? თან ჩემგან? „ალექს, ენა დაიმოკლე", – მაფრთხილებდა დედაჩემი, როცა ატილასავით განრისხებული გავდიოდი სამზარეულოდან და სადილი სანახევროდ შეუჭმელი მრჩებოდა.

– კარგი, ბატონო, ენა არ გააჩერო და ამ კაცს ინფარქტს დამართებ!

– ძალიანაც კარგი! – ვუყვირი და ცხვირწინ კარს ვუკეტავ. კარადიდან მაინცდამაინც იმ ქურთუკს ვიღებ, რომელსაც აწეული საყელოთი ვიცვამ ხოლმე (ამ აწეულ საყელოებს დედაჩემი დღემდე ემტერება, ისევე, როგორც იოლად და ლაღად სატარებელ ნებისმიერ ტანსაცმელს), – ძალიან კარგი! შესანიშნავი! – ვამატებ და აცრემლებული თვალებით ქუჩის კუთხისკენ მივრბივარ, რომ გაცოფება პინბოლის ავტომატზე ამოვანთხიო.

ღმერთო, ნეტავ მამაჩემი დედაჩემი ყოფილიყო, დედაჩემი კიდევ – მამაჩემი! მაგრამ ჩვენს ოჯახში სქესებს ფუნქციები გაცვლილი ჰქონდათ. ვისაც მე უნდა დავერიგებინე, წინ გამძღოლოდა, ის განზე იყო გამდგარი. ვინც ამ დროს განზე უნდა გამდგარიყო, ის მარიგებდა და წინ მიმიძღვოდა. ვისაც უნდა დავეტუქსე, უმწეოდ მოკუნტულიყო, საკუთარი გულჩვილობის მსხვერპლად ქცეულიყო. ვინც გულჩვილი უნდა ყოფილიყო და ოჯახური უსიამოვნებების დროს მომრიგებლობა უნდა ეკისრა, დიდ გულზე იყო, შენიშვნებს მაძლევდა, მაკრიტიკებდა, დანაშაულის განცდას მიმძაფრებდა, მოკლედ, პატრიარქალურობის ვაკუუმს ავსებდა! ღმერთო, დიდება შენს სახელს! გმადლობ, ღმერთო! მამაჩემს ასო და კვერცხები მაინც ჰქონდა! იქ, ოქროსფერთმიანი და ენადაშაქრული გოების სამყაროში მისი მამაკაცობა რაღაცნაირად ითრგუნებოდა, მაგრამ (ღვთის წყალობით!) ფეხებს შორის ისეთი რამე ება, რომ ყველა გავლენიან ტიპს უკან მოიტოვებდა. ორი ისეთი ღონიერი, ჯანმრთელი კვერცხი უქანავებდა, მეფეს არ შერცხვებოდა ამნაირის გამოჩენა! კვერცხე-

ბი და მეფის საკადრისი ასო, გინდა სიგრძეში და გინდა სისქეში. მართლაც მამაჩემის იყო ეს ყველაფერი – ამაში ეჭვს ვერ შეიტანდით! – ფეხებს შორის ეკიდა, ტანზე ჰქონდა მიბმული და აი, ამ სიმდიდრეს ვერავინ ვერასდროს წაართმევდა!

თუმცა ჩვენთან, სახლში მამაჩემის ვეებერთელა ინსტრუმენტზე ხშირად დედაჩემის ეროგენულ ზონებს ვხედავდი. ერთხელ მისი მენსტრუალური სისხლიც კი ვნახე... სამზარეულოში, ნიჟარის წინ, გაცრეცილ ლინოლეუმზე მუქად ლაპლაპებდა. წარმოიდგინეთ, ორად ორი წითელი ლაქა, რომლებიც ოცდახუთი წლის წინ ვნახე, დღემდე კიაფობს დედაჩემის ხატზე, რომელიც ჩემი ვაებისა და გოდების მუზეუმში ინახება (დედაჩემის „კოტექსის" კოლოფსა და ნეილონის წინდებთან ერთად – მოვა დრო და ამათზეც მოვყვები). ამ ხატზე სისხლის სხვა ლაქებიცაა: დედაჩემს საწური სულ ნიჟარის გვერდით ედგა და ხორციდან სისხლს დაუსრულებლად წურავდა, რომ კოშერული, ესე იგი, ჩვენთვის, ებრაელებისთვის საჭმელად გამოსადეგი გამხდარიყო. შეიძლება, მეხსიერება მატყუებს და რაღაცას ვურევ – სისხლზე ამ დაუსრულებელი ლაპარაკის გამო თავს ატრევსის სახლიკაცივით ვგრძნობ – მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ნიჟარაზე გადაყუდებული დედაჩემი, რომელიც ხორცს ამარილებს, წურავს, რომ სისხლის ბოლო წვეთი გამოაცალოს და უცებ თავისი „ქალური ამბავი" ეწყება, რის გამოც კვნესა-კვნესით მირბის საძინებლისკენ. მე სულ ოთხი თუ ხუთი წლისა ვარ, მაგრამ იატაკზე დაცემული ის ორი წვეთი დღემდე თვალწინ მიდგას... როგორც ის „კოტექსის" კოლოფი... როგორც ის წინდები, ჩემ თვალწინ რომ ამოიცვამდა ხოლმე, ან... არ ვიცი, ესეც უნდა ვთქვა თუ არა – პურის დანა, რომლითაც მაშინ მემუქრებოდა, როცა საჭმელს არ ვჭამდი. ჰო, ის დანა! მშობელი დედა პურის დანას რომ მოგაბჯენს ყელზე... გასაგიჟებელი იყო, რომ არ რცხვენოდა თავისი საქციელის. ერთხელ, უკვე საწოლში ვიწექი და გავიგონე, როგორ ეუბნებოდა მეგობრებს მაჯონგის თამაშის დროს: „ჩემი ალექსი ისეთი ცუდი მჭამელია, თავზე დანით

ვადგავარ, რომ რამე მაინც შეჭამოს! " წარმოიდგინეთ, არც ერთს წარბი არ შეუხრია, თითქოს შვილისთვის დანის მოღერებაჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს. დანით ვადგავარო! არც გაუკვირდებოდათ, მაგათ სამყაროში ხომ ყველა ცუდად მჭამელს თავზე თითო დანიანი უნდა ადგეს!

ამ ამბიდან რამდენიმე წელი იყო გასული, სააბაზანოდან რომ გამომძახა, აფთიაქში გამეგზავნეო! „აფთიაქში გაიქეცი, ალექს, „კოტექსი" მომიტანე! სასწრაფოდ! " ხმაში პანიკა შერეოდა. გავიქეცი, მაგრამ რა გავიქეცი! სახლში რომ მოვირბინე, აქოშინებულმა „კოტექსის" კოლოფი სააბაზანოს კარის უკნიდან გამოყოფილ ხელში ჩავუდე... მერე კი გაირკვა, რომ მისი ქალური პრობლემის მოგვარება მხოლოდ ქირურგიული ჩარევით შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ვერ ვაპატიებ, ჰიგიენური საფენების საყიდლად რომ გამგზავნა. მე რომ მკითხოთ, სჯობდა, სააბაზანოს ცივ იატაკზე სისხლისგან დაცლილიყო, ჰო, ეს სჯობდა ჰიგიენურ საფენებზე თერთმეტი წლის ბიჭის გაგზავნას. ნეტავ ჩემი და ამ დროს სად დაბოდიალებდა? ან ამ საფენების მომარაგება არ შეიძლებოდა? სულ მაინტერესებს: რატომ იყო ეს ქალი ასეთი უგრძნობი, როგორ ვერ ხვდებოდა, რა ტრიალებდა მისი პატარა ბიჭის გულში? ერთი მხრივ, ვერაფერს გრძნობდა, მეორე მხრივ კი ასე მიღვივებდა მგრძნობელობას, ჩემს დაფარულ სურვილებს ასე ეხმიანებოდა.

...ჯერ ისეთი პატარა ვარ, მგონი, იმასაც ვერ ვხვდები, რომელი სქესისა ვარ. საღამოს პირია, გაზაფხულია – ჩემი ცხოვრების მეოთხე გაზაფხული. გარეთ, სახლის წინ, ყვავილები ხარობს. ფანჯრები ბოლომდეა გამოღებული და ოთახებში ისეთი ნაზი და სასიამოვნო სურნელი ტრიალებს, გაზაფხულზე რომ იცის ხოლმე. თუმცა დედა-ჩემის სასიცოცხლო ძალების სიჭარბის გამო მაინც რაღაც დაძაბულობა იგრძნობა. მთელი კვირის სარეცხი დარეცხა და თოკზე გაკიდა, ვახშმისთვის დესერტად „მარმარილოს" ტორტი გამოაცხო და

თან სულ რაღაცას აწურწურებს: ტორტის მოსართავად გამდნარ შოკოლადს, ვანილიან კრემს. მე კი თვალწინ სულ სისხლი, სისხლის ნაკადები მიდგას, და კიდევ დანა, რომელსაც მიღერებდა! მიუხედავად ამისა, მისი საქმიანობა ისეთივე საოცრებად მეჩვენება, როგორც ატმის ჩაუძირავი ნაჭრები ჟელეს ზედა ფენებში. მოკლედ, მთელი სარეცხი დარეცხილი აქვს, ტორტი – გამომცხვარი; სააბაზანოსა და სამზარეულოში იატაკი მოხეხა და ზედ გაშლილი გაზეთები გაფინა. რა თქმა უნდა, ყველაფერი მტვერსასრუტით გაწმინდა, სადილობის მერე მორჩენილი თეფშებიც დარეცხა და (აქ მეც წავეხმარე) მთელი ჭურჭელი დააბინავა. ახლა ყველაფერი მილხიკების კარადაშია შედგმული. თან დილიდან იადონივით უსტვენს რომელიღაც ძნელად მოსახელთებელ მოტივს, რომელიც მთელ სახლს სიჯანსაღის, სიხარულის, სილაღის, უდარდელობისა და თვითკმარობის განცდით ავსებს. სანამ მე ფანქრებით ნახატს ვუხატავ, დედაჩემი სააბაზანოში ბანაობს, მერე კი მზით განათებულ ოთახში საწოლზე ჯდება და ჩაცმას იწყებს, რომ ქალაქის ცენტრში წამიყვანოს. მოკლედ, საწოლის კიდეზე ზის, ლიფი და წვივსაკრავი აცვია, დაგორგოლავებული წინდები მთელი ფეხის ამოყოლებაზე აუჩქარებლად ამოჰყავს და თან გაუჩერებლად მეჟღურტულება. დედიკოს საყვარელი ბიჭუნა ვინ არის? ვინ უყვარს დედიკოს ყველაზე მეტად დედამიწის ზურგზე? ასეთი კარგი პატარა შვილიკო კიდევ რომელ დედიკოს ჰყავს? ნეტარებისგან სრულიად მიბნედილი ვარ და მისი ხელების ნელ, გულისწამღებ მოძრაობას თვალს ვადევნებ – როგორ მიუყვებიან წინდიან ფეხს ბარძაყისაკენ. გამჭვირვალე წინდა კანზე სრიალებს – განზომილებები ერთმანეთში ირევა. იმდენად ახლოს ვუზივარ, რომ მისი ყელიდან პუდრის სუნი მომდის. კიდევ უფრო ახლოს ვიწევი, რომ წვივსაკრავზე შებმული წინდის შესაკრავები უკეთ შევათვალიერო, გაწკაპუნების ხმასაც ველოდები. მაჰაგონის საწოლის ხის ნაწილები საპრიალებელი ზეთითაა გაპოხილი და აი,

ეს სუნიც მომდის საწოლიდან, რომელზეც დედაჩემი იმ კაცთან ერთად წვება ხოლმე, ვინც საღამოობით, კვირა დღეებში კი მთელი დღე ჩვენთან ერთად ცხოვრობს. ამბობენ, რომ ეს კაცი მამაჩემია. მართალია, დედაჩემმა ხელები თბილი წყლით დასველებული ტილოთი გამიწმინდა, მაგრამ თითის წვერებზე მაინც საუზმეზე მირთმეული თევზიანი სალათის სუნი ამდის. თუმცა, არა, მგონი, ქალის საშოს სუნი მომდის. მგონი ეგაა! წარმოიდგინეთ, ოთხი წლისა ვარ და სიამოვნებისგან ლამისაა ამოვიგმინო. ჰო, ოთხი წლის ვარ და სისხლში ვგრძნობ – ვაიმე, ისევ სისხლამდე მივედით! – როგორი ყოვლისმომცველია ამწამს ჩემი ლტოლვა, რამდენი რამ შეიძლება მოხდეს. მსუქანი, გრძელთმიანი არსება, რომელსაც ჩემს დას ეძახიან, სკოლაშია წასული. ის კაციც წასულია, მამაჩემად რომ ითვლება, სადღაც ფულს შოულობს – შოვნა ხმამაღლა ნათქვამია, რისი თავიც აქვს, ის მოაქვს. მოკლედ, ეს ორნი სახლში არ არიან და ვინ იცის, თუ ბედმა გამიღიმა, იქნებ არც აღარასდროს დაბრუნდნენ... ამასობაში საღამოვდება, გაზაფხულია, შინ ზედმეტი არავინაა და ჩემთვის, მარტო ჩემთვის, ქალი ნელა და აუჩქარებლად იცვამს გრძელ წინდებს, თან სიყვარულის სიმღერას მღერის. ვინ იქნება სულ დედიკოსთან მთელი ცხოვრება, სულ-სულ ბოლომდე? მე. ვინ იქნება დედიკოსთან ერთად, სადაც არ უნდა წავიდეს დედიკო, თუნდაც ქვეყნის დასალიერში? მე, რა თქმა უნდა, მე! რა სულელური კითხვაა. თან რომ იცოდეთ, ძალიან კარგად ვხვდები, რომ თამაშს ვთამაშობთ. ვინ ისადილა საყვარლად დედიკოსთან ერთად? რომელ საყვარელ ბიჭიკოს მოკიდებს დედიკო ხელს და ავტობუსით ცენტრში წაიყვანს? დიდ მაღაზიებს დედიკოსთან ერთად ვინ დაივლის?... და ასე შემდეგ, დაუსრულებლად...

ეს კი არა, დაახლოებით ერთი კვირის წინ, ევროპიდან ახალი დაბრუნებული ვარ და დედაჩემი მეუბნება:

– აბა, მოსინჯე!

– რა?

ვერ ვხვდები, რა უნდა: ხელში ხელს მკიდებს და ცდილობს, თავის სხეულზე მიმადებინოს.

– დედა!

– ხედავ? რაც გაგაჩინე, მას მერე ხუთი ფუნტიც არ მომიმატია, თითქმის არ გავსუქებულვარ.

ჩემს გაშეშებულ თითებს თეძოზე იდებს. ვერაფერს დაუწუნებ, მართლაც კარგი თეძოები აქვს...

არა, ეს წინდები მაინც რა იცის! ოცდახუთ წელიწადზე მეტია გასული (მგონი, თამაშებიც დავამთავრეთ), დედაჩემი კი წინდების ამოცმას მაინც თავისი პატარა ბიჭის თვალწინ იწყებს. უბრალოდ, ახლა ეს ბიჭუნა თვალს არიდებს ხოლმე. როგორც კი ვიგრძნობ, რომ ცოტაც და ჩემი დროშა ფლაგშტოკზე ასრიალებას დაიწყებს, მზერა მაშინვე სხვა რამეზე გადამაქვს. ამ დროს მამაჩემზე ვფიქრობ ხოლმე. ჰო, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, განზე იმიტომ კი არ ვიხედები, რომ ჩემს თავზე ვფიქრობ, ის საწყალი კაცი, მამაჩემი მახსენდება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობს? ვთქვათ, უცებ, სასტუმრო ოთახში მისმა გვარიანად წამოზრდილმა ბიჭუნამ დედა ხალიჩაზე აგორავა, რა მოხდება? რას იზამს მამაჩემი? ახურუშებულ წყვილს თავზე ქვაბით მდუღარეს გადაასხამს? დავიჯერო, მამაჩემიც დანას დააძრობს? თუ მეორე ოთახში გავა და ტელევიზორის ყურებას დაიწყებს, სანამ ჩვენ ორნი გორაობას დავამთავრებთ?

– თვალს რატომ მარიდებ, შვილო? – მეკითხება დედაჩემი, თან წინდის ამოცმას აგრძელებს, – ოცდაერთი წლის გოგო კი აღარ ვარ! მე არ ვიყავი, მაგ პატარა ტაკუნას რომ გიწმენდდი ხოლმე? მე არ გკოცნიდი ტაკუნაზე? უყურე ერთი ამას!

მერე მამაჩემს მიუბრუნდება და თუ რომელიმე სატელევიზიო შოუს მისი ყურადღება ასი პროცენტით არ მიუპყრია, ხმამაღლა მიმართავს:

– ნახე ერთი, ისე იქცევა, გეგონება, დედამისი სამოცი წლის კი

არა, სილამაზის კონკურსზე გასაყვანი გოგო იყოს!

თვეში ერთხელ მამაჩემს თურქულ აბანოში დავყავდი. იქაური ორთქლის, ხეხვა-ბანვის, მერე კი კაი გემრიელი გამოძინების წყალობით ცდილობდა რამდენიმეკვირიანი დაძაბულობის ჩამორეცხვას. ტანსაცმელს ზედა სართულზე, გასახდელში ვტოვებდით ხოლმე. იქვე, რიგებად ჩამწკრივებულ რკინის საწოლებზე უკვე ნაბანავები კაცები იწვნენ, საზარელ ავარიაში დაღუპულთა გვამებივით თეთრ ზეწრებში გამოხვეულები. ვიღაცის მოულოდნელი გაკუება ან ხვრინვა, ტყვიამფრქვევის ჯერივით ერთმანეთს მიწყობილი ეს ხმები რომ არა, ნამდვილად მეგონებოდა, რომ მორგში ვიყავით და რაღაც ძნელად ასახსნელი მიზეზის გამო გახდას მიცვალებულების წინ ვიწყებდი. მიცვალებულებს საერთოდ არ ვუყურებდი, ფეხის წვერებზე დავდიოდი და ვცდილობდი, ტრუსი სხვების შეუმჩნევლად გამეხადა, რადგან, ჩემდა სამარცხვინოდ და თავის მოსაჭრელად, ყოველ გახდა-ჩახდაზე უბეში განავლის ლაქები მხვდებოდა – ღია ფერის, ოდნავ შესამჩნევი ლაქები. ვაიმე, ექიმო, თქვენ არ იცით, ვიწმენდდი ამ ტრაკს, ვიწმენდდი, ვიწმენდდი – ამ საქმეს ყოველ ჯერზე იმდენ დროს ვანდომებდი, რამდენსაც ჭინთვას და მოსაქმებას ერთად, არა, უფრო მეტს! ტუალეტის ქაღალდს ისეთი რაოდენობით ვხმარობდი, გეგონება, ხეზე უფასოდ იზრდებოდეს – ჩემი სიტყვები არ გეგონოთ, შურით სავსე მამაჩემი მეუბნებოდა ხოლმე ასე. ქაღალდს მანამდე ვისვამდი, სანამ პატარა ხვრელი ჟოლოსავით არ გამიწითლდებოდა. როგორ მინდოდა, დედაჩემისთვის გასარეცხად ისეთი ტრუსი დამეხვედრებინა, თითქოს ანგელოზს ჰქონოდა ტრაკზე ამოცმული, მაგრამ ამას ვერაფრით ვახერხებდი და სულ ჩემი დასვრილი და სუნიანი (ნუთუ განზრახ ვაკეთებდი, ექიმო? თუ უნებლიეთ გამომდიოდა?) ტრუსების რეცხვა უხდებოდა.

თუმცა იქ, თურქულ აბანოში ნეტავ ვისი მერიდებოდა? იქ ხომ ქალები არ იყვნენ. არც ქალები, არც გოები. დაუჯერებელი ამბავი! ესე იგი, სანერვიულოც არაფერი მქონდა!

წარმოიდგინეთ, მამაჩემის თეთრ ტრაკს მივყვები, გასახდელიდან გავდივართ და რკინის კიბით ქვემოთ, განსაწმენდელში ვეშვებით, სადაც მისი ორგანიზმიდან ორთქლმა და მასაჟისტის მუშტებმა ის დაძაბულობა უნდა გამოდევნონ, რასაც დაზღვევის აგენტად მუშაობა, ოჯახის მამობა და რაც მთავარია, ებრაელად ყოფნა გულისხმობს. ქვემოთ ჩასულები ქათქათა ზეწრებისა და პირსახოცების გორას გვერდს ვუვლით, მამაჩემი ერთ-ერთ მძიმე კარს მხრით აღებს და სანახევროდ ჩაბნელებულ სივრცეში შევდივართ, რომელიც მარადმწვანე მცენარეების სუნით არის გაჟღენთილი. ისეთი ხმები მოგვესმის, თითქოს დარბაზში კანტი-კუნტად გაფანტული მაყურებელი უხალისოდ უკრავდეს ტაშს სიკვდილის სცენას რომელიმე ტრაგედიიდან – ოთახის სიღრმეში მარმარილოს მერხებზე გაწოლილ კაცებს ორი მასაჟისტი ზურგზე ხელებს უტყაპუნებს. მერე მათ საგულდაგულოდ ზელენ და ხელ-ფეხს ისე აუჩქარებლად უტრიალებენ, თითქოს ბუდეებიდან უნდა ამოუყარონო – ამ სურათს მოჯადოებული შევცქერი და თან მამაჩემს მივყვები. გულისგამაჩერებლად ცივი წყლით ავსებულ პატარა აუზს გვერდს ვუვლით და ბოლოს ორთქლით სავსე ოთახში შევდივართ.

საკმარისია, მამაჩემმა ამ ოთახის კარი შეაღოს, რომ თვალწინ სკოლაში ნასწავლი წინაისტორიული ხანა მიცოცხლდება, გამოქვაბულის ადამიანებსა და დამშრალი ტბების ძირას მცხოვრებ ტომებზე ადრინდელი ხანა, როცადედამიწა ვეება ჭაობი იყო, მის თავზე გაწოლილი თეთრი აირები კი მზის სხივებს ზედაპირამდე არ უშვებდნენ. მარადისობა უნდა გავიდეს, რომ ეს პლანეტა ადამიანის საცხოვრებლად გამოდგეს. უცებ რაღაც მემართება: იმ ბიჭუნასთან, სკოლიდან დედასთან ფრიადებით რომ გამორბის, იმ გულწრფელ, უცოდველ ბიჭუნასთან, დედამისის გარდასახვის საიდუმლოს ამოხსნას რომ ცდილობს, საერთო აღარაფერი მაქვს. მეც იმ წყლის საუფლოს ნაწილი ვხდები, რომელიც მანამდეც არსებობდა, სანამ არც

ოჯახები იყო, იმ გაგებით, როგორითაც დღეს გვესმის, არც სააბაზანოები და არც ოჯახური ტრაგედიები. ეს ამფიბიების მსგავსი არსებების ხანაა – ვეებერთელა, უტვინო, ოხშივარში გახვეული არსებების ხანა. ახლა მეჩვენება, რომ ცივი შხაპიდან სქელ ორთქლამდე წინ და უკან მოსიარულე ადამიანები ის ებრაელი მამაკაცები არიან, რომლებიც დროის მანქანის წყალობით წარსულში მოხვდნენ, სადაც ებრაელ ცხოველთა ჯოგებად ცხოვრობენ და მხოლოდ „ოი, ოი"-ს წარმოთქმა შეუძლიათ. ზუსტად ეს ბგერები მესმის მათი პირიდან, როცა ცივი შხაპის შემდეგ ცხელ ორთქლში შეაბიჯებენ, იქიდან გამოსულები კი ცივ აუზში ხტებიან. როგორც იქნა, ერთად არიან მამაჩემი და მის ბედქვეშ მყოფი, ტანჯული თანამოძმენი; როგორც იქნა, ბუნებრივ მდგომარეობას და იმ ადგილს დაუბრუნდნენ, სადაც არც გოები არიან და არც ქალები.

მერე სარგადაყლაპულივით ვდგავარ და სანამ მარმარილოს სკამზე ჩამომჯდარი მამაჩემი თავიდან ფეხებამდე საპნის სქელ ნაჭერს მისვამს, მის ავლადიდებას აღფრთოვანებული შევყურებ. მისი სათესლე პარკი კვერცხებით პირგამოტენილი ბერიკაცის ჩამოგრძელებულ, ნაოჭებით დაღარულ სახეს წააგავს, მე კი ეგეთივე პარკი გოგონას სათამაშო ვარდისფერი ქისასავით მკიდია. მამაჩემს კაი მსხვილი შლანგი აქვს, მე კი ერთი ბეწო ჭუჭულიკა მაქვს, როგორც დედაჩემს უყვარს ხოლმე ხალხში მისი მოხსენიება (ერთხელ და ორჯერ არა უშავს, მაგრამ მთელი ცხოვრება შეიძლება?). მამაჩემის ამოდენა ავლადიდება მართლაც ჩვენი სკოლის დერეფანში გამოკიდებულ, დახვეულ სახანძრო შლანგს მაგონებს. ნახეთ, რა სიტყვაა – შლანგი! სიტყვა, რომელიც რაღაც ცხოველურისა და ხორციანის (რაც ძალიან მომწონს) ასოციაციას ბადებს – რაღაც ისეთის, ხელში მძიმედ და მყარად რომ მოგხვდება; უტვინო, უგონო, ცოცხალი ხორცი, საიდანაც თოკის სიმსხო შარდის ნაკადი მოჩქეფს. ჩემი ჭუჭულიკიდან კი უწვრილესი ყვითელი ძაფი გამოდის, რომელსაც ევფემიზმების მოყვარული დედაჩემი ფიში-ფიშის ეძახის. ფიში-ფიში ისეთი

რამეა, რასაც მარტო ჩემი და უნდა აკეთებდეს, პატარა ყვითელ ძაფებს ეგ უნდა უშვებდეს, თუ გინდა, ქსოვდეს კიდეც ამ ძაფებით... „მოგეხმარო ფიში-ფიშის გაკეთებაში?" – მეკითხებოდა ხოლმე დედაჩემი. ფიში-ფიშიო? ეგ რა საკადრისია, წარღვნის მოწყობა მინდა. მინდა, იმდენი ვქნა, რომ უნიტაზის კიდეებიდან გადმოდიოდეს! „ჯეკ, ტუალეტის კარის მიხურვა აზრად არ მოგდის? რა მაგალითს აძლევ ზოგიერთებს?" მეც მინდა ეგრე! ნეტავ მაგას მაგალითის მიცემა შველოდეს, დედიკო! ნეტავ იმ ზოგიერთს მამამისის ფსმის მანერით შთაგონება შველოდეს! ნეტავ მამაჩემის ვულგარულობის სიღრმეებიდან, სირცხვილის გრძნობის გარდა, რამე სასარგებლოს ამოხაფვაც შემეძლოს. სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი – საითაც არ უნდა გავიხედო, ყველგან რაღაც ისეთს ვხედავ, რისიც უნდა მრცხვენოდეს.

ბიძაჩემ ნეტის ტანსაცმლის მაღაზიაში ვართ, ნიუარკში, სპრინგფილდ ავენიუზე. ისეთი საბანაო ტრუსი მინდა, უბეში დატანებული დამცავი ქსოვილი რომ ჰქონდეს. თერთმეტი წლის ვარ და ეგ საიდუმლო მაქვს: ტანზე მომდგარი საბანაო ტრუსი მინდა. ვიცი, რომ ამის შესახებ ხმის ამოღება არ შეიძლება. სჯობს, ამაზე სიტყვაც არ დამცდეს. მეორე მხრივ კი, რამეს როგორ მიიღებ, თუ არ ითხოვე? ბიძაჩემი ნეტი, კაი ჩამცმელი, კაი ულვაშის პატრონი, ვიტრინის ქვემოდან ორ სპორტულ ტრუსს იღებს – ზუსტად ისეთებს, როგორებიც მთელი ჩემი დღე და მოსწრება მაცვია. შენი ასაკის ბიჭებისთვის ზედგამოჭრილია, მალე შრება და არაფერს გაგიღიზიანებსო, მეუბნება.

– რა ფერი გიყვარს? – მეკითხება ნეტი, – ხომ არ გინდა, შენი სკოლის ფერებში აგირჩიო?

ვწითლდები, მაგრამ პასუხად სულ სხვა რამეს ვამბობ.

– არა, ეგეთები აღარ მინდა, – ვეუბნები და, აჰა, ჰაერში ჩემი დამცირების სუნი ტრიალდება, მის მოახლოებას შორიდანვე ვგრძნობ – შეიძლება ნებისმიერ წუთს დაატყდეს ჩემს უმწიფარ

თავს.

– ვითომ რატომ აღარ გინდა? – მეკითხება მამაჩემი, – არ გესმის, რას გეუბნება ბიძაშენი? ესენი აქ საუკეთესოებია.

– მე ისეთი მინდა, ტანზე მომდგარი! – აი, ზუსტად ის ვთქვი, რაც დედაჩემს გამოაცოცხლებდა და გაამხიარულებდა.

– ტანზე მომდგარი? მაგ პატარა ჭუჭულიკაზე რომ გქონდეს მომდგარი? – მიყურებს და სახეზე ეშმაკური ღიმილი ეფინება.

ჰო, დედა, შენ წარმოიდგინე: აი, ამ პატარა ჭუჭულიკაზე!

ოჯახში ყველაზე მეტი ძალაუფლება მამაჩემის უფროს ძმას, ჰაიმს ჰქონდა, რომელიც გარეთ წარმატებული ბიზნესმენი, შინ კი საშინელი ტირანი გახლდათ. ჩემი ბიძებიდან და დეიდებიდან ოკეანის გადაღმა მხოლოდ ის დაიბადა და ამიტომ აქცენტით ლაპარაკობდა. ძია ჰაიმი გაზიანი წყლების ბიზნესში იყო, ნახშირწყლით გაჯერებულ ტკბილ სასმელს, „სქუიზს“ ასხამდა და ყიდდა. ეს „სქუიზი“ სადილის სუფრაზე არასდროს დაგვკლებია. ჰაიმი, მისი ნევრასთენიკი ცოლი კლარა, მათი ვაჟი ჰაროლდი და ქალიშვილი მარცია ნიუარკის ებრაელებით მჭიდროდ დასახლებულ ნაწილშიცხოვრობდნენ, ორბინიანი კერძო სახლის მეორე სართულზე. 1941 წელს იმ სახლის პირველ სართულზე მდებარე ბინაში ჩვენ გადავედით. ეს მაშინ მოხდა, როცა მამაჩემმა „ბოსტონ & ნორსისტერნის“ ესექსის ოფისში დაიწყო მუშაობა.

ჯერსი სიტიდან ომის წინა წლებში მომძლავრებული ანტისემიტური განწყობის გამო გადავედით, რადგან ჩვენი სახლიდან ერთი კვარტალის იქით ადგილობრივმა ნაცისტებმა ლუდხანაში პიკნიკების მოწყობა დაიწყეს. როცა იმ ლუდხანას კვირაობით მანქანით ჩავუვლიდით, მამაჩემი ნაცისტებს მაგრად შეუკურთხებდა ხოლმე – იმდენად ხმამაღლა, რომ მე გამეგონა და საკმარისად ხმადაბლა, რომ მათ არ გაეგონათ. ერთ საღამოსაც ჩვენი სახლის კედელზე სვასტიკა დაგვხვდა მიხატული. მერე სვასტიკები ჰანას კლასშიც

იპოვეს – იმ მერხებზე იყო ამოკვეთილი, რომლებსაც ებრაელი ბავშვები უსხდნენ. ერთ დღეს ჰანას სახლიდან სკოლამდე ბიჭების ჯოგმა სდია. ოჯახში დავასკვენით, რომ ესეც ანტისემიტიზმის ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. ჩემმა მშობლებმა მოსვენება დაკარგეს. ბიძაჩემმა ჰაიმმა კი, ეს ამბავი რომ მოისმინა, ბევრი იცინა: თქვენი გამკვირვებია! ოთხივე მხრიდან გოებით ხართ გარშემორტყმული და ეგ გაგიკვირდათო? ერთადერთი ადგილი, სადაც ებრაელმა შეიძლება იცხოვროს, იქ არის, სადაც ბევრი ებრაელი ცხოვრობსო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახში ბავშვები იზრდებიან და საწინააღმდეგო სქესის ბავშვებთან უხდებათ ურთიერთობაო. ასე თქვა ჰაიმმა და სიტყვა „განსაკუთრებით“ ხაზგასმით წარმოთქვა, რაც ჩემს ყურს არ გამოჰპარვია. ბიძაჩემს უყვარდა, როცა მამაჩემს საკუთარ უპირატესობას უჩვენებდა ხოლმე, ამიტომაც სიამოვნებით ახსენებდა, რომ ნიუ-ჯერსიში ჩვენ იმ ერთადერთ სახლში ვცხოვრობდით, რომელშიც ყველა მოსახლე ებრაელი იყო, მაშინ, როცა ნიუარკში, სადაც თავად ცხოვრობდა, მთელი უბანი ასეთი იყო, ამ უბანს კი უიქვეიკი ერქვა. როდესაც ჩემმა ბიძაშვილმა მარციამ უიქვეიკის სკოლა დაამთავრა, იმ წელს ორასორმოცდაათ კურსდამთავრებულში მხოლოდ თერთმეტი გოი და ერთი შავკანიანი იყო. აბა, ამაზე რას მეტყვითო, თქვა ძია ჰაიმმა... ამიტომ მამაჩემმა ბევრი ფიქრის შემდეგ სამსახურში ითხოვა, რომ მშობლიურ ნიუარკში გადაეყვანათ. მის უშუალო უფროსს ამნაირი გულმოდგინე ხელქვეითის დაკარგვა ჭკუაში არ უჯდებოდა (და თხოვნაზე პასუხი კარგა ხნით დაუგვიანა), მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს საქმეში დედაჩემი ჩაერთო, ტელეფონი აიღო და ბოსტონის სათავო ოფისში დარეკა. ამის მერე რა და როგორ მოხდა, არ ვიცი, და დიდად არც მაინტერესებს, მაგრამ ფაქტია, რომ მამაჩემის თხოვნა დააკმაყოფილეს. 1941 წელს ნიუარკში გადავსახლდით.

ჩემი ბიძაშვილი ჰაროლდი დაბალი და ჩასკვნილი იყო, როგორც

ჩვენი ოჯახის ყველა მამაკაცი ჩემ გარდა, და ძალიან ჰგავდა მსახიობ ჯონ გარფილდს. დედაჩემი ჰაროლდზე გიჟდებოდა და სულ აწითლებდა ხოლმე (ეს ნიჭი ღმერთმა ქალებს უხვად მოამადლა). ასე ამბობდა, ჰეშელეს (ესე იგი, ჰაროლდის) წამწამები მისცა რომელიმე გოგოს და ჰოლივუდში მილიონდოლარიან კონტრაქტს გამოჰკრავს ხელსო. სარდაფის კუთხეში, იქ, სადაც ბიძაჩემს „სქუიზით" თაროები ჭერამდე ჰქონდა გავსებული, ჰეში ჰანტელებს ინახავდა და სპორტული სეზონის გახსნამდე ყოველ საღამოს ვარჯიშობდა. ჩვენი სკოლის გუნდის ერთ-ერთი ვარსკვლავი იყო, შუბის ტყორცნაში კი ქალაქის რეკორდი ჰქონდა მოხსნილი. ჰეშის ცხოვრება დისკოსა და შუბის ტყორცნისგან, მიზანში სროლისგან და ამნაირი ამბებისგან შედგებოდა, მაგრამ ერთხელ, როცა სკოლის მოედანზე მწვრთნელმა გუნდის ავადმყოფი წევრის შეცვლა დაავალა, დაბალ ბარიერზე ბოლო გადახტომისას დაეცა და ხელი მოიტეხა. იმ წლებში – ვითომ მარტო იმ წლებში? – ბიცოლაჩემ კლარას ნერვული აღგზნებადობა სჭირდა. ბიცოლაჩემთან შედარებით, სიცოცხლით სავსე დედაჩემი სიმშვიდის განსახიერება, ნამდვილი გერი კუპერიგახლდათ. იმ საღამოს, როცა ჰეში სახლში კისერზე ჩამოკონწიალებული ხელით დაბრუნდა, კლარა სამზარეულოს იატაკზე გაიშხლართა. მერე ჰეშის თაბაშირზე ამბობდნენ, კლარასათვის ფიალის ბოლო წვეთი აღმოჩნდაო. ბოლომდე ვერასდროს გავიგე, რა იგულისხმებოდა ამ სიტყვებში.

ჰეში ჩემთვის ყველაფერი იყო – ყველაფერი იმ მოკლე დროის განმავლობაში, რაც ერთად ვიყავით. ვოცნებობდი, რომ ოდესმე მეც ჰეშივით სკოლის მძლეოსნობის გუნდის წევრი გავხდებოდი, მეც ჩავიცვამდი დაკუნთულ ბარძაყებზე მჭიდროდ მომდგარ, გვერდებზე ჩაჭრილ თეთრ შორტს.

1943 წელს, სანამ ჯარში გაიწვევდნენ, ჰეშიმ ერთ გოგოზე დანიშვნა გადაწყვიტა, რომელსაც ელის დემბოსკი ერქვა. ელისი ზედა

კლასების სასკოლო ორკესტრის მთავარი მედოლე იყო და განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა: თითებში ერთის ნაცვლად ორი ვერცხლისფერი დასარტყამი ჯოხის დატრიალება შეეძლო – მხრებზე გადაიტარებდა, ფეხებს შორის გველებივით ამოაცურებდა, თხუთმეტი-ოცი ფუტის სიმაღლეზე აისროდა და ჯერ ერთს დაიჭერდა ხოლმე ზურგსუკან, მერე კი – მეორეს. სარბენ ბილიკზე ჯოხი იშვიათად უვარდებოდა, ხოლო თუ მაინც დაუვარდებოდა, თავს უკმაყოფილოდ გააქნევდა და ჩუმად ჩაილაპარაკებდა: „ოჰ, ელის! " ამის შემხედვარე ჰეშის, ალბათ, სიყვარული უძლიერდებოდა. ეს ჩემზეც კი რაღაცნაირად მოქმედებდა. „ოჰ, ელის", და თან მშვენიერი, ზურგზე დაფენილი გრძელი ქერა თმა! ასეთი სილამაზე სათამაშო მოედანის ნახევარს რომ აივლიდა და ჩაივლიდა! ოჰ, ოჰ! ძალიან მოკლე თეთრი ქვედაკაბით, თეთრი ატლასის ტრუსით და თხელ წვივებზე მომდგარი თეთრი ჩექმებით! უფალო იესო, რა ფეხების პატრონი იყო შენი მხევალი დემბოსკი! ქერა ქალების სულელური, გოური სილამაზე! ეგეც ხატივით იყო, ღმერთმანი!

ის, რომ ელისი ასე არაორაზროვნად შიკსეიყო, ჰეშის ოჯახში და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს ოჯახშიც კი უსასრულო გლოვის მიზეზი გახდა. რაც შეეხება უფრო ფართო საზოგადოებას, ყველას, მგონი, ერთგვარი სიამაყის გრძნობა გაუჩნდა იმის გამო, რომ სკოლაში, სადაც მასწავლებლებისა და მოსწავლეების ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი ებრაელი იყო, არაებრაელს ასეთი გამორჩეულობა ხვდა წილად. როცა ელისი ყველაზე ცნობილ ნომერს ასრულებდა, რომელსაც წამყვანი ხმის გამაძლიერებელში წარმოდგენის მთავარ ნომრად მოიხსენიებდა – ნავთში ამოვლებულბოლოებიან და ცეცხლწაკიდებულ ჯოხებს აბზრიალებდა – უიქვეიკის ფანები მქუხარე ტაშით აღნიშნავდნენ მის გამბედაობასა და კონცენტრაციის უნარს. დოლის გაბმული ბუმ, ბუმ, ბუმ-ის, გაოცებულთა შეძახილებისა და შეშინებულთა წივილ-კივილის ფონზე ყოველ წუთს შეიძლებოდა,

მშვენიერ შიკსეს ორი სანეტარო ძუძუ დაეწვა, მაგრამ ამ გულწრფელი, შფოთვანარევი აღფრთოვანების მიუხედავად, ჩვენს მხარეს მაინც რჩებოდა რაღაც კომიკური გაუცხოების განცდა, რომელსაც ის რწმენა აძლიერებდა, რომ ყველაფერი, რასაც გოგონა აკეთებდა, იმ ნიჭის წყალობით გამოსდიოდა, რომლის განვითარებაც აზრად მხოლოდ გოებს მოსდიოდათ.

ჩვენს უბანში მშობლების ასეთი დამოკიდებულება, ზოგადად, სპორტის ყველა სახეობაზე ვრცელდებოდა, განსაკუთრებით კი – ფეხბურთზე: ეს ყველაფერი გოებისთვის იყო. ძალიან კარგი, უხათქუნონ ერთმანეთს თავები, თუ ბურთის თამაშში გამარჯვება რამედ მიაჩნიათო. ბიცოლაჩემი კლარა ვიოლინოს ბგერასავით გაწელილი და გაწვრილებული ხმით ამბობდა ხოლმე: „ჰეში! იცოდე, გოი ქალის ფეხი არ იქნება ჩემს ოჯახში! " ვის სჭირდება ეს ყველაფერი, რა სისულელეებით ირთობენ თავსო... ფეხბურთში ჩვენი სკოლის გუნდის მდგომარეობა უიმედოდ მძიმე იყო (ამ დროს სკოლის ორკესტრი პრიზს პრიზზე იღებდა). ჩვენ, ბავშვები ამას ძალიან განვიცდიდით, მერე რა, რომ ჩვენს მშობლებს ეს ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ. და მაინც, ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ ფეხბურთის მატჩში წაგება ებრაელებისთვის მაინცდამაინც დიდი კატასტროფა არ იყო. თან ერთი რამეც გვახალისებდა: ჩემი ბიძაშვილი და მისი ძმაკაცები კატასტროფული ანგარიშით წაგებული მორიგი თამაშის ბოლოსკენ ტრიბუნაზე სიმღერას იწყებდნენ. ამ დროს ბიჭებთან ერთად მეც ვმღეროდი ხოლმე. სიმღერის ტექსტი კი ასეთი იყო:

აიკი, მაიკი, ჯეიკი და სემი,
დღეს არის ჩვენი ბიჭების ზეიმი.
ჩვენ ღორის ხორცს არ ვჭამთ,
ჩვენ გოლები გაგვაქვს,
განჯინაში კი მაცა გვაქვს!
აბა, შენ იცი, უიქვეიკ ჰაი!

მერე რა, რომ ვაგებდით! სამაგიეროდ, სხვა რამეებით ხომ შეგვეძლო გვეამაყა. ღორის ხორცს არ ვჭამდით. მაცას განჯინებში ვინახავდით. არა, მართლა კი არ ვინახავდით, მაგრამ თუ მოგვინდებოდა, წინ რა დაგვიდგებოდა, ამიტომ თავისუფლად შეგვეძლო გვეთქვა, რომ ვინახავდით! არ გვრცხვენოდა, გვეთქვა, რომ ებრაელები ვიყავით! ჰო, ებრაელები ვიყავით და გოებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ ფეხბურთში დაგვანგრიეს, არათუ ჩამოვუვარდებოდით, ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, რომ მათზე მაგრებიც კი ვიყავით, რადგან ასეთ იდიოტურ თამაშში წაგებას არაფრად ვთვლიდით, გულთან ახლოს არ მიგვქონდა. ჩვენ ხომ მაინც ყველაზე მაგრები ვიყავით! ჩვენ ებრაელები ვიყავით – სხვებზე აღმატებული ხალხი!

თეთრი პური, ჭვავის პური,

შავი პური, ხალა,

უიქვეიკს გაუმარჯოს,

დღესაც, ხვალაც.

ჰეშისგან ეს პატარა სიმღერაც ვისწავლე – ოთხი მოკლე სტრიქონი, პოეზიის ნაკუწი, რომელმაც იმ უსამართლობებზე ამიხილა თვალი, ჩვენს ხალხს რომ ტანჯავდა... ის მრისხანება, ზიზღი, რომელიც ჩემს მშობლებს არაებრაელების მიმართ ჰქონდათ, ჩემს თვალში უკვე გარკვეულ კონტურებს იძენდა: ამ გოებს თავი განსაკუთრებულ ხალხად მოჰქონდათ, მაშინ, როდესაც ჩვენ, მორალური თვალსაზრისით, მათზე აღმატებულები გახლდით. რა გვძენდა აღმატებულებას და ზუსტად ის სიძულვილი და უპატივცემულობა, რომლითაც ისინი უხვად გვიმასპინძლდებოდნენ!

ოღონდ მაშინ იმ სიძულვილს რა ვუყოთ, რომელსაც არც ჩვენ ვიშურებდით?

ჰეშის და ელისის ამბავზე რაღა ვთქვათ? ნეტავ მათი ამბავი რის მანიშნებელი იყო?

როცა სხვა ხერხებმა ვერ გაჭრა, კვირა საღამოს ოჯახმა რაბინი უორსოუ მოიწვია, რომელსაც ჩვენი ჰეში უნდა დაერწმუნებინა, რომ

თავი არ დაეღუპა და უმოწყალო მტერს ხელში ნებით არ ჩავარდნოდა. სასტუმრო ოთახის კუთხეში მიმალულმა დავინახე, რა შთამბეჭდავად გადმოაბიჯა შავპალტოიანმა რაბინმა ჩვენი სახლის ზღურბლს. ადრე ჰეშის ბარ-მიცვასთვის ამზადებდა და მზაფრავდა ხოლმე იმის გაფიქრება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ჯერიც დადგებოდა. რაბინი უორსოუ გზააბნეულ ბიჭთან საუბარს სერიოზულად მიუდგა და მის სასოწარკვეთილ ოჯახში საათზე მეტი დაჰყო. „საათიც და მეტიც", – იმეორებდნენ მერე ჩემები, თითქოს ჰეშის დასაყოლიებლად მხოლოდ ეს გარემოებაც საკმარისი უნდა ყოფილიყო.მაგრამ ნურას უკაცრავად! რაბინს ჯერ სახლის კარი არ გაეხურა, რომ ზედა სართულზე რაღაც აბრაგუნდა და ჭერიდან გაჯმა ფენებად დაიწყო ცვენა. მერე კარის გაჯახუნების ხმა გაისმა და მეც თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი ჩემი მშობლების საძინებლისაკენ, რომ იქიდან მეთვალთვალა და საკუთარი თვალით დამენახა, რა მოხდებოდა. აი, რა დავინახე: ჰეში გარეთ გავარდნილიყო და თავზე თმას იგლეჯდა. მას მაშინვე მელოტი ბიძაჩემი ჰაიმი მიყვა, ცალ მუშტს ჰაერში მრისხანედ იქნევდა – უჰ, როგორ ჰგავდა ლენინს! მერე მამა-შვილს შორის ბიძების, ბიცოლებისა და უფროსი ბიძაშვილების რაზმი ჩადგა, რომ ისინი ერთმანეთისთვის თავ-ყბის დალეწვისგან და ებრაულ მტვრად თუ ნაცრად ქცევისგან გადაერჩინათ.

ერთ შაბათს, მაისის პირველ რიცხვებში, ჰეში, რომელიც შტატის მასშტაბით პირველობის მოსაპოვებლად იბრძოდა, შეჯიბრში გატარებული მთელი დღის შემდეგ, შებინდებისას, ნიუ-ბრანსვიკიდან დაბრუნდა და მაშინვე ახალგაზრდების თავშეყრის ადგილისკენ გაიქცა, რომ იქიდან ელისისთვის დაერეკა და ეხარებინა, შუბის ტყორცნაში შტატის მასშტაბით მესამე ადგილი დავიკავეო. ელისმა კი უპასუხა, სანამ ცოცხალი ხარ, შენი ნახვა არ მინდაო, და ყურმილი დაუკიდა.

ბიძაჩემი ჰაიმი შინ იყო და ჰეშის მომზადებული ელოდებოდა. რაც გავაკეთე, – უთხრა მაშინ ჰეშის, – სულ შენ გამო გავაკეთე, შენ

მაიძულეო. როგორც იქნა, ჰაროლდის გალაყებულ ტვინამდეც მიაღწია, თუ რის გაკეთება მოუხდა იმ დღეს მამამისს. მერე საშინელი ხმა გავიგონეთ – ისეთი, თითქოს ნიუარკს დიდი ბომბი დაეცა. ჰეში მშობლების ბინიდან გამოვარდა, კიბეზე ჩაირბინა და ბიძაჩემის სარდაფისკენ გაიქცა. სარდაფის კარი მიაჯახუნა და იქ ამბავი ატყდა! მოგვიანებით ანჯამებიდან მოგლეჯილი კარი ჩემი თვალით ვნახე – მხარის ერთი გაქნევით ჩამოეღო. ახლა კი ნამდვილად იყო შტატის მასშტაბით მესამე ძალოსანი, ჯანიანი მხარ-მკლავის პატრონი. მოკლედ, სარდაფში შეიჭრა თუ არა, იქიდან მაშინვე შემოგვესმა შუშის მტვრევის ხმა. ჰეში სარდაფის ერთი ბოლოდან მეორემდე დარბოდა და ბიძაჩემის „სქუიზის" მარაგიდან ბოთლს ბოთლზე ამტვრევდა.

როცა სარდაფში ჩასასვლელი კიბის ზედა საფეხურზე ბიძაჩემი ჰაიმი გამოჩნდა, ჰეშიმ ბოთლი მოუღერა და ემუქრებოდა, კიბეს თუ გამოსცდები, ამას სახეში შემოგალეწავო. ბიძაჩემმა გაფრთხილებას ყური არ უგდო და ჰეშისკენ დაიძრა. მაშინ ჩემი ბიძაშვილი წინ და უკან სირბილს და სარეცხი მანქანის გარშემო ტრიალს მოჰყვა, ისე, რომ ჰაერში აღმართული „სქუიზი" ძველებურად მოღერებული დარჩა. ბიძაჩემმა ის კუთხეში მიიმწყვდია, იატაკზე დააგდო, ბეჭებით ზედ გააკრა და ასე იჭერდა, სანამ ჰეშიმ უკანასკნელი სალანძღავი სიტყვა არ ამოიგმინა. ოჯახური ლეგენდის თანახმად, მამას თხუთმეტი წუთი ჰყავდა იატაკზე გართხმული, სანამ ჰეშის გრძელ, მუქ, ჰოლივუდურ წამწამებს მარცხისა და სირცხვილის კურცხალი არ დაეკიდა. აი, ასეთი ოჯახი ვართ, ყველანაირი დეფექტის ბოლომდე აღმოფხვრა ვიცით.

იმ დილით ძია ჰაიმის ელის დემბოსკისთვის სახლში დაურეკავს (უფრო კი გოლდსმიტ ავენიუზე მდებარე იმ მრავალბინიანი სახლის ნახევარსარდაფში, რომლის დარაჯადაც მამამისი მუშაობდა) და უთქვამს, რომ მასთან დალაპარაკება უნდოდა. შეხვედრა შუადღისთვის უიქვეიკ პარკში, ტბასთან დაუთქვამს. ძალიან მნიშვნელოვანი

და სასწრაფო საქმე მაქვს, ჰაროლდის ჯანმრთელობას ეხება და ტელეფონით ამაზე ვერ გესაუბრებით, მისის პორტნოისაც კი ვუმალავთ სიმართლესო. პარკში ბიძაჩემს ჩვენი ქერა სიფრიფანა გოგო მანქანაში ჩაუსვამს და სანამ რამეს ეტყოდა, ყველა ფანჯარა ბოლომდე აუწევია. მერე ელისისთვის უთქვამს, რომ მის ვაჟს სისხლის უკურნებელი დაავადება ჰქონდა, რომლის შესახებაც საწყალმა არაფერი იცოდა. აი, ასეთი ამბავი შეთხზა: სისხლის დაავადებაო, ახლა შენ გადაწყვიტე, როგორ სჯობს მოქცევაო და ასე შემდეგ... ექიმმა კი არ ურჩია, უბრძანა, რამდენი წელიც არ უნდა იცოცხლო, ცოლის შერთვაზე არც იფიქროო. კიდევ რამდენ წელს იცოცხლებს ჰაროლდი, აბა, მაგას ვინ იტყვისო. მისტერ პორტნოიმ დანამდვილებით მხოლოდ ის იცოდა, რომ ტანჯვას, რომელიც მის შვილს ელოდა, ელისისნაირი ნორჩი, უმანკო არსების ზურგზე არ უნდა გადაევლო. ამ დარტყმის გადატანაში რომ დახმარებოდა, მისტერ პორტნოის გოგონასთვის პატარა საჩუქრის გადაცემა სურდა – რა თქმა უნდა, ბევრი არაფერი იყო, მაგრამ გოგონას შეეძლო, მისი საჩუქარი სურვილისამებრ გამოეყენებინა, იქნებ ეს ახალი მეგობრის პოვნაშიც კი დახმარებოდა. ამის შემდეგ ბიძაჩემს ჯიბიდან კონვერტი ამოუღია, რომელშიც ხუთი ოცდოლარიანი იდო, იმ სულელ, შეშინებულ გოგოს, ელის დემბოსკის კი კონვერტი გამოურთმევია. ამგვარად, ძია ჰაიმიმ დაამტკიცა ის, რასაც ჰეშის (და ჩემ) გარდა საწყალ პოლონელ გოგოს ყველა აბრალებდა: რომ ჰეშისთვის მამის მთელი ფულის გამოცინცვლა და ცხოვრების მოწამვლა ედო გუნებაში.

როცა ჰეში ომიდან აღარ დაბრუნდა, ბიცოლაჩემ კლარას და ბიძაჩემ ჰაიმის (თითქოს ეს მათთვის ერთადერთი ნუგეში ყოფილიყო) ხალხი სულ ამას უმეორებდა: „კიდევ კარგი, ოჯახში შიკსე რძალი არ დაგიტოვათ, მადლობა ღმერთს, გოი ბავშვები არ დაგრჩათ გასაზრდელი! "

ასე დასრულდა ჰეშის სიცოცხლე. ჩვენც აქ დავამთავროთ მისი ამბავი.

– თუ ისეთი დიდი კაცი გახდი, რომ სინაგოგაში თხუთმეტ წუთს (მეტს ნამდვილად არ გთხოვ) ვერ გაძლებ, – მეუბნება მამაჩემი, – იმდენი პატივი მაინც დაგვდე, რომ დღევანდელი დღის შესაფერისად ჩაიცვა და თავი არ შეირცხვინო. ოჯახსა და რელიგიას პატივი ეცი.

– ბოდიშს ვიხდი, – ვბურტყუნებ და ამ დროს, როგორც ყოველთვის, ზურგშექცევით ვდგავარ, – თქვენი რელიგია რომ არის, ეგ თავისთავად არ ნიშნავს, რომ ჩემი რელიგიაცაა.

– რაო, რას ბრძანებ? ერთი აქეთ შემობრუნდი, ვაჟბატონო, ზრდილობა იქონიე, თვალებში მიყურე და ისე მიპასუხე.

– მე რელიგია არა მაქვს, – ვეუბნები და მისკენ მორჩილად ვტრიალდები, ასე, ერთი გრადუსით.

– ესე იგი, რელიგია არა გაქვს.

– ჰო, არ შემიძლია ეგეთი რამეები.

– სად შეძლებ ახლა შენ ასეთ რამეებს. და ისე, რატომ არა? განსაკუთრებული ჩამოსხმის ხარ, თუ როგორაა შენი საქმე? შემომხედე! განსაკუთრებული ვინმე ხარ, არა?

– ღმერთი არ მწამს.

– ჯერ ეს მუშის შარვალი გაიხადე, ალექს და კაცივით ჩაიცვი!

– მუშის შარვალი არ არის, „ლივაიზია".

– დღეს როშ ჰაშანაა, ალექს, შენ კი ქარხნის მუშის ტანსაცმელი გაცვია! წაბრძანდი, ჰალსტუხი გაიკეთე, პიჯაკი, შარვალი, სუფთა პერანგი ჩაიცვი, კაცს დაემსგავსე და ისე დაბრუნდი! და რამე მაგარლანჩიანი ფესაცმლითაც დაგვდე პატივი, ვაჟბატონო.

– მშვენიერი სუფთა პერანგი მაცვია.

– დიდ გულზე კი ხართ, მისტერ. დამიჯერე, შვილო, ჯერ თოთხმეტი წლისა ხარ და ყველაფერი არ იცი, რაც უნდა იცოდე. მოაშორე ერთი ეს მოკასინები! რა, ინდიელი გახდი?

– მისმინე, მამა. ღმერთი არ მწამს. იუდაიზმი, როგორც რელიგია, ჩემთვის არაფერს წარმოადგენს. ისევე, როგორც სხვა რელიგიები.

ყველა რელიგია ცრუა! ყველა იტყუება!

– რას მელაპარაკები! ესე იგი, ცრუა.

– ნუ გგონია, რომ თავს მოვიშტერებ, თითქოს ეს დღესასწაულები ჩემთვის რამეს ნიშნავდეს. არაფერსაც არ ნიშნავს. მორჩა, უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი.

– იქნებ იმიტომაც არ ნიშნავს შენთვის არაფერს, რომ ამ დღესასწაულებზე არაფერი იცი, ჰა? აბა, როშ ჰაშანას ისტორია თუ იცი? ერთი ფაქტი მაინც მითხარი. ან ორი ფაქტი. რა იცი ებრაელი ხალხის ისტორიიდან, რომ თავს უფლებას აძლევ, მათ რელიგიას ტყუილი უწოდო? რელიგიას, რომელიც, სხვათა შორის, შენზე ბევრად ჭკვიანი ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო – იმათთვის, ორი ათასი წლის წინ რომ ცხოვრობდნენ; შენ კი ამდენ ტანჯვასა და ტკივილს ტყუილს უწოდებ!

– ღმერთი და ეგეთი რამეები საერთოდ არ არსებობს. არც არასდროს არსებობდა. ჰოდა, დიდი ბოდიში, მაგრამ ჩემს ლექსიკონში ამას ტყუილი ჰქვია!

– მაშინ სამყარო ვინ შექმნა, ალექს? – დამცინავად მეკითხება მამაჩემი. – ისე, შეიქმნა, თავისით, არა? დარწმუნებული ვარ, ახლა მაგას მეტყვი.

– ალექს, – ამბობს ამ დროს ჩემი და, – შეიძლება სულ არ გინდა ამათთან ერთად წასვლა, მაგრამ ამწუთას ტანსაცმლის გამოცვლას გთხოვენ, მამა მხოლოდ ამას გულისხმობს...

– კი, მაგრამ რისთვის? – უკვე გავკივი, – ტანსაცმელი გამოვიცვალო იმის პატივსაცემად, ვინც არ არსებობს? ქუჩაში გავარდნას და მაწანწალა კატის ან რომელიმე ხის პატივსაცემად ტანზე გამოცვლას რატომ არ მთხოვთ – ისინი არსებობენ მაინც, სხვა თუ არაფერი!

– კითხვაზე პასუხს რატომ არ მცემ, პროფესორო, – აგრძელებს მამაჩემი, – აბა, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ! სამყარო და ადამიანები ვინ შექმნა-მეთქი? არავინ?

– სწორია! არავინ!

– გადასარევი ამბავია, – ამბობს მამა. – კიდევ კარგი, სკოლა არ დამიმთავრებია, თუ სკოლაში სიარული ტვინს ამისნაირად გამილაყებდა!

– ალექს, – მეუბნება ჩემი და ნაზად (ახლაც ასე იცის ლაპარაკი) იმიტომ, რომ ამათ უკვე ცოტათი მოტეხილი ჰყავთ, – ფეხსაცმელი რომ მაინც გამოგეცვალა...

– შენც ამათნაირად გაქვს ტვინი ნაღრძობი, ჰანა! თუ ღმერთი არ არსებობს, რა აზრი აქვს, ფეხზე რას ჩავიცვამ?

– წელიწადში ერთხელ სთხოვ ამ ბიჭს, რომ შენი ხათრით რაღაც გააკეთოს. მაშინაც დიდ გულზეა. აი, ეგ არის, ჰანა. ეგაა შენი ძმის პატივისცემა და სიყვარული...

– არა, მამიკო, სინამდვილეში კარგი ბიჭია. პატივსაც გცემს და უყვარხარ კიდეც...

– და ებრაელ ხალხზე რაღას იტყვი? – ყვირის ახლა მამაჩემი და ხელებს იქნევს, რომ ცრემლები არ წასკდეს. სიტყვა „სიყვარულის" გაგონებისას ხომ ჩვენს ოჯახში ყველა იცრემლება.

– ებრაელ ხალხს თუ სცემს პატივს, აი, ესაა საკითხავი. ალბათ ისევე სცემს პატივს, როგორც... – უცებ გონება უნათდება, ახალი, გენიალური იდეა მოსდის: – აბა, მომახსენე, თალმუდს თუ იცნობ, განათლებულო ყმაწვილო? ისტორია იცი? ერთი ბარ-მიცვასთვის მოემზადე და სულ ეგ არის შენი რელიგიური განათლება. იცი თუ არა, რომ ადამიანები ებრაელების რელიგიას ზოგჯერ მთელი ცხოვრება სწავლობენ და ამ ქვეყნიდან ისე მიდიან, რომ მასზე ბევრი არაფერი იციან? ისე როგორ მოხდა, რომ თოთხმეტი წლისა ხარ და ებრაელობა უკვე მოგბეზრებია? ერთი პატარა ამბავი მაინც თუ იცი შენი ხალხის ლამაზი ისტორიიდან? შენი ხალხისცხოვრების ტრაგიკული საგიდან?

ამას რომ ამბობს, მთელი სახე ცრემლებით აქვს დასველებული, თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით მოსდის.

– სკოლაში წარჩინებული მოსწავლეა, – განაგრძობს მამაჩემი, – მაგრამ ცხოვრებაში ისეთივე უვიცი და უგუნურია, როგორიც სიცოცხლის პირველ დღეებში იყო!

გული მიგრძნობს, ის წუთი ახლოვდება, როცა ბოლოს და ბოლოს გულისნადები უნდა ამოვთქვა! ახლა რაღაც ისეთს ვიტყვი, რაც კარგა ხანია, ვიცი.

– უვიცი მე კი არა, შენ ხარ! სწორედ უვიცი ხარ!

– ალექს! – მიყვირის ჩემი და და ხელზე მწვდება, თითქოს იმის ეშინია, რომ მამაჩემს მუშტიც არ ვგლიჯო.

– არის და რა ვქნა! ამ თავისი ხალხის სულელური საგით ხომ ტვინი წაიღო!

– ჩუმად! ხმა! ენა ჩაიგდე! – ტირის ჰანა, – ახლავე შენს ოთახში გადი!

ამ დროს მამაჩემი უკვე სამზარეულოს მაგიდისკენ მიფრატუნებს – თავჩაქინდრული, წელში ორად მოკეცილი, თითქოს მუცელში ხელყუმბარა მოხვდაო. სინამდვილეში ვესროლე კიდეც. ამას კარგად ვაცნობიერებ.

– შეგიძლია, ძონძებით იარო, ნარკომოვაჭრესავით ჩაიცვა, შეგიძლია ყოველნაირად შემარცხვინო და თავს ლაფი დამასხა. თუ გინდა, მაგინე კიდეც, ალექსანდერ, ფეხებზე დამიკიდე, ხელი დამარტყი, შემიძულე...

ასე ხდება ხოლმე. ამ დროს, როგორც წესი, დედაჩემი სამზარეულოში ტირის, მამაჩემი – დიდ ოთახში (თვალებს „ნიუარკ ნიუზის" გადაშლილი ნომრით იფარავს), ჰანა კი – სააბაზანოში. მე შუა გზაზე ვტირი, სანამ შინიდან გიჟივით გავარდნილი ქუჩის კუთხემდე, ანუ პინბოლის ავტომატამდე მივაღწევ. აი, ამ როშ ჰაშანაზე კი ყველაფერი სულ სხვანაირად ხდება. რა გგონიათ, რატომ ტირის მამაჩემი სამზარეულოში, იქ, სადაც, წესით, დედაჩემი უნდა ტიროდეს? რატომ ქვითინებს გაზეთში უმწეოდ თავჩარგული? თან ისეთი მრისხა-

ნებით, რომელიც მხოლოდ სიბრალულს იწვევს? იმიტომ, რომ დედა-ჩემი საავადმყოფოში წევს და ოპერაციის შემდეგ უკეთესობა არ ეტ-ყობა. მხოლოდ ამის გამოც ხომ შეიძლება, რომ როშ ჰაშანაზე გუ-ლისმომკვლელი მარტოობა იგრძნოს და ჩემგან თანაგრძნობას, სიყ-ვარულს და მორჩილებას ელოდეს. თუმცა ჩემი ოჯახის ისტორიის ამ მომენტში – ამაზე დანაძლევებაც შეგიძლიათ, ფულზე დანაძლევება – იმას, რაც ახლა სჭირდება, ჩემგან ვერ მიიღებს. რატომ? იმიტომ, რომ ამის გაცემა მე არაფერში მჭირდება! მიდი, ბარემ ბოლომდე დააჭირე წიხლი, ალექს, შე პატარა ნაბოზარო! ჰო, ალექსი ის პატა-რა ნაბოზარია, რომელმაც ახლა აღმოაჩინა, რომ მამამისის ყოველ-დღიური უმწეობა ერთ ფაქტს გაუათმაგებია: იმას, რომ ამ კაცის ცო-ლი (ჩემს ყურამდე ასე მოვიდა) ოპერაციას ძლივს გადაურჩა. პატა-რა ნაბოზარი ალექსი კი შანსს არ უშვებს, მამას დაწყლულებულ გულში გაყრილი დანა უფრო ღრმად არ ჩაასოს. ყოჩაღ, ალექსან-დერ, ალექსანდრე დიდი ხარ პრაქტიკულად!

რაც გულში მიტრიალებს, მოზარდის უბრალო ჟინიანობასა თუ ოიდიპოსურ მრისხანებაზე მეტია! ჩემი პიროვნების ეგრეთ წოდე-ბულ მთლიანობას ეწირება ეს კაცი! მე ხომ იმის გამკეთებელი არ ვარ, რაც ჰეშიმ გააკეთა! მთელი ბავშვობა დარწმუნებული ვიყავი: რომ ნდომებოდა, ჩემი ღონიერი ბიძაშვილი, ნიუ-ჯერსის მასშტაბით მესამე შუბისმტყორცნელი (რა სიმბოლურია ეს წოდება პატარა ბი-ჭისათვის, რომელსაც თავში მხოლოდ ტანზე მომდგარი ტრუსები უტრიალებს), ორმოცდაათი წლის ბიძაჩემს ბეჭებზე სულ იოლად დადებდა, ან იმ სარდაფის კარზე მიაბრტყელებდა. ესე იგი (სხვა რა უნდა მეფიქრა), გამოდიოდა, რომ ჰეშიმ შეგნებულად დაუთმო. ოღონდ რატომ? ხომ იცოდა – ჰეში კი არა, ბავშვი ვიყავი, მაგრამ მეც კი მივხვდი – რომ მამამისმა უკადრებელი იკადრა. რა, მოგების ეშინოდა? კი, მაგრამ რატომ? მაშინ, როცა მამამისი ასე საძაგლად მოიქცა, თანაც ჰეშის გულისათვის? რა იყო ეს – სილაჩრე? შიში? თუ რაღაც სიბრძნე იყო ამაში – ჰეშის სიბრძნე? როცა ბიძაჩემის ამ

საქციელზე ჰყვებიან ხოლმე: აი, რის გაკეთება მოუხდა, რომ შვილისთვის თვალები აეხილაო, ან როცა ამ ამბავზე მე თვითონ ვფიქრობ, ვგრძნობ, რომ მის გულისგულში საიდუმლო იმალება – რაღაც დიდი სიმართლე, რომლის მოხელთებას თუ შევძლებ, მე და მამაჩემს საბოლოო, გამანადგურებელი დაპირისპირება აგვცდება. მაინც რატომ დანებდა ჰეში? ნუთუ მეც მასავით მომიწევს დანებება? შემიძლია ეს ისე გავაკეთო, რომ ჩემს თავთან მართალი დავრჩე? მეორე მხრივ, ცდა ხომ მაინც შეიძლება? მიდი რა, შენც სცადე, შე პატარა ნაბოზარო! ცხოვრებაში ნახევარი საათი მაინც შენს თავთან მართალი ნუ იქნები!

ჰო, უნდა დავუთმო. ვალდებული ვარ, დავუთმო. მე ხომ ვიცი, რამდენის გადატანა მოუხდა მამაჩემს. ვიცი, რა გადაიტანა ათობით ათასი წუთის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ექიმებმა შეატყობინეს, რომ დედაჩემს საშვილოსნოზე რაღაც ეზრდებოდა – სანამ გაარკვევდნენ, რას წარმოადგენდა ეს წარმონაქმნი, სანამ აღმოჩნდებოდა, რომ სიმსივნე კეთილთვისებიანი იყო... მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო... ღმერთო, ერთმანეთის წინაშე ამ სიტყვის წარმოთქმაც კი არ შეგვეძლო! მთელი მისი საშინელების გააზრებით, მთლიანად ვერც კი გამოვთქვამდით და ევფემისტური შემოკლება გამოვუგონეთ, უფრო სწორად, დედაჩემმა დაგვიტოვა, სანამ გამოსაკვლევად საავადმყოფოში დაწვებოდა: „კი“. „ბ“-ს და „ო“-ს გაგონებაც არ შეგვეძლო. რა ყოჩაღი ქალია, რომ ამ ორი ასოს წარმოთქმის არ ეშინიაო – ყველა ჩვენი ნათესავი ამას ამბობდა. არადა,რამდენი ისეთი სიტყვა იყო, დაკეტილი კარის უკან ჩურჩულით რომ ვამბობდით. ცუდი სიტყვები! ცივი და საზიზღარი სიტყვები, რომლებსაც საავადმყოფოების გამოყინულ დერეფნებში დატრიალებული სპირტის სუნი ასდიოდათ – სტერილური ქირურგიული ინსტრუმენტების სუნი; ნაცხის, ბიოფსიის მსგავსი უსულგულო სიტყვები... ამავე დროს ისეთი სიტყვებიც იყო, რომლებსაც შინ მარტო ყოფნისას ლექსიკონებში ჩუმად ვეძებდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ბეჭდვითი ფორმით მეხილა

– შორეული, უცხო რეალობის არსებობის დამადასტურებელი სიტყვები: საშო, საშვილოსნო და ამათნაირები... კიდევ იყო ერთი სიტყვა, რომლის გაგონებასაც ველოდით, ველოდით, ველოდით – ამ სიტყვას ჩვენი ოჯახისთვის სიცოცხლის დაბრუნება შეეძლო – ყველაზე მშვენიერი და ყველაზე დიდებული სიცოცხლის. რაღაც ებრაულიც კი ისმოდა ამ სიტყვაში: კეთილთვისებიანი. ბარუხ ათა ადონაი, ჰქმენ სიმსივნე იგი კეთილთვისებიანი! კურთხეულ ხარ შენ, უფალო ჩვენო, ჰქმენ იგი კეთილთვისებიანი! ისმინე, ო, ისრაელ და მოიღე მოწყალება! ერთი არს უფალი, პატივი ეც მამასა და დედასა შენსა და გპირდები, გპირდები, გპირდები, პატივს ვცემ, ოღონდ ჰქმენ სიმსივნე იგი კეთილთვისებიანი!

ბოლოს მართლაც კეთილთვისებიანი გამოდგა. აი, საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე დედაჩემს პერლ ბაკის „დრაკონის თესლი" უდევს გადაშლილი და კიდევ ჯანჯაფილის ლიმონათით ნახევრად სავსე ჭიქა. ძალიან ცხელა და მეც ძალიან მწყურია, ამიტომ დედაჩემი, როგორც ყოველთვის, თითქოს ჩემს გულში იჯდაო, მეუბნება, მიდი, რაც დარჩა, დალიე, ჩემზე მეტად შენ გესიამოვნებაო... წყურვილი კი მკლავს, მაგრამ იმ ჭიქიდან დალევა, რომელსაც მისი ტუჩები ეხებოდა, ჭკუაში არ მიჯდება. ცხოვრებაში პირველად მირევს გულს ამის გაცნობიერება.

– დალიე.

– არ მწყურია.

– შეხედე, რა გაოფლილი ხარ.

– არ მწყურია.

– ოჰ, ასეთი ზრდილობიანი როდის გახდი?

– ჯანჯაფილის ლიმონათი არ მიყვარს.

– ჰოო? ჯანჯაფილის ლიმონათი არ გიყვარს?

– არა.

– ეს როდიდან?

ოჰ, ღმერთო! აი, გადარჩა დედაჩემი, ცოცხალია, ამას წყალი

აღარ გაუვა და ყველაფერი თავიდან იწყება. ცოცხალია და თავს დავდებ, რომ ამ წუთებიდან ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება.

დედაჩემი მიყვება, რომ მის სანახავად რაბინი უორსოუ მოსულა, გვერდით მოსჯდომია და ნახევარი საათი უსაუბრიათ, სანამ – ამას ჟესტებით მიჩვენებს – ქირურგის დანის ქვეშ დაწვებოდა. როგორი ყურადღება გამოუჩენია! როგორი მზრუნველობა! (წარმოიდგინეთ, ნარკოზიდან წინა დღის გამოსულია და უკვე იცის, რომ დღესასწაულზე „ლივაიზი" არ გავიხადე!). ქალი, რომელიც პალატაში მასთან ერთად წევს და რომლის მოსიყვარულე მზერასაც ვერსად ვემალები – სხვათა შორის, მისთვის აზრის გამოთქმა არავის უთხოვია – თავს უფლებას აძლევს და აცხადებს, რომ რაბინი უორსოუ მთელ ნიუარკში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი კაცია. პა-ტივ-სა-ცე-მი. ზუსტად ასე ამბობს. მარცვლები ისე ეწყობა ერთმანეთს, როგორც თავად რაბინი წარმოთქვამდა მათ შთამბეჭდავი ანგლო-მისნური მანერით. მე ამ დროს უკვე ბეისბოლის ხელთათმანზე თითებს მოუთმენლად ვაკაკუნებ, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ერთი სული მაქვს, როდის გავიქცევი, მაგრამ ვინ გიშვებს?

– ჩემს ბიჭს ბეისბოლი უყვარს, – ეუბნება დედაჩემი მისის პა-ტივ-სა-ცემ-ს, – შეუძლია, წელიწადში თორმეტი თვე ითამაშოს.

მე რაღაცას ვბუტბუტებ ლიგის პირველობაზე:

– ფინალური მატჩია. ჩემპიონი დღეს გამოვლინდება.

– კარგი, საყვარელო, – ტკბილად მეუბნება დედაჩემი, – ხომ მოხვედი, შენი ვალი მოიხადე. ახლა გაიქეცი შენს ფინალურ მატჩზე.

ხმის ტონალობით ვხვდები, რომ ბედნიერია, რადგან სექტემბრის ამ მშვენიერ საღამოს გრძნობს, რომ ცოცხალია, სიკვდილს გადარჩა. ჩემთვისაც შვება არ უნდა იყოს? ამისთვის არ ვლოცულობდი? იმ ღმერთს არ მივმართავდი და ვემუდარებოდი, რომლის არსებობაც არ მჯერა? როგორ წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა ცხოვრება, თუ დედა საჭმელს არ გაგვიკეთებდა, თუ სახლს არ დაალაგებდა, თუ...

თუ... ყველაფერს არ გაგვიკეთებდა, რაც გვჭირდებოდა! მეც ხომ ამისთვის ვლოცულობდი: რომ ოპერაცია კარგად გადაეტანა, გადარჩენილიყო, შინ დაბრუნებულიყო და ადრინდელივით ჩვენი დედიკო ყოფილიყო.

– გაიქეცი, ჩემო ბიჭუნა! – მეუბნება ღუღუნით, ალერსიანად.

ოჰ, როგორი ალერსიანია ხოლმე ხანდახან – როგორი ნაზი, კეთილი და მზრუნველი! „კანასტას" საათობით მეთამაშებოდა, როცა ავად ვიყავი და საწოლში ვიწექი, როგორც ახლა თვითონ წევს. წარმოიდგინეთ, მედდამ ჯანჯაფილის ლიმონათი მოუტანა – ქალმა ხომ სერიოზული ოპერაცია გადაიტანა – და იმასაც მე მითმობს, იმიტომ, რომ სიცხემ შემაწუხა! ჰო, ლუკმას პირიდან გამოიღებს და მე დამითმობს! მე კი ხუთი ზედმეტი წუთის გატარება არ მინდა მის საწოლთან.

– გაიქეცი, ჩემო ბიჭო, გაიქეცი! – მეუბნება დედაჩემი.

მისის პა-ტივ-სა-ცე-მი კი, რომელმაც სულ მცირე ხანში მოასწრო და ჩემს თვალში მტრად (მთელი ჩემი ცხოვრების მტრად) გადაიქცა, ენას არ აჩერებს.

– მალე დედა შინ დაბრუნდება და ყველაფერი ისევ ისე იქნება, როგორც იყო... გაიქეცი, გაიქეცი, ახლანდელები მაინც სულ სადღაც გარბიხართ... – მეუბნება კეთილი და გულისხმიერი ქალბატონი (უჰ, ყველა კეთილსა და გულისხმიერს ერთად მივახრჩობდი). – წესიერად სიარული თქვენ არ იცით. გაიქეცი. ღმერთი იყოს ჩვენი შვილების მფარველი.

მეც გავრბივარ, მაგრამ რას გავრბივარ! ალბათ სულ ორი წუთი გავატარე მის პალატაში – ჩემი ძვირფასი დროის ორი წუთი. არადა, გუშინ არ იყო, რომ ექიმებმა კაბა აუწიეს (ასეთი სურათი მედგა თვალწინ, სანამ დედაჩემმა დანა, ჰო, ისევ დანა არ გამახსენა), რაღაც საშინელი ნიჩაბი შეუყვეს და იმით გამოუღეს, რაც სხეულში ულპებოდა. შიგნეული ამოგლიჯეს და ისე გამოაცალეს, როგორც

თვითონ აცლიდა ხოლმე მკვდარ ქათმებს. მერე კი ნაგვის ყუთში ჩაუძახეს. იმ ორგანოს ადგილას, რომელშიც ოდესღაც მე ჩავისახე და ნაყოფად ყოფნისას ვიჯექი, ახლა არაფერი დარჩა. სიცარიელე! საწყალი დედა. როგორ არ შემრცხვა და გამოვექეცი, როცა წინა დღით ასეთი საშინელება გადაიტანა. თან იმ ყველაფრის მერე, რაც დედაჩემს ჩემთვის გაუკეთებია – სხვა თუ არაფერი, სიცოცხლე, თვით სიცოცხლე მაჩუქა! ამნაირი გულქვაობა როგორ გამოვიჩინე? „ოდესმე მიმატოვებ, ჩემო ბიჭუნა? მიატოვებ შენს დედიკოს?“ არასოდეს, არასოდეს, არასოდეს-მეთქი, – ვპასუხობდი ბავშვობაში... ახლა კი, ზუსტად მაშინ, როცა საავადმყოფოში გამოშიგნული წევს, დედაჩემისთვის თვალებში ვერ ჩამიხედავს! რამდენი ხანია, თვალებში ვერ ვუყურებ, სულ გავურბივარ! ღია წითური თმა ბალიშზე გრძელ კულულებად აქვს დაფენილი, რომლებიც შეიძლებოდა, აღარასოდეს მენახა. სახეზე ჭორფლი მკრთალ ვარსკვლავებად აყრია. როგორც თვითონ ამბობს, ბავშვობაში მთელი სახე დაჭორფლილი ჰქონდა – ხომ შეიძლებოდა, ეს ჭორფლიც აღარასოდეს მენახა. კიდევ რა, მისი თვალები: მუქი თაფლისფერი, არა, დაბრაწულქერქიანი თაფლაკვერის ფერის თვალები, რომლებიც ისევ გახელილი აქვს და ისევ სიყვარულით შემომცქერიან! ჯანჯაფილის ლიმონათი... მწყუროდა, წყურვილის მოსაკლავად გამომიწოდა და თავი ვერ ვაიძულე, მისი ნაპირალი დამელია!

მოკლედ, საავადმყოფოდან გავრბივარ და ერთი სული მაქვს, როდის ამოვყოფ თავს მოედანზე, მერე კი ჩემს ადგილს დავიკავებ მოედნის ცენტრში. იმ გუნდში ვთამაშობ, რომლის წევრებსაც ცისფეროქროსფერი სრიალა ფორმები აცვიათ, ზურგის მთელ სიგანეზე კი „შეაბეეშ, ა. ჩ.“ აწერიათ. ღმერთო მაღალო, მადლობა ამ „შეაბეეშ, ა. ჩ.“-სთვის! გმადლობ, რომ ცენტრალური მოთამაშის პოზიცია მარგუნე! ექიმო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს მოედნის შუაგულში დგომა, როგორი დიდებული შეგრძნებაა, როცა ამხელა სივრცეში სულ მარტო ხარ... გესმით საერთოდ ბეისბოლი? ამას იმიტომ

ვამბობ, რომცენტრალური ბაზა საგუშაგო კოშკივითაა, საიდანაც ყველას და ყველაფერს ხედავ და როცა მოედანზე რაღაც ხდება, სხვებისგან განსხვავებით, ამას იმავე წამს იგებ და არა მაშინ, როცა ვიღაცა ბურთს კეტს შემოსცხებს და შენამდე დარტყმის ხმა მოაღწევს. როცა ბურთი დანარჩენებისკენ მიფრინავს და მის დაჭერას ვერავინ ახერხებს, შენ მაშინვე ყვირი: „ჩემია, ჩემი" და დასაჭერად გარბიხარ. თუ ცენტრალური მოთამაშე ხარ და თვალი გიჭრის, თუ ბურთს დროულად ამჩნევ და თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ, ის ბურთი მართლაც შენი იქნება. ღმერთო, როგორ არ ჰგავდა აქ, მოედნის ცენტრში დგომა ჩემს სახლში ყოფნას, სადაც „ჩემი, მხოლოდ ჩემი" არაფერი იყო და რამდენიც არ უნდა გეძახა, კერძოს და პირადს არავინ არაფერს გიტოვებდა.

სამწუხაროდ, სკოლის ბეისბოლის ნაკრებში ვერ მოვხვდი – მეტისმეტად დაძაბული და მონდომებული ვიყავი, ახალი მოთამაშეების შესარჩევ თამაშებში ბევრი ბურთი გავუშვი. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მწვრთნელმა განზე გამიყვანა და დამცინავი გამომეტყველებით მკითხა, შვილო, დარწმუნებული ხარ, რომ სათვალე არ გჭირდებაო? არადა, როგორ ფორმაში ვიყავი! როგორი სტილი მქონდა! დაბალ ლიგაში, სადაც თამაში უფრო ნელა მიმდინარეობდა და ბურთიც უფრო დიდი იყო, ისეთი ვარსკვლავი გავხდი, როგორიც მთელი სკოლის მასშტაბით მინდოდა, ვყოფილიყავი. რა თქმა უნდა, მეტისმეტი მონდომების გამო ბურთს იქაც ვუშვებდი, მაგრამ როცა დარტყმას არ ვაცდენდი, ბურთი ისე შორს მიფრინავდა, ექიმო, რომ ბევრჯერ ღობესაც გადასცდენია. ბეისბოლში ამას „ჰოუმრანს" ეძახიან. ვერ წარმოიდგენთ, რა სიამოვნებაა მეორე ბაზაზე მსუბუქად გადარბენა – ამას ვერაფერი შეედრება, ექიმო. აჩქარების მიზეზი აღარ გაქვს, იმიტომ რომ ბურთი, რომელსაც კეტი იმწუთას გლიჯე, უკვე შორს მიფრინავს და თვალს ეფარება. ცენტრში თამაშისას რაც უფრო სწრაფად მოძრაობ, თავს მით უფრო

უკეთესად გრძნობ. „მე ვიღებ ბურთს! ჩემია! ჩემია! " – ყვირი, მეორე ბაზისკენ თავაწყვეტილი გარბიხარ და ცდილობ, ბალახიდან ერთი დუიმის სიმაღლეზე, ხელთათმანში მოიქციო ბურთი, რომელიც დაბლა-დაბლა მოფრინავდა და სადაც იყო, ბაზაში მოხვდებოდა... ან, პირიქით, უკან-უკან იხევ, ისევ „ჩემია-ჩემია"-ს გაჰყვირი და თან მსუბუქად, ელეგანტურად, შენელებული მოძრაობებით უახლოვდები ღობის ბადეს. სადაცაა, ზურგს მიაბჯენ. მერე კი შენში დამჭერის ინსტინქტი იღვიძებს და ამას დიმეჯიოსავით დამუღამებულად აკეთებ, თითქოს ზეციური ნიჭი გქონდეს მომადლებული – ბურთს ზედ მხარს ზემოთ იჭერ. რა შეგრძნებაა: გარბიხარ, ტრიალდები! ხტები! პატარა ელ ჯონფრიდო ხარ – ამ ბეისბოლისტმა, ექიმო, ერთხელ მინდორზე წარმოუდგენელი რამე გააკეთა... ან მშვიდად დგახარ შენთვის, სრულიად უშფოთველად და აუღელვებლად – მზის გულზე დგახარ (და მის სხივებში ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ მარტო ხარ იმ მოედანზე, ან,უბრალოდ, შენი ქუჩის კუთხეში დროს კლავ), ჰო, დგახარ ამ სინათლეში და ყველაფერი ფეხებზე გკიდია, მეფეთმეფე ხარ, უფალი ღმერთი, თვით დიადი დიუკი (დიუკ სნაიდერი, დაიხსომეთ ეს სახელი, ექიმო, ალბათ კიდევ ვახსენებ); დგახარ ისეთი ლაღი და არხეინი, ისეთი ბედნიერი, როგორიც სხვა დროს ვერა ხარ ხოლმე და ელოდები, როდის გაგისწორდება მაღლა-მაღლა წამოსული ბურთი და (ამ დროს რეი ბარბერი მიკროფონში ამბობს: „მაღალი ბურთია", „ზედ ალექსის თავზეა", „ზედ მის თავზეა") პირდაპირ ზემოთ აწეულ ხელთათმანში შეგიფრინდება. და მართლაც, ჰოპაა, ბურთს მოხდენილად ვიჭერ („ალექსმა ბურთი დაიჭირა, ბავშვებო..."). მაშინვე ადგილს ვწყდები, ბურთი უხელთათმანო მარცხენა ხელის ხუთივე თითით მიჭირავს და როცა მეორე ბაზის გარბენით მოედნის ცენტრს ვაღწევ, მას მოწინააღმდეგეს ვაწვდი – ისე მსუბუქად და მოქნილად, რომ მაჯას ძალაც არ ადგება. მერე კი მოქნილი მოძრაობებით, მხრების თამაშით, ხტუნვა-ხტუნვით უკან ვბრუნდები, თავს ვაქნევ, მუხლებში ვიხრები და ვიშლები

– ერთი სიტყვით, დიდ დიუკ სნაიდერს ბრწყინვალედ ვასახიერებ. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერებას მანიჭებდა თამაშის დროს უშფოთველობისა და სილაღის განცდა! ჩემს კუნთებს, მყესებს, სახსრებს და ხრტილებს დღემდე ახსოვთ თითოეული მოძრაობა – ყოველი დახრა ძირს დავარდნილი ხელთათმანის ასაღებად, მატჩის მერე კი მისი განზე მოსროლა; ახსოვთ, როგორ შეიგრძნობს ხელი კეტის სიმძიმეს, როგორ გიჭირავს ის თამაშის დროს, როგორ იქნევ, როცა დასარტყმელად ემზადები, როგორ სწევ მას თავს ზემოთ, მერე კი მხრებს ქვემოთ უშვებ და კისერს ადუნებ, სანამ თამაშში ისევ ჩაებმები; ახსოვთ დანიშნულ ადგილას დგომა და ბურთის მოგერიება, ან კეტის ცუდად მოქნევა, რის შემდეგაც სათამაშო მოედანს ტოვებ და სწორედ ამ კეტის მიწაზე მსუბუქად დაკაკუნებით იმ ძალებს უწყრები, რომლებმაც... ჰო, ყველა დეტალი ისე კარგად ვისწავლე, ისე გავიწაფე, რომ როგორი სიტუაცია უნდა შექმნილიყო თამაშის დროს, რომ არ მცოდნოდა, რა, როგორ და როდის გამეკეთებინა, მეთქვა ან უთქმელად დამეტოვებინა. ჰოდა, ექიმო – დაუჯერებლად ჩანს, მაგრამ სიმართლეა – ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში ისეთივე ლაღები და თავდაჯერებულები არიან, ყველაფერს ისე მარტივად და მსუბუქად უყურებენ, როგორც მე – „შეაბეეშ, ა. ჩ.“-ს შემადგენლობაში თამაშისას? ხომ ხვდებით, მოედნის ცენტრში საუკეთესო მოთამაშე არ ვყოფილვარ, უბრალოდ, ზუსტად ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ზოგიერთი კი ქუჩაშიც ამ შეგრძნებით გამოდის, გესმით? აშშ-ის ქუჩებში. ჰოდა, გეკითხებით: რატომ არ ვარ ერთი მათგანი? რატომ არ შემიძლია, ისე ძალდაუტანებლად ვიცხოვრო, როგორც მაშინ, როცა „შეაბეეშ, ა. ჩ.“-ს შემადგენლობაში ცენტრფილდერი ვიყავი? ოჰ, ნეტავ ახლაც მოედნის ცენტრში ვთამაშობდე – ცხოვრებაში სხვას არაფერს ვინატრებდი!

თუმცა მე ხომ მეტი ვარ – ყოველ შემთხვევაში, ასე მეუბნებიან. ებრაელი, იუდეველი. არა! ვყვირი ასეთ დროს. არა! იუდეველი კი

არა, ათეისტი ვარ! სადაც რელიგიაა, იქ მე აღარ ვარ და ამიტომ არავის ეგონოს, რომ თავს მოვიკატუნებ და იმად გავასაღებ, რაც არ ვარ! სულ არ მაინტერესებს, როგორ უჭირს, რა მარტოდ გრძნობს თავს მამაჩემი – რაცა ვარ, ეგა ვარ, არც მეტი, არც ნაკლები. ბოდიში მომითხოვია და ჩემი ღალატი როგორღაც უნდა მოინელოს! ცალ ფეხზე მკიდია, დაგვაახლოვა თუ ვერ დაგვაახლოვა დედაჩემის ავადმყოფობამ – სიმართლე გითხრათ, ახლა იმაშიც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ დიაგნოზი ამდენად სერიოზული იყო და სიტუაციის დრამატიზება არ მომხდარა, რათა ჩემი სიჯიუტე რამენაირად მოეტეხათ – შევშინებულიყავი, თავი დამეხარა და ისევ მორჩილი და უსუსური ბიჭუნა გავმხდარიყავი. ის ამბავი კი, ნიუარკის ყველაზე პა-ტივ-სა-ცემ-მა ადამიანმა დედაჩემის სასთუმალთან „მთელი ნახევარი საათი" რომ გაატარა, არც ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ არგუმენტად გამომადგება, არც ებრაელების კეთილშობილებისა და სიქველის საბუთად. შარდიანი ღამის ქოთანი რომ დაეცალა, საჭმელი რომ ხელით შეეჭმევინებინა, კიდევ ვიფიქრებდი რამეს, მაგრამ რა? მოვიდა, ნახევარი საათით დაუჯდა და წავიდა. სულ ეგ იყო? სხვა რა უნდა ექნა, დედა? ეს კაცი ცხოვრებისგან დათრგუნულ, შეშინებულ ადამიანებს ლამაზ-ლამაზი ბანალური სისულელეებით უმასპინძლდება – ამ საქმეში ისევე აქვს ჭიპი მოჭრილი, როგორც მე – ბეისბოლის თამაშში! ჰო, იმას ეს თამაში უყვარს! რატომაც არ უნდა უყვარდეს? დედა, რაბინი უორსოუ ერთი ღიპიანი, გაბღენძილი, უსულგულო აფერისტია, საკუთარი უპირატესობის განცდა სახეზე აწერია. დიკენსის რომელიღაც პერსონაჟია. კაცი, რომლის გვერდით ავტობუსში დგომა რომ მოგიწიოს და არ იცოდე, როგორი „პატივსაცემი" პიროვნებაა, გაცლა მოგინდება, ისე ყარს სიგარეტის სუნით. სხვა შთაბეჭდილებას უცხო ადამიანზე ეგ ვერ მოახდენს. სადღაც გაუგონია, რომ ინგლისურ ენაში შინაარსის შემცველი უმცირესი ერთეული მარცვალია და მას მერე ყველანაირ

აზრს დამარცვლით გამოთქვამს! ყველა სიტყვას, მათ შორის „ღმერ-თსაც“ სამ მარცვლად ჰყოფს. „ისრაელს“ როგორ წელავს? მისთვის ეს იმსიგრძე სიტყვაა, რამსიგრძეც „რეფრიჟერატორი“! ჩემი ბარ-მიცვა გახსოვს? გახსოვს, რა დღეში იყო ალექსანდერ პორტნოის ბარ-მიცვაზე? არ მესმის, დედა, ჩემი სახელის შემოკლებით წარმოთ-ქმა არ შეეძლო? როგორ არ შეეძლო, მაგრამ იქ მყოფ იდიოტებზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილს ვერ შეელია! თან დამარ-ცვლით რომ წარმოთქვამდა! გამოსდის კიდეც! რასაც უნდა, იმას აღწევს! ნუთუ არ გესმის, რომ მაგ კაცს პურს სინაგოგა აჭმევს,სი-ნაგოგა მაგისთვის სამსახურია და მეტი არაფერი! ჰოდა, სავაადმყო-ფოში მწოლიარე, სიკვდილის შიშით აკანკალებულ ავადმყოფებს – სიკვდილი ხომ ამის ბიზნესია, ზუსტად ისეთივე ბიზნესი, როგორიც მამაჩემისთვის სიცოცხლის დაზღვევაა – გვერდით რატომ ვერ და-უჯდება და ცხოვრებაზე დამტკბარი ენით (დამარცვლით!) რატომ ვერ დაელაპარაკება? ამ ცხოვრებაში ყველანი იმას ვაკეთებთ, რაც თავს გაგვატანინებს და თუ მაინცდამაინც ვინმეს უნდა ეთაყვანო, მამაჩემს ეთაყვანე, ამის დედა ვატირე. ქედი ისე მოუხარე, როგორც მაგ სქელ ნაბიჭვარ მასხარას უხრი. მამაჩემი მართლა მუშაობს, წე-ლებზე ფეხს იდგამს და თავში აზრად არ მოსდის, რომ ღმერთის წარ-გზავნილია, ადამიანთან მისი გარიგების მეწილე და ამ საქმეში მისი შემწე. და ამ დედამოტყნული მარცვლებითაც არ გელაპარაკება! „მინ-და, სი-ნა-გო-გა-ში თქვე-ნი მოს-ვლით გა-მოწ-ვე-ული სი-ხა-რუ-ლი გა-მოვ-ხა-ტო“. ღმერთო ჩემო! ღმერთო, თუ მართლა გინდა, ჩვენი მადლი მოისხა, ერთი ამისი გაწელილი მეტყველება მოგვაშო-რე! და თვითონ რაბინებიც მოგვაშორე! მისმინე, მთლიანად რელი-გია რომ მოგვაშორო, ჩვენი ადამიანური ღირსების დაცვის ამბავში, არ გამოვა? კეთილო ღმერთო და შენც, დედაჩემო, მთელმა მსოფ-ლიომ გაიგო უკვე ეს ამბავი, თქვენ რატომ არ გინდათ, თავში შეუშ-ვათ? რელიგია ხალხის ოპიუმია! თუ ეს რწმენა თოთხმეტი წლის ბიჭს თქვენს თვალში კომუნისტად მაქცევს, რა ვქნათ, ეგრე იყოს!

კომუნისტი ვარ და ამით ვამაყობ! არ მირჩევნია, კომუნისტი ვიყო რუსეთში, ვიდრე ებრაელი სინაგოგაში? მამაჩემსაც, აი, ასე ვეტყვი, პირდაპირ ვაჯახებ! ვიცი, რითიც დამთავრდება ეს ამბავი.მუცელში ნასროლი მორიგი ხელყუმბარა აღმოჩნდება (დიდი ეჭვი მაქვს), მაგრამ, დიდი ბოდიში, მე ადამიანის უფლებების მწამს – უფლებების, რომლებიც საბჭოთა კავშირში ყველა ადამიანს აქვს, რასობრივი, რელიგიური თუ ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. ჰო, უნდა ვაღიარო: სწორედ ჩემი კომუნისტობის გამო მოვითხოვ, რომ დამლაგებელთან ერთად მასადილო, როცა ორშაბათობით სახლში მოვდივარ და ის კიდევ შინ მხვდება. ჰო, დედა, ამ ქალთან ერთად მასადილე – ერთ მაგიდასთან დაგვსხი, ერთი და იგივე საჭმელი გვაჭამე! გასაგებია? თუ წინა დღის ჩაშუშულ ხორცს მაჭმევ, მანაც ჩაშუშული ხორცი უნდა ჭამოს და არა მუნსტერი და თინუსი შუშის თეფშიდან, რომელიც მისი ნერწყვის ბაქტერიებს არ შეიწოვს! არა, არა, დედაჩემს აშკარად არაფერი ესმის. აშკარად ძალიან უცნაურად ეჩვენება. „როგორ, შვარცესთან ერთად გასადილებ? რას ლაპარაკობ... – მეჩურჩულება დერეფანში, როცა სკოლიდან ვბრუნდები, – მოიცადე, ის გოგო ჭამას დაამთავრებს და რამდენიმე წუთში დაგსვამ...“ მე კი არ ვაპირებ, რომელიმე ადამიანს (ოჯახის წევრები არ ითვლება!) ისე მოვექცე, თითქოს ჩემზე მდაბალი არსება იყოს! არ შეგიძლიათ, ადამიანთა თანასწორობის პრინციპები ცოტათი მაინც შეუშვათ თავებში? და იცი რა, აი, ეგ რასისტი ჩემი თანდასწრებით ერთხელაც თუ იტყვის სიტყვას „ზანგი“, იცოდე, ფანატიკოსი ებრაელის დარდიან გულში ნამდვილ ხანჯალს გავუყრი! გასაგებად ვამბობ? იმედი მაქვს. არ მაინტერესებს არაფერი. მერე რა, რომ სამსახურიდან დაბრუნებულს შავკანიანებთან ურთიერთობის მერე ტანსაცმელი ისე უყარს, რომ გასანიავებლად სარდაფში ჰკიდებ. ფეხებზე მკიდია, რომ მაგ ხალხს და მაგათ სადაზღვევო დავალიანებას ჭკუიდან გადაჰყავს. მერე რა? ეგ ხომ კიდევ ერთი მიზეზია, რომ ამ ხალხისადმი თანაგრძნობის განცდა გაგიჩნდეს და დამლაგებელს ისე

არ მოეპყრო, თითქოს სახედარი იყოს, რომელსაც ადამიანური ღირსების განცდა საერთოდ არა აქვს. სხვათა შორის, ეს გოებსაც ეხება! ყველას ჩვენსავით ხომ არ გაუმართლებდა: ყველა ებრაელად ხომ ვერ გაჩნდებოდა ამ ქვეყანაზე! ამიტომ, მოდი, ჩვენზე უიღბლოებს ცოტა შეღავათი გავუწიოთ, კარგი? იმიტომ, რომ უკვე ძალიან დავიღალე და გული მერევა: ეს გოურია, ის გოებისაა! თუ რამე არ ვარგა, გოებისაა და რაც კარგია, ებრაელებისაა! ნუთუ ვერ ხვდებით, ჩემო ძვირფასო მშობლებო, რომელთა წიაღიდანაც ოდესღაც ვიშვი, რომ ასე მხოლოდ ბარბაროსები აზროვნებენ? რომ ეს ყველაფერი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შეშინებულები ხართ? სულ პირველად დღის და ღამის, ცხელისა და ცივის განსხვავება კი არ მასწავლეთ, არამედ გოურისა და ებრაულის! თუმცა ახლა ირკვევა, ძვირფასო მშობლებო, ნათესავებო, ახლობლებო და მეგობრებო, ჩემი პირველი ბარ-მიცვას აღსანიშნავად შეკრებილო ხალხო, რომ ყველანი შმუკები ხართ! გონებაჩლუნგი შმუკები! ღმერთო, როგორ მძულხართ მაგ თქვენი სიჩლუნგისთვის, მაგ ებრაული გონებაშეზღუდულობისთვის! თქვენც, მარცვლებით მეტყველო რაბინო, იცოდეთ, რომ ბოლოჯერ გეგზავნებით კუთხის მაღაზიაში „პელ მელის" საყიდლად და თუ თქვენთვის ჯერ არავის უთქვამს, პირველი მოგახსენებთ, რომ ყარხართ! როგორც ირკვევა, ადამიანის სიცოცხლე ცოტა უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე თქვენ გგონიათ, და თქვენს ამაზრზენ, უსარგებლო კატეგორიებში ვერ თავსდება! ჰოდა, იმის გამო კი ნუ ღვრით ცრემლებს, რომ თოთხმეტი წლის ბიჭი ამ კატეგორიებით აზროვნებასა და სინაგოგაში სიარულზე უარს ამბობს და თავისი ხალხის ტრაგიკულ საგაზე ცრემლებს არ ღვრის – საკუთარი პათეტიკური იდიოტიზმი დაიტირეთ! ამას რატომ არ აკეთებთ, მარტო თქვენი რელიგიიდან გამოწურული მჟავე ძმრით რომ სკდებით? ებრაელი ებრაელი ებრაელი ებრაელი ებრაელი ებრაელი! უკვე ყურებიდან გადმომდის ტანჯული ებრაელობის საგა! მიდი რა, ჩემო ხალხო, ეგ შენი ტანჯვით სავსე წარსული მაგ ნატანჯ ტრაკში შეიტენე –

მეც ადამიანი ვარ!

– ჰო, მაგრამ მაინც ებრაელი რომ ხარ? – მეუბნება ჩემი და. – ერთი ჩვეულებრივი ებრაელი ბიჭი ხარ – ვერც კი წარმოიდგენ, იმდენად ჩვეულებრივი... რასაც შენ აკეთებ, წყლის ნაყვაა, მეტი არაფერი.

ცრემლით დაბინდული თვალებით ვხედავ: ჩემი და ჩემს საწოლზე ჩამომჯდარა და მოთმინებით მიხსნის, თუ რატომ აღმოვჩნდი ასეთ მძიმე დღეში. მე თუ თოთხმეტის ვარ, ჩემი და თვრამეტი წლისაა – ნიუარკის პედაგოგიური კოლეჯის პირველი კურსის სტუდენტია; ფერმკრთალი სახე აქვს და სხეულის ყველა ფორიდან მელანქოლია გადმოსდის. ხანდახან თავისნაირ შეუხედავ ედნა ტეპერთან ერთად (რომელსაც ახლა პატარა რეკომენდაციას გავუწევ: ჩემი თავისხელა ჯიქნები აბია!) ნიუარკის მეორე ბოლოში ხალხური ცეკვის წრეზე დადის. ზაფხულში ჰანა ებრაული ცენტრის ბანაკში ხელგარჯილობის მასწავლებლად აპირებს მუშაობას. ერთხელ კითხვის დროს წავადექი თავზე. წიგნს რბილი მომწვანო ყდა ჰქონდა და „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას" ერქვა. აი, სულ ეს არის, რაც ჩემი დის შესახებ ვიცი. ჰო, რა თქმა უნდა, კარგად ვიცი, რა ზომისაა მისი ლიფები თუტრუსები და რა სუნი აქვთ. ვაიმე, რა შენძრეულობის წლები მაქვს გამოვლილი! გამოვლილი? დასრულდება ეგ წლები ოდესმე? მიახლოებით მაინც ვერ მეტყვით, ექიმო? მითხარით, როდის განვიკურნები ამ სენისგან!

– იცი, ახლა სად იქნებოდი, ევროპაში რომ დაბადებულიყავი და არა ამერიკაში? – მეკითხება ჩემი და.

– ამწუთას ეგ არაფერ შუაშია, ჰანა.

– მკვდარი იქნებოდი.

– ამწუთას ეგ არაფერ შუაშია!

– მკვდარი იქნებოდი. გაზის კამერაში გაგგუდავდნენ, დაგხვრეტდნენ, ჩამოგახრჩობდნენ ან ცოცხლად დაგწვავდნენ. ამდენს ვერ ხვდები? აი, იქ გეყვირა, ებრაელი არა ვარ, უპირველეს ყოვლისა,

ადამიანი ვარ, ებრაელობის მრავალსაუკუნოვანი ტანჯვის არაფერი გამეგება და ეგ იდიოტობა მე სულ არ მეხებაო. მაინც მიგასაღებ-დნენ. შენც მოგკლავდნენ, მეც...

– მე ხომ ახლა მაგაზე არ ვლაპარაკობ!

– დედასაც მოკლავდნენ, მამასაც მოკლავდნენ.

– ამიხსენი, რატომ ხარ სულ მაგათ მხარეზე?

– არავის მხარეზე არ ვარ, – მეუბნება ჩემი და, – მარტო იმას ვამ-ბობ, რომ მამა სულაც არ არის ისეთი უვიცი, შენ რომ გგონია.

სხვათა შორის, უვიცი არც ჰანა გახლავთ! დარწმუნებული ვარ, ნაცისტები მართლაც ჩაიდენდნენ იმ ყველაფერს, რასაც ამბობს, თან ასე ჭკვიანურად და აზრიანად. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ნა-ცისტების ბრალია, რაც ჩვენს ოჯახში ხდება!

– ეჰ, არ ვიცი, – ამბობს ჩემი და, – შეიძლება მართალიც ხარ.

ახლა ჰანაც ტირილს იწყებს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ურჩხუ-ლად ვგრძნობ თავს: ჰანას ცრემლები ექვსი მილიონი ებრაელისთვის დაღვრილი ცრემლებია, მე კი მარტო საკუთარ თავს დავტირი ხოლ-მე. ან შეიძლება მხოლოდ მეჩვენება ასე.

მუტლის გიჟი

ის არ მომიყოლია, თხუთმეტი წლის ასაკში ნიუ-იორკიდან მომავალ 107 ავტობუსში რომ ამოვიღე და დავანძრიე?

ჩემმა დამ და მისმა საქმრომ, მორტი ფეიბიშმა გადასარევი დღე მომიწყვეს – ჯერ ბეისბოლის ორი მატჩი ვნახე „ებეტს ფილდზე", მერე კი „შიფსჰედ ბეიში" ზღვის პროდუქტებით ვისადილეთ. ჰანა და მორტი იმ ღამით მორტის მშობლებთან, ფლეტბუშში უნდა დარჩენილიყვნენ, ამიტომ ათი საათისთვის მანჰეტენისკენ მიმავალ მეტროს მატარებელში ჩამსვეს. მანჰეტენზე ნიუ-ჯერსის ავტობუსში გადავჯექი, რომელშიც ბოლოს მოვლენები ისე განვითარდა, რომ ხელში მხოლოდ ჩემი ასო კი არა, რომ დავფიქრდე, საკუთარი ცხოვრებაც მოვიგდე. მგზავრების უმრავლესობამ მანამდე ჩათვლიმა, სანამ ავტობუსი ლინკოლნის გვირაბიდან გამოვიდოდა. ეძინა ჩემ გვერდით მჯდომ გოგოსაც, რომლის ნაკეცებიან შოტლანდიურ ქვედაკაბასაც ველვეტის შარვლით მივეკარი. იმ დროს კი, როცა ასო ამოვიღე და მუშტში მოვიქციე, უკვე პულასკის ავტოსტრადაზე მივსრიალებდით.

ალბათ გგონიათ, რომ იმ კარგი დღის შთაბეჭდილებებით აღ-ფრთოვანებული უნდა ვყოფილიყავი და ღამით შინისკენ მიმავალს საკუთარი ასო არც უნდა გამხსენებოდა. ჩვენმა ახალმა ქეჩერმა, ბრიუს ედვარდსმა, რომელიც იუნიორების ლიგიდან გადმოვიდა (ზუსტად ის ბიჭი იყო, ჩვენ რომ გვჭირდებოდა – მორტის, ჩემს თავს და „დოჯერის" მენეჯერ ბარტ შოტონს ვგულისხმობ), პირველ ორ გეიმში რვიდან ექვსი ბურთი დაიჭირა (თუ ფარილო იყო, აღარ მახ-სოვს... მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს. რა სიგიჟეა ხალხში ამოღება და დანძრევა, არა? წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ვინმე თავზე რომ წამომდგომოდა! ან ძალიან რომ გამეტია და მძინარე შიკსეს გა-რუჯული მკლავისკენ გამესხა!). ერთი ეგ მოხდა იმ დღეს და კიდევ ის, რომ მორტიმ რესტორანში ჩემთვის ასთაკვი შეუკვეთა. ეს პირ-ველი ასთაკვი იყო ჩემს ცხოვრებაში.

არ ვიცი, შეიძლება, ასთაკვმა მიქნა, რაც მიქნა. ამ ებრაული ტა-ბუს ასე იოლად დარღვევამ, ალბათ, ჩემი ბუნების საძაგელი, თვით-განადგურებისკენ მიმართული, დიონისური მხარე გააღვიძა. შესა-ნიშნავი გაკვეთილი მივიღე: თუ გინდა, რომ კანონი დაარღვიო, უნ-და ადგე და დაარღვიო! არ უნდა იკანკალო, შიშით არ უნდა იძაგძა-გო, ყველაფერი, რაც აქამდე წარმოუდგენელი გეგონა, უკან უნდა მოიტოვო და უბრალოდ, ის უნდა გააკეთო, რაც გინდა! აბა, სხვა რა აზრი უნდა იდოს, გეკითხებით, ამ აკრძალვებსა და კვების დადგე-ნილ წესებში, თუ არა ჩვენი, ებრაელი ბავშვების შეჩვევა იმ აზრთან, რომ მუდმივად დათრგუნულები უნდა ვიყოთ? პრაქტიკა, ჩემო ძვირფასო, პრაქტიკა, პრაქტიკა და ისევ პრაქტიკა! დაჩაგრულობის კომპლექსს ხე კი არ ისხამს – მის გამომუშავებას მოთმინება, ყურად-ღების კონცენტრაცია, თავდადებული მშობლისა და ბეჯითი, მონ-დომებული ბავშვის ძალისხმევა სჭირდება. რამდენიმე წელიწადში აწურულ და გულჩათხრობილ ადამიანს სხვაგვარად ვერ მივიღებთ. აბა, რა საჭიროა სადილის ორი სერვიზი? რა საჭიროა კოშერული საპონი და მარილი? სხვა რა მიზეზით უნდა ახსენებდნენ ადამიანს

დღეში სამჯერ, რომ ცხოვრება შეზღუდვებისა და აკრძალვებისგან შედგება – ასობით ათასი პატარ-პატარა წესისაგან, რომლებიც ვიღაცამ კი არა, ვიღაცის ვიღაცამ მოიგონა და რომლებსაც ან უსიტყვოდ ემორჩილები, როგორ იდიოტურადაც არ უნდა გეჩვენებოდეს (და რაკი მაინც ემორჩილები, ღვთის მადლიც გადმოდის შენზე), ან დადგენილ ზღვარს გადადიხარ, უმეტესწილად, საღი აზრის კარნახით. ამ წესებს იმიტომ არღვევ, რომ ბავშვსაც კი არ უნდა, თავს ყოველთვის შმუკად გრძნობდეს. ჰო, მათ კი არღვევ, მაგრამ დიდი ალბათობაა (როგორც მამაჩემი ირწმუნება), რომ მომდევნო იომ-ქიფურისდადგომისას დიდ წიგნში, სადაც იმათი სახელებია ჩაწერილი, ვისაც მომდევნო სექტემბრამდე სიცოცხლე უწერიათ (ეს სურათი ღრმად ჩამებეჭდა წარმოსახვაში), კურთხეულ სახელებს შორის შენი ძვირფასი სახელი არ იყოს. აბა, ვინ არის შმუკი სინამდვილეში? თანაც სულერთია (ამას თავიდანვე ვხვდები: ვიცი ამ ღმერთის ჩვევები), რამდენად მნიშვნელოვანია ან უმნიშვნელო ის წესი, რომელსაც არღვევ: თავად დარღვევის ფაქტია ისეთი რამე, რასაც ის ვერ იტანს, ვერ ინელებს და ვერ ივიწყებს. ამიტომ გაავებული ჯდება (ამ დროს, ალბათ, ყველაფერი აღიზიანებს და თან თავი საშინლად სტკივა, როგორც მამაჩემს ემართება ხოლმე შეკრულობისას) და თავისი წიგნიდან სახელების ამოშლას იწყებს.

თუ ადამიანმა მოვალეობის გრძნობა, დისციპლინა და მორჩილების უნარი დაკარგა, ყველაფერი შეიძლება ჩაიდინოს – აი, ის შეგონება, რომელსაც ყოველ პასექზე დედაჩემისგან მაცასთან ერთად ვიღებ. თვითგვემა და მხოლოდ თვითგვემა! – მომძახის დედაჩემის კოშერული, სისხლგამოწურული სტეიკი, რომელსაც მთელი ოჯახი სადილად მივირთმევთ. თვითკონტროლი, სიფრთხილე, სადამსჯელო სანქციები – ასეთია გასაღები, რომელიც ცხოვრების კარს გიღებს, თუ კვების ამ უსასრულო წესებს დაუჯერებ. გოებს თუ უნდათ, ყველაფერი პირში ჩაიდონ, რაც კი დედამიწის ტურტლიან ზურგზე ხოხავს და ღრუტუნებს, ჩვენ ჩვენს ადამიანობას ასე ვერ წავბილწავთ.

მაგათ (ხომ ხვდებით, ვისაც ვგულისხმობ) შეუძლიათ, ყველაფერი ხეთქონ, რაც კი მოძრაობს – ყველაზე საშინელი და გულისამრევი ცხოველები, ყველაზე მახინჯი და საძაგელი არსებები. გველთევზას, ბაყაყს, ღორს, კიბორჩხალას და ასთაკვს ნუ დაიკლებენ; ყვავი და ძერა ჭამოს მაგათმა პირმა – მაიმუნის ხორცი და თუ უნდათ, სკუნსიც. ეგსაძაგელი საკვები ეკუთვნის მდაბალ მოდგმას, რომელიც იმდენად თავცარიელი და დაცემულია, რომ ყველაფერი შეუძლია იკადროს: დალევა, განქორწინება და მუშტებით ჩხუბიც კი. მხოლოდ ის იციან ამ სულელებმა, განურჩევლად ყველაფრის მჭამელებმა, რომ ცხვირი ასწიონ, შეურაცხყოფა მოგაყენონ, მწარედ დაგცინონ და ადრე თუ გვიან დაგარტყან. ოჰ, კიდევ ტყეში თოფებით სირბილი და უდანაშაულო ირმების ხოცვა იციან – იმ ირმების, რომლებიც მშვიდად ძოვენ ბალახს, ჭამენ კენკრას და არავის აწუხებენ. გამოტვინებულო გოებო! ლუდით რომ აყროლდებით, ტყვია-წამალს რომ დაცლით და შინ დაბრუნებას დააპირებთ, იმ საცოდავ ცხოველს კი (რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ცოცხალი იყო) მანქანას ზედ დააკრავთ, რათა გზაზე ყველა მძღოლმა დაინახოს, რა ღონიერი მამრები ხართ; მერე სახლებში რომ მიბრძანდებით, მოჰკიდებთ ხელს იმ ირემს – რომელსაც, სანამ ბუნებაში წყნარად ძოვდა, კაციშვილისთვის არაფერი დაუშავებია – ნაჭერ-ნაჭერ აქნით, ქვაბში ჩაყრით და მოხარშავთ. ამქვეყნად საჭმელი დაილია, რომ ადამიანმა ირმის ხორცი არ ჭამოს? არა, ესენი ყველაფერს შეჭამენ, რასაც ამ გოურ ტორებში მოიგდებენ! აი, საშინელი დასკვნაც: ეს ყველაფრის მკადრებელი ხალხია! ირემი მხოლოდ იმას ჭამს, რასაც ირმები ჭამენ, ებრაელიც იმას ჭამს, რასაც ებრაელები ჭამენ და არა ეს გოები! მხოხავი ცხოველები, ტალახში ჩაწოლილი ცხოველები, მოხტუნავე ცხოველები თუ სულაც ანგელოზური არსებები – ამათთვის მნიშვნელობა არ აქვს, რაც თვალში მოუვათ, მაშინვე უნდა დაისაკუთრონ, სხვების გრძნობები კი ფეხებზე ჰკიდიათ (თუნდაც სიკეთე და თანაგ-

რძნობა). ეს ყველაფერი ისტორიის ფურცლებზე იწერება – ყველაფერი, რაც ამათ ჩაუდენიათ, ამ ჩვენს სახელგანთქმულ მეზობლებს, რომლებმაც მთელი სამყარო დაისაკუთრეს, მაგრამ ის ვერ ისწავლეს, სად იწყება და სად მთავრდება ადამიანობა!

...აი, ამას ღაღადებდნენ კოშერული კანონები, ყოველ შემთხვევაში, იმ ბიჭუნასთვის, რომელიც სოფი და ჯეკ პ.–ების ხელში იზრდებოდა და ნიუარკის ერთ ჩვეულებრივ სკოლაში სწავლობდა. მე მხოლოდ ორი ქრისტიანი კლასელი მყავდა, რომელთა სახლებშიც, ჩვენი სამეზობლოს განაპირას, ფეხი არასდროს შემიდგამს... ამას ღაღადებდნენ კოშერული კანონები და მე ვინ ვიყავი, რომ მათ სისწორეში ეჭვი შემეტანა? ჰოდა, ახლა ამ ალექსს შეხედეთ, ჩვენი ამბის მთავარ გმირს, თხუთმეტი წლის ლაწირაკს, რომელმაც ერთ მშვენიერ საღამოს ასთაკვის ფეხი გამოწუწნა, ერთი საათის მერე კი სირი ამოიღო და საზოგადოებრივ ტრანსპორტში შიკსეს უმიზნებდა. მისი სრულყოფილი, ყოველმხრივ აღმატებული ებრაული ტვინიც, ალბათ, მაცის ცომით იყო მოზელილი!

ზედმეტი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ასეთი არსება ჩვენთან, სახლში არასდროს მოხარშულა – რა თქმა უნდა, ასთაკვს ვგულისხმობ. ჩვენს სახლში ჩვეულებრივ შიკსესაც კი არასდროს დაუდგამს ფეხი, ასე რომ, მხოლოდ ვარაუდით შეიძლება იმის თქმა, თუ როგორ გამოისროდნენ მას დედაჩემის სამზარეულოდან. ცხადია, ჩვენი დამლაგებელიც შიკსე იყო, მაგრამ ის არ ითვლებოდა, რადგან შავკანიანი გახლდათ.

ჰაჰა! შიკსე ჩვენთან იმიტომ არ იყო ნამყოფი, რომ ჯერ მე არ მომეყვანა – აი, ამის თქმა მინდოდა! თუმცა ჩვენს ოჯახში ერთი შიკსეს სტუმრობა მაინც მახსენდება. ერთ საღამოს, მე რომ ჯერ კიდევ პატარა ბიჭად ვითვლებოდი, მამაჩემმა სადილზე დაპატიჟა გამხდარი, მორცხვი, დაძაბული, ხმადაბლა მოსაუბრე, მორიდებული, სიბერის გზაზე შემდგარი მოლარე, რომელსაც ენი მაკკეფერი ერქვა.

როგორ გგონიათ, ექიმო, მამაჩემი იმ ქალთან იწვა? არ მჯერა!

ეს აზრი უცებ მომივიდა თავში. ნუთუ მამაჩემი იმ ქალსაც უდებდა? დღემდე მახსოვს, როგორ მომიჯდა გვერდით დივანზე. ისე ნერვიულობდა, რომ თავისი სახელი ძლივს წარმოთქვა, თან მისი დაწერის წესიც მოაყოლა: „ი"-ზე მთავრდება, თუმცა ეს სახელი უმეტესად გვხვდება, როგორც „ენ" და არა „ენი" და ასე შემდეგ... გრძელი, თხელი, თოვლივით თეთრი და დაჭორფლილი მკლავები ჰქონდა (გავიფიქრე, ირლანდიელის მკლავები უნდა იყოს-მეთქი), თეთრ სიფრიფანა ბლუზაში კი კოხტა და მკვრივი ძუძუები შევნიშნე – გამოვტყდები, თვალი მისი ფეხებისკენაც მეპარებოდა. რვა თუ ცხრა წლის ვიყავი, მაგრამ ისეთი გასაოგნებლად ლამაზი ფეხები ჰქონდა, რომ თვალი ვერ მოვწყვიტე. ასეთების დანახვისას დღემდე ჩემი მემართება – ყოველ ჯერზე მიკვირს, როგორ უნდა ჰქონდეს ისინი ვიღაც ფერწასულ, სახედანაოჭებულ შინაბერას... არა, იმ ფეხების პატრონს ნამდვილად ხმარობდა – ორი აზრი არ არსებობს... რა, არა?

სახლში რატომ მოვიყვანე და „ნამდვილი ებრაული კერძების" გასასინჯადო, – აგვიხსნა მამაჩემმა. რამდენიმე კვირის განმავლობაში წამდაუწუმ ოფისის ახალ გოი მოლარეს ახსენებდა („ერთი უსახური და უხალისო გოგო", „რაღაც ძონძები აცვია"), რომელიც „ბოსტონ & ნორსისტერნის" ოფისში მოსვლის დღიდან მოსვენებას არ აძლევდა, ნამდვილი ებრაული კერძების გასინჯვა მინდაო. დედაჩემმა ამდენს ვეღარ გაუძლო და უთხრა: „კარგი, ბატონო, მოიყვანე! ესე იგი, ებრაული საჭმლის გასინჯვა უნდა, არა? მიიღებს ებრაულ საჭმელს! " ნეტავ მამაჩემმა ვერაფერი იეჭვა? რას გაიგებ კაცი!

ავად თუ კარგად, იმ ქალმა შეპირებული ებრაული სადილი გასინჯა. არა მგონია, სიტყვა „ებრაული" ამის შემდეგ ერთ საღამოს იმდენჯერ გამეგონოს, რამდენჯერაც მაშინ გავიგონე ჩვენს ოჯახში. არადა, ნება მომეცით, შეგახსენოთ: მე ის კაცი ვარ, ვისაც სიტყვა „ებრაული" ძალიან ბევრჯერ გაუგონია.

– აი, ნამდვილი ებრაული დაბეგვილი ღვიძლი, ენი. აქამდე ნამ-

დვილი ებრაული დაბეგვილი ღვიძლი გაგისინჯავთ? უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ცოლი მართლაც ისეთს აკეთებს, როგორიც ნამდვილი ებრაული დაბეგვილი ღვიძლი უნდა იყოს. აბა, პურთან ერთად მიირთვით. ეს ნამდვილი ებრაული ჭვავის პურია ზედ მოყრილი სეზამის მარცვლებით. პირველი ჯერისთვის ყველაფერი კარგად გამოგდით, ენი. პირველი ჯერისთვის ხომ ყველაფერს სწორად აკეთებს, არა, სოფი? ახლა ებრაული ჭვავის პურის კიდევ ერთი ნაჭერი აიღეთ, ენი და ეგ ჩანგალი ნამდვილ ებრაულ დაბეგვილ ღვიძლს ამოუსვით!

ასე გაგრძელდა დესერტის დრომდე. ბოლოს სტუმარს ჟელეც მიართვეს.

– მართალს ბრძანებთ, ენი, ჟელეც კოშერულია! აუცილებლად კოშერული უნდა იყოს. არა, არა, ოღონდ ეგ არა... ყავაში ნაღების ჩამატება ხორციანი კერძის შემდეგ? ჰაჰა, გესმის, ალექს, რა უცნაური აზრები მოსდის ენის?

არ გინდა ეს უაზრო ლაი-ლაი, ძვირფასო მამიკო. ეს კითხვა უცებ გამიჩნდა, ოცდახუთი წლის შემდეგ (არა, იმას ვერ ვიტყვი, რომ დამამტკიცებელი საბუთი მაქვს; აქამდე ვერც ის წარმომედგინა, რომ მამაჩემი ოჯახური ცხოვრების ებრაულ წესებს ოდნავ მაინც დაარღვევდა... ჩემს თვალში ხომ ნებისმიერი წესის დარღვევას აუხსნელი ხიბლი აქვს). აჰა, შეკითხვა აუდიტორიასაც გაუჩნდა: რატომ მოიყვანე სახლში შიკსე? ვერ გადაიტანდი, რომ იმ არაებრაელ ქალს ცხოვრება ებრაული ჟელეს გაუსინჯავად გაელია? თუ უკვე ცხოვრება გიჭირდა, სანამ ებრაულ აღსარებას არ იტყოდი? სანამ საკუთარ ცოლს დანაშაულის ფაქტის წინაშე არ დააყენებდი, რომ მერე შენი გაკიცხვა, დამცირება, დასჯა შეძლებოდა და თვითგვემის ფარული ვნება ასე დაგეკმაყოფილებინა? ჰო, ერთი ჩვეულებრივი აწურული, ჩაგრული ებრაელი ხარ, მამაჩემო. მაგ სინდრომის ამოცნობაში მე ვერავინ მაჯობებს. მოდით, გეძახით, ხალხო, მამხილეთ და მერე გამკიცხეთ – ისეთი საშინელი რამე ჩავიდინე, თქვენ აზრად

რომ არ მოგივათ: ისეთი რამე ავიღე, რაც არ მეკუთვნოდა! მოვალეობის გრძნობას, საყვარელ ადამიანებს ვუღალატე და სიამოვნების მარწუხებში გავყავი თავი! დამიჭირეთ, ციხეში ჩამსვით, მკაცრად დამსაჯეთ, სანამ, ღმერთმა დამიფაროს, სულ არ ამიწყვეტია და კიდევ ერთხელ არ გამიკეთებია ის, რაც ასე ძალიან მსიამოვნებს!

ნეტავ დედაჩემმა თხოვნა შეუსრულა? ნეტავ სოფიმ ორი ძუძუს და ორი ფეხის შეკრება თუ მოახერხა და თუ მიხვდა, რომ ორჯერ ორი ოთხია? მე ოცდახუთი წელი მაინც დამჭირდა, სანამ ასეთ რთულ გამოთვლებს თავს გავართმევდი. არა, ახლა რაღაცას ვაზვიადებ... მამაჩემი და შიკსე? შეუძლებელია. საამისოდ წარმოსახვა არ ეყოფოდა. მამაჩემი შიკსეებს უდებდა? საპყრობილეში, წამების შიშით, იმას კიდევ ვაღიარებდი, რომ დედაჩემს უდებდა... მაგრამ შიკსეებს? უფრო იოლად წარმოვიდგენ, რომ მამაჩემი ბენზინგასამართ სადგურებს ძარცვავდა!

მაშინ დედაჩემი ასე საშინლად რატომ უყვირის? ბრალდებისა და თავისმართლების, მუქარისა და ცრემლების ფრქვევის ეს სცენა რაღას ნიშნავს?.. რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა იმას, რომ მამაჩემმა ძალიან ცუდი, შეიძლება, სულაც უპატიებელი რამე ჩაიდინა? ეს სცენა ისე გამეჭედა თავში, თითქოს მძიმე ავეჯი იყოს, რომელსაც ადგილიდან ვერ დაძრავ... რაც იმას მაფიქრებინებს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად მოხდა. ვხედავ, ჩემი და დედაჩემის ზურგს უკან იმალება: ეხუტება და სლუკუნებს, დედაჩემი კი ვეებერთელა ცრემლებს ღვრის, რომლებიც სახეზე ჩამოსდის და ბოლოს სამზარეულოს ლინოლეუმზე ეცემა. ამ დროს მამაჩემს ისე უყვირის, რომ ყელზე ვენები ებერება. მეც მიყვირის. ახლა, როცა ეს სცენა ხელახლა მიცოცხლდება მეხსიერებაში, აშკარად ვხედავ: ჰანა დედაჩემის ზურგს უკან იმალება, მე კი მთავარი ბრალდებულის ზურგს უკან ვაფარებ თავს. ეს რაღაც ფანტაზიაა, არა? კლასიკური შემთხვევა სამედიცინო პრაქტიკიდან! არა, არა, სხვა ვისი მამა იქნება, მამაჩემი აბრახუ-

ნებს მუშტს სამზარეულოს მაგიდაზე და დედაჩემს უყვირის: „მსგავსი არაფერი მომხდარა! ტყუილია, შეცდომაა! " ერთი წუთი მოიცადეთ, არა, ამას მე ვყვირი: „ეს მე არ გამიკეთებია! " აჰა, ესე იგი, დამნაშავე მე ვარ... დედაჩემი კი ასე მწარედ იმიტომ მოთქვამს, რომ მამაჩემი ჩემს მითეთქვაზე უარს ეუბნება, არადა, რაღაც ისეთი მაქვს ჩადენილი, რის გამოც დედაჩემი სულ მითეთქვით მემუქრება.

როცა წვრილმან მამაძაღლობას ჩავიდენ, დედაჩემი ჩემს დასჯას თვითონაც შესანიშნავად ახერხებს. ალბათ გახსოვთ – მე კი ნამდვილად მახსოვს, რა დამავიწყებს – მარტივი ხერხი აქვს: პალტოსა და კალოშებს მაცმევს – რა მზრუნველი ხარ, დედი! – და გარეთ მიმაბრძანებს (ვაიმე, გარეთ მიმაბრძანებს!), მერე კარს ზურგს უკან ჩამიკეტავს და შიგნიდან მომაძახებს, სახლში არასდროს შემოგიშვებ, შენს გზას ეწიეო. ჰო, საკმარისია, ამ მარტივ და ეფექტურ მეთოდს მიმართოს, რომ ჩემგან სინანულის ცრემლები და ხვეწნა-მუდარა განაღდებული აქვს. ცრემლები კი არა, რომ მომთხოვოს, ხელმოწერილ საგარანტიო საბუთს მივცემ, რომ დღეიდან გამოვსწორდები და დარჩენილ ცხოვრებას უცოდველად გავატარებ. რას აღარ ვიკისრებ, ოღონდ ეს ჩაკეტილი კარი ისევ გამეხსნას და შიგნით შემიშვან – იქ, სადაც ჩემი საწოლი, ტანსაცმელი და მაცივარი მეგულება. თუმცა როცა ჩემი შეცოდებანი წვრილმან მამაძაღლობას აღემატება და დედაჩემს აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ უმწეობისგან ხელები ზეცისკენ აღაპყროს და ყოვლისშემძლე ღმერთს შეჰღაღადოს, ასეთი რა დავაშავე, უფალო, რომ ამნაირი შვილი მომეციო, ასეთ წუთებში მამაჩემს მოწმედ და სამართლის აღმსრულებლად იწვევს ხოლმე. როგორც ირკვევა, დედაჩემი მეტადმგრძნობიარე და დახვეწილი არსება ყოფილა საიმისოდ, რომ ფიზიკური დასჯა აღასრულოს: „ძალიან განვიცდი ხოლმე, – ყურში ჩამესმის, როგორ ეუბნება კლარა ბიცოლას, – მე უფრო მეტად მტკივა, ვიდრე ამას. ასეთი ადამიანი ვარ. ვერ ვცემ და რა ვქნა! " საბრალო დედა!

თუმცა ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ ამ ამბავს. რა მოხდა ამისთანა, ბოლოს და ბოლოს? მოდი, ერთად გავიაზროთ, ექიმო, რა ამბავია ჩემს თავს – ორი გონიერი ებრაელი ბიჭი ვსხედვართ ერთად... ვთქვათ, საშინელება მოხდა. ეს საშინელება კი ან მე ჩავიდინე, ან მამაჩემმა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოროტმოქმედი ოჯახის იმ წევრებს შორის უნდა ვეძებოთ, ვისაც პენისი აქვს. კარგი, ბატონო. ჯერჯერობით ყველაფერი გასაგებია. ახლა ისევ იმ საკითხს მივუბრუნდეთ: მაინტერესებს, მამაჩემმა მართლაც შეუდო კოხტა ფეხებს შუა არაებრაელ მოლარეს, თუ მე მივქარე რაღაც, მაგალითად, ჩემს დას შოკოლადის პუდინგი შევუჭამე. ჰო, ჰანამ ის პუდინგი სადილად არ შეჭამა, არ უნდოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაცივარში ეგულებოდა და ძილის წინ უნდა შეეჭამა. კარგი რა, მერე მე დამესიზმრებოდა ეგ ამბავი, ჰანა? რა დროს მანერებია, როცა გშია? რვა წლისა ვარ, ჰანა, მეტის ხომ არა, და შოკოლადის პუდინგის დანახვისას ყმუილს ვიწყებ. საკმარისია, მაცივარი გავაღო და შოკოლადის მინანქრის ბზინვარებამ თვალი მომჭრას, რომ ტვინი მეკეტება და თავს ვეღარ ვერევი. კარგი, ამას თავი დავანებოთ: უბრალოდ, მეგონა, რომ თეფშზე პუდინგის ნარჩენი იდო! სიმართლე ესაა! ღმერთო ჩემო, რაღაც პუდინგის გამო ამხელა ამბის ატეხა სად გაგონილა! ჰო, შევჭამე, მაგრამ ჰანას კი არ შევუჭამე! მეგონა, რომ არავისი იყო! გეფიცებით! გეფიცებით! ამის გაკეთება არ მინდოდა!.. ამას მე ვღრიალებ თუ მამაჩემი იმართლებს თავს ნაფიც მსაჯულთა წინაშე? რა თქმა უნდა, მამაჩემია: „კარგი, კარგი, სოფი, საკმარისია, თავი გამანებე. დამნაშავე ვარ, მაგრამ არ მინდოდა“. ახლა ისღა დარჩა ასახსნელი, რატომ ეკუთვნის შეწყალება. რატომ და იმიტომ, რომ არ უნდოდა! მაინც რას ნიშნავს ეს „არ მინდოდა“? რას გულისხმობ, შე შმუკო – შედებით შეუდე, მაგრამ არ გინდოდა? ახლა მაინც დადექი მაგრად, კაცურად და უთხარი მაგ ქალს: „კარგი, ვაღიარებ, სოფი, შიკსეს ვუდებდი და შენი აზრი ამ ამბავთან დაკავშირებით ცალ ფეხზე მკიდია. იმიტომ, რომ, თუ ჯერ არ გაგიგია, გეუბნები: ამ ოჯახში

კაცი მე ვარ და ბრძანებებსაც მე ვიძლევი! " თუ საჭიროა, უნდა მოსდო კიდეც! ერთი ხიე მაგას, ჯეკ! შენს ადგილას ყველა გოი ასე მოიქცეოდა, არა? აბა, ისეთი მოხეული მონადირე წარმოიდგინე, ირმებს რომ ხოცავს და მანქანაზე ყველას დასანახად რომ აკრავს – ცოლს ამდენს გააბედვინებდა, ცრემლებს აფრქვევდა და პატიებას ითხოვდა? პატიებას ითხოვ? რისთვის? რა დააშავე, ბოლოს და ბოლოს? სირს იქ შედებ, სადაც საჭიროა, წინ და უკან ამოძრავებ, ბოლოს გაასხამ და რა? ჰა, ჯეკ, დაიქცა ქვეყანა? გასწი-გამოსწი, მაინც რამდენ ხანს გრძელდება ეს ამბავი, რომ ამ ქალის პირიდან უსასრულო წყევლა-კრულვა ისმინო და თავი დაიტანჯო? თავს მუდმივად რატომ იდანაშაულებ და იმცირებ? რატომ გვაქვს მოსჯილი ეს მუდმივი თავის მართლება ქალების წინაშე, როცა ვალდებულები არ ვართ, რომ თავი ვიმართლოთ – არც მე და არც შენ? თუ ვინმეს უნდა ეჭიროს ხელში სადავეები, მე და შენ უნდა გვეჭიროს, მამა! „მამა-შენმა საშინელი რამე ჩაიდინა", – ყვირის დედაჩემი, თუ ეს მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში ხდება? მოიცა, მგონი, სხვა რამეს ყვირის: „ოი, ოი, პატარა ალექსმა ისევ საშინელი რამე ჩაიდინა, მამიკო! " რა მნიშვნელობა აქვს, რას ყვირის ზუსტად. უცებ ჰანას (ჰანას, ხალხნო!) ხელში იყვანს – ჰანას, რომელიც სიყვარულის ობიექტად აქამდე სერიოზულად არასდროს აღმიქვამს; ხელში იყვანს და სევდიან, შეუხედავ სახეზე კოცნის, თან ამბობს, ამქვეყნად მხოლოდ ჩემს პატარა გოგონასღა ვენდობიო... მე თუ რვა წლის ვარ, მაშინ ჰანა თორმეტისაა და ხელში ვერავინ აიყვანს, იმიტომ, რომ ამ საცოდავს ყოველთვის ზედმეტი წონა აწუხებდა და ამას დედაჩემიც აღიარებს. ჰოდა, სიმართლე თუ გინდათ, შოკოლადის პუდინგი საერთოდ არ ეჭმება! დიახ! ამიტომაც შევუჭამე. რას გამიწყალეთ გული! არ გახსოვს, ჰანა, ექიმმა აგიკრძალა, მე კი არა! აბა, მე რა გიყო, თუ მსუქანი და დონდლო ხარ, მე კიდევ – გამხდარი და ყოველმხრივ ბრწყინვალე მონაცემების მქონე! რა ჩემი ბრალია, თუ ისეთი ლამაზი ვარ, რომ დედაჩემს ქუჩაში აჩერებენ და საბავშვო ეტლში მონებივრეს თვალს

ვერ მწყვეტენ, ჩემს საყვარელ პუნიმსათვალიერებენ – გესმის, როგორ ჰყვება დედა ამ ამბავს? მე რა შუაში ვარ, ეს, უბრალოდ, ფაქტია, რომელსაც ყველამ თვალი უნდა გავუსწოროთ: მე ლამაზი დავიბადე, შენ – მახინჯი თუ არა, ისეთი მაინც, რომ ადამიანს შენკენ მეორედ გამოხედვა არ მოუნდება. ესეც ჩემი ბრალია? იქნებ იმაშიც დამნაშავე ვარ, რომ შენი დაბადებიდან ოთხი წლის თავზე გავჩნდი? ალბათ ღმერთის ხელი ურევია ამ ამბავში, ჰანა. ალბათ მის დიდ წიგნში ეწერა ასე!

თუ სიმართლე გინდათ, ჰანა ამ ყველაფრისთვის პასუხს არ მთხოვს: პატარა ძამიკო ისევ ძველებურად უყვარს. არასდროს მირტყამს, ცუდი სიტყვებით არასდროს მომმართავს. მე შოკოლადის პუდინგს ვუჭამ ხოლმე, ის კი ჩემს სისულელეებს ყლაპავს და ამას ერთი სიტყვითაც არ აპროტესტებს. ღამღამობით, დაწოლის წინ ისევ ისე მკოცნის, სკოლაში რომ მივყავარ, ისევ ისე ფრთხილად გადავყავარ ქუჩის მეორე მხარეს. როცა ჩემი გაბადრული მშობლების თხოვნით „ალენის ჩიხის" პერსონაჟებს ვასახიერებ, კედელს აეკვრება და სცენას მე მითმობს. მაშინაც ასე იქცევა, როცა ჩემი შესანიშნავი გონებრივი შესაძლებლობების ამბავს მთელ ჩრდილოეთ ჯერსიში გაბნეულ ნათესავებს აუწყებენ ხოლმე. როცა დასჯილი არ ვარ, ექიმო, ეს ოჯახი ხელისგულზე ისე მატარებს, როგორც რომის პაპს ატარებენ რომის ქუჩებში...

იცით, სულ ოციოდე ეპიზოდი თუ მექნება მეხსიერებაში ადრეული ბავშვობიდან ჩარჩენილი, სადაც ჩემი და მონაწილეობს. უფრო ხშირად, ეს პერსონაჟი ჩემი მოზარდობის პერიოდის მოგონებებში ჩნდება, როგორც ჩვენს საგიჟეთში ერთადერთი ნორმალური ადამიანი, რომელთანაც მშვიდად საუბარი შეიძლებოდა. თუმცა, მგონი, ამაზე უკვე მოგახსენეთ. თითქოს ჩვენთან კი არ ცხოვრობდა, წელიწადში ერთი-ორჯერ შემოგვივლიდა ხოლმე: ჩვენს სუფრასთან სადილობდა, ჩვენი სახლის რომელიღაც საწოლში იძინებდა, მერე კი ეს საბრალო, მსუქანი არსება უსიტყვოდ ქრებოდა.

ჩინურ რესტორანშიც კი, სადაც უფალ ღმერთს უნებებია და ღორის ხორცის ჭამის უფლება მიუცია ისრაელის ღვთისმოშიში, მორჩილი შვილებისთვის, ასთაკვის ჭამა სრულად გამოურიცხავს (კვების საკითხებთან დაკავშირებით უფლის ნებას დედაჩემის პირით ვიტყობთ ხოლმე). კაციშვილმა არ იცის, რატომ შეიძლება ღორის ხორცის ჭამა პელ სტრიტზე, სახლში კი აკრძალულია... გულახდილად რომ გითხრათ, ეს ამბავი დღემდე არ მესმის. მაშინ ამას ასე ვხსნიდი: რესტორნის მეპატრონე მოხუცი, რომელსაც ერთმანეთში შმენდრიკსვეძახდით, ის კაცი არ იყო, რომლის აზრიც ჩვენ შესახებ დიდად გვანაღვლებდა. ჰო, ერთადერთი ხალხი დედამიწის ზურგზე, რომლისაც, ჩემი აზრით, ებრაელებს არ ეშინიათ, ჩინელებია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმათი ინგლისურის მოსმენის მერე მამაჩემის მეტყველება ლორდ ჩესტერფილდისად მოგეჩვენებათ; მეორე: იმიტომ, რომ ჩინელებს თავი მოხარშული ბრინჯით აქვთ გამოტენელი და მესამე: ჩინელებისთვის ჩვენ ებრაელები კი არა, თეთრკანიანები ვართ – ვინ იცის, იქნებ ანგლოსაქსებივითაც კი გამოვიყურებით. რა გასაკვირია, რომ იმ რესტორანში მიმტანებს ჩვენი დამცირება აზრადაც არ მოსდიოდათ: იმათთვის ჩვენ დიდცხვირა ანგლოსაქსი პროტესტანტები ვიყავით! რას ავიწყვეტდით ხოლმე ჩინურ რესტორანში! უცებ ღორის ხორცისაც კი აღარ გვეშინოდა – ეს ღორის ხორცი ისეთი აკეპილ-დაკეპილი, სოიოს სოუსის ზღვაში ჩალბობილი მოჰქონდათ, რომ საერთოდ არ ჰგავდა არც კატლეტს, არც ლორს და არც საძაგელ სოსისებს (ფუ!)... მაშ, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ასთაკვიც გვეჭამა? მისი გემოს შენიღბვაც ხომ შეეძლოთ? დედაჩემს ლოგიკური განმარტება ჰქონდა გამზადებული. სოფი პორტნოი, ექიმო, სილოგიზმებს მიმართავდა. მზად ხართ? ახლავე. რატომ არ შეიძლება ასთაკვის ჭამა? „იმიტომ, რომ ასთაკვის ხორცმა შეიძლება ადამიანი შეიწიროს! ერთხელ გავსინჯე და კინაღამ მოვკვდი! “

ჰო, თურმე წარსულში დედაჩემსაც შეუცოდავს და სამართლიანადაც დასჯილა. ახალგაზრდობის ბობოქარ წლებში (მანამდე, სანამ

მე და დედაჩემი ერთმანეთს გავიცნობდით) ვიღაც გარეწარს გაუსულელებია (ეს ამბავი განცდილი სიამოვნებისა და სირცხვილის ელემენტებს თანაბრად შეიცავს) – ასთაკვი შეუჭმევინებია ერთ ზნედაცემულ, მაგრამ ძალიან მიმზიდველ დაზღვევის აგენტს, რომელიც მამაჩემთან ერთად „ბოსტონ & ნორსისტერნში" მუშაობდა. ლოთსა და უბედურს სახელიც როგორი ჰქონია – დოილი (უკეთესს რას მოიფიქრებ!).

სწორედ მათი კომპანიის მიერ ატლანტიკ სიტიში გამართულ ხმაურიან ბანკეტზე დაარწმუნა დოილმა დედაჩემი, რომ მიმტანის შემოთავაზებული კერძი შემწვარი ქათამი იყო. სუნს დედაჩემისთვის სულ სხვა რამ უნდა ეკარნახა, თანაც, როგორც ახლა ამბობს, გულმა რეჩხი უყო (იგრძნო, რომ მის თავს კარგი ამბავი არ ხდებოდა), როცა უკვე შემთვრალი, მომხიბვლელი დოილი ცდილობდა, ჩანგლით ერთი ლუკმა მაინც შეეჭმევინებინა. ორი ჭიქა ვისკის შემდეგ მეტად წინდაუხედავად მოიქცა: ბინძური თამაშის სუნი, რომელიც გრძელი, ებრაული ცხვირით იყნოსა, არაფრად ჩააგდო. ოჰ, თავცარიელი ძუკნა! უნამუსო გოგო! ქარაფშუტა ავანტიურისტი! ბოლომდე დანებდა იმ დაუდევრობისა და თავქარიანობის ატმოსფეროს, რომელიც დაზღვევის აგენტებითა და მათი ცოლებით სავსე უზარმაზარ დარბაზში ტრიალებდა. დედაჩემის დაცემა მაშინ გახდა აშკარა, როცა დესერტი შემოიტანეს და არამზადა დოილმა – მეორე ეროლ ფლინიიყო და არა მხოლოდ გარეგნობითო, ასე ამბობს დედაჩემი – საიდუმლოს ფარდა ახადა: გაუმხილა, რა აჭამა სინამდვილეში.

ამის მერე დედაჩემი მთელი ღამე ტუალეტში დარბოდა: გული ერეოდა.

– მთელი გულ-მუცელი ამოვიტრიალე! დიდი ვერაფერი ხუმრობა იყო! ალექს, არ დავინახო, ვინმე ასე გააბრიყვო – ერთი შეხედვით, უბრალო ხუმრობას შეიძლება ტრაგიკული შედეგი მოჰყვეს! – ამ კატაკლიზმიდან ხუთი, ათი, თხუთმეტი და ოცი წლის შემდეგაც გვახ-

სენებდა ხოლმე მე, ჩემს დას და მამაჩემს. – ისე ცუდად ვიყავი, ალექს, რომ მამაშენს სასტუმროს ექიმის გაღვიძება მოუხდა. თითები, აი, ასე მქონდა დაკრუნჩხული. გული ისე მერეოდა, რომ თითები სულ გამიშეშდა, თითქოს პარალიზებული ვიყავი. მამაშენს ჰკითხე. ჯეკ, მოუყევი ამას, რა გეგონა, როცა ასთაკვის გამო დაკრუნჩხული ჩემი თითები დაინახე.

– რა ასთაკვი?

– შენმა მეგობარმა დოილმა რომ ძალით ჩამთხარა ხახაში!

– დოილმა? რომელმა დოილმა?

– დოილი-მეთქი, ის გოი, მიყრუებულ სამხრეთ ჯერსიში რომ გადაიყვანეს, ისეთი უბედური მექალთანე იყო. დოილი! ეროლ ფლინს რომ ჰგავდა! მოუყევი ალექსს, თითებზე რაც დამემართა, შენ რა გეგონა, როცა...

– ყური მიგდე, აზრზე არა ვარ, რაზე მელაპარაკები...

ეს იმას ნიშნავდა, რომ დედაჩემის მიდრეკილება, განცდილი და ნანახი დრამატულად გაეხსენებინა, ყველასთვის გასაგები არ იყო. არც იმისალბათობას გამოვრიცხავ, რომ ეს ამბავი უფრო მის წარმოსახვაში მოხდა, ვიდრე სინამდვილეში, გადაგორებული საფრთხე კი უფრო მაცდურ დოილს უკავშირდებოდა, ვიდრე ერთ ლუკმა ასთაკვს. რა თქმა უნდა, მამაჩემი ის კაცი იყო, ტვინის საჭყლეტი და სანერვიულო ერთ დღესაც რომ არ მოჰკლებია და ზოგჯერ, როცა შფოთვის ყოველდღიური ნორმა შევსებული ჰქონდა, დედაჩემის სიტყვებს, უბრალოდ, ერთ ყურში შეუშვებდა და მეორედან გაუშვებდა ხოლმე. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ამ დროს მართლაც არაფერი ესმოდა.

დედაჩემის მონოლოგებს კი ბოლო არ უჩანდა. თუ სხვა ბავშვებს ყოველ წელს სკრუჯის ამბავს უყვებოდნენ, ან ძილის წინ მათი საყვარელი წიგნებიდან ზღაპრებს უკითხავდნენ, ჩემი ბავშვობა დედაჩემის ხიფათიანი თავგადასავლების სმენაში გავატარე. კაცმა რომ თქვას, ეს არის ჩემი ბავშვობის ლიტერატურა, წიგნი დედაჩემის

ცხოვრებისა – ერთადერთი წიგნი, რომელიც ოჯახში გვქონდა, სკოლის სახელმძღვანელოებისა და იმ თითო-ოროლა წიგნის გარდა, რომლებიც დედაჩემისა თუ მამაჩემისთვის საავადმყოფოში ეჩუქებინათ, როცა იქ ჯანმრთელობის აღსადგენად ხვდებოდნენ. ასე და ამგვარად, ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკა სამ ნაწილად იყოფოდა: ერთი მესამედი „დრაკონის თესლისგან" შედგებოდა (დედაჩემის საშვილოსნოს ამოკვეთა. მორალი: ამქვეყნად ყველაფერი როდი იმსახურებს ირონიას, ზოგი რამ, უბრალოდ, სასაცილოა), დანარჩენი ორი მესამედი კი – უილიამ ლ. შირერის „არგენტინული დღიურისა" (მორალი: იგივე) და „კაზანოვას მემუარებისგან" (მამაჩემის ბრმა ნაწლავის ოპერაცია). დანარჩენი წიგნები სულ სოფი პორტნოის შეთხზული იყო – პატარ-პატარა ტომები ცნობილი სერიიდან: „ხომ იცით ჩემი ამბავი: ყველაფრის გემო უნდა გავსინჯო". იდეა, რომელიც მის შემოქმედებას, ასე ვთქვათ, წითელ ხაზად გასდევდა, ასეთი იყო: გამბედავ და შეუპოვარ დედაჩემს, რომელიც მუდამ ახალ-ახალ, სულისშემძვრელ თავგადასავლებსა და შთაბეჭდილებებს ეძებდა, პირველგამკვალავის სულისკვეთებისთვის ყოველ ჯერზე ცხვირში მაგრად ხვდებოდა. როგორც ჩანს, თავს ორლესულის პირზე მოსიარულე ქალად თვლიდა – მარი კიურის, ანა კარენინასა და ამელია ერჰარტის ბრწყინვალე ნაზავად. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რომანტიკული სახება აღიბეჭდა იმ ბიჭუნას თავში, რომელიც ოდესღაც მე ვიყავი. როდესაც ძილის წინ პიჟამის ღილებს შემიკრავდა და საბანს დამახურავდა, იმის მოყოლას იწყებდა, როგორ ისწავლა მანქანის მართვა მაშინ, როცა ჩემს დაზე იყო ორსულად და მართვის უფლების მოპოვების პირველსავე დღეს – პირველსავე საათს,ალექს! – როგორ შეასკდა მის მანქანას „ვიღაც მანიაკი", რის შემდეგაც დედაჩემს საჭესთან დაჯდომა აზრად აღარ მოსვლია. ან იმ ამბავს მიყვებოდა, როგორ ეძებდა ათი წლის გოგო ოქროს თევზს ტბაში სარატოგა სპრინგსში, ნიუ-იორკის შტატში, სადაც ხნიერი, ავადმყოფი

დეიდის მოსანახულებლად წაიყვანეს და როგორ ჩავარდა უცებ ბინძურ წყალში. მას მერე წყალში ერთხელაც არ შემიდგამს ფეხი, მაშინაც კი, როცა მხოლოდ კოჭამდე მწვდებოდა და გვერდით მაშველები მეგულებოდნენო. ადრე თუ გვიან ასთაკვის ამბის რიგიც დგებოდა. მართალია, მთვრალი ვიყავი, მაგრამ ქათმის ხორცში კი არ ამრევია, „იმ დოილისთვის ხომ უნდა მომეკეტინებინაო". სულ ძალისძალად დაუღეჭავს ერთი ლუკმა და გადაუყლაპავს, რასაც, როგორც გახსოვთ, კინაღამ ტრაგედია მოჰყოლია. ამის შემდეგ პირს ისეთს არაფერს აკარებდა, რაც ასთაკვს ოდნავ მაინც წააგავდა. პირი არც შენ დააკარო, თუ არ გინდა, რომ საკუთარ თავს ავნოო, მეუბნებოდა.

– რამდენი არაჩვეულებრივი რამეა ამქვეყნად, ალექს, რაც ღმერთს საჭმელად მოუგონია, ასთაკვისნაირი საძაგლობა რომ არ ჭამო. ხომ შეიძლება, თითები მთელი ცხოვრება დაკრუნჩხული დაგრჩეს!

აუჰ! რამდენი სათქმელი და საწუწუნო დამგროვებია! რამდენი ბოღმა და სიძულვილია ჩემში, რას წარმოიდგენდა კაცი! ეს მკურნალობის პროცესს ახასიათებს, ექიმო, თუ ის არის, რასაც „მასალას" ვეძახით? წუწუნის გარდა ჯერ არაფერი გამიკეთებია, გუდას პირი მოვხსენი და ჩემს ზიზღს ბოლო არ უჩანს, ჰოდა, ახლა საკუთარ თავს ვეკითხები: ნუთუ არ კმარა-მეთქი. მგონი, უკვე რაღაც რიტუალად მექცა ეს მოთქმა და ჩივილი. ამ ჩივილების გამოა, ფსიქოანალიტიკოსის პაციენტებს ხალხი ალმაცერად რომ უყურებს. ნუთუ მართლაც მძულს ჩემი ბავშვობა? ნუთუ მართლაც გული მომდის ამ ჩემს საცოდავ მშობლებზე? აქვს ახლა აზრი წარსულში ყურებას და იმის გარჩევას, ვინ ვარ და ვინ შეიძლებოდა ვყოფილიყავი? სიმართლეა ის, რაც თქვენთან დავფქვი, თუ უბრალოდ, ვატრაკებ? იქნებ ჩემნაირები სიმართლეს მხოლოდ მაშინ ამბობენ, როცა ატრაკებენ? ჰოდა, სანამ წუწუნს გავაგრძელებ, სინდისი არ მაძლევს იმის უფლებას, რომ არ აღვნიშნო: იმ დროს ჩემი ბავშვობა სულაც არ ჩანდა ისეთი

საშინელი, როგორადაც ახლა აღვწერ. როგორც არ უნდა ვიბნეოდე ჩემი ცხოვრების გახსენებისას, ექიმო, როგორი მღელვარებითაც არ უნდა ვლაპარაკობდე, სხვა მშობლები ან სხვა სახლში ცხოვრება არასდროს მინატრია, თუმცა ალბათ გაუცნობიერებლად მქონდა კიდეც ეს სურვილი. ბოლოს და ბოლოს, სად ვიპოვიდი ჩემი მსახიობური ოსტატობის საჩვენებლად იმაზე უკეთეს აუდიტორიას, ვიდრე ეს ორი ადამიანი იყო? რამდენჯერ დამიმსახურებია მათი მქუხარე ტაში სადილობის დროს! ერთხელ დედაჩემმა სიცილით მართლა ჩაიფსა და სააბაზანოში გაიქცა, მაგრამ იქიდანაც ისევ მისი ისტერიული ხარხარი ისმოდა – მაშინ „ჯეკ ბენის შოუს" მისტერ კიტცელს ვასახიერებდი. ჰო, კიდევ რა? კვირაობით მამაჩემთან ერთად სეირნობა მახსენდება უიქვეიკ პარკში. ეს არ დამვიწყებია.საკმარისია, ქალაქგარეთ აღმოვჩნდე და მიწაზე დაყრილი რკო დავინახო, მაშინვე მამაჩემი და მასთან ერთად სეირნობა მაგონდება. არადა, მას მერე ოცდაათი წელი გავიდა.

დედაჩემთან პირისპირ საუბრებზე უკვე მოვყევი? ვინ მოთვლის, რამდენი გვისაუბრია იმ წლების განმავლობაში, სანამ სასკოლო ასაკს მივაღწევდი! იმ ხუთი წლის განმავლობაში, როცა მთელ დღეებს ერთმანეთთან ვატარებდით, ყველა თემაზე მოვასწარით ლაპარაკი, რაც კი ადამიანთა მოდგმას აინტერესებს. „სანამ ალექსს ველაპარაკები, – ეუბნებოდა ხოლმე დედაჩემი საღამოობით სამსახურიდან დაბრუნებულ, დაქანცულ მამაჩემს, – შემიძლია მთელი დღე ვაუთოო. დრო ისე გარბის, ვერც კი ვამჩნევ". არ დაგავიწყდეთ, ამ დროს ოთხად ოთხი წლის ვიყავი.

კი, ბატონო, ჩხუბი, აყალ-მაყალი, მოთქმა და ტირილი ხშირად იყო ჩვენს ოჯახში, მაგრამ ამას თავისებური გამოცოცხლება შემოჰქონდა. ჩვენთან არაფერი არაფერი კი არ იყო, არამედ ყოველთვის რაღაც იყო. ჰოდა, ერთი ჩვეულებრივი ამბავი, ერთი პატარა წაკინკლავება ცამოწმენდილზე საშინელ კრიზისად გადაიქცეოდა ხოლმე – მეგონა, რომ ცხოვრება ასე იყო მოწყობილი. ერთი მწერალია,

გვარს ვერ ვიხსენებ... მგონი, მარკფელდი. რომელიღაც მოთხრობაში უწერია, თოთხმეტ წლამდე „გაუარესება" ებრაული სიტყვა მეგონაო. ამ მწერალივით მეც ვფიქრობდი, რომ „აურზაური" და „ალიაქოთი" – დედაჩემის ორი საყვარელი სიტყვა ებრაული იყო. ჰო, კიდევ „შპატელი". პირველკლასელი ნებიერა ვიყავი და ხელის აწევას ვერავინ მასწრებდა, როცა ერთ დღეს მასწავლებელმა ნახატი მაჩვენა, ზედ კი სწორედ ის იყო გამოსახული, რასაც დედაჩემი „შპატელს" ეძახდა. მასწავლებელმა მკითხა, აბა, რა საგანიაო. რას წარმოვიდგენდი, რომ ეს სიტყვა ებრაული არ იყო! ენა დამება და სკამზე აწითლებული დავეშვი. მასწავლებელიც არანაკლებ გაოგნებული ჩანდა... წარმოგიდგენიათ, რა ადრეული ასაკიდან იკვეთება ჩემი ხვედრი, როგორ პატარამ გავიგე, რას ნიშნავს ტანჯვა-წამება? ამ შემთხვევაში რა იყო ჩემი ტანჯვის მიზეზი? ერთი ჩვეულებრივი, ჩემთვის კი მონუმენტურისაოჯახო ნივთი.

ხედავ, დედიკო, რა ამბები დაატრიალა შპატელმა?

წარმოიდგინე, რას ვფიქრობდი მაშინ შენზე!

მხიარული პატარ-პატარა სურათების რიგივით მახსენდება ამბავი, რომელიც იმ დროს მოხდა, როცა ჯერსი სიტიში ვცხოვრობდით. მაშინ დედიკოს პატარა ბიჭუნა ვიყავი – მისი სხეულის სუნს მთლიანად მიჯაჭვული, მისი კუგელების, გრიბენებისადა რუგელეხებისმონა – როცა ჩვენს მრავალბინიან სახლში თვითმკვლელობა მოხდა. თხუთმეტი წლის ბიჭმა, რონალდ ნიმკინმა, რომელსაც მეზობელმა ქალებმა ხოსე იტურბიმეორე შეარქვეს, სააბაზანოში, საშხაპე ძელზე თავი ჩამოიხრჩო. „იმ ოქროს ხელებით! " – მოთქვამდნენ ჩვენი ქალები (იმას გულისხმობდნენ, რომ ფორტეპიანოზე უკრავდა). „ასეთი ნიჭიერი ბიჭი! – ამატებდნენ მერე. – მეორე ბიჭს ვერ იპოვით, ვინც დედიკოზე ასე ძალიან იყო შეყვარებული! "

გეფიცებით, არც ვბოდავ და არც რამე მეშლება, ქალები ზუსტად ამ სიტყვებით მოთქვამდნენ. ადამიანთა ვნებისა და ტანჯვის უბნე-

ლეს მექანიზმებზე ისე უბრალოდ მსჯელობდნენ, თითქოს „ოქსიდოლის“ ან დაკონსერვებული სიმინდის ფასებს განიხილავდნენ. შეგახსენებთ, შარშან, ზაფხულში ევროპიდან დაბრუნებულს დედაჩემი ტელეფონში ასე შემომეგება: „შენ ხარ, ჩემო სიყვარულო? “ ქალი თავის სიყვარულს მეძახის, არადა, გვერდით ქმარი უდგას და ჩვენი საუბრის ყოველი სიტყვა ესმის! იმაზე არასდროს დაფიქრებულა, თუ მე მისი სიყვარული ვარ, მაშინ მისი ქმარი სრული იდიოტი რომ გამოდის? შმეგეგი, რომელთანაც ცხოვრება უწევს. როცა საქმე ამ ხალხს ეხება, ექიმო, ჩაღრმავება საჭირო არ არის – მთელი არაცნობიერი სახელოებზე აწერიათ!

„რატომ? რატომ? რატომ გაგვიკეთა ეს ჩვენმა ბიჭმა? “ – ამ სიტყვებით მოთქვამდა მისის ნიმკინი ჩვენს სამზარეულოში. გესმით? იმას კი არ ამბობდა, ჩვენ რა გავუკეთეთო. არა, ამას როგორ იტყვიან. ეს როგორ გაგვიკეთაო! ჩვენო! ჩვენ ხომ წელებზე ფეხს ვიდგამდით, რომ ბედნიერი ყოფილიყო და ცნობილი პიანისტი გამოსულიყოო! მართლა მაინტერესებს: ვითომ ასეთი ბრმები არიან? შესაძლებელია, რომ ასეთი ბრიყვები იყვნენ? თქვენ გჯერათ ამის? ნუთუ შეიძლება ადამიანს თავის ტვინი, ზურგის ტვინი, ორი თვალი და ორი ყური ჰქონდეს – დიახ, მისის ნიმკინ, ეს ბუნებრივი მოწყობილობა ისევე მწყობრად და კარგად მუშაობს, როგორც ფერადი ტელევიზორი! – და მაინც, ცხოვრება ისე გალიოს, რომ ვერასდროს მიხვდეს, რას გრძნობენ, რისკენ ისწრაფვიან სხვები? მისის ნიმკინ, ექვსი წლის ვიყავი მაშინ, მაგრამ კარგად მახსოვხარ, რა ნაგავიც ბრძანდებოდი. რამ მოკლა შენი შვილი, მომავალი პიანისტი რონალდი და შენმა იდიოტურმა ეგოიზმმა და სიყეყეჩემ! „ჩვენ მაგისთვის მასწავლებლები არ დაგვინანიაო...“ – ასე ტიროდა მისის ნიმკინი. ხედავ რა დაემართათ? არ დაუნანიათ და რა გამოდის, ტყუილად იწვალეს? იქნებ სხვა რამეს გულისხმობდა? არა, სწორედ ამას გულისხმობდა ამ თავის მოთქმა-ტირილში. უბრალო, მგლოვიარე ადამიანებისგან სხვას რას უნდა მოელოდე? უბედურებისგან ტვინი ჰქონდა

არეული და აღარ იცოდა, რას ამბობდა. ვერ ხვდებოდა, რა საშინელი აზრი იდო მის სიტყვებში: რომ ის, ვისაც ამდენი მასწავლებელი თავს დაახვიეს, ახლა ოთახში მკვდარი უწევთ. ვინ გამოდიან ამის მერე ებრაელი დედები – ის ქალები, რომლებიც ჩვენ გვზრდიდნენ? კალაბრიაში ამათი ტოლა ტანჯული ქალები ეკლესიებში ქვებივით სხედან და გულისამრევ კათოლიკურ სისულელეებს დაუღეჭავად ყლაპავენ; კალკუტაში ქუჩებში მათხოვრობენ, ან,თუ უფრო ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადნენ, მტვრიან მინდვრებში თავწახრილები მუშაობენ... მხოლოდ ამერიკაა ის ქვეყანა, სადაც სამოცს გადაცილებული ქალები, ჩვენი დედები, თმას ვერცხლისფრად იღებავენ, ბრიჯებსა თუ წაულის ქურქებში გამოწყობილები ფლორიდაში, კოლინზ ავენიუზე საყიდლებზე დარბიან და მზისქვეშეთში არაფრის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმა არ ერიდებათ. ამათი ბრალი ხომ არაა, რომ ბუნებამ მეტყველების უნარი მოამადლათ! მისმინეთ, ექიმო, ძროხებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ამათზე იდიოტურ აზრებს კი არ გამოთქვამდნენ! ჰო, შეიძლება სწორედ ეს არის გამოსავალი: მათზე ისე უნდა იფიქრო, როგორც ძროხებზე, მერე რა, რომ სასწაულის წყალობით მეტყველება და მაჯონგის თამაში შეუძლიათ! გულმოწყალება გამოვიჩინოთ, არა, ექიმო?

ჰო, ჩემი საყვარელი დეტალი რონალდ ნიმკინის თვითმკვლელობის ამბავში: წარმოიდგინეთ, ნორჩი პიანისტი საშხაპე ძელზე კიდია, მოკლემკლავიანი პერანგის სახელოზე კი ქინძისთავით წერილი დაუმაგრებია. მაგრამ, აი, ამას ვერ ვივიწყებ, სულ მახსენდება, როცა მეხსიერებაში რონალდის ამბავი ამომიტივტივდება ხოლმე: ეს ჭოკივით გრძელი, გამხდარი, გაშეშებული მოზარდი თოკზე კონწიალებს, ორი ზომით დიდი პერანგის სახელოები კი ვიღაცას ისეთი გაწიწმატებით გაუხამებია და გაუუთოებია, რომ ტყვიაგაუმტარი გეგონება... თვითონ რონალდსაც კიდურები ისე აქვს დაჭიმული, ხელი რომ მიჰკრა, ლამისაა, სიმებივით ხმა გამოიღოს... და თითები? ეს გრძე-

ლი, თეთრი, უცნაური თითები: თითოზე შვიდ ფალანგს მაინც შენიშ-ნავდი, სანამ საყვარლად დაკვნეტილ ფრჩხილებს მიადგებოდი... ბე-ლა ლუგოშის მტევნები. დედაჩემი სულ მეუბნებოდა და მეუბნებოდა – იმიტომ, რომ რაიმეს ერთხელ თქმა ჩვევად არ ჰქონდა – ესენი „პია-ნისტად დაბადებული ბავშვის ხელებიაო".

პიანისტი! ეს მათი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სიტყვაა, თითქმის ისეთივე, როგორიც „ექიმი", ექიმო. „კერძო პრაქტიკა", ან მთლად უკეთესი: „საკუთარი ოფისი"! „საკუთარი ოფისი გახსნა ლი-ვინგსტონში! " „სეიმურ შმუკი გახსოვს, ალექს? " – მეკითხება დედა-ჩემი. ან აარონ პუცს ახსენებს, ან ჰოვარდ შლონგს, ან ვინმე ეგეთ გამოშტერებულს, ვისთან ერთადაც ოცდახუთი წლის წინ ერთ კლას-ში ვსწავლობდი და ვისაც ვერაფრით ვიხსენებ. „დღეს დედამისი შემ-ხვდა ქუჩაში და იცი, რა მითხრა? სეიმური მთელ დასავლეთ ნახე-ვარსფეროში ერთ-ერთი საუკეთესო ნეიროქირურგიაო. ლივინ-გსტონში ექვსი ორსართულიანი, ადგილობრივი ქვით ნაშენი სახლი უყიდია, თერთმეტი სინაგოგის საბჭოს წევრი ყოფილა... ის სახლები სულ მარკ კუგელის პროექტებით ყოფილა აშენებული! შარშან ზაფ-ხულში ცოლი და ორი მშვენიერი გოგონა, რომლებიც ისეთი ლამა-ზები ყოფილან, რომ უკვე „მეტროსთან" ჰქონიათ კონტრაქტები გა-ფორმებული და ისეთი ჭკვიანები, რომ, წესით, კოლეჯში უნდა სწავ-ლობდნენ... მოკლედ, ცოლ-შვილი ევროპაში წაუყვანია, შვიდი ათა-სი ქვეყანა უჩვენებია, ზოგი ისეთი, შენ გაგონილიც არ გექნება, ჰო-და, ოთხმოცი მილიონი დოლარი დაუხარჯავთ! თურმე ყველგან დი-დი პატივით ხვდებოდნენ, ალექს, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა ქალაქში, სადაც კი ფეხი დაუდგამს, მერს პირადად უთხოვია, რომ ცოტა ხანს მათთან დარჩენილიყო და სპეციალურად მისთვის სასწრაფოდ აშენებულ საავადმყოფოში ტვინის წარმოუდგენლად რთული ოპერაცია გაეკეთებინა. ახლა მთავარი: სანამ ოპერაციას ატარებდა, საოპერაციოში თურმე „გამოსვლათას"საუნდტრეკს ურ-თავდნენ, რომ ყველას გაეგო, რომელ რელიგიას აღიარებს სეიმურ

შმუკი! აი, ასეთი დიდი კაცის კლასელი ხარ, შვილო! წარმოიდგინე, რა ბედნიერები არიან მისი მშობლები! "

ქვეტექსტი ასეთია: შენ როდის აპირებ დაცოლშვილებას, ვაჟბატონო? როგორც ჩანს, ნიუარკსა და მის შემოგარენში ყველას ერთი კითხვა აკერია პირზე: როდის მოეგება გონს ეგოისტი ალექსანდერ პორტნოი და მშობლებს, ამ ოქრო ხალხს, კალთაში შვილიშვილს როდის ჩაუგორებს?

– აბა, მითხარი, შვილო, ერთი კარგი, სერიოზული გოგო არ გამოჩნდა შენს ცხოვრებაში? – ყოველ ჯერზე მეკითხება მამაჩემი, როცა მათთან მივდივარ და თვალებზე მომდგარ ცრემლებს ძლივს იკავებს. – ბოდიშს გიხდი, რომ შენს საქმეებში ვერევი, მამაშენი ვარ, შენ კი – თუ დაგავიწყდა, შეგახსენებ – გვარის გამგრძელებელი ხარ, იქნებ ჩამახედო შენს ცხოვრებაში და გამანდო, რას აპირებ.

სირცხვილი, სირცხვილი შენ, ალექს პორტნოი, კლასელებს შორის ერთადერთი ხარ, ვინც დედიკოს და მამიკოს კალთაში შვილიშვილი არ ჩაუგორა! ყველამ, ყველამ კაი ებრაელი გოგოები მოიყვანა და ახლა შვილებს აჩენენ, სახლებს ყიდულობენ და (ეს უკვე მამაჩემის ფრაზაა) „ფესვებს იდგამენ", ვაჟები გვარს აგრძელებენ. ამასობაში ალექს პორტნოი რას აკეთებს? მუტლებზე ნადირობს! თან შიკსეების მუტლებზე! ჰო, პირდაპირ დაგეშილი დასდევს, ყნოსავს, ლოკავს, სირსაც უდებს, მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, რომ სულ ამაზე ფიქრობს. დღე და ღამე. ქუჩაში, სახლში. ოცდაცამეტი წლისაა და ქუჩაში ხეტიალისას ისევ თვალებს აცეცებს. საკვირველია, რომ ტაქსი არასდროს დასჯახებია, ისე დაძრწის მანჰეტენის მთავარ ქუჩებში ლანჩის დროს. ოცდაცამეტი წლისაა და მეტროში მის წინ ქალი ფეხზე ფეხს გადაიდებს თუ არა, ეს თვალებით ჭამს და მასთან დაწოლაზე ოცნებობს. დღემდე გულში იკურთხება იმის გამო, რომ ერთ დიდძუძუებიან ქალს, რომელთან ერთადაც ოცდახუთი სართული ლიფტით აიარა, გამოლაპარაკება ვერ გაუბედა. გულში იმის გამოც იკურთხება, რომ ხანდახან სულ სხვანაირად იქცევა. ქუჩაში

უაღრესად რესპექტაბელურ გოგოებთან მიდის და იმის მიუხედავად, რომ კვირა დილის გადაცემებში მონაწილეობის მერე მისი სახე ქალაქის გათვითცნობიერებული ნაწილისთვის უცნობი აღარ არის; იმის მიუხედავად, რომ ამ დროს ახლანდელი საყვარლის სახლის გზას ადგას, მაინც ბუტბუტებს: „წამოხვალ ჩემთან?" რა თქმა უნდა, გოგო უარს ეტყვის. რა თქმა უნდა, დაუყვირებს, თავიდან მომწყდიო. ან მკვახედ მიახლის, დიდი მადლობა, მაგრამ სახლიც მაქვს, კარიც და ქმარიც მელოდებაო. ხედავთ, რას უშვება თავს ეს იდიოტი? ქარაქუცა! სექსუალური მანიაკი! არა, უბრალოდ არ შეუძლია – ან არ უნდა – თავისი ცუნდრუკა სირის, გაცხელებული ტვინის გაკონტროლება. გამუდმებით წვავს იმის სურვილი, რომ რაღაც ახალი გამოსცადოს – ის, რაზეც არასდროს უფიქრია და თუ ამის წარმოდგენა შეგიძლიათ, არასდროს წარმოუდგენია. როცა საქმე საშოზე მიდგება, ამას ისეთი რამე ემართება, რაც თხუთმეტი წლის ასაკში ემართებოდა, როცა საკლასო ოთახში სკამიდან ვერ დგებოდა და გამაგრებულ ასოს რვეულით იფარავდა. ნებისმიერ გოგოს, რომელიც ქუჩაში ხვდება – აბა, შოკისთვის მოემზადეთ! – ფეხებს შორის ნამდვილი საშო აქვს. გასაოცარია! წარმოუდგენელია! თავს ჯერ კიდევ ვერ აღწევს იმ აზრს, რომ როცა ქალს უყურებს, ვიღაც ისეთს ხედავს, ვისაც ყველა შემთხვევაში საშო აქვს! ყველას საშო აქვს! კაბების ქვეშ! საშოები – იმისთვის, რომშიგ შეუდო! იცით რა, ექიმო, თქვენო ღირსებავ, თუ ვინც ხართ – როგორც ჩანს, ამ ვირისთავისთვის მნიშვნელობა არ აქვს: დღეში რამდენჯერაც არ უნდა მისცენ, მაინც ახალ, ხვალინდელ საშოზე ოცნებობს – მაშინაც კი, როცა სირი დღევანდელში უდევს!

იქნებ ვაჭარბებ? იქნებ ამ ყველაფერს სატრაბახოდ ვყვები? როგორ გგონიათ, ნამდვილად მადარდებს ეს ჩემი მოუსვენრობა და მუდმივი ატეხილობა თუ ღირსებად მიმაჩნია? იქნებ ერთიც სწორეა და მეორეც? სავსებით შესაძლებელია. ან იქნებ მხოლოდ თავის დაძვრენის მცდელობაა? მისმინეთ, ექიმო, ერთი რამით მაინც შემიძლია

დავიკვეხნო: ოცდაათ წელს გადავცდი და ქორწინებით ხელფეხშეკრული არა ვარ, ყოველღამე ისეთ ქალთან არ მიწევს დაწოლა, რომლის მიმართაც ინტერესი დავკარგე და სექსი მოვალეობის გამო მაქვს და არა ჟინით. იცით, რამდენ ადამიანს ექცა საწოლი კოშმარული დეპრესიების მიზეზად? მეორე მხრივ, უნდა ვაღიარო, რომ ალბათ ჩემს მდგომარეობაშიც არის რაღაც ისეთი, რაც ცოტა დამთრგუნველად უნდა მოქმედებდეს ადამიანზე. რა თქმა უნდა, ამ ცხოვრებაში ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი ვერ გექნება, მაგრამ ახლა ერთი კითხვა მინდა დავსვა: მე მაქვს ყველაფერი? რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს ექსპერიმენტები, ქალების დაუსრულებლად ცვლა? რამდენ ხვრელში უნდა შევყო, რომ ეს ამბავი მომბეზრდეს? ნუთუ იმდენში, რამდენის პატრონიც უარს არ მეტყვის? დღეს ერთი ხვრელი, ხვალ მეორე, ზეგ კიდევ სხვა? როდის დაესმება წერტილი ამ ყველაფერს? თუმცა, მეორე მხრივ, რატომ უნდა დაესვას? დედაჩემმა და მამაჩემმა რომ გაიხარონ? გამაგებინეთ, რატომ უნდა ვიცავდე თავს იმ მდგომარეობის გამო, რომელშიც ახლა ვარ – სულ რამდენიმე წლის წინ ხომ „უცოლო მამაკაცი" საპატიო წოდება იყო? ბოლოს და ბოლოს, უცოლო ვარ, სხვა ხომ არაფერი? ამიხსნან, რაში მდგომარეობს ჩემი დანაშაული? სექსუალურ თავისუფლებაში? ჩვენს დროში, ჩემს ასაკში? რატომ უნდა მოვუხარო ქედი ბურჟუაზიულ საზოგადოებას? მე ვთხოვ მაგათ, ჩემს ჭკუაზე იარეთ-მეთქი? ჩემი ბოჰემური ბუნება თავის ჭიას ახარებს – რა ხდება, ხალხო, რამ გადაგრიათ? ვის რას უშავებს ჩემი ხურუში? ქალებს არ ვცემ, მაჯებს არ ვუგრეხ და საწოლში ძალით არ ვიწვენ. მე, შეიძლება ითქვას, წესიერი და პატიოსანი, თანაგრძნობის უნარის მქონე მამაკაცი ვარ. მეტსაც გეტყვით, სხვა კაცებთან შედარებით... მოიცა, თავს რატომ ვიმართლებ? ბოდიშს რატომ ვიხდი? რატომ უნდა გავამართლო ჩემი სურვილები პატიოსნებითა და თანაგრძნობით? სურვილები, დიახაც, მაქვს – უთვალავი სურვილი! უთვალავი! ახ-

ლა შეიძლება ეს მთლად ღვთის წყალობას არ ჰგავდეს, თუ ფსიქოანალიტიკოსის თვალით შევხედავთ... მაგრამ არაცნობიერი ხომ ჩვენს სურვილებში მჟღავნდება – ფროიდი სხვას რას გვეუბნება – სწორედ სურვილებში! მხოლოდ სურვილებში! სურვილებში! რა ნაცნობი ამბავია, ფროიდ! ამას მაგარი ტრაკი აქვს, მაგრამ ძალიან ბევრს ლაპარაკობს. ის ხმას სულ არ იღებს და თუ ამოიღებს, აზრიანს არაფერს იტყვის, მაგრამ როგორ მინეტს აკეთებს! ამ საქმის ოსტატია! კიდევ ერთი გოგოა – თაფლივით ტკბილი გოგო, უნაზესი, უვარდისფრესი, სულისშემძვრელი ძუძუსთავებით – ასეთი სათუთი პირში არაფერი მდებია – მაგრამ, რად გინდა, წელს ქვემოთ ცოცხალი თავით არ ჩაგცდება. რა უცნაურია, არა? თუმცა – ადამიანს რას გაუგებ! – სექსის დროს საჩვენებელი თითი ანუსში თუ შეუცურე, ჭკუიდან გადადის. რამხელა იდუმალებაა მაინც ამ სექსში, ექიმო! რამდენი მომაჯადოებელი ხვრელი და ნაპრალია! ხომ ხვდებით, უბრალოდ, ვეღარ ვჩერდები. ვერც ვჩერდები და ვერც ვერავის ვეჯაჭვები. ჰო, მქონია ისეთი თავგადასავლები, რომლებიც წელიწადი-წელიწადნახევარი გაგრძელებულა – სიყვარულის უსასრულო თვეები, სინაზითა და გიჟური ვნებით სავსე თვეები, მაგრამ ბოლოს – ეს სიკვდილივით გარდაუვალია! – დროს თავისი მიაქვს და ლტოლვა ქრება. საბოლოო ჯამში, ქორწინებისკენ ნაბიჯის გადადგმა არ შემიძლია. თუმცა რატომ უნდა გადავდგა? რატომ? რომელ კანონში წერია, ალექს პორტნოი აუცილებლად ვიღაცის ქმარი და მამა უნდა გახდესო? ექიმო, ზოგი ქალი ფანჯრის რაფაზე დგება და გემუქრება, გადავხტები და ტროტუარს დავასკდებიო, ზოგი „სეკონალს" კილოობით სვამს – შემიძლია კვირები გავატარო ასეთ ტერორში ქორწინებაზე გაგიჟებულ ქალებთან, რომლებიც დღე და ღამ მეტროს მატარებელს უვარდებიან ბორბლებში, მაგრამ, რა ვქნა, არ შემიძლია ხელიმოვაწერო იმას, რომ დარჩენილ ცხოვრებას ერთ ქალთან გავატარებ. ვთქვათ, თავზე ხელი ავიღე და ა, ქორფა კერტებისა და სხვა

სიკეთეების პატრონი, ცოლად მოვიყვანე. ამ დროს გამოჩნდა ბ, რომელსაც უფრო ქორფა კერტები აქვს – ყოველ შემთხვევაში, ახალი ხომ ნამდვილად იქნება? ან ჩ, რომელმაც იცის, როგორ იქნიოს ტრაკი ისე, რომ ჯერ გამოუცდელი ნეტარება განმაცდევინოს! ან დ, ე, ფ... ვცდილობ, გული პატიოსნად გადაგიშალოთ, ექიმო. როცა საქმე სექსზე მიდგება, ადამიანის ფანტაზია ძ-მდეც მიდისდა იმის იქითაც! ძუძუები, საშოები, ფეხები, ტუჩები, პირები, ენები და უკანა ხვრელები! როგორ შეველიო იმ ყველაფერს, რისი გემოც ჯერ არ გამიგია? თან იმ გოგოს გულისთვის, რომელიც, როგორი გემრიელი და გამომწვევიც არ უნდა იყოს, ადრე თუ გვიან პურის ნაჭერივით ჩვეულებრივი გახდება? სიყვარულის გამო? რომელი სიყვარულის? იმის, რაც ჩვენთვის ნაცნობ წყვილებს დღემდე აკავშირებს? იმათ, ვინც ერთმანეთს ხელ-ფეხი შეაკვრევინეს? განა ეს სისუსტე არ არის? განა ეს შეჩვევა, აპათია და დანაშაულის განცდა არაა? განა ეს შიში, გამოფიტულობა და ინერტულობა არ არის? სიყვარული არაფერ შუაშია – ისეთი სიყვარული, როგორიც დაოჯახების სააგენტოს თანამშრომლებს, ფსიქოთერაპევტებსა და სიმღერების ავტორებს საოცნებოდ მიაჩნიათ. ამიტომ, მოდი, ერთმანეთს თვალში ნაცარს ნუ შევაყრით და „სიყვარულის" უკვდავებაზე ნუ ვილაპარაკებთ. სწორედ ამიტომ გეკითხებით: როგორ მოვიყვანო ცოლად ის, ვინც „მიყვარს", როცა შესანიშნავად ვიცი, რომ გავა ხუთი, ექვსი, შვიდი წელი და ისევ ქუჩაში გავვარდები საშოვარზე: ახალ, უცნობ საშოებზე ვინადირებ, ამ დროს კი ჩემი ერთგული მეუღლე, რომელთან ერთადაც სამაგალითო ოჯახი შევქმენი, მედგრად აიტანს მიტოვებასა და მარტოობას? როგორ გავუსწორო თვალი ჩემი ცოლის საზარელ ცრემლებს? როგორ გავუსწორო თვალი ჩემს საყვარელ შვილებს? უნდა განვქორწინდე, არა? ალიმენტები. ფინანსური დახმარება. შვილების ნახვის უფლება. შესანიშნავი პერსპექტივაა, შესანიშნავი. თუ რომელიმე გოგო თავს იმიტომ მოიკლავს, რომ მომავალს ფხიზელი თვალით ვუყურებ, ეგ მისი პრობლემაა, კი ბატონო!

მაგრამ თვითმკვლელობით დამუქრებას იმის გამო, რომ მეტად ჭკვიანი ვარ და კარგად ვხედავ, როგორი იმედგაცრუებები და ბრალდებები მელის, გამართლება არ აქვს... კარგი რა, პატარავ, ეგრე ნუ ღნავი, თორემ ვინმე იფიქრებს, რომ ყელის გამოჭრას გიპირებ. ჩემო პატარა (ასე ჩამესმის საკუთარი მუდარა, ასე ვეხვეწებოდი ვიღაცას შარშან, ვიღაცას – ამასწინათ... და ზოგადად, ჩემი ცხოვრების ყოველ წელს!), ნუ ტირი, ყველაფერი კარგად იქნება, გეფიცები, მალე გაგივლის; არაჩვეულებრივად იქნები, კარგს ჩაიცვამ, კარგს დაიხურავ, წინ არაჩვეულებრივი ცხოვრება გელის... ჰოდა, ახლა მანდედან ჩამოდი, შე ბოზო და კარი გამიღე! .. „შე გარეწარო! შე ახვარო! – ღრიალებს სულ ახლახან გაწბილებული ჩემი ცოლობის კანდიდატი (მისი წარმოდგენით), ჩემი უცნაური, დარტყმული, მაღალი და ტანადი მეგობარი გოგო, რომელიც ტრუსების რეკლამისთვის პოზირებით საათში იმაზე მეტ ფულს იღებს, ვიდრე უწიგნურ მამამისს კვირაში უხდიან დასავლეთ ვირჯინიის ქვანახშირის საბადოებზე. – როგორ მეგონა, რომ ყველაზე მაგარი ტიპი იქნებოდი, შე მუტლის ჭია, შე ნაბიჭვარო! " ამ ლამაზ გოგოს, რომელმაც, როგორც ხედავთ, სწორად ვერ გამიგო, მანქიჰქვია: ეს მეტსახელი ერთ-ერთი პატარა პერვერსიიდან მომდინარეობს, რომელსაც სიამოვნებით ეძლეოდა ჩემს გაცნობამდე ცოტა ხნით ადრე, ახლა კი გაცილებით მაგარი რამეებიც შეუძლია. ასეთი ქალი ცხოვრებაში არ მყოლია, ექიმო, ჩემი მოზარდობის დროინდელი ყველაზე ავხორცი ფანტაზიების განსახიერებაა, მაგრამ მაგის ცოლად შერთვა? ნუთუ სერიოზულად აქვს ამის იმედი? ამდენი ხელი უძვირფასესი ტანსაცმლის, კოსმეტიკის და სუნამოების მიუხედავად, ძალიან დაბალი თვითშეფასება აქვს, ჩემზე კი (აი, აქედან მომდინარეობს ყველა ჩვენი პრობლემა) – გადაჭარბებულად მაღალი წარმოდგენა. და ამავე დროს, თუ ეს შესაძლებელია, ძალიან დაბალი წარმოდგენაც! ერთი სიტყვით, გზააბნეული მაკაკაა, რომელიც, სამწუხაროდ, ჭკუა-გონებითაც არ ბრწყინავს. „ვითომ ინტელექტუალი! – მიყვირის ხოლმე,

– განათლება, სულიერება, რამე! შე საცოდავო ამდგარო სირო! ვითომ რისი თქმა გინდა – ჰარლემის ზანგები ჩემზე მეტად გადარდებს? მთელი წელია, შენი სირი პირიდან არ გამომიღია! " გზააბნეული, გონებაარეული, გულნატკენი, ერთი სიტყვით ჭკუიდან გადამცდარი ქალი. ამ სიტყვებს ათენის ერთ-ერთი სასტუმროს აივნიდან მიყვირის, მე კი ნომრის კართან ვდგავარ, ორივე ხელში ჩემოდნები მიჭირავს და ვეხვეწები, რომ ოთახში შემოვიდეს. მეშინია, აეროპორტში თვითმფრინავზე არ დამაგვიანდეს. ვხედავ, როგორ ამორბის სასტუმროს კიბეზე განრისხებული ულვაშა მენეჯერი, რომელიც ზეითუნის ზეთით გაპრიალებულს ჰგავს – აღშფოთებისა და რესპექტაბელურობის განსახიერებაა, მორბის და ხელებს ასავსავებს. სხვა რა დამრჩენია, ფილტვებს ჰაერით ვივსებ და ვეუბნები: „ესე იგი, გადახტომა გინდა, არა? ძალიან კარგი. მიდი, გადახტი! " ნომრიდან გავდივარ და ბოლო სიტყვებში, რომლებიც ჩემამდე აღწევს, ის აზრი დევს, რომ თურმე მხოლოდ სიყვარულის გამო (სიყვარულის! – გაჰკივის) მთანხმდებოდა იმ საზიზღრობებზე, რის გაკეთებასაც ვაიძულებდი.

ტყუილია, ექიმო! არ დაიჯეროთ! მაგ შენძრეული ბოზის კიდევ ერთი მცდელობაა, ნამუსზე შემაგდოს, თავი დამნაშავედ მაგრძნობინოს და ამ გზით ქმარი იშოვოს. ოცდაცხრა წლისაა და აი, რა უნდა. მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ამ ქალის მიმართ რამე ვალდებულება მაქვს! „სექტემბერში ოცდაათი წლის გავხდები! ნაბიჭვარო! " სწორია, მანქი, სწორია! ზუსტადამიტომ შენს უსაფუძვლო მოლოდინსა და იმედებზე პასუხისმგებელი შენ თვითონხარ და არა მე! გასაგებია? „მთელ მსოფლიოს მოვუყვები, როგორი ხარ სინამდვილეში! ცივსისხლიანო ყლეო! მოვუყვები, რა გარყვნილი ნაბიჭვარი ხარ, რაებს მაკეთებინებდი ლოგინში! "

ეგ ჩათლახი! კიდევ კარგი, ამ ქალთან ურთიერთობა ისე გავწყვიტე, რომ ცოცხალი დავრჩი. თუმცა გავწყვიტე კია?

მოდი, ისევ ჩემს მშობლებს დავუბრუნდეთ და იმ ამბავს, რომ ჩემი დაუოჯახებლობა ამ ორ ადამიანს დღემდე გულზე დარდად აწევს. დედაჩემო და მამაჩემო, ამასწინათ ნიუ-იორკის მერმა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის საქალაქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დამნიშნა, მაგრამ ამას, როგორც ჩანს, დიდ მიღწევად არ თვლით. თუმცა, არა, მთლად ასეც არაა: საკმარისია, „ტაიმსში" ჩემი სახელი გაჭაჭანდეს, რომ გაზეთის ამონაჭრებით მთელი ჩვენი სანათესაო იბომბება. მამაჩემის პენსიის ნახევარი საფოსტო გზავნილებზე იხარჯება, დედაჩემი კი მთელ დღეებს ტელეფონზე ჩამოკიდებული ატარებს და ინტრავენურად უნდა გამოკვებო, რადგან პირი სულ დაკავებული აქვს: თავის ალექსზე ლაპარაკობს. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ისევ ისე გრძელდება, როგორც ადრე იყო: ჩემს მშობლებს პირზე აკერიათ, როგორი წარმატებული ვარ, როგორი გენიოსი, რომ ჩემი სახელი გაზეთების ფურცლებს არ შორდება, რომ ახლა ნიუ-იორკის ახალგაზრდა, პოპულარული და სიმპათიური მერის გუნდის წევრი ვარ, სიმართლისა და სამართლიანობის მხარეს ვდგავარ, უპასუხისმგებლო ბინათმფლობელებს, ფანატიკოსებსა და ვირთხებს ვებრძვი („ადამიანებისადმი თანასწორად მოპყრობა, დისკრიმინაციის ფაქტებთან ბრძოლა, ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შექმნა..." – ასეთნაირად არის დეკლარირებული ჩემი კომისიის ამოცანები ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილ საგანგებო აქტში), მაგრამ, როგორც ხვდებით, ბოლომდე სრულყოფილი მაინც არ ვარ.

წარმოუდგენელია, არა? რამდენი რამე შემომწირეს, რამდენი რამე გამიკეთეს, როგორ ტრაბახობენ ჩემით – საუკეთესო პიარჯგუფის როლს ასრულებენ (ამ სიტყვებს ამბობენ) ჩემს ცხოვრებაში, მე კი სრულყოფილებას ვერა და ვერ მივუახლოვდი. გაგიგონიათ ასეთი რამე? უბრალოდ, უარს ვამბობ სრულყოფილებაზე. ჯიუტი და აუტანელი ბავშვი.

ვთქვათ, მესტუმრნენ.

– ეს რანაირი ნოხი დაგიგია! – მეუბნება მამაჩემი და იჭყანება. – ძველმანების მაღაზიაში იყიდე, თუ ვინმემ გაჩუქა?

– მე მომწონს.

– კარგი ერთი, – მეუბნება მამაჩემი, – ერთი გახუნებული, გაცვეთილი ნოხია.

– ცოტა ნახმარი კია, მაგრამ გაცვეთილი და გახუნებული არ არის. კარგი, დავანებოთ თავი, – ვცდილობ, რბილად ვუპასუხო.

– ალექს, – მეუბნება დედაჩემი, – ეს ნოხი მართლაც ძალიან გაცვეთილია.

– ერთხელაც ფეხს წამოჰკრავ, – აგრძელებს მამაჩემი, – მუხლს დაარტყამ და მერე ძალიან ცუდად იქნება საქმე.

– შენს მუხლთან სიფრთხილეა საჭირო, ალექს, – ამბობს დედაჩემი მრავალმნიშვნელოვნად, – არ გაფრთხილდები და კარგად მეყოლე.

სადაცაა, ეს ორნი ჩემს ნოხს დასწვდებიან, დაახვევენ და ფანჯრიდან გადააგდებენ. მერე კი ხელს მომკიდებენ და შინ წამიყვანენ!

– ამ ნოხს არაფერი არ სჭირს. ჩემს მუხლსაც არაფერი არ სჭირს, ხალხო.

– არ სჭირს, მაგრამ სჭირდა, – სასწრაფოდ მახსენებს დედაჩემი, – ბარძაყამდე რომ თაბაშირი გედო... როგორ დაათრევდა იმ თაბაშირს! რა საცოდავად!

– მაშინ თოთხმეტი წლის ვიყავი, დედა.

– როცა თაბაშირი მოგხსნეს, – აგრძელებს მამაჩემი, – მუხლში ფეხს ვერ ხრიდი. უკვე მეგონა, რომ მთელი ცხოვრება კოჭლი დარჩებოდი... სულ ვუმეორებდი: „ფეხი მუხლში მოხარე, მუხლში მოხარე! “ დილიდან საღამომდე ვემუდარებოდი: „თუ არ გინდა, მთელი ცხოვრება კოჭლად დარჩე, ფეხი მოხარე! “

– ამ შენი მუხლის გამო ცხოვრება გვქონდა გამწარებული.

– ეს ამბავი ათას ცხრაას ორმოცდაშვიდ წელს მოხდა, ხალხო. ახლა ათას ცხრაას სამოცდაექვსი წელია. ის თაბაშირი ოცი წლის წინ მომხსნეს!

გაინტერესებთ დედაჩემის დამაჯერებელი პასუხი?

– ერთ მშვენიერ დღეს შენც გახდები მშობელი და მიხვდები, ეს რას ნიშნავს. მაშინ, ალბათ, აღარ დასცინებ შენს მშობლებს.

იცით, რა არის ამოტვიფრული ებრაულ მონეტაზე? ან თითოეული ებრაელი ბავშვის შუბლზე? „გვწამს ღმერთი" კი არა – „ერთ მშვენიერ დღეს შენც გახდები მშობელი და მიხვდები, ეს რას ნიშნავს".

– აბა, რას გვეტყვი, – მამაჩემი უკვე იარაღად ირიონიას იმარჯვებს, – ეს ჩვენს სიცოცხლეში მოხდება, ალექს? მანამდე მოხდება, სანამ მიწაში ჩავწვები? არა, ამას ჩვენ არ ვადარდებთ. ეს გაქუცული ნოხი უფრო ადარდებს, რომელსაც ერთხელ აუცილებლად ფეხს წამოჰკრავს და თავ-პირს დაიმტვრევს. ერთი შეკითხვა უნდა დაგისვა, ჩემო დამოუკიდებელო შვილო: ამბავს ვინ გამოიტანს ამ ბინიდან, იატაკზე თავგატეხილი რომ ეგდო და სისხლისგან იცლებოდე? ამაზე თუ დაფიქრებულხარ? ტელეფონს ისედაც სანახევროდ არ პასუხობ, როგორ მივხვდე, რა ამბავია შენს თავს? ღმერთმა დაგიფაროს და რამე რომ შეგემთხვეს, მომვლელად ვინ გეგულება? ცხელწვნიანს ვინ მოგაწვდის?

– ჩემს თავს თვითონ მივხედავ! ზოგიერთებსკი არ ვგავარ! – ვაი, მგონი, ხანში შესულ კაცს ძალიან უხეშად ველაპარაკები, – ზოგიერთებივით მთელი ჩემი დღე და მოსწრება კატასტროფის მოლოდინით ხომ არ ვიცხოვრებ!

– კარგი, ბატონო. მაგასაც გამოსცდი, – თავს ნაღვლიანად მიქნევს მამაჩემი, – ერთ დღესაც ავად გახდები... – უცებ გული მოსდის და ჩემ მიმართ აბსოლუტური სიძულვილი უჩნდება: – დაბერდები და შენი დამოუკიდებლობით ყოყლოჩინობის სურვილიც დაგეკარგება!

– ალექს, ალექს, – იწყებს დედაჩემი, სანამ მამაჩემი სულის მოსათქმელად და დასამშვიდებლად ფანჯრისკენ მიემართება, ფანჯარასთან კი ზიზღით აღნიშნავს: „რა უბანში უწევს ამ ბიჭს ცხოვრება! “ წარმოიდგინეთ, მე ნიუ-იორკს ვემსახურები და ეს კაცი ისევ იმ თავისი ლამაზი ნიუარკისკენ მექაჩება!

– დედა, უკვე ოცდაცამეტი წლის ვარ! ნიუ-იორკის მერიაში თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობ! იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შორის საუკეთესო ვიყავი! გახსოვს? საერთოდ, სადაც კი მისწავლია, ყველგან საუკეთესო ვიყავი! ოცდახუთი წლის ასაკში უკვე შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ქვეკომისიის საგანგებო მრჩეველი ვიყავი! ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის, დედა! უოლ სტრიტის მიმართ ინტერესი რომ მქონოდა, ახლა უოლ სტრიტზე ვიქნებოდი! ჩემს სფეროში ანგარიშგასაწევ პროფესიონალად ვითვლები, მგონი, ეს ცხადია! აი, ახლა, ნიუ-იორკის სამშენებლო ბიზნესში დისკრიმინაციული პრაქტიკის ფაქტებს ვიკვლევ – რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტებს! ვცდილობ, მეტალურგების პროფკავშირის ხალხი ვამხილო. აი, რას ვაკეთებდი დღეს, რომ იცოდე! ამასწინათ სატელევიზიო ვიქტორინასთან დაკავშირებულ სკანდალში დაზარალებულებს დავეხმარე, ესეც გეხსომება! ..

ეჰ, რატომ ვამბობ ამ ყველაფერს, რა ძალა მადგას! რატომ არ ვეშვები მოზარდივით ყოყლოჩინობას? უფალო იესო, რამდენი წლისაც არ უნდა იყოს ებრაელი კაცი, რომელსაც მშობლები ცოცხლები ჰყავს, მაინც თხუთმეტი წლის ბიჭად დარჩება მანამდე, სანამ ისინი არ დაიხოცებიან!

ამ დროს სოფი პორტნოის ჩემი ხელი უჭირავს და თვალებდანაბული ელოდება, როდის დავასრულებ საკუთარი მიღწევების ჩამოთვლას, იმ კეთილი საქმეების გახსენებას, რომლებიც გამიკეთებია.

– ჩვენთვის, მშობლებისთვის, მაინც ბავშვი ხარ, საყვარელო... – მეუბნება ის და ჩურჩულით აგრძელებს (სოფი პორტნოის სახელგანთქმული ჩურჩული ხომ ოთახში ისე ისმის, რომ ყურთასმენის დაძაბვა არავის სჭირდება). – მიდი ახლა და ბოდიში მოუხადე. ლოყაზე აკოცე. შენს კოცნას ჩვენთვის მთელი სამყაროს შეცვლა შეუძლია!

გესმით, ექიმო? ჩემს კოცნას თურმე მთელი სამყაროს შეცვლა შეუძლია! თხუთმეტი წლის-მეთქი, არა? ბოდიშს ვიხდი, შემეშალა. ათი წლის უნდა მეთქვა! არა, ხუთის! სულაც ნულის! ებრაელი მამაკაცი, რომლის მშობლებიც ცოცხლები არიან, თავს უსუსურ ბავშვად გრძნობს! მიშველეთ, ექიმო, დამეხმარეთ! ხომ დამეხმარებით? თანაც სასწრაფოდ! ებრაული ანეკდოტის პერსონაჟის – დათრგუნული ვაჟიშვილის როლიდან გამომიყვანეთ! ოცდაცამეტი წლის ვარ და უკვე ყელში ამომივიდა! ეს როლი ტკივილს, პატარ-პატარა ადამიანურ განცდებსაც გულისხმობს, თუმცა სემ ლევინსონი ანეკდოტის ამ ნაწილს ერთი სიტყვითაც არ ახსენებს. ჰო, მისი მსმენელები კაზინო „კონკორდში" სხედან – წავის ქურქიანი ქალები, პრიალა კოსტუმებში გამოწყობილი მამაკაცები და იცინიან, იცინიან, იცინიან... „მიშველეთ, ჩქარა, ჩემი შვილი... ექიმი... იხრჩობა! " ჰა ჰა ჰა, ჰა ჰა ჰა, ტკივილზე რას იტყვით, მაირონ კოენ? იმ ტიპზე რას იტყვით, რომელიც იხრჩობა? საკუთარი მშობლების შეუვალობისა და შეუბრალებლობის ოკეანეში იძირება! ჰო, იმ კაცზე რას იტყვით, მაირონ კოენ, რომელიც, როგორც ირკვევა, მე ვყოფილვარ. ექიმო, მიშველეთ, აღარ შემიძლია ვულგარული ღამის კლუბის კლოუნის თავში წარმოშობილ შინაარსებსა და განზომილებებში ცხოვრება. თანაც შავი იუმორის მოყვარულის თავში! არ იცით, რა ხალხია ეს იუმორისტები? რით ართობენ „ფონტენბლოს" პუბლიკას ჰენი იანგმენზი და მილტონ ბერლსი, კაცი რომ დაუკვირდეს? მკვლელობის ამბებით და სხვა პათოლოგიებით! „მიშველეთ, – ყვირის ქალი და მაიამი ბიჩის პლაჟზე მირბის, – მიშველეთ, ჩემი შვილი... ექიმი... იხრჩობა! "

„ჰა ჰა ჰა! ამ შემთხვევაში თქვენი შვილი პაციენტი გამოდის, ქალბატონო! “ ბოლოს ეს კაცი მართლაც იხრჩობა! ექიმო, მომაშორეთ ეს ხალხი! საშინელებები სცენაზე კარგი სანახავია, მაგრამ ასე ცხოვრება შეუძლებელია! მითხარით, რა უნდა გავაკეთო და გავაკეთებ! მიკარნახეთ, რა უნდა ვუთხრა ამ ხალხს და გეფიცებით, სახეში მივახლი! „მოკეტე, სოფი! “ „გააჯვი, ჯეკ! “ ყველამ თავი დამანებეთ!

კიდევ ერთი ანეკდოტი მაქვს თქვენთვის. ქუჩაში მიდის სამი ებრაელი: დედაჩემი, მამაჩემი და მე. მოქმედება ზაფხულში ხდება, შვებულებაში ჩემს გასვლამდე ცოტა ხნით ადრე. რესტორანში ვისადილეთ („ერთი ნაჭერი შემწვარი თევზი არ გაქვთ? “ – ეკითხება მამაჩემი მოდური ფრანგული რესტორნის მიმტანს – აქ მხოლოდ იმიტომ წამოვიყვანე, რომ ნახოს, როგორ გავიზარდე – „ოუი, მონსიეურ, დიახ, გვაქვს...“. „კარგი, ერთი ნაჭერი თევზი მომიტანეთ, – ეუბნება მამაჩემი, – აუცილებლად ცხელი იყოს! “). მოკლედ, ვისადილეთ. ჰოდა, „ტიტრალაკის“ ღეჭვით (კუჭის მჟავიანობას აწესრიგებს) ქუჩას მშობლებთან ერთად მივუყვები, სანამ „პორტ ოსორიტის“ ავტობუსის გაჩერებასთან მათ ტაქსიში ჩავსხამ. მამაჩემი ბუზღუნებს, რომ ხუთი კვირაა, ნიუარკში არ ჩავსულვარ (მეგონა, ეს თემა რესტორანში ამოვწურეთ – იმდროს, როცა დედაჩემი მიმტანს ჩურჩულით სთხოვდა, მისი ბიჭისთვის – ეს მე ვარ, ხალხო! – კარგად შემწვარი ნაჭერი მოეტანა), ცოტა ხანში კი ერთი თვით გავემგზავრები და საბოლოო ჯამში, გაუგებარია, როდის ეღირსებათ საკუთარი ვაჟიშვილის ნახვა. არადა, ქალიშვილიც ხომ ჰყავთ, მას და მის შვილებს ხომ მაინც ხშირად ხედავენ, მაგრამ უკმაყოფილების მიზეზებს რა დალევს!

– კაცს ერთი სიძე გყავდეს და ეგეთი! – ოხრავს მამაჩემი. – თუ მის შვილებს ფსიქოლოგივით არ ელაპარაკე, თუ ფსიქოლოგიურად სწორი რამეები არ უთხარი, ციხით გემუქრება! არ მაინტერესებს, თავი ვინ ჰგონია, ჩემს თვალში ეგ კაცი კომუნისტია! საკუთარ შვი-

ლიშვილებთან ხმა ვეღარ ამომიღია, გაგონილა? ცენზურა არ დამიწესა?!

მისი ქალიშვილი მისის ფეიბიშია, შვილიშვილები კი ფეიბიშები არიან. აბა, სად არიან პატარა პორტნოები, რომლებზეც მამაჩემი დღე და ღამ ოცნებობს? სად და ჩემს კვერცხებში.

– მომისმინე, – ვყვირი და სული მეხუთება, – აქ არ ვდგავარ? ამწუთას ხომ მხედავ. ახლა ხომ ჩემთან ერთად ხარ!

ამასობაში მამაჩემი ეშხში შედის და რადგან ყელში თევზის ფხის გაჩხერის საფრთხე აღარ აშინებს, მისი გაჩერება შეუძლებელი ხდება.

– მისტერ და მისის შმუკებს ყოველ პარასკევ საღამოს სტუმრობენ სეიმური, მისი ლამაზი ცოლი და მათი შვიდი ათასი არაჩვეულებრივი, უმშვენიერესი ბავშვი...

– იცი რა, ძალიან დაკავებული ვარ. პორტფელი გადაუდებელი საქმეების საბუთებით მაქვს გამოტენილი!

– კარგი ერთი, – მეუბნება მამაჩემი, – ჭამით ხომ მაინც ჭამ? ხომ ვახშმობ ხოლმე ექვს საათზე? ჰოდა, კვირაში ერთხელ ჩამოდი და ჩვენთან ივახშმე.

ამ დროს საუბარში სოფი პორტნოი ერთვება და მამაჩემს ეუბნება, რომ როცა პატარა გოგონა იყო, ოჯახში სულ ჭკუას ასწავლიდნენ და ეუბნებოდნენ, რა უნდა გაეკეთებინა და რა არა, ამიტომ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ძალდატანება. ამიტომ მამაჩემმა ძალა არ უნდა დამატანოს.

– ალექსი უკვე დიდი ბიჭია, ჯეკ! უფლება აქვს, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილებები – ყოველთვის ამას ვეუბნებოდი.

ყოველთვის რაო? რა თქვა ამწუთას?

რატომ ვლაქლაქებ ამდენს? რატომ ვერ ვთმობ ამ ახირებას? რატომ ვწვრილმანდები? არ შეიძლება, რომ სემ ლევინსონივით ხუმარა ვიყო, ყველაფერს ვამასხარავებდე და სიცილ-ხარხარში ვატარებდე?

თუმცა, მოიცათ, დამამთავრებინეთ. მოკლედ, ტაქსიში სხდებიან.

– მამას აკოცე, – მეჩურჩულება დედაჩემი, – ამხელა გზაზე დგახარ, ევროპაში მიდიხარ.

მამაჩემს, რა თქმა უნდა, ყველაფერი ესმის – დედაჩემი ხომ ხმადაბლა ლაპარაკს იმიტომ იწყებს, რომ მისი ნათქვამი ყველამ გაიგონოს – და პანიკა ეწყება. ყოველ წელს, სექტემბრიდან მოყოლებული, სულ იმას მეკითხება, რა გეგმები მაქვს, სად ვიქნები მომდევნო წლის აგვისტოში. ახლა კი ხვდება, რომ გააცურეს. რა თქმა უნდა, ცუდი ამბავია, რომ სხვა კონტინენტზე შუა ღამით უნდა გავფრინდე, მაგრამ ამაზე უარესი ისაა, რომ წარმოდგენა არ აქვს, სად მივფრინავ. როგორც იქნა, მოვახერხე! გავაცურე!

– ევროპაში? მაინც სად? ნახევარი პლანეტა ევროპაა! – მიყვირის, როცა ტაქსის კარს ცხვირწინ ვუხურავ.

– გითხარით, ჯერ არ ვიცი-მეთქი.

– რას ნიშნავს ეს? უნდა იცოდე! როგორ ჩახვალ, თუ ჯერ არ იცი...

– ბოდიში, ბოდიში.

სასოწარკვეთილი მამაჩემი ჩემკენ მოიწევს, ცდილობს, დედაჩემს გადმოაფორთხდეს. სწორედ ამ დროს ტაქსის კარს ვაჯახუნებ – ოი, ოი, ოღონდ თითები გაწიოს, შიგ არ მოყვეს... ღმერთო, რა კაცია მამაჩემი! თან სამუდამოდ რომ მერგო! დილაობით ტუალეტში უნიტაზზე ჩაძინებულს ვპოულობდი ხოლმე. პიჟამის შარვალი მუხლებამდე ჰქონდა ჩახდილი და მკერდზე ნიკაპდაბჯენილს ეძინა. ექვსს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მაშინ დგებოდა, ხელი რომ არავის შეეშალა და უნიტაზზე ერთი საათი მშვიდად გაეტარებინა იმ წრფელი იმედით, რომ ნაწლავები ასეთ ზრუნვას და ყურადღებას დაუფასებდნენ, მოლბებოდნენ და ბოლოს ეტყოდნენ: „კარგი, ჯეკ, შენ გვაჯობე! " – მერე კი ხუთი-ექვი საცოდავი კურკლით დააჯილდოებდნენ. „ღმერთო ჩემო! " – ამოიკვნესებდა ხოლმე მამაჩემი, როცა სკოლაში

წასასვლელად მზადებას ვიწყებდი, ხელ-პირის დასაბანად სააბაზანოს მივადგებოდი და ვაღვიძებდი. უცებ გაიაზრებდა, რომ უკვე რვის ნახევარი იყო, უნიტაზში კი, რომელზეც საათზე მეტხანს ეძინა, ერთადერთი საძაგელი ყავისფერი ცურცლი ტივტივებდა – ისეთი ციცქნა, რომ კურდღლის უკანა ხვრელიდან გამოსრიალებული გეგონებოდა და არა იმ ტრაკიდან, რომლის პატრონიც ქუდს დაიხურავდა და თორმეტი საათის განმავლობაში საქმეებზე წინ და უკან გადარეულივით ირბენდა.

– რვის ნახევარია? აქამდე რატომ არ მითხარი?

უნიტაზიდან წამოხტებოდა, პალტოს ჩაიცვამდა, შლაპას დაიხურავდა. ცალ ხელში ჩანაწერების სქელი შავი წიგნი ეჭირა, მეორეთი კი ბურღულის ფაფას ჭამდა, ზედაც ქლიავის კომპოტს აყოლებდა ხოლმე. ჯიბეში იმდენ ჩირს იყრიდა, რომ ჩვეულებრივ ადამიანს, ალბათ, დიზენტერიის მსგავსი რამე დაემართებოდა.

– ერთხელაც ტრაკში ხელყუმბარა უნდა შევიტენო, ეტყობა, ეგაა გამოსავალი, – მხოლოდ მე მეჩურჩულებოდა ხოლმე, სანამ დედაჩემი სააბაზანოში იყო, ჩემი და კი თავის ოთახში იცვამდა და სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა. – იმდენი ჩირი და ბურღული მაქვს ნაჭამი, რომ საბრძოლო გემს დაძრავდა. ყელამდე ვარ ჩირით დატენილი, კარგი რა, ღმერთი აღარაა?

აქ მე რომ გავემხიარულებინე – თუმცა თვითონაც გვარიანად ეცინებოდა თავის მწარე ხუმრობებზე – პირს გააღებდა და შიგნით მახედებდა ხოლმე. ცერა თითით ხახაზე მანიშნებდა:

– ამას ხედავ? ხედავ, სად იწყება შავი ფერი? უბრალო სიშავე კი არ არის, ქლიავი იქამდე ამომდის ხოლმე, სადაც ადრე გლანდები მქონდა. მადლობა ღმერთს, გლანდები ამოჭრილი მაქვს, თორემ ქლიავისთვის ადგილი აღარ დამრჩებოდა.

– რა აზრიანი საუბარია, – გამოგვძახებდა დედაჩემი სააბაზანოდან, – მამა რომ შვილს უნდა ელაპარაკოს, ისეთი!

– საუბარი? ეს სიმართლეა! – ყვირის მამაჩემი და სახლში გაბრაზებული დააბოტებს, – სად არის ჩემი შლაპა? მაგვიანდება. ვინმეს ჩემი შლაპა ხომ არ დაუნახავს?

დედაჩემი სამზარეულოში შემოდის და, როგორც ყოველთვის, შემწყნარებლური, მარადისობისკენ მიმართული, ყოვლისმცოდნე სფინქსის მზერით მაკვირდება... და რაღაცას ელოდება... წუთიც არ გადის, რომ მამაჩემი დერეფანში ბრუნდება – გაწიწმატებულია და ლამისაა, კვნესა დაიწყოს, იმიტომ, რომ შლაპას ვერ პოულობს. „სად არის ეს შლაპა? სად არის ეს შლაპა?" – ასე ბუზღუნებს, სანამ დედაჩემი, თითქოს თავისი ყოვლისმცოდნე სულის სიღრმიდან, რამდენიმე სიტყვას ნაზად არ წარმოთქვამს: „საფრთხობელავ, თავზე გახურავს". მამაჩემს თვალებში უცებ სიცარიელე უდგება, მისი მზერა ადამიანთა მოდგმის ცოდნისა და გამოცდილების ყველა ნიშანს კარგავს. დგას ასე, გამოცარიელებული, უსულო საგანივით, თითქოს განავლით სავსე სხეული იყოს და მეტი არაფერი. მერე ცნობიერება უბრუნდება – ჰო, გარეთ, სამყაროში უნდა გავიდეს. შლაპა ხომ იპოვა, რატომღაც მის თავზე აღმოჩნდა. „აჰ, ჰო", – ამბობს მამა და ნაპოვნისკენ ხელს გაოგნებული იწვდის, მერე სახლიდან გადის და „კაიზერში" ჯდება: სუპერმენი საქმეებზე გავიდა, შეღამებამდე არ დაბრუნდება.

ჰო, „კაიზერი". „კაიზერის" ამბის მოყოლის დროც დადგა. ომი ახალი დამთავრებულია, მამაჩემმა კი 1939 წლის გამოშვების „დოჯის" გამოცვლა გადაწყვიტა და ახალი მანქანის საყიდლად სიამაყით მივყავარ. ახალი მანქანა, ახალი დიზაინი, ახალი ყველაფერი – ამაზე უკეთეს ხერხს ამერიკელი მამა ამერიკელ ვაჟზე შთაბეჭდილების მოსახდენად ვერ მოიფიქრებს! გამყიდველი ენას არ აჩერებს, ხან ერთ აქსესუარს სთავაზობს, ხან მეორეს – თითქოს ვერ იჯერებს, რომ მანქანა მართლა გაყიდა. მამაჩემი დანარჩენზე უარს ეუბნება. „მე მხოლოდ ჩემს აზრს მოგახსენებთ, – ამბობს ის ნაბიჭვარი, – გირ-

ჩევთ, რის შეძენა ღირს ამ მანქანასთან ერთად. ასეთი თეთრკანტიანი ბორბლებით თქვენი მანქანა ორასჯერ უკეთესი სანახავი გახდება. თქვენ როგორ ფიქრობთ, ყმაწვილო? ხომ გინდათ, რომ მამათქვენმა ეს თეთრკანტიანი ბორბლები მაინც შეიძინოს? " მაინცო. უჰ, შე შენძრეულო ვირისთავო! ასე რომ მომიბრუნდი, გეგონა, მამაჩემს გულს აუჩუყებდი? შე ქვეშქვეშა ნაბიჭვარო! ვინ ოხერი ხარ, შე „კაიზერ-ფრეიზერის" საცოდავო გამყიდველო, რომ გვკარნახობ, როგორ უნდა მოვიქცეთ? ნეტავ ახლა სად ხარ, ქედმაღალო ნაბიჭვარო! „არა, არა, თეთრკანტიანი ბორბლები არ მინდა", – მორცხვად ბუტბუტებს საწყალი მამაჩემი. მე კი, უბრალოდ, მხრებს ვიჩეჩ – მრცხვენია იმ კაცის უსუსურობისა, რომელსაც ჩემთვის და მთელი ოჯახისთვის მშვენიერი ნივთების შეძენა არ შეუძლია.

ჰოდა, წავიდა ასე – ამ თავისი ახალი, ცარიელ-ტარიელი „კაიზერით", რომლისთვისაც არც რადიო უყიდია და არც თეთრკანტიანი ბორბლები. სამსახურში კარს ყოველთვის დამლაგებელი უღებდა. გეკითხებით, რატომ უნდა მისულიყო ოფისში დილაუთენია – ფანჯრებზე ჟალუზები მაინცდამაინც მამაჩემს უნდა აეწია? რატომ უნდა ჰქონოდა ამ კაცს, როგორც დაზღვევის აგენტს, ყველაზე ხანგრძლივი სამუშაო დღე კაცობრიობის ისტორიაში? რისთვის ან ვისთვის? ჩემთვის? არა! თუ ჩემთვის... თუ მიზეზი მე ვიყავი, მაშინ მართლა ძალიან მძიმეა ამის ატანა. ძალიან დიდი გაუგებრობაა. ჩემთვის? პატივი დამდე და ჩემთვის მაგას ნუ გააკეთებ! შენი ცხოვრების უბადრუკობის გასამართლებლად ალექსს ნუ მიადგები! არ მინდა, ვინმეს არსებობის გამართლება ან ცხოვრების მიზანი ვიყო! მთელი ცხოვრება ამ ტვირთის ზიდვა არ მსურს! გესმის? უარს ვამბობ! და ნუ ბუზღუნებ, რომ ევროპაში, ანუ ათასობით მილის იქით ჩემი გაფრენა გაუგებარია, რადგან უკვე სამოცდაექვსი წლის ხარ და ყოველ წუთს შეიძლება ფეხები გაჭიმო! გეგონება, ასეთ რამეებს ყოველ დილას „ტაიმში" კითხულობდე. ჰო, მისი ასაკის ადამიანებიც კვდებიან და უფრო ახალგაზრდებიც – ერთ წუთს არიან, მეორე

წუთს – აღარ. ამას კი ჰგონია, რომ თუ ჰუდსონის მეორე ნაპირას ვიქნები და არა ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს... რა ვიცი, რა ჰგონია! თუ მის გვერდით ვიქნები, სიკვდილი ასცდება? გამოვქანდები, ხელს ჩავკიდებ და სულს ჩავბერავ? ნუთუ სწამს, რომ სიკვდილის დათრგუნვის ძალა შემწევს? რომ მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე? მამაჩემო, აბა, ნამდვილი ქრისტიანი ყოფილხარ და არ გცოდნია!

მისი სიკვდილი. მოკლედ, მისი სიკვდილი და კუჭ-ნაწლავი სულ თავში უნდა მიტრიალებდეს. მწარე სიმართლე ის არის, რომ ერთიც და მეორეც მამაჩემზე ნაკლებად არ მადარდებს. როცა ტელეგრამას ვიღებ, ან უდროო დროს ვინმე მირეკავს, ზაფრისაგან გულ-მუცელი ამომიტრიალდება დახმამაღლა ვამბობ ხოლმე – დიახ, ხმამაღლა! – „მოკვდა! მამაჩემი მოკვდა! " როგორც ჩანს, ბოლოს მეც დავიჯერე, რომ სიკვდილისგან მისი ხსნა შემიძლია. შემიძლია და უნდა ვიხსნა კიდეც! ნეტავ საიდან გაუჩნდათ ჩემს მშობლებს ეჭვი, რომ ყოვლისშემძლე ვარ? ამ ნავში მარტო არ ვზივარ, რაც თავი მახსოვს, ერთ დიდ სამხედრო ხომალდში ვსხედვართ ყველანი, მთელი ებრაელობა... ილუმინატორებში შემოიხედეთ და დაგვინახეთ, რა დღეში ვართ ერთმანეთს მიკრულები, რას მოვთქვამთ და ვგმინავთ საკუთარი თავის სიბრალულით თვალებაწყლიანებული, ებრაული ნაღველით გულავსებული შვილები ებრაელი მშობლებისა. გული გვერევა ბრალდებათა ზღვაში რწევისას ჩვენ, მელანქოლიკებს, მესამე კლასის კაიუტებში მოკუნტულ, წინაპრებივით დაბრძენებულ-დასევდიანებულ ხალხს. გული გვერევა და შიგადაშიგ წავუტირებთ ხოლმე: „ეს რა ჩაიდინე, მამიკო? " „დედიკო, ეს რა მიყავი? " და სანამ ჩვენი დიდი ხომალდი მიცურავს, ტალღებს მიაპობს, გულს ასე ვიოხებთ: ერთმანეთს ვეჯიბრებით, რომლის დედას გამოსდის კასტრაცია ყველაზე უკეთ და რომელს ჰყავს ყველაზე უმეცარი მამა. არც მე დაგაკლებთ ხელს, ნაბიჭვრებო, დამცირება დამცირების წილ, სირცხვილი სირცხვილის წილ... ვჭამთ თუ არა, ისევ გული გვერევა,

ორსართულიანი საწოლებიდან სიკვდილისწინა ისტერიული ხარხარი ისმის და ისევ ცრემლები, ცრემლები... მარცხნივ სინანულის ცრემლების გუბე დამდგარა, მარჯვნივ – აღშფოთების ცრემლების გუბე. ბინძურ ლეიბზე გაწოლილი კაცი (ბიჭუნას ტვინიანი კაცი) უმწეო გაავებით ცდილობს წამოდგომას, მაგრამ ზურგზე ეცემა და საკუთარი თავის მიმართ საყვედურებს არ იშურებს. ეჰ, ჩემო ებრაელო თანამოძმეებო, ჩემო ძმაკაცებო! ჩემო პირამყრალებულო, დამნაშავის კომპლექსით შეპყრობილო საძმოვ! ჩემო ძვირფასებო! გაჩერდება ოდესმე ეს დედამოტყნული ხომალდი? შეწყდება ოდესმე ეს რყევები? როდის? როდის შევწყვეტთ იმაზე წუწუნს, თუ როგორ გვერევა გული? როდის გადმოვდგამთ ფეხს მიწაზე, სუფთა ჰაერს შევისუნთქავთ და უბრალოდ, ვიცხოვრებთ?

ექიმო შპილფოგელ, საყვედურები სულ მცირე შვებასაც ვერ გგვრის – საყვედურობ და მაინც გული გტკივა, აბა, რა, აბა, რა. ნეტავ ეს როგორ მოახერხეს ჩვენმა ებრაელმა მშობლებმა: ებრაელი ბიჭუნები დაგვარწმუნეს, რომ, ერთი მხრივ, სულ პრინცები, მარტორქებივით უნიკალური არსებები, გენიოსები, ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავები, სრულყოფილები და სამყაროს მხსნელები ვიყავით, მეორე მხრივ კი, ასეთ დონდლო, უსუსურ, ეგოისტ, უმადურ ნაბიჭვრებად გაგვზარდეს?

– კი, მაგრამ ევროპაში სად? – მომძახის მამაჩემი, ამ დროს კი ტაქსი ნელ-ნელა ადგილიდან იძვრება.

– არ ვიცი, სად, – პასუხს ვადევნებ და ხელს სახეგაბადრული ვუქნევ. ოცდაცამეტი წლის ვარ და როგორც იქნა, მშობლებს თავი დავაღწიე! მთელი თვით!

– შენს მისამართს როგორ გავიგებთ?

ნეტარება! აბსოლუტური ნეტარება!

– ვერა! ვერ გაიგებთ!

– მაგრამ, ამასობაში რომ...?

– ამასობაში რა? – ვიცინი, – ახლა რაღა გაწუხებს?

– ამასობაში რომ...!

ღმერთო, ყურებს ვერ ვუჯერებ, ნუთუ მართლა ამას მიყვირის დაძრული ტაქსის ფანჯრიდან? ნუთუ იმდენად დიდია მისი შიში, სიხარბე, ჩემდამი რწმენა და ჩემ გვერდით ყოფნის მოთხოვნილება, რომ ამ სიტყვებს ნიუ-იორკის შუა ქუჩაში, ტაქსის ფანჯრიდან მიყვირის? „ამასობაში რომ მოვკვდე? "

ზუსტად ეს სიტყვები მომესმა, ექიმო. უკანასკნელი სიტყვები იყო, რომლებიც ევროპაში გაფრენამდე გავიგონე. თან ვისთან ერთად მივფრინავდი? მანქისთან ერთად, რომლის არსებობასაც მშობლებს ცოცხალი თავით ვერ გავუმხელდი. როგორია, ჯერ „ამასობაში რომ მოვკვდე? " და მერე უცხო მხარეში მოწყობილი ორგიები.

...რა აზრი აქვს, მართლაც თქვა ეს სიტყვები თუ მომესმა. მე მაინტერესებს: იმიტომ მომესმა, რომ თანავუგრძნობ, რადგან ადრე თუ გვიან ის საშინელი დღე დადგება – მისი სიკვდილის დღე, თუ იმიტომ, რომ მოუთმენლად ველოდები ამ დღეს? თქვენ კი უნდა იცოდეთ. თქვენი საქმეც ეგ არის.

ვამბობდი, რონალდ რიმკინის თვითმკვლელობის ამბიდან ყველაზე მეტად დედამისისთვის დატოვებული ის წერილი დამამახსოვრდა, ქინძისთავით რომ ჰქონდა დამაგრებული ფართო ზედატანზე, გახამებულ-გაუთოებულ პერანგზე-მეთქი. იცით, რა ეწერა წერილში? აბა, გამოიცანით. იმ უკანასკნელ წერილში, რომელიც რონალდმა დედიკოს დაუტოვა. გამოცანით!

მისის ბლუმენტალმა დარეკა. ამ საღამოს მაჯონგის სათამაშოდ რომ წახვალ, წესების კრებულიც თან წაიღე.

რონალდი

როგორ მოგწონთ? რას იტყვით, როგორია უკანასკნელი გზავნილის კვალობაზე? რას იტყვით ამ კარგ ბიჭზე, მზრუნველ ბიჭზე, კეთილ, თავაზიან, კარგად აღზრდილ ბიჭზე, შესანიშნავ ებრაელ ბიჭ-

ზე, ცხოვრებაში არავისთვის რომ არ მიუცია მიზეზი, მის გამო სირცხვილით დამწვარიყო? მადლობა გადაუხადე, საყვარელო! უთხარი, არაფრის-თქო, საყვარელო! ბოდიში მოუხადე, ალექს! ბოდიში მოიხადე! ბოდიში მომიხადე-მეთქი! ჰო, მაგრამ რისთვის? ახლა რაღა დავაშავე? საწოლის ქვეშ ვიმალები, ზურგით კედელს ვეკრობი, ბოდიშის მოხდაზე უარს ვაცხადებ, არც ის მიჯდება ჭკუაში, რომსაწოლის ქვეშიდან გამოვძვრე და ჩემი საქციელისთვის პასუხი ვაგო. დიახ, უარს ვაცხადებ! ამიტომ დედაჩემი გრძელტარიანი ცოცხით ბრუნდება და ცდილობს, ჩემი უზნეო სხეული სამალავიდან გამოაგოროს. გრეგორ ზამზას აჩრდილი დადის ამ ოთახში. გამარჯობა, ალექს, ნახვამდის, ფრანც! „გირჩევნია, ბოდიში მომიხადო, თორემ ნახავ! აი, ნახავ, რაც მოგივა! " ამ დროს ხუთი წლის ვარ, შეიძლება ექვსის, მაგრამ დედაჩემი მაინც ასეთი სიტყვებით მელაპარაკება: „ნახავ", „მოგივა"... თითქოს გარეთ უკვე მსროლელები მელოდებოდნენ, ქუჩაში ძველ გაზეთებს აფენდნენ და ჩემს დასახვრეტად ემზადებოდნენ.

მამაჩემი შინ ბრუნდება. საამური დღის ბოლოს, რომელიც შავკანიანებისთვის სიცოცხლის დაზღვევის შესაღებაში გაატარა (ამ შავკანიანებმა ისიც კი არ იციან, ცოცხლებში წერიან, თუ მკვდრებში), მას ისტერიული ცოლი და ზამზასავით გარდასახული შვილი ელოდებიან. და იცით, რა ჩავიდინე მე, კეთილშობილების განსახიერებამ? დაუჯერებელია, სრულიად წარმოუდგენელი: ან დედაჩემს წვივში წიხლი ჩავაზილე, ან სადღაც ვუკბინე. არ მინდა, ტრაბახში ჩამომართვათ, მაგრამ, მგონი, ერთიც გავაკეთე და მეორეც.

„რატომ? – მეკითხება საწოლთან ჩამუხლული დედაჩემი და ანთებულ ფანარს მანათებს თვალებში, – რატომ გამიკეთე ეს? " ყველაფერი მარტივადაა: რატომ მოიკლა თავი რონალდ რიმკინმა? რატომ მიატოვა თავისი პიანინო? იმიტომ, რომ მეტი აღარ შეგვიძლია! იმიტომ, რომ თქვენი, დედამოტყნული ებრაელი დედების ატანა აღარ გვაქვს! კარგად მახსოვს, რას წერს ფროიდი ლეონარდოზე,

ექიმო. გაკადნიერებისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ზუსტად ჩემი ფანტაზიებია. დიდი, აფრთხიალებული ფრინველი უზარმაზარ ფრთებს სახეში, ტუჩებში მიტყლაშუნებს, მახრჩობს, სუნთქვის საშუალებას არ მაძლევს. რა გვინდა მე, რონალდს და ლეონარდოს? ის, რომ თავი დაგვანებონ! ნახევარი საათით მაინც! გეყოთ ეს შეგონებები, რომ აუცილებლად კარგი ბიჭები უნდა ვიყოთ! რომ აუცილებლად კარგად უნდა მოვიქცეთ! თავი დაგვანებეთ, რომ ჩვენი პატარა ჭუჭულიკები მშვიდ ატმოსფეროში ვანძრიოთ და ჩვენი პატარა ეგოისტური ფიქრებით გავერთოთ. შეწყვიტეთ ჩვენი სირების, ხელებისა და პირების პატივისცემა! ჭირსაც წაუღია ვიტამინები და თევზის ქონი! უბრალოდ, მოგვეცით ყოველდღე ჩვენივე ხორცი არსობისა! და მოგვიტევეთ ჩვენ შეცოდებანი ჩვენნი, რომლებსაც – საერთოდ, ამით უნდა დაგვეწყო – შეცოდებებად სულაც არ ვთვლით!

– აჰა, ესე იგი, ისეთი ბიჭუნა გინდა იყო, რომელიც დედამისს წვივებში წიხლებს ურტყამს, არა? – მეუბნება მამაჩემი... ერთი, ამ კაცის ხელებს შეხედეთ. აქამდე არ დავკვირვებივარ, ეს რამხელა მკლავები ჰქონია! შეიძლება მის მანქანას თეთრკანტიანი ბორბლები არ ამშვენებდეს, შეიძლება თვითონ უნივერსიტეტში მიღებული განათლებით თავს ვერ იწონებდეს, მაგრამ ხელები მართლაც ვეება აბია. და, ვაიმე, რა გაცოფებულია. ოღონდ რატომ? ისე, რომ იცოდე, ნაწილობრივ შენ გამოც ვგლიჯე ფეხი დედაჩემს წვივში, შე იდიოტო!

– არ იცი, რომ ადამიანის ნაკბენი ძაღლის ნაკბენზე უარესია? ახლავე გამოძვერი საწოლის ქვეშიდან! გესმის, რას გეუბნები? ძაღლიც არ იკადრებდა იმას, რაც დედაშენს გაუკეთე! – ისე ხმამაღლა, ისე დამაჯერებლად ყვირის, რომ ჩემი მუდამ მშვიდი და თავს სამზარეულოს აფარებს, შეშინებული სლუკუნებს და მაცივარსა და კედელს შორის იყუჟება – მის პოზას ახლა „ემბრიონის პოზას“ უწოდებენ. შეიძლება, მე მახსოვს ასე. აბა, როგორ დავინახავდი, რა ხდე-

ბოდა სამზარეულოში, როცა ამ დროს ისევ საწოლის ქვეშ ვიმალე-ბოდი?

– არც ეს ნაკბენი მომკლავს და არც ეს ჩალურჯებული წვივი, – ამბობს დედაჩემი და გრძელტარიანი ცოცხით ისევ გამალებით ცდი-ლობს გამოქვაბულიდან ჩემს გამოდევნას, – მაგრამ ამ ჩემს შვილს რა ვუყო, რომელიც ბოდიშის მოხდას არ ფიქრობს? რომელიც დედი-კოს არ ეტყვის, ბოდიში, ამის შემდეგ ასე აღარასდროს, აღარას-დროს მოვიქცევიო? რა გვეშველება, როცა სახლში ასეთი ბიჭუნა გვყავს, მამიკო!

ხუმრობს? თუ სერიოზულად ამბობს? მაშინ პოლიციელებს რა-ტომ არ უხმობს და ბავშვების ციხეში რატომ არ მიკრავს თავს, თუ მართლა ასეთი გამოუსწორებელი ვარ? „ალექსანდერ პორტნოი, ხუ-თი წლის, თქვენ ბრალად გედებათ დედიკოს წინაშე ბოდიშის მოუხ-დელობა. ამ დანაშაულისთვის სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა – ჩამოხრჩობა შეგიფარდათ...“ ბოლოს ისე გამოდის, რომ ბავ-შვი, რომელიც ჯერ კიდევ რძეს ყლურწავს და სათამაშო იხვები და გემები თუ არ ჩაუყარე, აბაზანაში ისე არ ჯდება, ამერიკის ყველაზე საშიში დამნაშავე ყოფილა! ფარსი, რომელიც ჩვენს ოჯახში თამაშ-დება, რაღაცით „მეფე ლირს“ ჰგავს, კორდელიას როლში კი მე ვარ! ვისაც არ უნდა ელაპარაკებოდეს დედაჩემი ტელეფონით, სულ ამას იმეორებს: ჩემი მთავარი შეცდომა ის არის, რომ ზედმეტად კეთილი ვარო. რა თქმა უნდა, არავინ უსმენს. რა თქმა უნდა, ხაზის მეორე ბოლოში დედაჩემს თავის ქნევით არავინ ეთანხმება და არავინ იწე-რს ბლოკნოტში თვითკმაყოფილებით გაჯერებულ ამ სულელურ გა-მონათქვამებს, რომლებითაც ხუთი წლის ბავშვიც არ მოტყუვდება. „იცი, რა არის ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა, როზა? საკუთარ თავზე ამის თქმა მეუხერხულება, მაგრამ მეტისმეტად კეთილი ვარ“. ზუს-ტად ამ სიტყვებს ამბობდა ხოლმე, ექიმო! ამდენი წლის განმავლო-ბაში ტვინში ისე ჩამებეჭდა ეს წინადადება, თითქოს უხილავ ფირზე

მქონდეს ჩაწერილი. და დღემდე მაგიჟებს! აი, ასეთრამეებს ეუბნებიან ერთმანეთს ყოველდღე უთვალავი როზა, სოფი, გოლდი და პერლი. „ცარიელი გული ვარ, სხვისთვის არაფერი მენანება, – აგრძელებს დედაჩემი და თან ოხრავს, – მადლობის მაგიერ კი ყოველ ჯერზე კბილებში მხვდება. ჩემი შეცდომა ის არის, რომ რამდენჯერაც არ უნდა გამაწნან სილა, სიკეთის კეთებას მაინც ვერ მოვიშლი! "

კარგი რა, სოფი! შენც ადექი და მოიშალე! აბა, სცადე! იქნებ ყველამ ვცადოთ! ცუდი რამეების კეთება ხომ ნამდვილ ბრძოლას ნიშნავს, დედაჩემო. გესმის, რას ნიშნავს, როცა ცუდი ხარ და ამით სიამოვნებას იღებ? აი, ესაა, რაც ჩვენ, ბიჭებს კაცებად გვაქცევს! ნახე, რა უქნა ჩემმა ეგრეთ წოდებულმა სინდისმა ჩემს სექსუალობას, სპონტანურობასა და გამბედაობას! რა მნიშვნელობა აქვს, რამდენ ნაკლს ვებრძვი ჩემში, როგორ ვცდილობ მათგან თავის დაღწევას, როცა ფაქტი ფაქტად რჩება: ამაოდ ვირჯები. თხემით ტერფამდე საგზაო რუკა ვარ, რომელზეც რეპრესირებულობის ნიშნებია დატანილი. ჩემი სხეულის სიგრძე-სიგანეზე რომ იმოგზაურო, სულ სირცხვილის, აკრძალვებისა და შიშის მაგისტრალებზე მოგიწევს სიარული. ძალიან კეთილი ვარ, დედა. ისეთი მაღალზნეობრივი ვარ, რომ მალე გავსკდები – სულ შენ დაგემსგავსე! ჩემს პირში სიგარეტი თუ გინახავს? ნამდვილი ბეტი დევისი ვარ! ჩვენს დროში ბიჭები და გოგოები, ჯერ ბარ-მიცვას ასაკისთვისაც რომ არ მიუღწევიათ, პირში ისე იტენიან მარიხუანას, თითქოს პიტნის კანფეტი იყოს, მე კი „ლაკი სტრაიკსაც" არ გავკარებივარ. ჰო, ასეთი კარგი ვარ, დედა. არ ვეწევი, ძალიან ცოტას ვსვამ, ნარკოტიკი არ გამისინჯავს, ვალებს არ ვიღებ და აზარტულ თამაშებს არ ვთამაშობ. ტყუილს თუ ვამბობ, მთელ ტანზე ოფლი ისე მასხამს, თითქოს ეკვატორის კლიმატურ სარტყელში ვიმყოფებოდე. რა თქმა უნდა, ხშირად ვიგინები, მაგრამ დამიჯერე, ეს ჩემი ყველაზე დიდი მიღწევაა მიღებული წესების დარღვევის საქმეში. ნახე, რა დღეში ჩავაგდე მანქი – მივატოვე, შეშინებული გავექეცი, არადა, ასეთ გოგოზე მთელი ცხოვრება

ვოცნებობდი. ნეტავ რატომ მიჭირს სულ მცირე რყევების ატანაც კი? რატომ მინთებს გულში ჯოჯოხეთის ცეცხლს მიღებული წესებიდან პატარა გადახვევაც კი? ასე მაინც არ მძულდეს ეს წესები! ტაბუს ამბავში ვინმე ჩემზე უკეთ ერკვევა? ექიმო, ექიმო, რას იტყვით, მოდით, ჩემი პირადობის მოწმობა და პირადი ცხოვრება შევარიგოთ! ხომ გაათავისუფლებთ ამ საყვარელი ებრაელი ბიჭის ლიბიდოს? თუ გნებავთ, მკურნალობა გამიძვირეთ – უკან არ დავიხევ, გადავიხდი! საკმარისია! დავიღალე! ჩემი ფარული, ბნელი სურვილების გამო კანკალმა ბოლო მომიღო! დედი, დედი, ნეტავ ვიცოდე, როგორ კაცად მზრდიდი. ნუთუ გინდოდა, რონალდ ნიმკინივით მოსიარულე ზომბი გავმხდარიყავი? ნეტავ როდის აგეკვიატა ეგ აზრი, რომ საუკეთესო შვილი მორჩილი შვილია? პატარა ჯენტლმენი გინდოდა გყოლოდა? რა იმედებს ამყარებდი თურმე ჩემნაირ ხურუშა ბიჭზე! „ალექს", – მეუბნებოდი, როცა რესტორან „უიქვეიკიდან" გამოვდიოდით (ცუდად არ გამიგო, მეც ბოლომდე ვიფერებდი, ქება ქებაა და ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს, უნდა მიიღო). „ალექს! – მეუბნებოდი ორფერ პიჯაკსა და ჰალსტუხში გამოწყობილს, – რა კოხტად ჭრიდი ხორცის ნაჭერს! რა კოხტად ჭამდი მოხარშულ კარტოფილს – ოდნავაც არ გეფშვნებოდა! ისე მომინდა, დამეკოცნე. არასდროს მინახავს პატარა ჯენტლმენი, რომელსაც პატარა ხელსახოცი ასე საყვარლად ჰქონოდა მუხლებზე დაფენილი! " სირისტიანი, დედა, პატარა სირისტიანი – აი, ვის უყურებდი. აი, ვისზე იყო გათვლილი მთელი საწვრთნელი პროგრამა! აბა რა! აბა რა! საოცარი ის კი არ არის, რომ რონალდ ნიმკინივით შავ მიწაში არ ვწევარ, ის უფრო მიკვირს, რომ იმ სიმპათიურ ჭაბუკებს არ დავემსგავსე, შაბათ საღამოობით „ბლუმინგდეილში" ხელჩაკიდებულები რომ დასეირნობენ. ფაირ აილენდის პლაჟები სავსეა ასეთი გარუჯული, ბიკინიანი ებრაელი ბიჭებით, ერთ დროს რესტორნებში პატარა ჯენტლმენებივით რომ კოხტად ჭამდნენ. დარწმუნებული ვარ, დედიკოებსაც ეხმარებოდნენ – მაჯონგის ფირფიტებს მაგიდაზე კოხტად უწყობდნენ

ხოლმე ორშაბათობით, როცა ქალები სათამაშოდ მოდიოდნენ. უფალო იესო! ისიც კი მიკვირს, მაჯონგის ფირფიტების ამდენჯერ დაწყობის მერე როგორ მივაღწიე საშოებისა და სხვა სიკეთეების სამყარომდე! თვალებს ვხუჭავ და სულ იოლად წარმოვიდგენ: ოუშენ ბიჩზე ერთ თვალებშეღებილ ტიპთან ერთად ვცხოვრობ, რომელსაც შელდონი ჰქვია. „შელი, შე საძაგელო, შენი მეგობრები არიან და ნივრიანი პურიც შენ თვითონ გამოაცხვე! " აი, დედაჩემო, გაიზარდნენ პატარა ჯენტლმენები და უკურნებელი ნარცისიზმით შეპყრობილები პლაჟზე გაფენილ მოცისფრო პირსახოცებზე წვანან. ოი! ერთი მე მომმართავს: „ალექს! მაკედონელო! ხომ არ გახსოვს, ტარხუნა სად დავდე? " შეხედე, შენი პატარა ჯენტლმენი ვიღაც შელდონს ტუჩებში კოცნის: გემრიელი სოუსის გაკეთებისთვის მადლობას უხდის!

– იცი, რა წავიკითხე „კოსმოპოლიტენში"? – ეუბნება დედაჩემი მამაჩემს, – თურმე ქალებშიც არსებობენ ჰომოსექსუალები.

– მოიცა რა, – ბურდღუნებს მამა დათვი, – რა ნაგავს კითხულობ... რა სისულელეებს წერს ეს ხალხი!

– ჯეკ, ხომ არ გგონია, რომ რამეს ვიგონებ? „კოსმოში" წავიკითხე! მოიცა, სტატიას გაჩვენებ!

– შემეშვი ერთი, მაგ სისულელეებს იმისთვის იგონებენ, რომ ჟურნალი გაიყიდოს!

დედიკო! მამიკო! ეგ რა არის, უარესს გეტყვით! არსებობენ კაცები, რომლებიც ქათმებს ხმარობენ! ზოგიერთი გვამებსაც კი აუპატიურებს! ვერც კი წარმოიდგენთ, რისთვის იღებს ზოგი თხუთმეტ და ოცწლიან სასჯელს. თურმევიღაც ნაბიჭვარს „სიკეთეზე" თავისებური წარმოდგენა ჰქონია! ამიტომ, თუ წვივში წიხლი ჩაგაზილე, დედიკო, თუ კბილები მაჯაში ძვლამდე ჩაგასე, უფალს მადლობა შესწირე! ეგ ყველაფერი გულში რომ ჩამეხვია, მერწმუნე, ერთხელაც, შინ დაბრუნებულს მე, შენი მუწუკებიანი მოზარდი შვილი, საშხაპე ძელზე მამაჩემის ქამრით ჩამოკიდებული დაგხვდებოდი! ან უა-

რესი: შარშან ზაფხულს ერთკვირიან გლოვას კი არ გამოაცხადებ-დით შორეულ ევროპაში ჩემი გაქცევის გამო, ფაირ აილენდზე, ჩვენს ვერანდაზე ერთად ვისადილებდით: თქვენ ორნი, მე და შელდონი. გახსოვს, დედა, რა უქნა გოურმა ასთაკვმა შენს კუჭ-ნაწლავს? წარ-მოგიდგენია, რა დაგემართებოდა, შელის გაკეთებულ საუცე ბეარ-ნაისე-ს გემოს რომ გაუსინჯავდი?

აჰა, ესეც ასე.

რომ იცოდეთ, როგორი პანტომიმის დადგმა მომიხდა იმ საღამოს: წყალგაუმტარი ქურთუკი გავიხადე და მუხლებზე დავიდე, რომ შარ-ვლის ჩახსნილი უბე და ამდგარი სირი არავის დაენახა. მძღოლს, რო-მელიც პოლონელი გამოდგა, ყოველ წუთს შეეძლო ჩვენს თავებს ზე-მოთ სინათლე აენთო და რამდენიმე წამში წყლისთვის გაეტანებინა თხუთმეტი წლის გარჯა: რვეულები, შიგ ჩაწიკწიკებული დავალებე-ბითა და კარგი ნიშნებით, დღეში ორჯერ კბილების ხეხვა და ყოველ-თვის გარეცხილი ხილის ჭამა... აუჰ, როგორ ცხელა სალონში! რა ხუთვაა! მგონი, სჯობს, ეს ქურთუკი გავიხადო და კოხტად დაკეცი-ლი მუხლებზე დავიდო... ჰმ, რას ვაკეთებ? მამაჩემი მარწმუნებს, პო-ლონელისთვის ის დღე რა დღეა, თუ თავისი ტლანქი ფეხებით ებ-რაელის ძვლებს არ გადაუარაო. ჰოდა, რატომ ვაძლევ ყველაზე და-უძინებელ მტერს ჩემი განადგურების შანსს? რა დღეში ჩავვარდები, ამან რომ გამომიჭიროს?

სანამ გვირაბის შუამდე მივაღწევთ, ელვა შესაკრავს უხმაუროდ ვიხსნი. აი, ისიც – ამოხტა ვაჟბატონი და ყელყელაობა დაიწყო. რო-გორც ყოველთვის, გაბრექილია და საკუთარ მოთხოვნებს მიყენებს. იმ იდიოტ მაკროცეფალს ჰგავს, მუდმივად დაუკმაყოფილებელი, ბრიყვული მოთხოვნებით მშობლებს ცხოვრების ხალისს რომ უკარ-გავს.

– მიდი, დამანძრიე, – მეუბნება ეს აპრიალებული მონსტრი.

– აქ? ახლა?

– რა თქმა უნდა, აქ და ახლა. შენ გგონია, ასეთი შანსი მეორეჯერ

მოგეცემა? ნახე, რა გოგოს სძინავს შენ გვერდით! ცხვირზე შეხედე.

– ცხვირზე რა სჭირს?

– საქმეც ეგ არის! ცხვირი თითქმის არ აქვს! თმა ნახე! როგორი სწორი და სრიალაა... გახსოვს, სელი რა არის? სკოლაში რომ ისწავლე... სელივით თმა აქვს. უმაგრესი გოგოა, იდიოტო. შიკსე! და თანაც სძინავს, ან იქნებ თავს იმძინარებს. შეიძლება, ასეც იყოს. იქნებ თავს იკატუნებს, სინამდვილეში კი ფიქრობს: „მიდი, დიდო ბიჭო, ყველა ის ბინძური რამე მიქენი, რაც კი ოდესმე თავში მოგსვლია! ..“

– ასე გგონია?

– ჩემო კარგო, – მეჟღურტულება საკუთარი ასო, – ნება მომეცი, ჩამოგითვალო ის ბინძური რამეები, რაც ამ გოგოს ესიამოვნება და რასაც შენგან მოელის. მაგალითად, უნდა, რომ მისი პატარა, მკვრივი, შიკსური ძუძუები ხელებში მოიგდო.

– მართლა?

– კიდევ ის უნდა, რომ შიკსურ საშოში თითები შეუყო და მანამდე არ გამოიღო, სანამ გული არ წაუვა!

– ღმერთო ჩემო! სანამ გული არ წაუვა!

– ასეთი შანსი შეიძლება მეორედ აღარ მოგეცეს. შენს სიცოცხლეში!

– საქმეც ესაა, ვინ იცის, რამდენ ხანს ვიცოცხლებ. მძღოლის გვარი წაიკითხე. სულ „დზ“-ები და „ბჟ“-ებია. მამაჩემს თუ დავუჯერებთ, პოლონელები ბიზონების პირდაპირი შთამომავლები არიან!

თუმცა ამდგარ სირთან კამათი ვის მოუგია? Ven der putz shteht, ligt der sechel in drerd. იცით ეს ცნობილი ანდაზა? სირი რომ აგიდგება, ტვინი გისამარდებაო! სირი რომ ადგება, ტვინი კვდება! ასე არ არის? ჰოდა, ეს ჩემი სირიც ხტუნვას და ცანცარს იწყებს, გაწვრთნილი ძაღლივით მიიწევს რკალში გასაძვრომად – იმ საყელურში თავის გასაყოფად, რომელიც ჩემი ცერა თითით, შუა თითითა და საჩვენებელი თითით მოვუმზადე. სამი თითით ნძრევა მოკლე-მოკლე, წყვეტილი მოძრაობებით ავტობუსში ნამდვილი მისწრებაა. იმედი

მაქვს, ჩემი წყალგაუმტარი ქურთუკი ნაკლებად იმოძრავებს და ისრიალებს. რა თქმა უნდა, ეს ტექნიკა ასოს მგრძნობიარე თავს უგულებელყოფს, მაგრამ რას იზამ, ჩვენი ცხოვრება ხომ, ძირითადად, თავის გაწირვა და თვითკონტროლია, რაზეც სექსუალური მანიაკიც კი ვერ დახუჭავს თვალს.

სამი თითით დანძრევის ხერხი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისთვის მქონდა შემონახული. ერთხელ ნიუარკის ცენტრში, „ემპაირ ბერლესკ ჰაუზშიც" კი გამოვიყენე. ერთ კვირა დილით სმოლკას – ბავშვობაში, მისი სახით, საკუთარი ტომ სოიერი მყავდა – მაგალითს მივბაძე: ბეისბოლის ხელთათმანი ავიღე და სახლიდან სტვენა-სტვენით გავედი – ვითომ სკოლის მოედანზე მივდიოდი. როცა არავინ მხედავდა (ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ მაინც), 14 ავტობუსს შევახტი და მთელი გზა სკამზე მოკუნტულმა ვიმგზავრე. წარმოიდგინეთ „ბერლესკ ჰაუზი" და ისიც, თუ რამდენი კაცი მიდიმოდის მის შორიახლოს კვირა დილით. ამ დროს ნიუარკის ცენტრი ისეთი ცარიელია, თავი საჰარაში გეგონება, მაგრამ „ემპაირ ბერლესკის" მიდამოები სულ სხვა საქმეა. ისეთი ტიპები ტრიალებენ, კაცი იფიქრებს, რომელიღაცგემის ეკიპაჟია სურავანდის სამკურნალოდ ხმელეთზე გადმოსულიო. რამ გამაგიჟა – იქ როგორ უნდა შევიდე? ღმერთმა იცის, რა დაავადებას ავიკიდებ იმ სკამებიდან!

– შედი, შედი, დაავადებების დედაც, – ამომძახა შორტში მობინადრე მანიაკმა მიკროფონით. – ხომ იცი, იქ რას ნახავ? იმას, რაც ქალებს ფეხებს შუა აქვთ!

– იმას, რაც ქალებს ფეხებს შუა აქვთ?

– ჰო, ცხელს, სველს და სახმარად გამზადებულს.

– მერე სიფილისი რომ ავიკიდო? ხომ იცი, ეგ როგორ ხდება: ერთხელ შეეხები ბილეთს და სიფილისი ზედ გაქვს. ან ფეხსაცმელების ძირებზე მიკრობები ამეკრობა და ჩემებს სახლში მივუტან. ან ვიღაც თავზეხელაღებული გამძარცვავს, საფულისთვის ყელს გამომჭრის. პოლიციელები რომ შემოვიდნენ? ამოიღებენ პისტოლეტებს, ყველა

შემოეფანტებათ და შეცდომით მე მესვრიან! თან არასრულწლოვანიც ვარ! მართლა რომ მომკლან? ან უარესი: რომ დამაპატიმრონ? ჩემს მშობლებს რა პასუხი გავცე?

– მოკლედ, თქვი, გინდა მუტლის ნახვა, თუ არ გინდა?

– მინდა! მინდა!

– მანდ ერთი ისეთი ბოზი ჰყავთ, ფარდას მიადგება ხოლმე სულ შიშველი, ფეხებს შუა ამოიდებს და ხმარობს.

კარგი, კარგი, გავრისკავ, სიფილისს დავიკიდებ! დე, ტვინი შემიდედდეს, დარჩენილი ცხოვრება საგიჟეთში გავატარო და საკუთარი განავლით ხელბურთი ვითამაშო. მაგრამ „ნიუარკ ივნინგ ნიუზში" ჩემი სურათი რომ მოხვდეს? პოლიციელები სინათლეს აანთებენ და ღრიალს დაიწყებენ: „აბა, ადექით, ნაბიჭვრებო, რეიდია! " ამ დროს ფოტოაპარატი გაჩხაკუნდება და გამომიჭერენ! არადა, უკვე სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა კლუბის პრეზიდენტი ვარ! ორ კლასს გადავახტი – გამოცდები ექსტერნად ჩავაბარე! 1946 წელს მთელი მერვე კლასი ავამხედრე და საუკეთესო პატრიოტული ესეს ყოველწლიურ კონკურსში მონაწილეობაზე უარი ვათქმევინე, რადგან ამ კონკურსს „ამერიკის რევოლუციის ქალიშვილები" აფინანსებდა – ის ხალხი, მერიან ანდერსონს „კონვენშენ ჰოლში" სიმღერის უფლება რომ არ მისცა. თორმეტი წლისას ფანატიზმსა და შეუწყნარებლობასთან მამაცურად ბრძოლისთვის მადლობა გადამიხადეს ნიუარკის „ესექს ჰაუზში". პოლიტიკური აქციების კომიტეტის სხდომაზეც მიმიწვიეს. სცენაზე ამიყვანეს, სადაც, მადლობის ნიშნად, ხელი ცნობილმა მიმომხილველმა, ფრენკ კინგდონმა ჩამომართვა, რომლის ნაწერებსაც პმ-შიყოველდღე ვკითხულობდი. როგორ გავბედე „ბერლესკ ჰაუზში" წასვლა ვიღაც დეგენერატებთან ერთად იმის სანახავად, თუ როგორ ასახიერებს სამოცი წლის ქალი თაბაშირის კაცთან სექსს? „ესექს ჰაუზის" სცენაზე ხომ ხელი თვით ფრენკ კინგდონმა ჩამომართვა, ხოლო როცა ხელს მართმევდა, მთელი კომიტეტი ფეხზე წამომდგარი ტაშს მიკრავდა, რადგან მე „ამერიკის

რევოლუციის ქალიშვილებს" დავუპირისპირდი. ფრენკ კინგდონმა მითხრა: „ყმაწვილო, ამ დილით თქვენ აქ ნამდვილ დემოკრატიას იხილავთ! "... მე და ჩემი მომავალი სიძე, მორტი ფეიბიში ამერიკელი ვეტერანების კომიტეტის სხდომებზეც დავდივართ. მორტის, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტის წევრია, სკამების დაწყობაში ვეხმარები. უკვე წაკითხული მაქვს ჰოვარდ ფასტის „მოქალაქე ტომ პეინი", ბელამის „უკან მოხედვისას" და ფილიპ უაილის „ფინლი რენი". წითელი არმიის გუნდის ჩანაწერებს ჰანასთან და მორტისთან ერთად ვუსმინე. რენკინი, ბილბო, მარტინ დაისი, ჯერალდ სმიტი და მამა კაფლინი – მთელი ეს ნაბიჭვარი ფაშისტები დაუძინებელ მტრებად მიმაჩნია. ჰოდა, რა ნამუსით ვზივარ ახლა „ბერლესკ ჰაუზში" და ბეისბოლის ხელთათმანში ვანძრევ? ვაი და, ვინმემ დამარტყას? ვაი და, ინფექცია შემეჭრას?

ჰო, მაგრამ, ხომ შეიძლება, შოუს შემდეგ, აი, ის დიდძუძუებიანი... ხომ შეიძლება... სამოც წამში ჩემი ფანტაზია სრული დაცემის მკაფიო და ამაღელვებელ სურათს მიხატავს, რომელშიც მე (უკვე ამერიკის მოღალატე), რომელიღაც უბადრუკი სასტუმროს ნომერში გაფენილ ხალიჩაზე ნამდვილ მაკკოისთან ერთად ვგორავ – აი, ეს სახელი მაქვს გამზადებული სცენაზე ნანახ ბოზთა შორის ყველაზე დიდი ბოზისთვის. ოჰ, რა აღარ ხდება ჭერიდან ჩამოკონწიალებული ნათურის ქვეშ (აბრა წარწერით „სასტუმრო" ზუსტად ჩვენი ფანჯრის ქვეშ ციმციმებს). ქალი „დრეიკ დეადევილის" ქაფქეიქს (ნაღებისა და შოკოლადის სატენით) სირზე მამხობს და ნელა-ნელა, ნამცეც-ნამცეც ჭამს. მერე ქილიდან ცაცხვის სიროფს მასხამს და სათუთ კვერცხებს მანამდე მილოკავს, სანამ ისე არ გააპრიალებს, თითქოს პატარა ბიჭუნასი იყოს. მისი საყვარელი ციტატა ინგლისური პროზიდან – ნამდვილი შედევრი: „შემიდე და არ გამოიღო, სანამ გული არ წამივა". მე რომ აბაზანაში ვაკუებ, სრულიად შიშველი მუხლებზე დგება, წელში იხრება და წყლიდან ამობუყბუყებულ ბუშტებს კოც-

ნის. როცა უნიტაზზე ვზივარ, სირზე მაჯდება და პირში შაქარლა-მისხელა კერტებს მიდებს, თან ყურში ყველა იმ ბინძურ სიტყვას ჩამ-ჩურჩულებს, რაც კი იცის. პირში ყინულის კუბებს იდებს და ენა და ტუჩები ეყინება, მერე გაყინული პირით მინეტს მიკეთებს – ცოტა ხანში კი ცხელ ჩაიზე გადაერთვება! ყველაფერს, ყველაფერს ისე მი-კეთებს, როგორც მიოცნებია და წარმომიდგენია! გაფიქრებას ვერ ვასწრებ, რომ უკვე იცის, რა მინდა. უდიდესი ბოზია დედამიწის ზურგზე და... ეს ბოზი ჩემია! „ოჰ, ნამდვილო მაკკოი... ვათავებ! ვა-თავებ! შე ჩათლახო! " ასე ვხდები პირველი ადამიანი, ვინც ნიუარ-კში, „ემპაირ ბერლესკ ჰაუზში" საკუთარ ბეისბოლის ხელთათმანში გაათავა. ვინ იცის, პირველი?

„ემპაირში" ამ საქმისთვის ყველაზე ხშირად შლაპა გამოიყენება. აქვე, ახლოს, ჩემსავით ახურუშებული, ოღონდ ორმოცდაათი წლით უფროსი ძიაკაცი პირდაპირ საკუთარ შლაპაში ათავებს. შლაპაში, ექიმო! ოი, გული მერევა. ტირილი მინდა. რას შვრები, შვანც, ეგ ხომ შენი შლაპაა, თავზე როგორღა უნდა დაიხურო? დაიხურავ, გარეთ გახვალ, ნიუარკის ცენტრში სეირნობას დაიწყებ და სპერმა შუბლზე ჩამოგეწუწება! ნეტავ დღეს როგორ ისადილებ, თავზე ეგ შლაპა რომ გეხურება?

როგორც კი ხელთათმანში ბოლო წვეთი ეცემა, საშინელი უგუნე-ბობა მეწყება. სრული სასოწარკვეთა მეუფლება. ჩემი სირიც დარ-ცხვენილია და ერთი სიტყვითაც არ მეპასუხება. „ბერლესკ ჰაუზი-დან" გამოვდივარ, თავს უმოწყალოდ ვიწყევლი და ხმამაღლა ვგმი-ნავ: „არა, არა, არა". იმ კაცს ვგავარ, რომელმაც ფეხი ძაღლის კურ-კლებში ჩადგა. თუმცა ფეხსაცმელს ვინ ჩივის, შლაპაში გათავება... ფუ! რა გულისამრევია! შლაპაში, ღმერთო ჩემო. Ven der putz shteht, ligt der sechel in drerd! შლაპაში, რომელიც თავზე ახურავს!

უცებ ის გამახსენდა, დედაჩემი რომ მასწავლიდა, როგორ უნდა მომეშარდა ფეხზე მდგომს. ყური დამიგდეთ, შეიძლება ჩემს მონა-

ყოლში ინფორმაციის ის მარცვალი იყოს, რომელსაც მე და თქვენ ვეღლოდებით – იმის გასაღები, თუ რამ განსაზღვრა ჩემი ბუნება; რატომ ვარ ჩავარდნილი ამ გასაჭირში, რატომ ვიჭყლიტები საკუთარ სურვილებსა და სინდისს შორის: სურვილებს სინდისი სძულთ და სინდისს სურვილები სძულს. ახლა მოგიყვებით, როგორ ვისწავლე დიდი კაცივით უნიტაზში მოფსმა. ერთი, მომისმინეთ რა!

უნიტაზთან ვდგავარ და წყალს ჩავყურებ, პატარა ჭუჭუ საყვარლად მაქვს გაშვერილი. დედაჩემი იქვე, აბაზანის კიდეზე ზის. ერთი ხელით ონკანს უშვებს (ონკანიდან წყალი მოწანწკარებს – აი, რას უნდა მივბაძო), მეორე ხელით კი ჩემს ჭუჭუს ქვემოდან უღიტინებს. ვიმეორებ: ჩემს ჭუჭუს უღიტინებს! ალბათ ჰგონია, რომ ასე მოშარდვაში დამეხმარება. უნდა გამოვტყდე: ქალბატონი არ ცდება. „აბა, ერთი კარგი ფიში-ფიში გააკეთე, კარგი ფიში-ფიში გაუკეთე დედიკოს“, – მეჟღურტულება და იმას მიკეთებს, რაც მე მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ვაკეთო! ამ წუთებში დედაჩემი ჩემს მომავალს ძერწავს! წარმოიდგინეთ! რა აბსურდია! ასე ყალიბდება მამაკაცის ხასიათი, ასე იქმნება მისი ბედისწერა... რა ვიცი, იქნებ ვცდები... ასეა თუ ისე – იქნებ ეს ინფორმაციაც გამოგადგეთ – სხვა ადამიანის თანდასწრებით მოშარდვა დღემდე არ შემიძლია. დღემდე! ტუალეტში ნესვივით გაბერილი შარდის ბუშტითაც რომ შევიდე, საკმარისია, მოფსმის დაწყებისას ვინმემ ხელი შემიშალოს, რომ წვეთიც არ გადმომვარდება (თქვენ ხომ ყველა წვრილმანი გაინტერესებთ და მეც ყველაფერს გიყვებით). ჰოდა, რომში, ექიმო, მე და მანქიმ ქუჩიდან ბოზი ავიყვანეთ და ლოგინში ჩავიწვინეთ. აჰა, ვთქვი, როგორც იქნა. ალბათ რაღაც დრო მჭირდებოდა.

ავტობუსი, ავტობუსი... არ ვიცი, მაშინ ხელი რამ შემიშალა, რომ მძინარე შიკსეს ხელზე არ გავათავე. გგონიათ, საღმა აზრმა? ან ზნეობის ნორმებმა? ან კეთილგონიერება, როგორც ამბობენ ხოლმე, წინა პლანზე წამოვიდა? მაშინ სად იყო ეს კეთილგონიერება, როცა ერთ დღეს სკოლიდან დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ დედაჩემი

სადღაც წასულიყო, მაცივარში კი უმი ღვიძლის დიდი, მუქი წითელი ნაჭერი იდო? მგონი, უკვე ვაღიარე, ბარ-მიცვასთვის მოსამზადებელ გაკვეთილზე მიმავალმა საყასბოში ღვიძლის ნაჭერი რომ ვიყიდე და ბილბორდის უკან რომ ვიხმარე. ჰოდა, ახლა გული უნდა გადაგიშალოთ, თქვენო უწმინდესობავ. ეგ ღვიძლი ჩემი პირველი ღვიძლი არ ყოფილა. პირველს მყუდრო ოჯახურ გარემოში შევუდე: ოთხის ნახევარზე ღვიძლი სააბაზანოში შევიტანე და სირზე შემოვიხვიე. ექვსის ნახევარზე კი უკვე ჩანგლის წვერზე წამოგებულს ჩემი საბრალო, ყოვლად უმანკო ოჯახის წევრებთან ერთად გეახლებოდით.

ესეც ასე. ახლა ყველაზე უარესი რამ იცით, რაც კი ოდესმე ჩამიდენია. ჩემი ოჯახის სადილი სირზე წამოვიცვი და ვიხმარე.

ჰო, ეს ყველაზე უარესი საქციელია, თუ, რა თქმა უნდა, მანქის აზრს არ იზიარებთ, რომ ყველაზე ამაზრზენი რამ, რაც კი ცხოვრებაში ჩამიდენია, საბერძნეთში მისი მიტოვება იყო. არსებობს ჩემი მეორე ამაზრზენი დანაშაულიც: აი, ის, რომში ეროტიკული ტრიუმვირატის შექმნაზე რომ დავიყოლიე. მისი აზრით – რაღაც აზრები მანქისაც აქვს! – ჯგუფურ სექსზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მე მეკისრება, რადგან უფრო ძლიერი და ზნეობრივი პიროვნება ვარ.

– დიდი ჰუმანისტი! – ყვირის მანქი, – ვისი სამსახურიც ის არის, რომ საწყალი ღარიბები ბინათმფლობელებისგან დაიცვას. შენ არ მომეცი წასაკითხად „აშშ“? შენი გულისთვის არ შევავსე სააპლიკაციო ფორმა „ჰანტერში“სწავლის დასაწყებად?! შენი გულისთვის არ ვიკლავ თავს, რომ უტვინო ქათამზე მეტი ვჩანდე?! და ახლა გინდა, ისე მომექცე, თითქოს მარტო კარგი სახმარი ტრაკი ვიყო! თითქოს შენი ყველა არანორმალური, პათოლოგიური სურვილის დასაკმაყოფილებლად ვარსებობდე, მაშინ, როცა შენ სხვებზე მაღლა დგახარ, დიდი ინტელექტუალი! ინტელექტუალი, რომელიც საგანმანათლებლო არხის პროგრამებში დადის სალაპარაკოდ!

ხედავთ? მანქის წარმოდგენით, ჩემი მისია ის ყოფილა, თავქარიანობის, გარყვნილების, აღვირახსნილობის ჭაობიდან ამომეთრია, ანუ იმ ჭაობიდან, რომელში ბოლომდე ჩაფლობასაც ასე ამაოდ ვცდილობდი მთელი ცხოვრება. ამას კი თურმე ნდომებია, რომ მისთვის ზუსტად ის ცდუნებები ამერიდებინა,რომელთა აყოლაც ამდენი წლის განმავლობაში თავში მიტრიალებდა და მოსვენებას არ მაძლევდა! არადა, საწოლში ჩემზე ნაკლებად არ ცდილობდა საკუთარი ფანტაზიებისთვის ხორცის შესხმას. ექიმო, პირველს ვის მოუვიდა თავში ეს აზრი? გაცნობის დღიდან ჩვენს საწოლში მეორე ქალის შემოთრევის იდეას ვინ მაწვეთებდა? დამიჯერეთ, ეგ იყო, ეგ! არა, მე ამაზე პასუხისმგებლობას არ ვიხსნი, მაგრამ ახლავე უნდა შევთანხმდეთ მე და თქვენ (მაგას ამ საკითხზე ვერ შევუთანხმდები): ეს ქალი სრული ნევროტიკია, ერთი პათეტიკური და ისტერიული მუტელი, რომელსაც ჩემს მსხვერპლად ვერ განვიხილავ! ვერა, მსხვერპლობანას თამაშში ვერ ავყვები! ოცდაათი წლის გახდა და გათხოვება უნდა – ბავშვი, ოჯახი, რესპექტაბელური ცხოვრება, სახლი, რომელშიც ქმარი ეგულება (სწორედ ახლა უნდა ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ბრწყინვალე კარიერაში დაღმასვლის პერიოდი დაეწყო და იმდენს აღარ უხდიან, რამდენსაც ადრე). თუ თავს მსხვერპლად, დაჩაგრულად და ექსპლუატირებულად გრძნობს (რაც, მის ცხოვრებას თუ გადავხედავთ, შეიძლება მართალიც იყოს), ეგ ხომ იმას არ ნიშნავს, რომ კისერზე უნდა დავისვა? რა ჩემი ბრალია, რომ ოცდაათი წლის გახდა და ჯერ კიდევ გაუთხოვარია! დასავლეთ ვირჯინიის მაღაროებიანი ველ-მინდვრებიდან მე არ წამომიყვანია, მთელი ცხოვრება მე გათრევ-მეთქი, არ შევპირებივარ და ის ქუჩის ბოზიც მე არ ჩამიწვენია მის საწოლში! თვითონ მთხოვა, თვითონ! მაღალი მოდის სამყაროში ნასწავლი იტალიურით ელაპარაკა, დაქირავებული მანქანის ფანჯრიდან თავი გადაყო და იმ ბოზს აუხსნა, რა და როგორ გვინდოდა; ფასზეც თვითონ შეუთანხმდა! მე, უბრალოდ, საჭესთან ვიჯექი, ცალი ფეხი პედალზე მქონდა მიჭერილი და ეგ რომ

არა, მგონი, საერთოდ დავახვევდი იქიდან... დამიჯერეთ, ის ბოზი მანქანაში რომ ჩაგვიჯდა, გავიფიქრე, არა-მეთქი; მერე, სასტუმროში, ჯერ ის ქალი რომ ავგზავნეთ მარტო ჩვენს ნომერში, ისევ იმას ვფიქრობდი, არა, არა, არა-მეთქი...

შესახედავად არა უშავდა რა – ბოზზე ვამბობ: დაბალი და ტანსრული გოგო იყო, ოც წელს ოდნავ გადაცილებული. ფართო, სასიამოვნო სახე ჰქონდა და მთავარი: უზარმაზარი ძუძუები. ზუსტად ამიტომ ავირჩიეთ ვია-ვენეტოზე, ასე ვთქვათ, საქონელის ერთობლივი შეფასების შემდეგ. ბოზმა, რომელსაც ლინა ერქვა, კაბა პირდაპირ შუა ოთახში გაიხადა; კაბის ქვეშ კორსეტი ეცვა, „მხიარული ქვრივის" მოდელი თუ იცით, აი, ეგ. კორსეტის ზედა ნაწილიდან თითქმის ამოყრილი ძუძუები, ქვედა ნაწილიდან კი კოხტად მომრგვალებული თეძოები მოუჩანდა. მისი ჩაცმულობის თეატრალურობით გაოცებული დავრჩი, მაგრამ ცოტა ხანში უკვე ყველაფერი საოცრებად მეჩვენებოდა, პირველ რიგში კი – ის, რომ ამდენთვიანი ცარიელილაპარაკის მერე ჩანაფიქრი ავისრულეთ.

მანქი სააბაზანოდან გამოვიდა, მოკლე პერანგი ეცვა (ეს სანახაობა, როგორც წესი, საშინლად აღმაგზნებდა: კრემისფერი აბრეშუმის პერანგი ლამაზი მანქის ტანზე). ამასობაში მეც გავიხადე და საწოლის ფეხთან შიშველი ჩამოვჯექი. ის, რომ ლინას ინგლისურად სიტყვაც არ ესმოდა, შეგრძნებებს მიმძაფრებდა; რაღაც სადიზმისმაგვარი იყო იმაში, რომ მე და მანქის შეგვეძლო, ერთმანეთისთვის ჩვენი სურვილები და განზარხვები ისე გაგვეზიარებინა, რომ ლინა ვერაფერს მიმხვდარიყო. მეორე მხრივ, არც მე მესმოდა ლინას და მანქის იტალიური ჩურჩული, ვერ ვხვდებოდი, რას ამბობდნენ, რას აპირებდნენ... პირველმა ლინამ დაილაპარაკა და მანქიმ გადმომითარგმნა: „ამბობს, რა დიდი აქვსო". „თავს დავდებ, ყველა კლიენტს მაგას ეუბნება", – ვუპასუხე მე. მერე ორივენი ტრუსების ამარა იდგნენ და მიყურებდნენ – ეტყობა, ნიშანს ელოდნენ. მე კი მათ ველოდებოდი. რომ იცოდეთ, რა დაგიდუგი გაუდიოდა ჩემს გულს. აჰა,

აღსრულდა, ეს წუთიც დადგა ჩემს ცხოვრებაში: მე და ორი ქალი... ნეტავ ახლა რა მოხდება? და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დროსაც კი საკუთარ თავს ვუყვიროდი, არა, არა-მეთქი!

– აინტერესებს, რა უნდა სინიორს, რით დავიწყოთო, – მითხრა მანქიმ, როცა ლინამ მეორედ გადაულაპარაკა.

– უთხარი, სინიორს დასაწყისიდან უნდა ამ საქმის დაწყება-თქო, – ვუპასუხე.

ღმერთო, რა გონებამახვილური პასუხი იყო, არხეინად წარმოთქმული. თუმცა ამის მერეც ისევ ისე, გაუნრძევლად ვისხედით შიშვლები, ან სად გავიქცეოდით?! არც მე ვაკეთებდი რამეს და არც ჩემი ერეგირებული ასო. ბოლოს ისევ მანქიმ გამოიღო ხელი. ლინასთან მივიდა, თავზე დაადგა (ღმერთო, ნუთუ ეს ქალი ვერ უნდა ვიმყოფინო? ამაზე მეტი რაღა მინდა? განა ყველა მოთხოვნილებას არ მიკმაყოფილებს? რამდენი ყლე მაქვს, ბოლოს და ბოლოს, ერთი, არა?) და იმ ბოზს ხელი ფეხებშუა შეუყო. ეს ყველაფერი მანამდე ათასჯერ მაინც წარმოგვედგინა, ყველა დეტალს ვარჩევდით და ხმამაღლა ვოცნებობდით ხოლმე, მაგრამ იმის დანახვისას, თუ როგორ გაუჩინარდა მანქის შუათითი ლინას საშოში, გაკვირვებისაგან ენა მუცელში ჩამივარდა.

მდგომარეობა, რომელშიც ძალიან მალე აღმოვჩნდი, ადვილად აღსაწერი არ არის და მას ყველაზე მეტად სიტყვა „დაკავებული" შეეფერება. არ იცით, რა დაკავებული ვიყავი: ვისი რა აღარ მეჭირა ხელში და ჩემიც რა აღარ ეჭირათ ხელში. საქმე და საკეთებელი იმდენი იყო, ძლივს ავუდიოდი. შენ ამას გააკეთებ და მე ამას გავაკეთებ – ძალიან კარგი; ახლა შენ ეს გააკეთე და მე კიდევ ამას გავაკეთებ – ესეც ძალიან კარგი; ახლა ამან ქვემოთ ჩაიწიოს, სანამ მე ზემოთ ავიწევ და შენ ასე, ცოტა წინ გადაიხარე... ასეგრძელდებოდა, ექიმო, სანამ მესამედ და უკანასკნელად არ გავათავე. ამ დროისათვის მანქი საწოლზე გულაღმა ეგდო, მე ტრაკი ჭაღისკენ (კამერებისკენ-მეთქი, – კინაღამ წამომცდა) მქონდა აშვერილი, ჩვენი ბოზი კი

მანქის პირში ძუძუს უდებდა. რომლის ხვრელში, რანაირ ხვრელში შევასხი ბოლო ჯერზე, არ ვიცი – ამაზე მხოლოდ ჰიპოთეზების გამოთქმა შემიძლია. ბოლოს სველი, სურნელოვანი იტალიური ბოქვენის თმის, ლაპლაპა ამერიკული დუნდულებისა და ერთიანად დაჭმუჭნული ზეწრის ერთგვარ კომბინაციას ვხმარობდი. მერე წამოვდექი, სააბაზანოში შევედი და – ამის შეტყობა, ალბათ, გაგახარებთ – მთელი ჩემი სადილი იქვე ამოვარწყიე. ჩემი კუჭ-ნაწლავი, დედა-ჩემო, რაღაცას აპროტესტებდა და იმდღევანდელი სადილი უნიტაზში ერთიანად ჩამაცლევინა. არა, თქვი, მაინც ხომ კარგი ბიჭი ვარ?

სააბაზანოდან რომ გამოვედი, მანქის და ლინას ჩახუტებულებს ეძინათ.

როგორც კი ლინამ ტანზე ჩაიცვა და წავიდა, მაშინვე დაიწყო მანქის პათეტიკური მოთქმა, ბრალდებები, ლანძღვა და თათხვა. თურმე მე შევაცდინე, მე გავხრწენი. „აჰა, ესე იგი, მე გაცდუნე! – ვეუბნები, – პირველმა შენ არ შეუცურე თითი? შენ არ დაიწყე, შენ არ იყავი ერთ ამბავში? ტუჩებში არ კოცნიდი?" „კი, მე ვიყავი! როცა რაღაც მაქვს გასაკეთებელი, ვაკეთებ კიდეც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაკეთება მართლა მინდა!" და მერე, ექიმო, წარმოიდგინეთ, მისაყვედურა, ლინას ძუძუებზე წესიერად არც კი მიფერებიხარო. გესმით?

– სულ ძუძუებზე ლაპარაკობ და ფიქრობ! სხვების ძუძუებზე! მე თურმე პატარა მქონია, სხვებს კი უზარმაზარი ჰქონიათ! და აჰა, ბოლოს და ბოლოს, იშოვე უზარმაზარი ძუძუები და რა? რა გააკეთე? არც არაფერი!

– „არაფერი" გაზვიადებულად ნათქვამია, – ვეუბნები. – ასე იმიტომ მოხდა, რომ იმ გოგოს ძუძუებს ხელიდან ვეღარ გგლეჯდი.

– რაა? – აყვირდა, – არ გაბედო ჩემთვის ლესბოსელის დაძახება, მე ლესბოსელი არ ვარ! და თუ ვარ, შენ გამხადე, შენ მაიძულე!

– ღმერთო ჩემო, ესღა მაკლდა...

– ეს შენთვის გავაკეთე, შენი გულისთვის, ახლაკი ამის გამო გეზიზღები.

– მაშინ ეს აღარასდროს გავიმეოროთ, კარგი? რაკი ამის მერე ასეთი საუბრის აუცილებლობა გაჩნდა.

თუმცა მომდევნო საღამოს, ვახშმობისას, ერთმანეთზე უკვე ელეთ-მელეთი მოგვდიოდა. ასეთ რამეებს მანქი ჩვენი რომანის დასაწყისში აკეთებდა ხოლმე. ახლაც „რანიერის" ტუალეტში ცოტა ხნით გაუჩინარდა და როცა მაგიდასთან დაბრუნდა, თითზე საშოს სუნი ასდიოდა. მის თითს მანამდე ვყნოსავდი და ვკოცნიდი, სანამ მთავარი კერძი არ მოგვიტანეს. ამის შემდეგ „დანიში" ბრენდი დავლიეთ და ლინას კიდევ ერთხელ მივაკითხეთ იქ, სადაც იდგა ხოლმე; მეორე რაუნდის გასამართავად სასტუმროში წამოვიყვანეთ. ამჯერად ლინას ყველაფერი მე გავხადე და ზემოდანაც დავაჯექი, სანამ მანქი ტუალეტიდან გამოვიდოდა. თან ვფიქრობდი, აჰა, როცა რაღაც მაქვს გასაკეთებელი, ვაკეთებ კიდეც-მეთქი! „ყველაფერს შევირგებ! ყველაფერს! და აღარც გული ამერევა! უიქვეიკის საჯარო სკოლაში ხომ აღარ ვართ, ნიუ-ჯერსი აქედან ძალიან შორსაა! "

როცა მანქი სააბაზანოდან გამობრძანდა და დაინახა, რომ თამაში უკვე დაწყებულიყო, მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩენილა. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, სახის ისედაც თხელი ნაკვთები კიდევ უფრო დაუვიწროვდა, თამაშში მონაწილეობაზე უარი გვტკიცა და თვალს მდუმარედ მანამდე გვადევნებდა, სანამ მე ორგაზმი არ განვიცადე, ლინამ კი თავისი ორგაზმი არ გაითამაშა. ამის მერე ლინამ გადაწყვიტა (ეს ისე საყვარლად გამოუვიდა), ჩემი საყვარლისთვისაც ესიამოვნებინა და ხელი გრძელ ფეხებს შუა შეუცურა, მაგრამ იმან ხელზე ხელი აუკრა. მერე მანქი ფანჯარასთან, სკამზე გადაჯდა და აღარც ამდგარა: იყო იქ და იღუშებოდა. ლინა მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ინტერპერსონალური ორთაბრძოლებისადმი დიდი სენსიტიურობა რომ არ ახასიათებთ, ჰოდა, ჩემ გვერდით, ბალიშზე მიწვა და თავისი ამბების მოყოლა დაიწყო. ცხოვრებაში ერთი რამ

წყევლასავით თან სდევდა: აბორტები. ერთი შვილი ჰყავდა, პატარა ბიჭუნა, რომელთან ერთადაც მონტე მარიოში ცხოვრობდა („ახალ, ლამაზ, მრავალსართულიან სახლში", – გადმომითარგმნა მანქიმ). ბავშვები კი ძალიან მიყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მდგომარეობაში თავს მეორე ბავშვის ყოლის უფლებას ვერ მივცემო, – გვითხრა ლინამ. ამის გამო მთელი თავისი დღე და მოსწრება აბორტმახერთან სირბილში ყოფილა... თავდაცვის ერთადერთ საშუალებად სპერმიციდული გამოვლებები მიაჩნდა, რაც მაინცდამაინც სანდო ხერხად ვერ ჩაითვლებოდა.

ვერ ვიჯერებდი, რომ ამ ქალს არც დიაფრაგმა გაეგონა და არც ჩასახვის საწინააღმდეგო აბები. მანქის მაშინვე ვთხოვე, ჩასახვის საწინააღმდეგო ისეთ თანამედროვე ხერხებში გაეთვითცნობიერებინა, რომლებიც მისთვის მარჯვედ გამოსაყენებელი და მოსახერხებელი იქნებოდა. ჩემმა საყვარელმა ალმაცერად გამომხედა. ბოზი სმენით კი უსმენდა, მაგრამ აშკარად სკეპტიკურად იყო განწყობილი. გული მტკიოდა, რომ ასეთი უვიცი იყო და ვერ ერკვეოდა იმ საკითხებში, რომლებიც მის ჯანმრთელობას პირდაპირ უკავშირდებოდა (როცა მანქის უსმენდა, საწოლში ნებივრობდა და ბოქვენის სველ თმას თითებით მიჩეჩავდა). რას უშვრება მაინც ადამიანებს ეს კათოლიკური ეკლესია-მეთქი, – ვფიქრობდი...

მოკლედ, იმ ღამით ლინა მხოლოდ თხუთმეტი ათასი ლირით კი არა, ერთი თვის სამყოფი „ენოვიდის" ტაბლეტებით გავისტუმრეთ – მანქისტაბლეტებით, რომლებიც მე მივეცი.

– მოკლედ, მხსნელი ხარ, რა! – მომაძახა მანქიმ ლინას წასვლისთანავე.

– აბა, რა უნდა ქნას ამ გოგომ, ორ კვირაში ერთხელ უნდა დაორსულდეს? ასე ჯობია?

– სულ ცალ ფეხზე არ მკიდია, ეგ რას იზამს? – მითხრა მანქიმ, ხმაში თვალსა და ხელს შუა პროვინციული სიწუნკლე გამოერია. –

ბოზია! ბოზია და შენც მხოლოდ ის გინდოდა, რომ გეხმარა! ტუალეტიდან გამოსვლაც კი არ დამაცადე! მერე კიდე ჩემი ტაბლეტები მიეცი!

– რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ვითომ რისი თქმა გინდა? იცი, რას გეტყვი: ერთი რამე აკლია შენს ნათქვამს – აზრი! გულწრფელობა – არა, მაგრამ აზრი – კი!

– მართლა? მაშინ შეგიძლია წაბრძანდე! რაც გჭირდებოდა, უკვე ხომ მიიღე! ჰოდა, წაეთრიე!

– შეიძლება წავიდე კიდეც!

– შენთვის მაინც ერთი ჩვეულებრივი ბოზი ვარ! სულ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკობ, სულ რაღაც დიდი და წმინდა იდეალები გიტრიალებს თავში, მე კი რა ვარ შენთვის? მარტო მუტელი – ჰო, თანაც ლესბოსელი! – ვიღაც ბოზი!

მოკლედ, ჩხუბის სცენას გამოვტოვებ. მოსაბეზრებელია. უკვე კვირა დღეა, ლიფტიდან გამოვდივართ და ვინ აღებს ამ დროს სასტუმროს კარს? არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი ლინა. თან ხელჩაკიდებული შვიდი-რვა წლის ბიჭუნა მოჰყავს, პატარა ბუთხუზა, რომელიც თაბაშირის ფიგურას ჰგავს, სულ მაქმანებში, ხავერდსა და ხელოვნურ ტყავშია გამოხვეული. ლინას თმა ჩამოუშლია, მუქ თვალებში კი (როგორც ჩანს, ეკლესიიდან ახალი გამოსულია) ნაცნობი იტალიური სევდა უდგას... მოკლედ, ასეთებზე ამბობენ, სანდომიანიაო. სასიამოვნო ადამიანიაო (ასეთ დეტალებს არასდროს ვტოვებ!). ახლა საჭიროდ ჩათვალა, რომ თავისი ბამბინო გვაჩვენოს. მგონი, სწორად გამოვიცანი.

ლინა ბიჭუნასკენ ხელს იშვერს და მანქის ჩურჩულით ეკითხება:

– მოლტო ელეგანტე, ნო?

მერე მანქანამდე მოგვყვება და სანამ ბავშვი პორტიეს უნიფორმის თვალიერებითაა გართული, ჩუმად გვთავაზობს, საღამოს მონტე მარიოში მდებარე ბინაში ვესტუმროთ და ყველაფერი, რაც გავა-

კეთეთ, ერთ მამაკაცთან ერთად გავიმეოროთ. გვეუბნება, რომ მეგობარი მამაკაცი ჰყავს (არ დაგავიწყდეთ, მის ნათქვამს ჩემი თარჯიმანი მითარგმნის), რომელიც, მისივე თქმით, სინიორინასთან სექსზე უარს ნამდვილად არ იტყვის. მანქის ვუყურებ და ვხედავ, როგორ ჩამოსდის ცრემლები მზის სათვალის ქვემოთ. მიუხედავად ამისა, მაინც მეკითხება: „რა ვუთხრა, კი თუ არა?" რასაკვირველია, არა-მეთქი, – ვეუბნები, – არა და არა-მეთქი. მანქი ლინას რაღაცას ეუბნება, მერე კი ისევ მე მიბრუნდება: „ამბობს, რომ ფულს არ გამოგვართმევენ, ეს ისეო, ჩათვალეთ, რომ..."

არა და არა-მეთქი! – ვუმეორებ.

მერე ვილა ადრიანამდე მანქი მთელი გზა ქვითინებს:

– მეც მინდა ბავშვიიი! და ჩემი სახლიიი! ქმარი მინდაააა! არ ვარ ლესბოსელი! ბოზი არ ვაააარ!

შარშანდელ გაზაფხულს მახსენებს – საღამოს, როცა ბრონქსში იმ ღონისძიებაზე წავიყვანე, რომელსაც ჩვენს კომისიაში „თანაბარი შესაძლებლობების წვეულებას" ვუწოდებთ.

– როგორ წვალობენ თურმე ის საწყალი პუერტორიკოელები ჩვენს სუპერმარკეტებში! იმ დღეს აღმოვაჩინე, რომ თურმე ესპანურადაც ლაპარაკობ. რამხელა შთაბეჭდილება მოახდინე ჩემზე! როგორ ეუბნებოდი? „აბა, მომიყევით, როგორი საშინელი სანიტარული პირობები გაქვთ, როგორ მიაქვს აქაურობა ვირთხებს და მღრღნელებს. მომიყევით, გიცავთ თუ არა პოლიცია! დისკრიმინაცია ხომ კანონით დაუშვებელია! ერთი წლის პატიმრობით ან ხუთიათასდოლარიანი ჯარიმით ისჯება! " ის საცოდავი პუერტორიკოელი კი წამოდგა და ყვიროდა: „ორივე იყოს, ორივე! " რა ყალბი ხარ, ალექს! რა ფარისეველი და მატყუარა! შტერ მექსიკელებს და ვიღაც ასეთებს დიდი ვინმე ჰგონიხარ, მაგრამ მე ხომ ვიცი სიმართლე, ალექს! ქალებს აიძულებ, ბოზებთან დაწვნენ!

– არავისაც არ ვაიძულებ! ისეთს არაფერს ვაკეთებინებ, რაც არ უნდათ!

– ადამიანის უფლებები! ადამიანის შესაძლებლობები! როგორ უყვარს ეს სიტყვა: ადამიანის! ნეტავ იცი მაინც, რას ნიშნავს, ნაბიჭვარო? მე გასწავლი, რასაც ნიშნავს! გააჩერე მანქანა, ალექს!

– ბოდიში, ვერ გავაჩერებ.

– გააჩერებ! გააჩერებ! იმიტომ, რომ აქ უნდა გადავიდე! ტელეფონი უნდა ვიპოვო! ჯონ ლინდსეის უნდა დავურეკო! ყველაფერს მოვუყვები, რაც გამიკეთე!

– ჩემ ფეხებს დაურეკავ.

– ნახავ, თუ ნიღაბს არ ჩამოგხსნი, ალექს! ჯიმი ბრესლინს დავურეკავ!

ამის მერე ათენში დამემუქრა, აივნიდან გადავხტები, თუ ცოლად არ მომიყვანო. მეც ავდექი და წამოვედი.

შიკსეები! ზამთრობით, როცა პოლიომიელიტის გამომწვევი ვირუსები ღრმა ძილით იძინებდნენ და ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთების საშიშროება სასწავლო წლის ბოლომდე არ მემუქრებოდა, ირვინგტონ პარკის ტბაზე საციგურაოდ დავდიოდი ხოლმე. სადაგ დღეებში საღამოობით, შაბათ-კვირას კი მთელი დღე იქაური შიკსეების გარშემო ვსრიალებდი.ირვინგტონი ქალაქური ტიპის პატარა დასახლებაა, რომელსაც ჩემი დაცული, უსაფრთხო ებრაული კვარტალისგან სახლებისა და ქუჩების რიგები ყოფს. შიკსეების სახლებს იმ ფარდებით ვცნობდი, რომლებიც მათ დედებს ფანჯრებზე დაეკიდათ. გოებმა წინა ფანჯრებზე ვარსკვლავიანი პატარა თეთრი ნაჭრების გამოფენაც იცოდნენ, იმის აღსანიშნავად, რომ ოჯახიდან ერთი ვაჟი მაინც ჯარში იყო გაწვეული. თუ ვაჟი ცოცხალი იყო, მაშინ ვარსკვლავი ლურჯი გახლდათ, თუ უკვე გარდაცვლილიყო – ოქროსფერი. ხომ გახსოვთ, რა რიხით აცხადებდა ხოლმე ტელეშოუს „თქვი სიმართლე ან დამარცხდი“ წამყვანი რალფ ედვარდსი, როცა მომდევნო მონაწილეს აცნობდა მაყურებლებს: „ოქროსვარსკვლავოსანი დედა! “ ზუსტად ორ წუთში ამ მონაწილეს ფეხებშუა მთელ ბოთლ მინერალურ წყალს შეასხამდნენ, სამაგიეროდ, ოჯახში ახალი

მაცივრით დაბრუნდებოდა... ზედა სართულის მეზობელი, ბიცოლა-ჩემი კლარაც „ოქროსვარსკვლავოსანი დედა“ იყო, მაგრამ მას და იმ დედებს შორის ერთი განსხვავება იყო – ფანჯარაში ოქროსფერი ვარსკვლავი არასდროს გამოუფენია, რადგან შვილის დაღუპვის გამო სიამაყის და გამორჩეულობის მსგავსიც არაფერი უგრძვნია. ეგ კი არა, მამაჩემის სიტყვებით რომ ვთქვა, სამუდამოდ „დაუცურდა კრამიტი“. ჰეში ნორმანდიაში დესანტის გადასხდომისას დაიღუპა და მას მერე დღე არ გასულა, რომ ბიცოლაჩემ კლარას მისი უმეტესი ნაწილი საწოლში არ გაეტარებინა. იმდენს მოთქვამდა და ქვითინებდა, რომ დროდადრო ექიმ იზის გამოძახება ხდებოდა საჭირო, რომელიც დამამშვიდებელ ნემსებს უკეთებდა და ისტერიის შეტევას უმსუბუქებდა... ფარდები! რაღაც უდავოდ იყო ამ მოქარგულ ფარდებში, მაქმანებით გაწყობილ თუ სხვანაირად „გადაპრანჭულ“ ქსოვილებში, რასაც დედაჩემი, აგდებით, „გოურ გემოვნებას“ უწოდებდა. შობის დღესასწაულის დღეებში, როცა სკოლაში არ დავდიოდი და საციგურაოდ წასვლა შებინდებისას, ლამპიონების შუქზეც შემეძლო, თხელი ფარდების უკან მოციმციმე ნათურებით მორთულ ხეებს ვხედავდი. ჩვენს კვარტალში – ღმერთმა დაგვიფაროს! – ან ლესლი სტრიტზე, შლეი სტრიტსა თუ ფებიან სტრიტზე ასეთი რამის ნახვა გამორიცხული იყო.მივუახლოვდებოდი თუ არა ირვინგტონის ქუჩების რიგს, ჯერ კანტი-კუნტად მხვდებოდნენ გოები, მერე – უფრო და უფრო ხშირად, ხოლო როცა ირვინგტონში შევდგამდი ფეხს – ჰოი, საშინელებავ! – თითოეული სახლის სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან სწორედ ასეთი მოციმციმე ხე შემომანათებდა ხოლმე. გარდა ამისა, ყოველი სახლი ფერადი ნათურებით, ქრისტიანობის ერთგვარი სარეკლამო განათებით იყო მორთული. გრამოფონებიდან „ჩუმი ღამე“ იღვრებოდა – გეგონება, ეს იყო ამათი ეროვნული ჰიმნი. დათოვლილ გაზონებზე ხისგან გამოთლილი ფიგურები ედგათ, ოდესღაც ბაგაში მომხდარი ამბის საჩვენებლად. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო,

რომ გულისრევა დამწყებოდა. როგორ შეუძლიათ ადამიანებს ამ სი-სულელეების დაჯერება? მხოლოდ ბავშვები კი არა, ზრდასრული ადამიანებიც იდგნენ ამ დათოვლილ გაზონებზე და ღიმილით დაც-ქეროდნენ ექვსდუიმიან ხის ფიგურებს: მარიამს, იოსებს და პატარა იესოს – მარტო ესენი კი არა, ხის ძროხები და ცხენებიც კი იღიმე-ბოდნენ! ღმერთმანი, ებრაელების იდიოტიზმი მთელ წელს გრძელ-დება, ქრისტიანებისა კი დღესასწაულებზე იჩენს ხოლმე თავს! მა-გარი ქვეყანა გვაქვს, ვერაფერს იტყვი. ნუთუ ვინმეს უკვირს, რომ ყველანი ცოტა დაქნეულები ვართ?

ოჰ, შიკსეები! შიკსეები ერთ რამედ ღირან! ჭკუიდან გადავდი-ვარ, როცა ჩახუთულ გასახდელში სველი ნახერხის სუნს მაგათი შა-ლის ჯემპრების სურნელი ერევა და ჩემ თვალწინ თავსაფრებიდან და ქუდებიდან ჩამოშლილი, ყინვადაკრული ქერა კულულები ელა-ვს. ამ ლოყებაღაჟღაჟებული, მოკისკისე გოგონების გარემოცვაში უღონო, აკანკალებული თითებით ვიკრავ ციგურების თასმებს, მე-რე, მათვე დადევნებული, საღამოს სუსხში ხის საბიჯელას ფეხის წვერებზე მივუყვები, ყინულზე გავდივარ და ამ თაიგულს, მოფარ-ფატე პეპლების ამ გუნდს, სიფრიფანა შიკსეების გირლანდებს გუ-ლის ფანცქალით მივდევ. მათით ისეთი აღფრთოვანებული ვარ, რომ ექსტაზამდე ერექციის გამოტოვებით მივდივარ. ჩემი პატარა, წინ-დაცვეთილი ასო აღფრთოვანებისა და მოწიწებისგან ერთიანად იკუმშება. შეიძლება, დავიზაფრე. ნეტავ ეგეთი გამაოგნებლები, ჯანსაღები და ქერები საიდან გაჩნდნენ? მათი რწმენისადმი ჩემს ზიზღს ჩემივე აღფრთოვანება ფარავს – აღფრთოვანება იმით, თუ როგორ გამოიყურებიან ეს გოგონები, როგორ მოძრაობენ, როგორ იცინიან და ლაპარაკობენ, როგორ ცხოვრობენ იქ, იმ გოური ფარდე-ბის მიღმა! იქნებ ეს შიკსური თავდაჭერა და სიამაყეა? ან იქნებ უფ-რო შეიგეცებისსიამაყეა? ამ გოგოების უფროსი ძმები ხომ სიმპათი-ური, კეთილზნიანი, თავდაჯერებული, სუფთად ჩაცმული, მკვირ-

ცხლი და უძლეველი ნახევარმცველები არიან კოლეჯების საფეხ-ბურთო გუნდებში: „ნორსვეტერნში", „ტექსას ქრისჩენსა" და „უჩლა"-ში. მამები, ხმადაბოხებული, ჭაღარათმიანი კაცები არასდროს ხმა-რობენ ორმაგი უარყოფის ფორმებს. დედები, სასიამოვნო მანერების მქონე, მომღიმარსახიანი ქალბატონები ამბობენ: „იცი, მერი, საქ-ველმოქმედო ღონისძიებაზე ოცდათხუთმეტი ნამცხვარი გავყიდეთ", „არ დაიგვიანო, ძვირფასო"... ჟღურტულით აცილებენ ტაფტის ვარ-დისფერ, ფრიალა კაბებში გამოწყობილ ვარდის კოკრებს, რომელთა თანმხლებ ყმაწვილებსაც სულ დაწყებითი კლასის სახელმძღვანე-ლოდან ნასესხები სახელები ჰქვიათ: აარონი, არნოლდი ან მარვინი კი არა, ჯონი, ბილი, ჯიმი და ტოდი. მათი გვარები პორტნოი ან პინ-კუსი კი არ არის, არამედ სმიტი, ჯონსი და ბრაუნი! ესენი ამერიკე-ლები არიან, ექიმო – ჰენრი ოლდრიჩივით და ჰომეროსივით,დიდი გილდერსლივივით და მისი დისშვილი ლეროისავით, კორლისივით და ვერონიკასავით ამერიკელები; ან უგი პრინგლივით, ჯეინ პაუ-ელის ფანჯრის ქვეშ რომ მღერის ფილმში „პაემანი ჯუდისთან". ჰო, ასეთ ადამიანებს უმღერის ნეტ კინგ ქოული ყოველი შობის ღამეს: „წაბლი იწვება ბუხარში, თოვლის ბაბუა ზედ ცხვირზე გკოცნის..." ბუხარი ჩემს სახლში? გამორიცხულია. არა, მხოლოდ იმნაირცხვი-რიანებისთვის მღერის ის კაცი. მათთვის კი არა, ვისაც მასავით ბრტყელი და შავი ცხვირი აქვთ, ან ჩემსავით გრძელი და კეხიანი. იმ პაჭუა, კოხტა სასწაულებს უმღერის, რომელთა ნესტოებიც დაბადე-ბიდანვე ავტომატურად პოულობენ ჩრდილოეთის მიმართულებას. და, რაც მთავარია, მთელი ცხოვრება ასეთებად რჩებიან! გასაფერა-დებელი ალბომებიდან გადმოსული ბავშვები – ისეთი ბავშვები, ნიუ-ჯერსიში, იუნიონის უბანში საგზაო ნიშნებზე რომ არიან გამოსახუ-ლები: „აქ ბავშვები თამაშობენ! ", „მანქანა ფრთხილად მართეთ, ჩვენ გვიყვარს ჩვენი შვილები! " ეს ბიჭები და გოგოები შენს სიახლოვეს ცხოვრობენ, მშობლებს მანქანას სთხოვენ ხოლმე და სულ რაღაც უსიამოვნებებში ეხვევიან, რომლებსაც ბოლოს მაინც თავს აღწევენ.

მეზობლებად სილვერშტაინები და ლანდაუები კი არ ჰყავთ, არამედ ფიბერ მაკგი და მოლი, ოზი და ჰარიეტი, ეთელი და ალბერტი, ლორენსო ჯონსი და მისი ცოლი ბელი და ჯეკ არმსტრონგი! ჯეკ არმსტრონგი, სრულიად ამერიკის გოი! ეს ჯეკი ჯონის შინაურული ფორმაა, ჯეიკისა კი არა, მამაჩემის სახელივით... მისმინეთ, ექიმო, ჩვენთან, სახლში, სადილს სადილი არ ერქვა, თუ თავზე რადიო არ დაგვხაოდა. ბოლო, რასაც ბავშვობაში ძილის წინ ვხედავდი, ყვითელი რადიომიმღები იყო. ჰოდა, არ მითხრათ, რომ სხვებს არაფრით ჩამოვრჩებით, რომ ჩვენც მათსავით ამერიკელები ვართ. არა, ეს ქერათმიანი ქრისტიანები არიან ამ ქვეყნის კანონიერი მკვიდრები და ბატონ-პატრონები. შეუძლიათ, ქუჩები ნებისმიერი სიმღერის ჰანგებით აავსონ, გაჩუმებით მათ არავინ გააჩუმებს.ო, ამერიკა! ამერიკა! ჩვენი ბებია-ბაბუების წარმოსახვაში ამერიკა, ალბათ, ის ადგილი იყო, სადაც ოქრო ქუჩებში ეყარა, დედაჩემისა და მამაჩემისთვის ეს ქვეყანა შეიძლება თითოეული ოჯახის ქვაბში ჩაყუდებულ თითო ქათამს ნიშნავდეს, მაგრამ ჩემთვის, კაცისთვის, რომლის ბავშვობის პირველი კინოგმირებიც ენ რეზერფორდი და ელის ფეი იყვნენ, ამერიკა შენს მკლავზე მისვენებული შიკსეა, რომელიც ყურში ჩაგჩურჩულებს: „სიყვარულო, სიყვარულო, სიყვარულო, სიყვარულო! "

ვაგრძელებ: შებინდებისას ქალაქის პარკის გაყინულ ტბაზე ვარ. უცნობი შიკსეების წითელ ყურსათბურებს და ჰაერში აფრიალებულ ქერა კულულებს თავდავიწყებით დავდევ. ისეთი რამაა, სიტყვების მწველი სურვილი მნიშვნელობას ბოლომდე რომ გაგაგებინებს. ცამეტი წლის გაბრაზებული ებრაელი დედიკოს ბიჭისთვის თითქმის აუტანელია. ბოდიში, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ რაზეც ახლა ვლაპარაკობ, ჩემი ცხოვრების თითქმის ყველაზე ამაღელვებელი საათებია: მაშინ გავიგე, რას ნიშნავს მწველი, ტკივილნარევი სურვილი. ეს საოცარი არსებები სანაპიროსკენ მისრიალებენ, მათი ციგურების ხმა მარადმწვანე ხეებს შორის გაწოლილი გზიდან მესმის. მზად ვარ, მათ მივყვე (თუკი გავბედე!). მზე თითქმის ჩასულია და

გარშემო ყველაფერს მოწითალო ფერი ადევს (ალბათ ჩემს ნაამბობსაც). გოგონებს შორიახლო მივდევ, ვხედავ, ქუჩაზე როგორ გადადიან ციგურებით და პარკის ტკბილეულის მაღაზიაში სიცილ-კისკისით შედიან. იმ დროისთვის, როცა ძალას ვიკრებ და საკონდიტროს კარს ვაღებ – აბა, როგორ, თითოეულის მზერა ხომ ჩემკენ იქნება მოპყრობილი! – გოგოებს კაშნეები უკვე შეუხსნიათ, ქურთუკები გაუხსნიათ და ცხელი შოკოლადით სავსე ფინჯნებს პირებისკენ მიაქანებენ, გლუვ, აწითლებულ ლოყებს შორის რომ მოუჩანთ. ოჰ, ეს ცხვირები, ეს ენით აღუწერელი სასწაული! ყოველი მათგანი მთლიანად უჩინარდება ზეფირიანი შოკოლადის ფინჯანში, მაგრამ ოდნავაც არ ისვრება! ღმერთო, როგორ უდარდელად ჭამენ ტკბილეულს სადილსა და ვახშამს შორის! რა გოგოები არიან! უცებ რაღაც წამომივლის და ერთ ფინჯან შოკოლადს მეც ვუკვეთავ, მადას ვიფუჭებ, ვახშამს არ ველოდები, რომელსაც დედაჩემი მარიონეტივით ზუსტად ექვსის ნახევარზე გვთავაზობს ხოლმე. ეს ის დროა, როცა დამშეული მამაჩემი შინ ბრუნდება. გოგონებს ისევ უკან, ტბისკენ მივყვები. ტბის გარშემო მოსრიალეებს ერთთავად კუდში დავდევ. ბოლოს ჩემს ექსტაზს ფრთები ეკვეცება – გოგონები შინ წასასვლელად ემზადებიან, გამართულად მოსაუბრე მამებთან, თავდაჭერილ დედებსა და თავდაჯერებულ ძმებთან, რომლებიც იმ თავიანთი გოური ფარდების მიღმა ჰარმონიასა და სრულ ნეტარებაში ცხოვრობენ. მე კი ნიუარკის გზას ვადგები, ჩემს ოჯახსა და იმ მშფოთვარე ცხოვრებას ვუბრუნდები, ახლა უკვე ალუმინის ჟალუზების უკან რომ გრძელდება – რამდენი წელი ზოგავდა დედაჩემი ფულს, რომ ესენი შეეძინა!

შევიძინეთ თუ არა ჟალუზები, ჩვენმა ოჯახმა სოციალური თვალსაზრისით უზარმაზარი ნახტომი გააკეთა! დედაჩემი თვლის, რომ ამ შენაძენმა კატაპულტირებით პირდაპირ მაღალ საზოგადოებაში გადაგვისროლა. ახლა მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ჟალუზის ფირფიტებიდან მტვრის გადაწმენდასა და მათ გაპრიალებაში

გადის. ჰო, მთელი დღე წმენდს, შებინდებისას კი სუფთა ფირფიტებს შორის იხედება, თოვლს გასცქერის, ლამპიონების შუქზე ფიფქების ცვენას ადევნებს თვალს და ნელ-ნელა ჭკუიდან გადადის. როგორც წესი, ერთ-ორ წუთში უკვე შეურაცხადი ხდება ხოლმე. „სად არის ამდენ ხანს?" – წამოიკვნესებს ფარების შუქის ყოველ დალანდვაზე, როგორც კი დარწმუნდება, რომ მანქანა მამაჩემს არ ეკუთვნის. სად ხარ, ო, სად, ჩვენო ოდისევს! ზემოთ, მეორე სართულზე, ბიძაჩემი ჰაიმი უკვე სახლშია, ქუჩის გადაღმა ლანდაუ სახლშია, მეზობელი სილვერშტაინისახლშია – ექვსს რომ თხუთმეტი წუთი აკლია, ყველა სახლშია, მამაჩემის გარდა. რადიოში კი თურმე უთქვამთ, რომ ჩრდილოეთ პოლუსზე ატეხილი ქარბუქი ნიუარკს უახლოვდება. რა გაეწყობა, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. უკვე დროა, ჯერ „ტა-კერმენ & ფერბერიში" დავრეკოთ დაკრძალვის ორგანიზების დაკვე-თისათვის, მერე კი ნათესავები განსვენებულთან გამოსამშვიდობებ-ლად მოვიწვიოთ. ჰო, გზის ოდნავ მოყინვაც საკმარისია, რათა დე-დაჩემმა დაასკვნას, რომ ვახშამზე თხუთმეტი წუთით დაგვიანებუ-ლი მამაჩემი ტელეგრაფის ბოძს შეასკდა, სადღაც გზის პირას გდია და სისხლის გუბეში ცურავს. სამზარეულოში შემოსულ დედაჩემს ისეთი სახე აქვს, ელ გრეკო რომ ხატავდა ხოლმე. „ჩემი ორი მშიერი, საწყალი ბავშვი, – ამბობს გაბზარული ხმით, – დაიწყეთ ვახშმობა, ძვირფასებო, ლოდინს აზრი აღარ აქვს...". მოდი და თავზარი ნუ და-გეცემა. წარმოიდგინეთ, რა ელის ოჯახს უახლოეს მომავალში: საბ-რალო ქალი ორი ობოლი ბავშვის ამარა დარჩა, ქმარი და მარჩენალი დაკარგა. რატომ, რისი გულისთვის? კაცი მანქანით შინ ბრუნდებო-და, მაგრამ ცამოწმენდილზე თოვა დაიწყო და...

მე უკვე იმაზე ვიწყებ ფიქრს, რომ თუ მამაჩემი დაიღუპა, მაშინ სამუშაოს ძებნა მომიწევს. სკოლის მერე და აგრეთვე შაბათობით ოფლის ღვრაში უნდა ვიყო. შესაბამისად, ირვინგტონ პარკში ჩემს შიკსეებთან ციგურაობაზე უარი უნდა ვთქვა და ეს მანამდე მოხდე-ბა, სანამ ერთ-ერთისთვის სიტყვის თქმას გავბედავ. აქამდე მათი

თანდასწრებით პირისგაღების მრცხვენოდა, მეშინოდა, რომ იქიდან სიტყვები არ ამომივიდოდა, ან ისეთი სიტყვები ამომივიდოდა, მერე რომ ძალიან ვინანებდი. „დიახ, პორტნოი. ძველი ფრანგული გვარია, პორტ ნუარის დამახინჯებული ფორმაა. შავ კარს თუ კარიბჭეს ნიშნავს. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში ჩვენი საგვარეულო მამულის კარიბჭე შავად იყო შეღებილი…" და ა.შ. არა, არა, დაბოლოება ოის გაიგონებენ თუ არა, მაშინვე გამომიჭერენ! ელ პორტი იყოს მაშინ, ან ელ პარსონსი! ძალიან სასიამოვნოა, მის მაკკოი, იმედია, წინააღმდეგი არ იქნებით, რომ თქვენთან ერთად ვისრიალო, მე ელი ვარ, პარსონსი… თუმცა, მოიცა, ელი თუ ალენი ისევე ებრაულად თუ უცხოურად არ ჟღერს, როგორც ალექსანდერი? კი, არის ალენ ლედი, მაგრამ ამავე დროს არის ალენ რუბინიც, სკოლის ფეხბურთის გუნდის მოთამაშე. მერე ვიტყვი თუ არა, რომ უიქვეიკიდან ვარ, ყველასთვის ყველაფერი გასაგები გახდება. ოჰ, რა აზრი აქვს, შეიძლება სახელი და გვარი მოვიტყუო, შეიძლება სულ სხვა სკოლა დავასახელო, მაგრამ ამ ოხერ ცხვირს რა ვუყო, ვინ მოტყუვდება? არაჩვეულებრივი ადამიანი ჩანხართ, მისტერ პორტ-ნუარ, მაგრამ ერთი რამე მაინტერესებს: რატომ იფარავთ სახის შუა ნაწილს? რატომ? იმიტომ, რომ მომძვრა სახის შუა ნაწილი! იმიტომ, რომ ჩემმა ბავშვობისდროინდელმა ციცქნა ღილაკმა, ჩემმა საყვარელმა, ლამაზმა ცხვირმა, რომლის გამოც ქუჩაში ხალხი ჩერდებოდა და საბავშვო ეტლში დამყურებდა, ჭირი მოგჭამათ! ჩემი სახის შუა ნაწილმა მაღლა ღმერთისკენ დაიწყო სწრაფვა! ჰოდა, იცით, რას გეტყვი, ბატონო პორტ-ნუარ და პარსონს? ჩემი ფეხები! სახის შუა ნაწილზე, გარდიგარდმო, დიდი ასოებით გაწერია: ურია! ერთი, ამის ცხვირი ნახეთ, ცხვირი კი არა, ხორთუმია! წადი, გააჯვი, შე ურია! ყინულიდან გადადი და ამ გოგონებს თავი დაანებე!

ვერც შეედავები. თავს სამზარეულოს მაგიდაზე ვდებ და მამაჩემის საოფისე საწერ ქაღალდზე ფანქრით საკუთარ პროფილს ვხაზავ.

საშინელ რამეს ვხედავ. ნეტავ ეს როგორ დამემართა? ეს როგორ დაემართა მას, ვინც ბავშვობაში, პატარა ეტლში მჯდომარე ვარსკვლავებს ეთამაშებოდა, ჰა, დედი? ცხვირი ცისკენ აიზარდა, მაგრამ ამავე დროს კეხს ქვემოთ პირისკენ დაიწყო ჩაბრუნება. ერთი-ორი წელიც და მგონი, ჭამასაც ვეღარ შევძლებ, ეს ოხერი საჭმელს გადაეღობება! არა! არა! შეუძლებელია! სააბაზანოში შევდივარ და სარკის წინ ვდგები. ნესტოებს ქვემოდან ორი თითით ვაწვები. ჰო, ასე, გვერდიდან თუ შეხედავ, ცუდი არ არის, მაგრამ იქ, სადაც ადრე ჩემი ზედა ტუჩი იყო, ახლა ცარიელი კბილები და ღრძილები მოჩანს. ეს ვიღაც გოია. ბაგზ ბანისჰგავს. იმ მუყაოს ნაჭერს ვიღებ, სამრეცხაოში პერანგის საყელოს ქვეშ რომ ამოუდებენ ხოლმე, ფიგურებს ვჭრი, სკოჩით ცხვირის ორივე მხარეს ვიმაგრებ და პროფილში იმ ძველი, საყვარელი კონტურის აღდგენას ვიწყებ, ბავშვობისას სიამაყის საგნად რომ მქონდა... და ახლა აღარ მაქვს! მე მგონი, ჩემი ცხვირის პირისკენ დაღმასვლა ზუსტად იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ირვინგტონ პარკის ტბაზე მოსრიალე შიკსეები პირველად შევნიშნე – თითქოს ჩემი ცხვირის ძვალმა ჩემი მშობლების აგენტობა ითავა! შიკსეებთან ერთად ციგურაობა? აბა, სცადე, ჭკუის კოლოფო! პინოკიო გახსოვს? მაგის ამბავი მონაგონი იქნება იმასთან შედარებით, რაც შენ დაგემართება. ეგ გოგოები სულ ეგრე იცინებენ და იხითხითებენ, მაგათთვის შენ ყოველთვის ვაჭრუკანა გოლდბერგი იქნები! როგორ გგონია, რაზე ხითხითებენ ხოლმე? შენ დაგცინიან! ხო, შენ! გაძვალტყავებულ ურიას გრძელი ხორთუმით, ყოველ საღამოს ყინულზე კუდში რომ დასდევ, მაგრამ ხმა ვერ ამოგიღია!

– გაანებე მაგ ცხვირს თავი, ნუ აწვალებ, – მეუბნება დედაჩემი, – როცა ვსადილობთ, მაშინ მაინც!

– ძალიან დიდია და რა ვქნა!

– რა, რა მაქვს დიდიო? – კითხულობს მამაჩემი.

– ცხვირი! – გავყვირი.

– მაგ ცხვირის წყალობით გაქვს ასეთი სახასიათო გარეგნობა, –

მეუბნება დედა, – შეეშვი, ნუ აწვალებ.

მერე და, ვის რაში სჭირდება ეს ხასიათი? მე ნამდვილი მაკკოი მინდა! თავისი კაპიუშონიანი ცისფერი ქურთუკით, წითელი ყურსათბურებითა და დიდი, თეთრი ხელთათმანებით – ჭკუიდან გადავდივარ, ციგურებიანი მის ამერიკაა, ღმერთმანი! მისი ფითრის წნული და ქლიავის პუდინგი (წარმოდგენა არ მაქვს, რა არის, მაგრამ რას დავეძებ), მისი სახლი, სადაც ყველა ნათესავი ერთად არ არის შეყრილი, სახლი, რომელსაც მოაჯირიანი კიბე აქვს. მხოლოდ მისი მშვიდი, ღირსების გრძნობით და მოთმინებით სავსე მშობლები კი არა, ძმა, ბილიც მომწონს, რომელსაც ძრავების დაშლა-აწყობა შეუძლია და რომელიც ბუნებრივად ამბობს: „დიდად დამავალეთ", ამ ქვეყნად კი არაფრის ეშინია. ოჰ, როგორ მოკალათდებოდა დივანზე ჩემს გვერდით ეს ჩემი მაკკოი: ტანზე ანგორის სვიტერი ეცმეოდა, ფეხებს შოტლანდიური ქვედაკაბის ქვეშ აიკეცავდა. გასაცილებლად რომ გამომყვებოდა, კართან მომიტრიალდებოდა და მეტყოდა: „გმადლობ ამ შესანიშნავი, შესანიშნავი საღამოსთვის". მერე კი ეს საოცარი ქმნილება, რომლისთვისაც ცხოვრებაში არავის უთქვამს: „ეხლა თუ წამოვიდა ხელუკუღმა! " ან „ოდესმე შენი შვილებიც მოგექცევიან ისე, როგორც შენ გვექცევი! " – ეს უცხო და სრულიად უნაკლო ქმნილება, ნათქვეფი კრემივით გრილი და მსუბუქი, მაკოცებდა და ამ დროს თავის კოხტა ფეხს მუხლში მოღუნავდა და უკან აიშვერდა. აი, მაშინ აღარც ჩემი ცხვირის ზომას ექნებოდა მნიშვნელობა და აღარც ჩემს სახელს.

ყური მიგდეთ, ექიმო, რამე განსაკუთრებულს კი არ ვითხოვ, უბრალოდ, არ მესმის, რატომ უნდა შევირგო ეს ცხოვრება რომელიმე შმუკზე, ვთქვათ, უგი პრინგლზე ან ჰენრი ოლდრიჩზე ნაკლებად. მეც მინდა ჯეინ პაუელი, ამის დედა ვატირე! კორლისი და ვერონიკაც მინდა. მეც მინდა დები რეინოლდსის შეყვარებული ვიყო – ამ დროს ჩემში ედი ფიშერი იღვიძებს, აი, ეს არის ახსნა, სხვა კი არა-

ფერი, ყველა შავტუხა ებრაელი ბიჭის ლტოლვა ქერათმიანი ეგზოტიკური ქმნილებებისადმი, რომლებსაც შიკსეები ჰქვიათ...

ოღონდ იმ ციებცხელებიანი წლების განმავლობაში ერთი რამე არ ვიცოდი: თუ არსებობს ედი, რომელიც დების ეძებს, სადღაც დებიც უნდა არსებობდეს, რომელიც ედისკენ ისწრაფვის – მერლინ მონრო არტურ მილერს დაეძებს, ელის ფეი კი – ფილ ჰარისს. გახსოვთ, ჯეინ მენსფილდიც კი კინაღამ ცოლად გაყვა ვიღაცას, სანამ მოულოდნელად ავტოკატასტროფაში დაიღუპებოდა. „ეროვნულ ხავერდს" რომ ვუყურებდით, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ეს განსაცვიფრებელი იისფერთვალება გოგონა, რომელსაც ყველაფერში ის აღმატებული გოური ნიჭი ჰქონდა – იმის გამბედაობაც კი, რომ უცებ ცხენს ზურგზე მოხტომოდა და გაეჭენებინა (საზიდარშებმული ცხენით სიარული არ გეგონოთ, ექიმო, მაგდენს ის მეძველმანეც ახერხებდა, რომლის პატივსაცემადაც დამარქვეს ის, რაც მქვია); მართლაც, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ საცხენოსნო შარვალში გამოკვართული, იდეალური დიქციის მქონე გოგონა გულში თურმე ერთი ჩვენგანის ისეთსავე სურვილს ატარებდა, როგორიც ჩვენ გვქონდა მის მიმართ? ალბათ იცით, რა კაცი იყო მაიკ ტოდი – ბიძაჩემ ჰაიმის, ჩემი ზედა სართულის მეზობლის იაფფასიანი ასლი! აბა, საღ ჭკუაზე მყოფი რომელი ადამიანი დაიჯერებდა, თითქოს ელიზაბეთ ტეილორი ბიძაჩემ ჰაიმის სურვილით იწვოდა?! ვინ იცოდა, რომ შიკსეების გულის (და არა მარტო გულის) გასაღები იმ ებრაელის ხელში კი არ იყო, რომელიც თავს ცხვირკაუჭა გოიდ ასაღებდა – ამ გოგოების ძმებივით მოსაწყენ და თავცარიელ არსებად, არამედ ბიძაჩემის ან მამაჩემის მსგავს, ან სულაც ჩემნაირ კაცს ეკუთვნოდა? ჰოდა, სულაც არ იყო საჭირო, რომ რომელიმე ჯიმის, ჯონის ან ტოდს დავმსგავსებოდი – ცალტვინა, გამოყინულთვალებიან ვირისთავებს, ომისდროინდელი სამხედრო პილოტის გამომეტყველებით რომ დადიან, მათნაირად ლაპარაკობენ და თავიც მათსავით უჭირავთ!

ისევ მანქის მივუბრუნდეთ, ჩემს ძველ მეგობარსა და თანამზრახველს. ექიმო, მისი სახელის ხსენება, მხოლოდ გაფიქრებაც კი საკმარისია, რომ მაშინვე ამიდგეს! თუმცა კარგად ვხვდები, რომ არც უნდა დავურეკო და არც უნდა ვნახო. იმიტომ, რომ გიჟია ეგ ბოზი! სექსის ნიადაგზე ჭკუიდან გადასული ქალია! ქალი კი არა, თავის ტკივილია!

რას ელოდა ჩემგან – რომ მაგის ებრაელი მაცხოვარი ვიქნებოდი? თეთრ ბედაურზე ამხედრებული რაინდი, აბჯარასხმული მხედარი, რომელზეც პატარა გოგონები ოცნებობენ ხოლმე – რომ ერთ მშვენიერ დღეს მხსნელად მოევლინებათ და იმ ციხე-სიმაგრიდან გამოიხსნით, რომლის ტუსაღადაც თავის წარმოდგენა სჩვევიათ? შიკსური სკოლის ზოგიერთ წარმომადგენელს (რომლის შესანიშნავი ნიმუშიც ჩვენი მანქია) რატომღაც წარმოუდგენია, რომ ეს რაინდი მაინცდამაინც გონებამახვილი, სიქაჩლეშეპარული, ცხვირნისკარტა ებრაელი უნდა იყოს, მკვეთრად გამოკვეთილი საზოგადოებრივი ცნობიერებისა და შავბალნიანი ყვერების პატრონი, რომელიც არ სვამს, ფულზე არ თამაშობს და არც შოუს გოგონებს დასდევს; კაცი, რომელიც აუცილებლად გააჩენინებს შვილებს და კაფკას წააკითხებს – მოკლედ, შინაური მესია სჭირდებათ! რა თქმა უნდა, შეიძლება მშფოთვარე სიყმაწვილიდან შემორჩენილ უწმაწურ სიტყვებს ხშირად ამბობდეს, შეიძლება ეს სიტყვები ბავშვების თანდასწრებითაც კი წამოცდეს ხოლმე, მაგრამ წყალგაუვალი და სულისშემძვრელი ფაქტი ისაა, რომ ასეთი კაცი სულ სახლშია. არც ბარებში დადის, არც ბორდელებში, არც დოღზე, არც ნარდს თამაშობს მთელი ღამე „რეკიტ კლაბში" (რომლის შესახებაც ცოლმა თავისი გლამურული წარსულიდან იცის), არც ლუდს სვამს გათენებამდე „ამერიკულ ლეგიონში" (რაც ცოლს სიღარიბეში გატარებული ახალგაზრდობის უბადრუკი წლებიდან უნდა ახსოვდეს). არა და არა, ქალბატონებო და ბატონებო, მოვლენა, რომელიც ჩვენს წინაშეა, საკუთარ ოჯახთან რეკორდულადხანგრძლივი და დამქანცველი ბრძოლის შედეგად

იშვა: ებრაელი ბიჭი კანიდან ძვრება, რათა უკვე საკუთარი ოჯახის სანიმუშო, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობებით აღსავსე წევრი იყოს. ისინი, ვინც ჰარი გოლდენი წარმოგიდგინეს „იაფ-ფასიან საუბრებში", ახალ შოუს წარმოგიდგენენ – ალექსანდერ პორტნოის შოუს! თუ თქვენ მოგწონდათ არტურ მილერი გზააბნეული შიკსეების მხსნელის როლში, მაშინალექსიც მოგეწონებათ! იცით რაშია საქმე, მე მანქის წარსულისგან – იმ პირობებისგან, რომელთა გაძლებაც უხდებოდა უილინგის სამხრეთით, თვრამეტ მილში მდებარე ნახშირის მაღაროებიან პატარა ქალაქ მაუნდსვილში – სრულიად განსხვავებული წარსული მქონდა. როცა მე ნიუ-ჯერსიში საალერსო სიტყვებით (და ებრაული სითბოთი, მანქის წარმოდგენით) ვიყავი გარემოცული, თვითონ დასავლეთ ვირჯინიაში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გაჭირვება ახრჩობდა. მამამისი ერთი რეგვენი ვინმე იყო, რომლისთვისაც შვილი ავეჯზე მეტად არ ფასობდა. დედამისს – კეთილ, მაგრამ ბრიყვ და გაუნათლებელ ქალს – არც წერა-კითხვა ეხერხებოდა და არც თვლა; მისი წინაპრების მხოლოდ ბოლო თაობა ჩამოსულიყო მთიანი რეგიონიდან, თავად კი პირში ერთი კბილიც არ უჭაჭანებდა. ქალიშვილი დედისათვის რაღაც გაუგებარი მოთხოვნილებების მქონე არსება იყო.

აი, მანქის მონაყოლი ერთ-ერთი ამბავი, რომელმაც ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა (თუმცა სისასტიკის, სიბრიყვისა და ექსპლუატაციის შესახებ მოთხრობილი მისი სხვა ამბების მიმართაც ჩემნაირი ნევროტიკი გულგრილი ვერ დარჩებოდა): ერთხელ, როცა თერთმეტი წლის იყო, მამამისის უჩუმრად, შაბათ დღეს, საბალეტო სკოლაში გაპარულა, სადაც ცეკვის გაკვეთილებს ადგილობრივი „არტისტი", ვინმე მისტერ მორისი ატარებდა. მალე სტუდიაში მამამისი ქამარმომარჯვებული მივარდნილა, შვილი სახლისკენ ცემა-ცემით გაუგდია, მისთვის წვივები აუჭრელებია, ფეხებშეკრული მთელი დღით ჩაუკეტავს საკუჭნაოში და გაუფრთხილებია, კიდევ ერთხელ რომ დაგინახო მაგ მეტრაკესთან მისული, იცოდე, ფეხების

შეკვრა მონაგონი იქნება, ისეთს გიზამო.

ნიუ-იორკში პირველად რომ ჩამოვიდა, მანქი თვრამეტი წლის იყო, მაგრამ არც ერთი უკანა კბილი აღარ ჰქონდა. ყველა ამოეღო (რატომ, ეს დღემდე ვერ გამაგებინა). მაუნდსვილელ კბილის ექიმს სათითაოდ დაეძრო – უდავოდ ისეთივე ნიჭიერი დანტისტი უნდა ყოფილიყო, როგორი მოცეკვავეც მისტერ მორისი გახლდათ. ერთმანეთი რომ გავიცანით დაახლოებით ერთი წლის წინ, მანქის უკვე გათხოვებაც მოესწრო და განქორწინებაც. ქმარი, ორმოცდაათი წლის ფრანგი მეწარმე, ფლორენციაში გაეცნო, სადაც პალაცო პიტიში მოწყობილ მოდების ჩვენებაში მონაწილეობდა. კაცს ერთ კვირაში მოეხერხებინა მისთვის თავბრუს დახვევა და მისი ცოლად მოყვანა. დაქორწინების შემდეგ გაირკვა, რომ ფრანგი მეწარმის სქესობრივი ცხოვრება ახალგაზრდა, ლამაზ ცოლთან ერთად საწოლში ჩაწოლას და ორმოცდამეორე ქუჩიდან გამოწერილ ჟურნალ „წვივსაკრავზე" მასტურბირებას გულისხმობდა. იმ პერიოდის ამბების, იმ ექსცესების გახსენებისას, რომელთა შემსწრეც მაშინ გახდა, როცა მაგნატის ცოლი გახლდათ, მანქი ბრიყვულ, ბინძურ, სოფლურ ბილწსიტყვაობას მიმართავს ხოლმე. იმ თოთხმეტი თვის აღწერას რომ იწყებს, ხანდახან ძალიან სასაცილო ხდება, მიუხედავად იმისა, რა დამთრგუნველი, მეტიც, ალბათ საშინელი თვეები აქვს გამოვლილი. თუმცა ერთი კია: ქორწინების შემდეგ ქმარმა ჯერ ლონდონში წაიყვანა და ხუთი ათას დოლარად ყველა კბილი ჩაასმევინა, მერე პარიზში ყელზე რამდენიმე ასეული ათასი დოლარის ღირებულების სამკაული აასხა, რითაც, როგორც მანქი ამბობს, აიძულა, თავი დავალებულად კარგა ხნით ეგრძნო. ესო, – მომახსენა (მანამდე, სანამ ისეთი სიტყვების ხმარებას ავუკრძალავდი, როგორიცაა „რამე", „მხეცი", „დაცემა", „გამისწორდა"), – ეთიკის ამბავი იყო და რამეო.

ბოლოს განქორწინება იმ პატარ-პატარა ორგიებმა გადააწყვეტინა, რომლების მოწყობაც ქმარმა მას შემდეგ დაიწყო, რაც „წვივსაკრავზე" (თუ „მაღალქუსლიანი ჩექმები" იყო?) ნძრევა და გათავება

ორივეს ყელში ამოუვიდა. აი, რა ხდებოდა ამ ორგიების დროს: ვიღაც ქალი – სასურველი იყო, შავკანიანი ყოფილიყო – დიდი თანხის საფასურად შუშის საჟურნალე მაგიდაზე შიშველი ჩაცუცქდებოდა და მოსაქმებას დაიწყებდა, მაგიდის ქვეშ გულაღმა გაწოლილი მაგნატი კი ქვემოდან უყურებდა და ანძრევდა. ამ დროს მანქი, ჩვენი საბრალო მანქი, ჩაცმულ-დახურული, წითელ დივანზე უნდა მჯდარიყო, კონიაკი უნდა ეწრუპა და თვალი უნდა ედევნებინა, როგორ დაეტყეპებოდა განავალი მაგიდას მისი სატრფოს ცხვირიდან სულ რაღაც ექვსიოდე დუიმით ზემოთ.

ნიუ-იორკში დაბრუნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ – თუ არ მეშლება, ოცდაოთხი თუ ოცდახუთი წლის უნდა ყოფილიყო – მანქიმ თავის მოკვლა სცადა და ვენებზე სამართებელი გადაისვა. ამის მიზეზი მისი მაშინდელი საყვარლის (რომელიც მსოფლიოში საუკეთესოდ ჩაცმულ ას მამაკაცს შორის იყო დასახელებული) უდიერი საქციელი იყო „ლე კლობში", „ელ მოროკოსა" თუ „ლ'ენტერდიში". ასე გაიკვალა გზა ცნობილი დოქტორ მორის ფრენკელის კაბინეტისაკენ, რომელსაც ყოველთვის „ჰარპოდ" მოიხსენიებდა ხოლმე. ბოლო ხუთი წელი მის დივანზე ბორგვაში გაატარა; ერთი სული ჰქონდა, მოესმინა, რა უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ ვიღაცის ცოლი და ვიღაცის დედა გამხდარიყო.

– რატომ? – მოთქმით შესჩიოდა მანქი ჰარპოს, – რატომ მაქვს მოსჯილი სულ ამ საზიზღარ, ცივსისხლიან ნაგვებთან ურთიერთობა, ნორმალურიკაცები რატომ არ მხვდებიან? მითხარი რა, ჰარპო! ხმა ამოიღე, რამე მაინც თქვი!

– არა, ცოცხალია, დარწმუნებული ვარ. აბა, ვის გაუგონია, მკვდარს მდივანი ჰყავდეს, რომელიც სატელეფონო ზარებს პასუხობს? – მეუბნებოდა ხოლმე მანქიდა თხელი სახე ტკივილისგან ებრიცებოდა. თერაპიის (თუ რაც იყო) კურსს მაშინ აგრძელებდა, როცა ვიღაც ახალი ნაგავი გულს ატკენდა და მკურნალობას იმავე

წუთს წყვეტდა, როგორც კი მის ცხოვრებაში ახალი რაინდი გამოჩნდებოდა.

მე მის ცხოვრებაში „რევოლუციური გარღვევა" გამოვდექი. ჰარპო მანქის ამ შეფასებას, რა თქმა უნდა, არ დათანხმებია, მაგრამ არც შეწინააღმდეგებია. ერთი ჩაუხველებია და მანქიმ ის ჩახველება თანხმობის ნიშნად მიიჩნია. ის კაცი ხან ჩაახველებდა, ხან ჩაიბურდღუნებდა, ხან ამოაბოყინებდა და შიგადაშიგ შეიძლება აკუებდა კიდეც – განზრახ თუ შემთხვევით, რას გაიგებ. იქნებ მისი გაკუება „არასაც" ნიშნავდა, აბა, ვინ იცის.

– ჩემი საშველი! ჩემი გარღვევა! რა მაგარი ხარ! – ამას საწოლში მეკრუტუნებოდა, როცა ფისუნია ხდებოდა ხოლმე, მაგრამ როცა თავისის გატანა უნდოდა და შეტევაზე გადმოდიოდა, მაშინ საქმე ასე ტრიალდებოდა: – გესმის, შე ნაბიჭვარო ურია? გათხოვება მინდა! მინდა, ადამიანად ვიგრძნო თავი ბოლოს და ბოლოს!

მოკლედ, მანქისთვის „გარღვევა" თუ „საშველი" უნდა ვყოფილიყავი... თუმცა, რა, თვითონ არ იყო ჩემთვის იგივე? რა, მანქისნაირი ქალი შემხვედრია მანამდე თუ კიდევ შემხვდება? სწორედ ამისთვის არ ვლოცულობდი? ასეა, ლოცულობ, ლოცულობ, ლოცულობ მთელი შენი ბიჭობის წლები, მხურვალედ, ვნებიანად, სანამ ღმერთს უნიტაზის სამსხვერპლოსთან ლიტრობით სპერმას არ შესწირავ. მერე, ერთ მშვენიერ ღამეს, უფრო სწორად, შუაღამეს, მაშინ, როცა სრულიად გადაწურული გაქვს იმედი, მას, ვისი წარმოდგენაც ოცდათორმეტი წლის ასაკშიც კი არ გაძლევს მოსვენებას, ლექსინგტონ ავენიუსა და ორმოცდამეთორმეტე ქუჩის კუთხეში გადაეყრები. ღია ყავისფერი შარვალი და პიჯაკი აცვია და ტაქსის გაჩერებას ცდილობს. მაღალი და აშოლტილია, მუქი, სქელი თმა აქვს, თხელ სახეზე კი უკმაყოფილება ემჩნევა. ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სრულიად ფანტასტიკური მოყვანილობის ტრაკი ამშვენებს.

რატომაც არა? რას კარგავ? ან რას იგებ, მაგრამ მაინც... ნუ აი-

წურე, ენა ნუ დაგება, შე ვირისთავო! მიდი, გამოელაპარაკე. ტრაკიც აქვს და ტრაკზე მეტიც – ის ნაპრალი, მსოფლიოში ყველაზე ტკბილ ნექტარს რომ ინახავს! მიდი, ელაპარაკე!

– გამარჯობა! – ოდნავ გაოცებულმა ნაზად მივმართე, თითქოს საიდანღაც მეცნობოდა.

– რა გინდა?

– მინდა, სასმელზე დაგპატიჟოთ.

– მახვევს! – თქვა და გველურად ჩაიცინა.

დამცინის! ზუსტად ორ წამში ორი შეურაცხყოფა მომაყენა! ამხელა ქალაქის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს!

– ის უნდა აგილოკო, რაც ფეხებს შორის გაქვს. აბა, რას იტყვი, ჩემო პატარა?

„ღმერთო! ახლა პოლიციას გამოიძახებს! პირდაპირ მერთან გამაქანებენ! "

– ეგ სულ სხვა საქმეა! – მიპასუხა.

ჰოდა, ტაქსი დაიძრა და მალე მის ბინაში ამოვყავით თავი. იქ კი ტანზე გაიხადა და მითხრა:

– მიდი, დაიწყე.

ჩემი უნდობლობის რა ვთქვი! ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა! რაც მე იმ დღეს ვლოკე! თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს სველ ზმანებებში ვცხოვრობდი. როგორც იქნა, იმ პორნოგრაფიული ფილმების ვარსკვლავს ვლოკავდი, რომლებიც თავში მას მერე მიტრიალებდა, რაც ხელი სირზე პირველად მოვივლე...

– ახლა ჩემი ჯერია, – მითხრა მან, – ვალში არც მე დაგრჩები.

წარმოიდგინეთ, ექიმო, ამ უცხო ქალმა ისეთი მინეტი გამიკეთა, თითქოს ეს საქმე, სხვა შესანიშნავ რამეებთან ერთად, საგანგებოდ კოლეჯში ჰქონდა ნასწავლი! ჩემი სირი პირში მთლიანად ჩაიდო! გავიფიქრე, ეს რა პირი ვნახე-მეთქი! მიდი და ამის მერე თანაბარ

შესაძლებლობებზე ილაპარაკე! ამავე დროს ვფიქრობდი, აქედან უნდა გავიქცე, დავახვიო, რა ვიცი, ვინ ოხერია-მეთქი!

ცოტა ხნის შემდეგ სქესობრივი გადახრების შესახებ გრძელი, სერიოზული და ამაღელვებელი საუბარი წამოვიწყეთ. მკითხა, ოდესმე კაცთან თუ წოლილხარო. ვუპასუხე, არა-მეთქი. მერე მეც ვკითხე (მომეჩვენა, რომ ამ შეკითხვას ელოდა): შენ თუ წოლილხარ ქალთან-მეთქი.

– არა.

– გინდა ამის გაკეთება?

– შენ გინდა, რომ გავაკეთო?

– რატომაც არა? რა თქმა უნდა, მინდა.

– გინდა, რომ მიყურო?

– მგონი, მინდა.

– ეგ სულ არაა ძნელი მოსახერხებელი.

– ჰოო?

– აბა, რა.

– რა ვიცი, წესით, უნდა მომეწონოს.

– მეც მგონია, რომ უნდა მოგეწონოს, – მიპასუხა სარკასტულად.

მიამბო, რომ ერთი თვის წინ, როცა ვირუსი შეეყარა, ნაცნობ წყვილს მოუნახულებია და მისთვის სადილი გაუკეთებია. სადილობის შემდეგ უთქვამთ, გვინდა, რომ სექსის დროს გვიყუროო. სიცხიანი მანქი საწოლში წამომჯდარა, იმათ კი ტანზე გაუხდიათ და საძინებელში გაფენილ ნოხზე შესდგომიან საქმეს.

– იცი, რისი გაკეთება მთხოვეს, სანამ თვითონ ერთ ამბავში იყვნენ?

– არა.

– სამზარეულოში რამდენიმე ბანანი მქონდადა მთხოვეს, როცა გვიყურებ, ბანანი ჭამეო.

– რა თქმა უნდა, არის ამაში რაღაც სიმბოლური.

– რა არის?

– არა, მართლა, ბანანის ჭამა რატომ გთხოვეს?

– აბა, რა ვიცი. ალბათ უნდოდათ, ჩემი იქ ყოფნა ეგრძნოთ. ჩემი ხმა რომ გაეგონათ. ღეჭვის ხმა და რამე. მისმინე, შენ მარტო ლოკავ თუ სხვა რამეებიც შეგიძლია?

ნამდვილი მაკკოი! „ემპაირ ბერლესკის" ბოზი! ძუძუები არ აქვს, მაგრამ რას დავეძებ, ისეთი ლამაზია!

– სხვა რამეებიც შემიძლია.

– ძალიან კარგი. მეც.

– რა დამთხვევაა, რომ მე და შენ ერთმანეთს გადავეყარეთ!

ეს რომ ვთქვი, პირველად გაეცინა. მე კი, იმის ნაცვლად, რომ დავმშვიდებულიყავი, უცებ წარმოვიდგინე: ახლა ორიოდე წამში საძინებლის კარადიდან უზარმაზარი ზანგი გადმოხტება და გულში დანას გამიყრის, ან ეს ქალი გაცოფდება და სიცილი ისტერიკაში გადაუვა... ღმერთმა იცის, რა კატასტროფა შეიძლება მომხდარიყო! ედი უეიტკუსისამბავს რა დამავიწყებდა.

ნეტავ მაინც ვინ იყო – ბოზი? მანიაკი? ხომ შეიძლებოდა, ვიღაც პუერტორიკოელ ნარკომოვაჭრესთან ყოფილიყო გარიგებული, რომელიც სწორედ ამწუთას ჩემს ცხოვრებაში შემოსავარდნად ემზადებოდა? შემოსავარდნად და მისთვის წერტილის დასასმელად, რათა „კორვეტში" შეძენილ მაჯის საათთან ერთად ის ორმოცი დოლარიც ჩაეჯიბა, რომელიც საფულეში მედო?

– მისმინე, – ვუთხარი ჭკვიანური გამომეტყველებით, – ამას, რაც ახლა მოხდა, ასე თუ ისე... მეტ-ნაკლებად... ყველასთან აკეთებ ხოლმე?

– რა კითხვაა! – მიყვირა უცებ. – რა ღორობაა! სხვებისგან არ განსხვავდები, შენც დანარჩენებივით უგულო ნაბიჭვარი ხარ, არა? არ გიფიქრია, რომ გრძნობები მეც მაქვს?

– ბოდიში, მაპატიე.

თუმცა მისი რისხვა და ბრაზი უმალვე ცრემლებმა ჩაანაცვლა. ნუ-

თუ მეტი საბუთი მჭირდებოდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ამ გოგოს, რბილად რომ ვთქვათ, არამყარი ფსიქიკა ჰქონდა? ჩემს ადგილას ნებისმიერი ჭკუათმყოფელი მაშინვე ადგებოდა, ტანზე ჩაიცვამდა და სანამ მთელი იყო, იქიდან დაახვევდა. გადარჩენისთვის ღმერთს მადლობასაც შესწირავდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩემი ჭკუა იქვე იმყოფება, სადაც ჩემი შიშებია დაბუდებული! ეს საღი გონება, შიშსა და შფოთვასთან ერთად, სამარცხვინო წარსულიდან გამომყვა, რომელსაც ვერა და ვერ გავუსწორდი. ნაბიჭვარი ტირანი – ჩემი სუპერეგო – სახრჩობელაზეა ჩამოსაკიდი! ფეხებით უნდა ჩამოკიდო, თავისი მოიერიშეთა ბატალიონის ჩექმებით, და ასე უნდა ამოხადო სული! აბა, ვინ ცახცახებდა ქუჩაში, მე თუ ეს გოგო? მე! აბა, ვინ იყო თამამი, გამბედავი და თავზეხელაღებული, მე თუ ეს გოგო? გოგო! მაგის დედაც ვატირე...

– მისმინე, – მეუბნება უცებ და ცრემლებს ბალიშისპირით იწმენდს, – მისმინე, მე შენ მოგატყუე. თუ საერთოდ გაინტერესებს, სადმე იწერ ან რამე ეგეთი...

– ჰოო? რა მომატყუე? – ვეკითხები და თან იმაზე ვფიქრობ, რომ სადაცაა, კარადიდან ამის შვარცე გამოვა, სადაცაა, გაიელვებენ მისი თვალები, თეთრი კბილები და სამართებლის პირი! საგაზეთო სათაური: „თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის საქალაქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თავმოჭრილი იპოვეს მეძავის ბინაში! "

– რას გატყუებდი! შენ რაღას გატყუებდი!

– ვერ ვხვდები, რაზე მელაპარაკები.

– რაზე და, იმათ კი არ უნდოდათ, რომ ბანანი მეჭამა. ჩემს მეგობრებს კი არ უთხოვიათ, ბანანი ჭამეო, მე თვითონ მინდოდა.

ახლა კი იცით, რატომ შევარქვი მანქი.

რატომ მომატყუა? მე რატომ მომატყუა? ვვარაუდობ, რომ ამ გზით ნახევრად გაუცნობიერებლად ცდილობდა, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა. ქუჩაში მასზე ბევრად განათლებულ მამაკაცს

შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევით გაიცნო, საწოლში მინეტი მაინც მთელი გულით გაუკეთა და სპერმაც სულისშემძვრელად გადაყლაპა, მერე კი სქესობრივ გადახრებზეც ესაუბრა... როგორც ვხვდები, არ უნდოდა, რომ ამის გამო სექსზე გადარეულ, თავაწყვეტილ ქალად ჩამეთვალა. თვალი შემავლო თუ არა, ალბათ უმალვე წარმოიდგინა, როგორი ცხოვრებით იცხოვრებდა ჩემთან... მორჩა, დამთავრდა თავგადასავლები „პიერ კარდენის"კოსტიუმებში გამოწყობილ, მხოლოდ საკუთარ თავზე შეყვარებულ მექალთანეებთან; ერთადერთი ღამის გატარება სასოწარკვეთამდე მისულ, ცოლშვილიან კონექტიკუტელ სარეკლამო აგენტებთან. დამთავრდა საუზმეზე ცხელ-ცხელი ღვიძლის კატლეტების მირთმევა „სერენდიფითიში" და კოსმეტიკის სფეროში მოღვაწე, ხანში შესულ, გარყვნილ მეწარმეებთან ერთად „ლე პავილიონში" ვახშმობა, ასდოლარიანი ვახშამი და მოხუცების გაუთავებელი ლაქლაქი... ამდენი წლის განმავლობაში მისი ზმანებების მკვიდრი, მისი საოცნებო მამაკაცი, რომელიც ერთგული ქმარი და მზრუნველი, მოსიყვარულე მამა იქნებოდა... ებრაელი გამოდგა! თან როგორი ებრაელი! ჯერ ფეხებშუა ყველაფერი აულოკა, მერე ესაუბრა და უამრავი რამე აუხსნა, მოსაზრებები გაუზიარა, ურჩია, რომელი წიგნები წაეკითხა და ხმა ვისთვის მიეცა, ბოლოს კი ისიც ასწავლა, როგორ უნდა ეცხოვრა და ისიც, თუ როგორ არ უნდა ეცხოვრა.

– საიდან იცი? – ფრთხილად მეკითხებოდა ხოლმე, – ეს ხომ მხოლოდშენი აზრია.

– რას ნიშნავს ჩემი აზრი? ეს, ჩემი აზრი კი არა, ჭეშმარიტებაა, ჩემო გოგონა!

– ეგ ისეთი რამეა, რაც სხვებმაც იციან... თუ მარტო შენ იცი?

ებრაელი, რომელიც ნიუ-იორკის ღარიბ-ღატაკთა კეთილდღეობაზე ზრუნავს, ცოტა ხნის წინ ფეხებშუა ყველაფერს ულოკავდა! კაცმა, რომელიც საგანმანათლებლო გადაცემებში მონაწილეობს, მის პირში გაათავა! ექიმო, ნუთუ ეს ყველაფერი ერთ წამში ცხადად

დაინახა? შესაძლებელია ასეთი რამე? დავიჯერო, ქალები ასეთ გათვლებს აკეთებენ? იქნებ მე საშოს მეტისმეტად მიამიტურად ვუ-ყურებ? ეს ყველაფერი დაინახა და იქვე, ლექსინგტონ ავენიუზე და-გეგმა?.. ჩვენი სააგარაკო სახლის სასტუმრო ოთახში, წიგნის თა-როების სიახლოვეს, ბუხარი ნაზად გუზგუზებს. ირლანდიელი ძიძა ჩვენს შვილებს აბანავებს, რომლებსაც მალე დედიკო საწოლში ჩააწ-ვენს. ეს მაღალი და ტანადი ყოფილი მოდელი, ერთ დროს მაღალ საზოგადოებაში გარეული და სექსზე შეშლილი, დასავლეთ ვირჯი-ნიის მთა-გორებისა და მაღაროების პირმშო, რომელსაც თავი ათო-ბით ნაბიჭვრის მსხვერპლად მიაჩნდა, ახლა „სენ ლორანის“ პიჟამასა და ტყავის საშინაო ფეხსაცმელში გამოწყობილი, ფიქრიანი გამო-მეტყველებით ჩაფლულა სემუელ ბეკეტის წიგნში... მის გვერდით მა-ღალბეწვიან ნოხზე მისი ქმარი მოკალათებულა, რომელზეც მთელი ქვეყანა ლაპარაკობს – ნიუ-იორკის საქალაქო კომისიის ყველაზე უმწიკვლო წევრი... პირში ჩიბუხგარჭობილი, შეთხელებული ებრაუ-ლი კულულებით, ებრაული მესიანიზმის ხიბლსა და მგზნებარებას გარემოუცავს...

ახლა იმას მივუბრუნდეთ, თუ რით დამთავრდა ირვინგტონ პარ-კში ჩემი სრიალი: ერთ შაბათ საღამოს აღმოვაჩინე, რომ მოყინულ ტბაზე სრულიად მარტო ვსრიალებდი თოთხმეტი წლის შიკსესთან ერთად, რომლის ვარჯიშსა და ყინულზე რვიანების ხაზვასაც ლანჩის დროიდან ვადევნებდი თვალს. ამ გოგონას ჩემს თვალში მარგარეტ ო'ბრაიენის ხიბლი ჰქონდა, მთელი ამერიკული ბურჟუაზიის ხიბლი და მიმზიდველობა: დაჭორფლილი ცხვირი, მოციმციმე თვალები და საყვარელი სახე. ამავე დროს საზოგადოების ქვედა ფენებისთვის დამახასიათებელი უბრალოებითა და ხელმისაწვდომობითაც გამო-ირჩეოდა – პეგი ენ გარნერის სრიალა ქერა თმით. იცით, ისინი, ვინც სხვების თვალში კინოვარსკვლავები იყვნენ, ჩემთვის შიკსეების გან-სხვავებულ ტიპებს წარმოადგენდნენ. კინოთეატრიდან გამოსულს ხშირად წარმომიდგენია, ნიუარკის რომელ სკოლაში ივლიდნენ ჯეინ

კრეინი, კეტრინ გრეისონი და მათნაირები, ჩემი თანატოლები რომ ყოფილიყვნენ. სად შეიძლებოდა ისეთი შიკსეს გაცნობა, როგორიც ჯინ ტირნი იყო, რომელიც ხანდახან ებრაელიც კი მეგონა (შესაძლოა, ასეთივე წარმატებით, ჩინელიც ყოფილიყო)... პეგი ენ ო′ ბრაიენმა კი ყინულზე ბოლო რვიანი მოხაზა და გასახდელისკენ ზანტად გასრიალდა. მთელი ზამთარი თითი არ გამინძრევია, რომ ამ გოგოს ყურადღება მიმეპყრო, საერთოდ, რომელიმე გოგოს ყურადღება რომ მიმეპყრო. არადა, სადაცაა, მარტი დადგება, ტბის პირას წითელ დროშას დაკიდებენ და ისევ პოლიომიელიტის სეზონი დაიწყება. შეიძლება, მომდევნო ზამთრამდე ვერც მივაღწიო! ნეტავ რას ველოდები? ან ახლა, ან არასოდეს! ჰოდა, კვალში ვუდგები გოგოს, რომელიც ეს-ესაა, თვალს მიეფარა – მისკენ გადარეულივით მივსრიალებ. „ბოდიშს გიხდით, – ვეტყვი, – წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ სახლამდე მიგაცილოთ?" მოიცა, „სახლამდე მიგაცილოთ" თუ „სახლამდე გაგაცილოთ" – რომელი იქნება სწორი? მე ხომ სრულყოფილი ინგლისურით უნდა ვიმეტყველო. სიტყვა არ უნდა წამომცდეს ებრაული. „იქნებ ცხელი შოკოლადი დაგველია ერთად? შეიძლება, ტელეფონის ნომერი გკითხოთ და ერთ საღამოს დაგირეკოთ? ჩემი სახელი? ელტონ პეტერსონი". ეს სახელი და გვარი ესექსის სატელეფონო ცნობარის მონტკლერის განყოფილებიდან ამოვირჩიე – ჩემი აზრით, აბსოლუტურად გოურად ჟღერდა, თითქმის ჰანს ქრისტიან ანდერსენივით. ეს რა გავარტყი! მთელი ზამთარი ელტონ პეტერსონის წერაში ჩუმ-ჩუმად ვვარჯიშობდი, მერე კი იმ გვერდებს რვეულიდან ვხევდი და ვწვავდი, რათა ოჯახში არავისთვის არაფერი ამეხსნა. მე ელტონ პეტერსონი ვარ, მე ელტონ პეტერსონი ვარ – იქნებ ელტონ ქრისტიან პეტერსონი? მოიცა, ხომ არ ვამლაშებ? ელტონ ქ. პეტერსონი ხომ არ სჯობს? იმდენად ვღელავდი იმაზე, რომ არ დამვიწყებოდა, ვინ უნდა ვყოფილიყავი, იმდენად მაშფოთებდა ის, რომ გასახდელამდე მისვლა მანამდე მომესწრო, სა-

ნამ ის გოგო ციგურებს იცვლიდა – იმაზეც ვფიქრობდი, რა უნდა მეპასუხა, თუ ჩემისახის შუა ნაწილით დაინტერესდებოდა (ჰოკეის თამაშის დროს მიღებული ძველი ტრავმაა! .. საკვირაო წირვიდან ახალი გამოსული ვიყავი და პოლოს თამაშის დროს ცხენიდან ჩამოვვარდი... საუზმეზე სოსისი მომივიდა ბევრი და... ჰა ჰა ჰა!) – რომ ვერც კი შევნიშნე, როგორ აღმოჩნდა ჩემი ცალი ციგურის წვეტი ზედ ყინულის კიდეზე, ყინვისგან დამზრალ მიწაზე დავვარდი და წინა კბილი და წვივის ძვალი გავიტეხე.

მარჯვენა ფეხი კოჭიდან თეძომდე თაბაშირში ჩამისვეს. ასე გავატარე ექვსი კვირა. ექიმი ამბობდა, ოსგუდ შლატერერის დაავადება აქვსო. თაბაშირის მოხსნის შემდეგ ფეხს ომის ინვალიდივით მივათრევდი, მამაჩემი კი იდგა და მიყვიროდა: „ფეხი მოხარე ხოლმე! გინდა, მთელი ცხოვრება ეგრე იარო? მოხარე ფეხი! ბუნებრივად გაიარე, გესმის? იმვიღაც ოსკარ ფეხმოღრეცილის სიარულის მანერას ნუ დაამხეცებ, თორემ მთელი ცხოვრება ხეიბრად დარჩები! "

ასე იცის ყინულზე შიკსეების დევნამ, თანაც უცხო გვარით! მთელი ცხოვრება ხეიბრად დავრჩები!

კაცს რომ ასეთი ცხოვრება ექნება, ექიმო, აბა, იმას რაღა დაესიზმრება!

ჰო, კიდევ იყო ბაბლზ ჯირარდი, თვრამეტი წლის გოგო, რომელიც ჰილსაიდის სკოლიდან გამოაგდეს და ამის შემდეგ ოლიმპიკ-პარკის აუზში მოტივტივე გაიცნო ჩემმა ხურუშა კლასელმა, სმოლკამ, თერძის შვილმა...

რას უნდა დამპირებოდნენ, რომ იმ აუზს გავკარებოდი – იქაურობა პოლიომიელიტის და მენინგიტის გამომწვევი ვირუსების ბუდე იყო, კანისა და უკანა ხვრელის ათასნაირ ინფექციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. იმასაც კი ამბობდნენ, ერთმა უიქვეიკელმა ბავშვმა აუზში ჩასვლამდე ფეხის აბაზანაში ფეხი ჩაყო და რომ ამოიღო, ყველა ფრჩხილი დამძვრალი ჰქონდაო. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ აუზში შეიძლებოდა ისეთი გოგოების პოვნა, რომლებიც სექსზე

უარს არ გეტყოდნენ. იცოდით ეგ ამბავი? აქ ისეთ შიკსეებს ნახავ-დით, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რაც თავში აზრად მოგი-ვიდოდა, რა თქმა უნდა, თუ გარისკავდი და აუზში – პოლიომიელი-ტის, ფეხის აბაზანაში – განგრენის, საპნიდან და პირსახოციდან კი სპილოს დაავადების აკიდებას არ მოერიდებოდი.

მოკლედ, ვსხედვართ სამზარეულოში, სადაც ბაბლზი, პერანგის ამარა, ჩვენს მისვლამდე რაღაცას აუთოებდა. მე და მენდელი ჟურ-ნალ „რინგის" ძველ ნომრებს ვფურცლავთ, ამასობაში კი სასტუმრო ოთახში სმოლკა ცდილობს, ბაბლზი დაარწმუნოს, რომ მის ორ მეგო-ბარს უარი არ უთხრას. სმოლკა გვარწმუნებს, რომ სანერვიულო არაფერი გვაქვს: ბაბლზის ძმა, რომელიც წინა ცხოვრებაში მედესან-ტე-პარაშუტისტი იყო, ჰობოკენში წასულა: კრივის ტურნირში ჯონი ჯირონიმო ჯირარდის სახელით გამოდის. მამამისი დღისით ტაქსის მძღოლია, ღამით მაფიოზებს წინ და უკან დაატარებს; დღესაც გან-გსტერებს ასეირნებს და გვიან ღამემდე შინ არ დაბრუნდება. არც დედამისის გამოჩენის უნდა გვეშინოდეს, რადგან ის დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. შესანიშნავია, სმოლკა, შესანიშნავი, ამაზე უსაფ-რთხოდ თავი არსად მიგრძვნია. ახლა სანერვიულო აღარაფერი მაქვს იმ პრეზერვატივის გარდა, რომელსაც დიდი ხანია, საფულით დავატარებ და მეშინია, რომ გავხსნი, ობი არ ჰქონდეს მოკიდებული. ერთი მოუზომავი მოძრაობა და ბაბლზ ჯირარდის შიგნით ნაფლე-თებად რომ იქცეს, რაღა ვქნა?

ჩემი პრეზერვატივების გამძლეობა რომ შემემოწმებინა, სარდაფ-ში მთელი კვირა ვიდექი და წყლით სათითაოდ ვავსებდი. ძვირი კი მიჯდებოდა, მაგრამ ნძრევის დროსაც ვიყენებდი – ვამოწმებდი: მა-ინტერესებდა, გაუძლებდა თუ არა სექსთან მიახლოებულ პირობებს. აქამდე ყველაფერი კარგად იყო. თუმცა კაციშვილმა არ იცის, რო-გორი გამოდგება ეს საკრალური, ლუბრიკანტიანი პრეზერვატივი, რომელიც იმდენ ხანს ვატარე საფულით, რომ მასზე რგოლივით კვა-ლი დატოვა. როგორ უნდა მქონდეს იმის იმედი, რომ დაუზიანებელი

იქნება – სკოლაში ხომ ზედ ვაჯექი, ნახევარი წელი საფულეში ჩატენილი ვატარე. თან ვინ თქვა, რომ ჯირონიმო ჰობოკენში მთელ ღამეს გაატარებს? იქნებ იმ კაცს, ვინც განგსტერებს უნდა მოეკლათ, მათ მისვლამდე შიშისაგან უკვე გული გაუსკდა და მისტერ ჯირარდის შინ დროზე ადრე უშვებენ? იქნებ ამ გოგოს სიფილისი აქვს! მაშინ სმოლკასაც ხომ გადასდებდა! სმოლკას, რომელსაც სხვების ბოთლებიდან ლიმონათის წრუპვა უყვარს და მეგობრებისთვის პუცზეხელის წავლების ჩვევა აქვს! ესღა მაკლდა! გეგონება, დედაჩემი არ მეყოფოდა! „ალექს, ფეხქვეშ რას მალავ?“ „არაფერს!“ „ალექს, აშკარად გავიგონე, რომ რაღაცამ გაიფაჩუნა! შარვლის ტოტიდან რა გამოგვარდა, ახლა ფეხს რას ადგამ, მე რომ არ დავინახო?“ „არაფერია! შარვლის ტოტქვეშ ჩემი ფეხსაცმელია! თავი დამანებე!“ „როგორ იქცევი, ყმაწვილო! აბა, ერთი, მაჩვენე... ღმერთო ჩემო! ჯეკ! მოდი, ჩქარა! იატაკზე, ამის ფეხსაცმელთან დაიხედე!“ მამაჩემი სააბაზანოდან სამზარეულოში შემორბის – მუხლებამდე შარვალჩახდილი, ნეკროლოგების გვერდზე გადაშლილი „ნიუარკ ნიუზით“ ხელში. „ახლა რაღა გეტაკათ?“ დედაჩემი კივის (ეს კივილია მისი პასუხი) და ხელს ჩემი სკამისკენ იშვერს. „რა არის ეს, ახალგაზრდავ, სასკოლო ხუმრობაა? – მეკითხება გაშმაგებული მამაჩემი – რა არის ეს შავი პლასტმასის რაღაც, სამზარეულოს იატაკზე რომ გდია?“ „პლასტმასის არ არის, – ვპასუხობ და თან ცრემლებად ვიღვრები, – ჩემი ნაწილია. ჰილსაიდში თვრამეტი წლის იტალიელი გოგოსგან სიფილისი ავიკიდე და ახლა... ახლა პენისი აღარ მააააქვს!“ „ჩემი ბიჭის ჭუჭულიკა! – კივის დედაჩემი – მე რომ ვუღუტუნებდი ხოლმე, ფიში-ფიშის გასაკეთებლად...“ „ხელი არ ახლოთ! არ გაინძრეთ!“ – ყვირის მამაჩემი, დედაჩემი კი სადაცაა,იატაკს ისე დაემხობა, როგორც ქვრივი გარდაცვლილი ქმრის საფლავს. „დარეკეთ, მაშველთა კორპუსში დარეკეთ!“ „რატომ, ცოფიანი ძაღლია?“ – მოთქვამს დედაჩემი. „აბა, რა ვქნათ, სოფი? უჯრაში შევინახოთ და ამის შვილებს ვაჩ-

ვენოთ ხოლმე? " „რა შვილები, ამას შვილები აღარ ეყოლება! " დედა-ჩემი მთელი გრძნობით აგრძელებს მოთქმას, მამაჩემი კი ამ დროს... მაგრამ უცებსცენა ბინდში ეხვევა, რადგან მე მხედველობას ვკარ-გავ, ერთ საათში კი ჩემი ტვინი ცხელი ფაფის კონსისტენციას იძენს.

ჯირარდების სამზარეულოში ნიჟარის თავზე ვიღაცას ჭიკარტით იესო ქრისტეს სურათი მიუკრავს, რომელზეც ის, გრძელი ვარდის-ფერი ღამის პერანგის ამარა, ზეცაში ლივლივებს... რა გულისამრევი არსებაა ხანდახან ადამიანი! ებრაელები მათი შეზღუდული აზროვ-ნებისთვის მძულს – იმისთვის, რომ საკუთარ სიმართლეში ასე არიან დარწმუნებულები; იმ აუხსნელი რწმენის გამო, რომ ეს გამოქვაბუ-ლის ადამიანები, ჩემი მშობლები და ნათესავები, რატომღაც, სხვებ-ზე მაღლა დგანან. თუმცა როცა საქმე სიმდარესა და უგემოვნებაზე მიდგება, ისეთ შეხედულებებზე, რომელთა გამო გორილაც კი სირ-ცხვილით დაიწვებოდა, გოებს ვერავინ შეედრება. როგორი შმუკი და უტვინო უნდა იყო, რომ ისეთი ვინმე გააღმერთო, ვინც 1. არას-დროს არსებობდა და 2. თუ არსებობდა და ისეთი იყო, როგორადაც ამ ნახატზეა გამოსახული, მაშინ ერთი ქალაჩუნა პალესტინელი უნ-და ყოფილიყო. რა არის ეს: თმა „პაჟის" სტილში შეუჭრია, სახე კი ისეთი ვარდისფერი აქვს, თითქოს ეს-ესაა, „პალმოლივით" დაიბა-ნაო... ან რა ღამის პერანგი ჩაუცვამს – დღეს, ალბათ, ასეთებს „ფრე-დერიკს ოვ ჰოლივუდი" უშვებს! კმარა ღმერთსა და ასეთ სისულე-ლეებზე ლაპარაკი! ძირს რელიგია და ადამიანების დამცირება! გა-უმარჯოს სოციალიზმს და ადამიანის ღირსებას! კაცმა რომ თქვას, ჯირარდების ოჯახში იმისთვის კი არ მოვსულვარ, რომ მათი ქალიშ-ვილი ვიხმარო – ღმერთმა დამიფაროს! – არა, ჰენრი უოლესისა და გლენ ტეილორის რწმენა უნდა ვუქადაგო. აბა რა! ჯირარდები ხომ სწორედ ის ხალხია, ვისი უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსე-ბის დასაცავადაც მე და ჩემი მომავალი სიძე ხმის ჩახლეჩვამდე ვხა-ვით ყოველ კვირადღეს, როცა უვიც უფროსებს (ხმას დემოკრატებს

რომ აძლევენ, მაგრამ ნეანდერტალელებივით აზროვნებენ), მამა-ჩემს და ბიძაჩემს ვეკამათებით. თუ აქ ცხოვრება არ მოგწონთ, მაშინ რუსეთში რატომ არ ბრუნდებით, სადაც ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც თქვენ გინდათო? – გვეკითხებიან ხოლმე. შენ ამ ბიჭს გამიკომუნისტებო, – თითს უქნევს მამაჩემი მორტის და ამ დროს მე ვიწყებ ყვირილს: „როგორ არ გესმის არაფერი! ადამიანები ძმები არიან! " ღმერთო, აქვე მივახრჩობდი ამ კაცს, ისე მიშლის ნერვებს! როგორ უნდა იყოს ისეთი ბრმა, რომ ადამიანთა ძმობის აშკარა ფაქტი ვერ დაინახოს?!

ახლა, რაკი ჩემი და მოჰყავს ცოლად, მორტი ბიძაჩემის საწყობში მუშაობს და მისი სატვირთო მანქანა დაჰყავს. ისე გამოდის, რომ მეც ამას ვაკეთებ: ზედიზედ სამი შაბათია, მზის ამოსვლამდე ვდგები და ნიუ-ჯერსის შემოგარენში სოფელ-სოფელ მოსიარულე მორტის თან დავყვები – იქაურ მაღაზიებში ბიძაჩემის „სქუიზის" ჩამორიგებაში ვეხმარები. ამასობაში რადიოპიესაც დავწერე – ჩემმა სათაყვანებელმა ნორმან კორვინმა და ევროპაში ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად დაწერილმა მისმა რადიოპიესამ „ტრიუმფის შეგრძნებით" შთამაგონა (ეს წიგნი დაბადების დღეზე მორტიმ მაჩუქა). „აჰა, აღსრულდა, მტერი ვილჰელმშტრასესთან აღესრულა. ქედს ვიხრით შენ წინაშე, რიგითო, პატივს მოგაგებთ, პატარა ბიჭო..." მისი რიტმიც კი საკმარისია, რომ მე ჩემი დამემართოს, ზუსტად ისე, როგორც უძლეველი წითელი არმიის მარშის ან იმ სიმღერის მოსმენისას, ომის დროს დაწყებით კლასებში რომ გვასწავლეს და მასწავლებლები ჩინეთის ეროვნულ ჰიმნს რომ ეძახდნენ: „აღსდექით ყველა, ვინც მონობას ვერ ეგუება..." – ღმერთო, ეს გამომწვევი კადენცია! თითოეული გმირული სიტყვა მახსოვს! „ახალ დიდ კედელს ავაშენებთ! " მერე ჩემი საყვარელი სტრიქონი მოდის, რომელიც ჩემი საყვარელი ინგლისური სიტყვით იწყება: „აღშფოთება ავსებს თითოეული ჩინელის გულს! აღსდექით! აღსდექით! აღსდექით! "

ჩემს პიესას პირველ გვერდზე ვშლი და მორტის ხმამაღლა ვუკითხავ, როცა სატვირთო მანქანით, ირვინგტონის გავლით, დასავლეთისკენ – ილინოისისკენ, ინდიანისკენ, აიოვისკენ მივემართებით! ო, ამერიკის მთებო, ველებო, მდინარეებო და კანიონებო... აი, ასეთი პატრიოტული შელოცვებით ვიძინებ ღამით, როცა წინდაში ნძრევას ვამთავრებ. „დე, იგუგუნოს თავისუფლებამ! " – ასე ჰქვია ჩემს რადიოპიესას. ერთგვარი მორალიტეა – ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის პიესა, რომლის ორ მთავარ პერსონაჟს ცრურწმენა და შემწყნარებლობა ჰქვია. ისეთი სტილით არის დაწერილი, მე რომ „პროზაულ პოეზიას" ვეძახი. როცა სასადილოდ დოვერში, ნიუ-ჯერსის შტატში ვჩერდებით, ჩემი პერსონაჟი, შემწყნარებლობა ზანგებს იმათგან იცავს, ვისაც მათთვის დამახასიათებელი სუნი არ მოსწონთ. ჩემი ჰუმანური, თანაგრძნობით გაჟღენთილი, ალიტერაციული, ფსევდო-ლათინური რიტორიკა, რომელიც უზომოდ არის დავალებული როჟეს „თეზაურუსით" (ჩემმა დამ მაჩუქა დაბადების დღეზე); ამას დამატებული მზის ამოსვლა, რომელსაც საკუთარი თვალით ვხედავ; სასადილოს ტატუირებული გამყიდველი, მორტი რომ შეფს ეძახის; ის ამბავი, რომ საუზმეზე პირველად ვჭამ ოჯახურად შემწვარ კარტოფილს და თან სატვირთო მანქანის კაბინა საამოდ მარწევს; ტანზე „ლივაიზის" შარვალი და კუბოკრული ქურთუკი მაცვია, ფეხზე კი – მოკასინები (ეს ყველაფერი ამ შარაგზაზე ისეშთამბეჭდავად ვეღარ გამოიყურება, როგორც სკოლის დერეფნებში); ახლადამოსული მზე, რომელიც ნიუ-ჯერსის – ჩემი მშობლიური შტატის! – გორებსა და ველებს დანათის და აჰა, თითქოს ხელახლა დავიბადე! თავისუფალი ვარ! თავისუფალი სამარცხვინო საიდუმლოებებისგან! როგორი სუფთა, როგორი მძლავრი და დიდებულია ეს გრძნობა – როგორი ამერიკული! მორტი ისევ ტრასისკენ უხვევს და სწორედ ამ დროს საკუთარი თავის წინაშე ფიცს ვდებ, რომ მთელ ცხოვრებას უსამართლობასთან ბრძოლას და დაჩაგრული, პრივილეგიებს მოკლებული ადამიანების დაცვას, უკანონოდ

დაპატიმრებულთა გათავისუფლებას მივუძღვნი. მორტია მოწმე – ჩემი ახლად შეძენილი უფროსი მემარცხენე ძმა – ცოცხალი მოწმე იმისა, რომ შესაძლებელია, კაცობრიობა და ბეისბოლი ერთდროულად გიყვარდეს (და ჩემი უფროსი დაც, რომელიც ლამისაა, მეც შევიყვარო, იმიტომ, რომ სწორედ მან მოგვცა ორივეს გაქცევისა და ამოსუნთქვის საშუალება). მორტი მაკავშირებს ამერიკელი ვეტერანების კომიტეტსა და ბილი მოლდინთან, რომელიც ჩემთვის ისეთივე გმირია, როგორიც კორვინი თუ ჰოვარდ ფასტი. თვალებზე სიყვარულის (მორტის სიყვარულის, საკუთარი თავის სიყვარულის) ცრემლები მაქვს მომდგარი და მას ვეფიცები, რომ „კალმის ძალას" გამოვიყენებ, რათა ჩემი ხალხი (აქ მბურძგლავს) უსამართლობისგან, ექსპლუატაციისგან, დამცირებისგან, სიღარიბისა და უმეცრებისგან ვიხსნა.

შიშისგან სისხლი მეყინება. მეშინია ამ გოგოსი, მეშინია სიფილისის! მეშინია მამამისისა და მისი ძმაკაცების! მეშინია მისი ძმის მუშტების! (სმოლკა კი მარწმუნებს, ამისი ბოზობის ამბავი მამამაც იცის და ძმამაც, მაგრამ ორივეს ფეხებზე ჰკიდიაო, რაც გოების კვალობაზეც კი დაუჯერებლად მეჩვენება). იმისიც მეშინია, რომ სამზარეულოს ფანჯრის ქვეშ – აქედან მაშინვე გადავხტები, როგორ კი კიბიდან ფეხის ხმა შემომესმება – შეიძლება რკინის წვეტიანი გისოსები დამხვდეს და სიჩქარეში ზედ ჩამოვეგო. რა თქმა უნდა, ასეთი ღობე სინამდვილეში აქ კი არა, ლაიონზ ავენიუზეა, ობლების კათოლიკურ თავშესაფარს არტყია, მაგრამ ახლა ჰალუცინაციებსა და კომატოზურ მდგომარეობას შორის ვარ. თავბრუ მეხვევა, თითქოს დიდი ხნის უჭმელი ვიყო. თვალწინ „ნიუარკ ნიუზში" დაბეჭდილი ფოტო მიდგას, რომელზეც ეს ღობე და ტროტუარზე დანთხეული ჩემი სისხლის გუბეა გამოსახული, ქვეშ კი მინაწერია, რომელსაც ჩემები ვერასდროს მოინელებენ: „დაზღვევის აგენტის ვაჟის სასიკვდილო ნახტომი".

სანამ მე ამ ჩემს იგლუში ვიყინები, მენდელი ოფლად იღვრება.

ზოგადად, ზანგის სუნი თანაგრძნობით აღმავსებს და „პროზაული პოეზიის“ განწყობაზე მაყენებს, მაგრამ მენდელის სუნის მიმართ დიდად შემწყნარებელი ვერ ვარ: ეს ბიჭი გულს მირევს (როგორც დედაჩემი ამბობს ხოლმე), რაც სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ ჩემთვის სმოლკასავით მომნუსხველ არსებად რჩებოდეს. ისიც ჩემსავით თექვსმეტი წლისაა და ებრაელია, თუმცა ჩვენი მსგავსება ამით მთავრდება: თმა „იხვის კუდის“ სტილში აქვს შეჭრილი, ბაკები ყბებზე ჩამოზრდია, სპორტულ, ცალღილიან პიჯაკებსა და წვეტიან შავ ფეხსაცმელს იცვამს, ბილი ეკსტაინისებური საყელოებით დადის, რომლებიც იმაზე გაცილებით დიდია, ვიდრე თავად ბილი ეკსტაინისა... მაგრამ მაინც ებრაელია. დაუჯერებელი ამბავია! ერთხელ მასწავლებელს ჩვენთან წამოსცდა, არნოლდ მენდელის ინტელექტის კოეფიციენტი გენიოსისას უტოლდებაო, მაგრამ ამას მოპარული მანქანებით გრიალი, სიგარეტის მოწევა და რწყევამდე ლუდის სმა ურჩევნია. დაუჯერებლად გეჩვენებათ, არა? ებრაელი ბიჭი და ასეთი ამბები? მენდელი წრეში მნძრეველთა იმ ჯგუფის წევრიცაა, რომელიც დახურული დარაბების მიღმა, სმოლკას სასტუმრო ოთახში იკრიბება ხოლმე სკოლის შემდეგ, სანამ სმოლკას მშობლები სამკერვალოში ქანცგაწყვეტამდე მუშაობენ. ბევრი მსმენია ამის შესახებ, მაგრამ (მიუხედავად ჩემი ონანისტობის, ექსჰიბიციონიზმისა და ვუაიერიზმისა, ფეტიშიზმზე რომ აღარაფერი ვთქვა) მაინც ვერ ვიჯერებ და არც მინდა დაჯერება. ოთხი თუ ხუთი ტიპი წრეში ჯდება იატაკზე და სმოლკას ნიშანზე ნძრევას იწყებს. ვინც პირველი გაათავებს, მანამდე თითოეულის დადებულ დოლარს იჯიბავს.

ღორები!

მენდელის საქციელს მხოლოდ იმით ვხსნი, რომ ათი წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა. რა თქმა უნდა, ეს ფენომენი სრულიად მომნუსხველად მეჩვენება: ბიჭი, რომელსაც მამა არ ჰყავს.

სმოლკას სიმამაცეს როგორღა ავხსნი? სმოლკას დედა მუშაობს.

დედაჩემი, ხომ გახსოვთ, მთელი თავისი დღე და მოსწრება ჩვენი ექვსი ოთახის პატრულირებას ეწევა – ასე ამოწმებს ხოლმე პარტიზანული არმია დაკავებული ტერიტორიის ყოველ კუთხე-კუნჭულს. ჩვენს ოჯახში კარადა და უჯრა არ არის, რომ დედაჩემს ფოტოგრაფიულად არ ახსოვდეს მისი შიგთავსი. სმოლკას დედა კი მთელი დღე სმოლკას მამის სამკერვალოს სუსტად განათებულ კუთხეში ზის პატარა სკამზე და კერავს და კერავს. ამიტომ საღამოს, როცა შინ ბრუნდება, იმის თავი აღარ აქვს, რომ გეიგერის მრიცხველი დააძროს და შვილის ფრანგული პრეზერვატივების ძიება დაიწყოს, რომელთა დანახვაზეც თმა ყალყზე დაუდგებოდა. სმოლკები, ალბათ გესმით, ჩვენსავით შეძლებულები არ არიან და ჩვენ ორს შორის საბოლოო განსხვავებაც ესაა. სმოლკას დედა მუშაობს, მათ სახლს კი ჟალუზები არ აქვს. ჰო, ეს ჩემთვის ყველაფერს ნათელს ხდის: რატომ დადის სმოლკა ოლიმპიკ-პარკში საცურაოდ და რატომ უყვარს სხვების სირებზე ხელის წავლება. „ჰოუსტისის" კექსებისა და საკუთარი მახვილი ჭკუის ამარაადარჩენილი ამ ცხოვრებაში. მე კი ყოველდღე ცხელ-ცხელი სადილი და ახალ-ახალი კომპლექსები მაქვს გამოწერილი. თუმცა სწორად გამიგეთ (ისე ვამბობ, თითქოს ადვილი საქმე იყოს): რა უნდა იყოს იმაზე სასიამოვნო, ზამთრის ქარბუქში საკუთარი სახლის ზღურბლს რომ გადააბიჯებ და გაზქურაზე გასაცხელებლად შემოდგმული პამიდვრიანი წვნიანის სურნელს იგრძნობ, სამზარეულოს რადიოდან კი „დეიდა ჯენი" შემოგესმება? რა შეედრება ახლად გარეცხილ და გაუთოებულ პიჟამას ან ავეჯის საწმენდის სუნით ზამთარ-ზაფხულ გაჟღენთილ საძინებელს? ნუთუ მომეწონებოდა, ჩემს უჯრაში უწესრიგოდ შეყრილი, მონაცრისფრო ქვედა საცვლები რომ დამხვედროდა, როგორც სმოლკას? არა, არ მომეწონებოდა. ან ის როგორი იქნებოდა, თითებთან გამოხეული წინდებით რომ მევლო და ცხელი თაფლიანი სასმელი არავის მოეტანა, როცა ავად ვიქნებოდი და ყელი მეტკიებოდა?

მეორე მხრივ, აბა, როგორ მოვიდოდა ასეთ სახლში, დღისით,

მზისით, ბაბლზ ჯირარდი და როგორ გამიკეთებდა მინეტს ისე, როგორც სმოლკას გაუკეთა საკუთარ საწოლში?

ბედის ირონიაც ეს არის! შარშან, გაზაფხულზე, უორთ სტრიტს მივუყვები და როგორ გგონიათ, ვის ვხვდები? ძველ მნძრეველსა და წრეში დაქნევის მოყვარულს, თვით მისტერ მენდელს. ხელში არტახებით, აჭიმებითა და ასეთი რამეებით სავსე შეკვრა უჭირავს. იცით, სრულიად განმაცვიფრა იმან, რომ ცოცხალი და საღ-სალამათი დავინახე. ეს ამბავი ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია. თურმე ცოლი შეურთავს და ორი პატარა შვილიც ჰყავს; მეფლვუდში, ნიუ-ჯერსიში სახლი უყიდია, სადაც ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობს. მოკლედ, ცოცხალია, ისევ ბაღის შლანგისხელა აბია და ეზოში ბარბექიუსაც წვავს ხოლმე! მენდელი, რომელიც ისე გიჟდებოდა პუპი კამპოსა და ტიტო ვალდესზე, რომ სკოლის დამთავრების მომდევნო დღესვე ქალაქის მერიაში წავიდა და სახელი ოფიციალურად შეიცვალა: არნოლდის ნაცვლად ბა-ბა-ლუ მენდელი გახდა. დღეში ექვს ქილა ლუდს სვამდა! სასწაული! დაუჯერებელი ამბავი! როგორ მოხდა, რომ ამ ყველაფრისთვის სასჯელი ასცდა? დალაყუნობდა ასე: ერთ წელს სკოლაში იყო, მეორე წელს რიცხავდნენ. სულ ჩენსელორ სტრიტისა და ლესლი სტრიტის გადაკვეთაზე იდგა – უაზროდ და უსაქმოდ; ან თავის აფრიკულ დოლზე იჯდა შავი მუშასავით და „იხვის კუდი" ცისკენ ჰქონდა აშვერილი. აჰა, არც მეხი დასცემია და არც არაფერი. ახლა კი ჩემსავით ოცდაცამეტი წლისაა და სავაჭრო აგენტად მუშაობს სიმამრთან, რომელსაც ქირურგიული ინსტრუმენტების მაღაზია აქვს მარკეტ სტრიტზე, ნიუარკში. მეკითხება, რას საქმიანობ, რით გაგაქვს თავი ამ ცხოვრებაშიო. ნუთუ მართლა არ იცის? ნუთუ ჩემს მშობლებს იმ ხალხის სიაში არ შეუყვანიათ, ვისაც წერილებს უგზავნიან ხოლმე? განა ყველამ არ იცის, რომ ამხელა ნიუ-იორკში ზნეობრივად ყველაზე სრულყოფილი კაცი ვარ და მხოლოდ ჰუმანიზმისა და თანაგრძნობის უწმინდესი იდეალებით ვცოცხლობ? როგორ არ იცის, რომ თავი ჩემი სიკარგით გამაქვს?

– სახელმწიფო სამსახურში ვარ, – ვპასუხობ და ხელს უორთ სტრიტის ოცდამეათე ნომრისკენ ვიშვერ. თავმდაბლობის განსახიერება ვარ.

– ბიჭებიდან თუ ხედავ რომელიმეს? – მეკითხება ბა-ბა-ლუ. – ცოლი მოიყვანე?

– არა, არა.

უცებ ახალი სიფათის მიღმა ის ძველი ლათინურამერიკელი ხეპრე იღვიძებს.

– აბა, რას აკეთებ, სად უდებ, ვის უდებ...?

– ქალები მყავს, არნი. ხანაც ვანძრევ.

იმწუთასვე ვხვდები, რომ მივქარე. მივქარე! ახლა რომ ამან პირი მოაღოს და „დეილი ნიუზს" ჩაუკაკლოს ჩემი ნათქვამი? თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თვალთმაქცი აღმოჩნდა! იგი ცოდვილის ცხოვრებით ცხოვრობს, – გვატყობინებს მისი ძველი მეგობარი.

ისევ საგაზეთო სათაურები. ჩემს ბინძურ საიდუმლოებებს ყოველთვის საგაზეთო სათაურებით იტყობს შოკირებული და იმედგაცრუებული სამყარო.

– მისმინე, – მეუბნება ბა-ბა-ლუ, – რიტა ჯირარდი გახსოვს? ყველას მინეტს რომ გვიკეთებდა.

– ...რა დაემართა? ხმას დაუწიე, ბა-ბა-ლუ! რა დაემართა-მეთქი?

– „ნიუზში" არ წაგიკითხავს?

– რომელ „ნიუზში"?

– „ნიუარკ ნიუზში".

– კარგა ხანია, „ნიუარკ ნიუზი" თვალით აღარ მინახავს. რა დაემართა იმ გოგოს?

– მოკლეს. ჰოთორნ ავენიუზე ბარში იჯდა ვიღაც მონსტრთან ერთად. მერე მეორე მონსტრი შესულა იმ ბარში და ორივესთვის შუბლში ტყვია დაუხლია. როგორ მოგწონს ეს ამბავი? რა ხალხს აძლევდა, აზრზე ხარ?

– ვაა, – ვამბობ. გაოგნებული ვარ. მერე ვეკითხები: – მისმინე, ბა-ბა-ლუ, სმოლკასი რა ისმის?

– რა გითხრა, – მპასუხობს ბა-ბა-ლუ, – ეგ პროფესორი არ არის? ვიღაცამ მითხრა, სმოლკა პროფესორი გახდაო.

– პროფესორი? სმოლკა?

– მგონი, რომელიღაც კოლეჯში ასწავლის.

– შეუძლებელია! – ვპასუხობ ქედმაღლურად.

– კი, ესე მითხრეს. სად ასწავლის და პრინსტონში.

– პრინსტონში?

შეუძლებელია! ცივ დღეებში სადილად დახვედრებული ცხელი პამიდვრიანი წვნიანის გარეშე? სუფთა პიჟამები რომ არ ეცვა ხოლმე? სმოლკა, ბუსუსებიან წითელ პრეზერვატივებს რომ ინახავდა, რომლებითაც პარიზელ კაცებს, მისივე თქმით, ქალები მეცხრე ცაზე აჰყავდათ? ოლიმპიკ-პარკის აუზში მოცურავე სმოლკა ცოცხალია? და თან პრინსტონის პროფესორია? რას ასწავლის – კლასიკურ ენებს თუ ასტროფიზიკას? დედაჩემივით ლაპარაკობ, ბა-ბა-ლუ. ალბათ სანტექნიკოსი ან ელექტრიკოსი უნდა გეთქვა. არა, ამას ვერ დავიჯერებ! იმიტომ, რომ მთელი ჩემი ორგანიზმი, ჩემი ყველა გრძნობა, ჩემში ბავშვობიდან გამჯდარი შეხედულებები ამ აზრთან შეგუებას ეწინააღმდეგება. კარგად ვიცი, რომ სმოლკა და მენდელი საკუთარ სახლებში ცხოვრობენ და საკუთარი საქმეებიც აქვთ, როგორც ამ პლანეტის ყველა მამაკაცს, მაგრამ მაინც ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი უწესო ბიჭები დღემდე ცოცხლები არიან. ესენი, წესით, ციხეში ან გზისპირა არხში უნდა ეყარონ. ამის დედა ვატირე, საშინაო დავალებებს ესენი არ წერდნენ – კარგი, სმოლკა ჩემგან ესპანურს მაინც იწერდა ხოლმე, მენდელი თავს ამისთვისაც არ იწუხებდა, სულ ფეხებზე ეკიდა... ჭამის წინ ხელების დაბანაზე აღარაფერს ვიტყვი... ვერ ხვდებით, რომ ეს ორი ბიჭი, წესით, მკვდარი უნდა იყოს? ბაბლზივით! ეს ერთი ცხოვრება მაინც დამთავრდა ლოგიკურად. ამ ამბის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ამტკიცებს ჩემს წარმოდგენას

იმის შესახებ, რომ ადამიანი განვლილი ცხოვრების მიხედვით იმკის! ცუდი და გარყვნილი იყავი, არა? ბოლოს მაგ სირის მწოველ თავში ვიღაც მონსტრები ტყვიას დაგახლიან. ასეა მოწყობილი ეს სამყარო!

სმოლკა სამზარეულოში ბრუნდება და გვეუბნება, ბაბლზი უარზეაო.

– კი, მაგრამ შენ არ გვითხარი, ეგ გოგო მოგცემთო?! – ყვირის მენდელი. – ხომ გვითხარი, პირში აიღებსო! მოგიწოვთო, შეგადებინებთ კიდეცო – ვინ გვეუბნებოდა?!

– ამის დედაც, – ვამბობ მე, – თუ არ უნდა, ვინ ეხვეწება. წავედით.

– როგორ თუ წავედით, ერთი კვირაა ამის წარმოდგენაზე ვანძრევ! არსად არ მოვდივარ! რა ხდება, სმოლკა, ვერ გავიგე? მე მაინც არ დამინძრევს?

– თუ არ უნდა, ნუ უნდა, წავედით რა, – რეფრენივით ვიმეორებ.

– ვინ ჩემი ფეხებია, უარს რომ გვეუბნება! ხელით მაინც არ უნდა დაგვინძრიოს? ერთი დანძრევა რა გახდა! დიდ რამეს ვთხოვთ? არა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ან პირში აიღებს ან დამინძრევს. აირჩიოს: ან ერთი, ან მეორე! ეგ ბოზანდარა!

სმოლკა კიდევ ერთხელ შედის მეორე ოთახში მოსალაპარაკებლად, დაახლოებით ნახევარ საათში კი იქიდან ახალი ამბავი გამოაქვს: გოგოს გადაუფიქრებია, ერთ-ერთს დავუნძრევ, ოღონდ შარვალი არ უნდა გაიხადოსო. სულ ეს არის. მონეტას ჰაერში ვაგდებთ და სიფილისის აკიდების შანსს მე ვიგებ! მენდელი გვიმტკიცებს, მონეტა ჭერს მოხვდაო. მზად არის, მიმახრჩოს. წესის დარღვევაზე გაჰყვირის მაშინაც კი, როცა სასტუმრო ოთახში კუთვნილი პრიზის მისაღებად შევდივარ.

ბაბლზი, პერანგის ამარა, ოთახის მეორე ბოლოში, დივანზე ზის. ასე, ას სამოცდაათი ფუნტი იქნება. ულვაშიც აქვს. თუ მკითხავს, რა გქვიაო, ვუპასუხებ, ენტონი პერუტა-მეთქი, მაგრამ სახელს არ მეკითხება.

– მისმინე, – მეუბნება, – მოდი, ახლავე გავარკვიოთ: ამას მარტო შენ გიკეთებ, მეტს არავის.

– ეგ თქვენი გადასაწყვეტია, – ვეუბნები თავაზიანად.

– კარგი, ამოიღე, ოღონდ შარვალი არ ჩაიხადო. გესმის, რას გეუბნები? გასაგებად ვუთხარი შენს ძმაკაცს: არავის ყვერებს არ შევეხები-მეთქი.

– კარგი, კარგი, როგორც გინდა.

– და არ შემეხო, არც კი სცადო!

– მისმინეთ, თუ გინდათ, წავალ.

– მიდი, ამოიღე.

– კარგი, თუ ასე გინდათ, აი... აი... – ვეუბნები, მაგრამ ენა აშკარად წინ მისწრებს, – ახლავე ამოვიღებ...

კი, მაგრამ სად არის? კლასში ზოგჯერ სიკვდილზე, საავადმყოფოებსა და საშინელ ავტოავარიებზე ვიწყებდი ფიქრს იმ იმედით, რომ ჩემი შავბნელი ფიქრები ამ თავხედს თავს მანამდე ჩააქინდრინებდა, სანამ ზარი დაირეკებოდა და წამოდგომას შევძლებდი. საკმარისი იყო, დაფასთან გავსულიყავი ან ავტობუსიდან ჩამოვსულიყავი, რომ ეს მაშინვე თავს წამოყოფდა: „ჭიტა! აბა, ყველამ შემომხედეთ! " ახლა კი ვეძებ და ვერ მიპოვია!

– აი! – ვიძახი ბოლოს.

– სულ ეს არის?

– ხოო... – ვპასუხობ აწითლებული, – როცა მაგრდება, უფრო დიდდება ხოლმე...

– ამის გასადიდებლად მთელი ღამე ვერ ვიწვალებ.

– არა მგონია, მთელი ღამე დაჭირდეს... – ვამბობ თავაზიანად.

– დაწექი!

უკმაყოფილო ბაბლზი სკამზე ჯდება, მე კი მის გვერდით, დივანზე ვიშოტები. უცებ ისე ბღუჯავს ჩემს ასოს, თითქოს ეს უბედური რაღაც მექანიკურ ხელსაწყოში მომყვა. განსაცდელი, რბილად რომ

ვთქვათ, ერთობ ენერგიულად იწყება. მაგრამ რა მედუზა დაუნძრევია და რა ეს ჩემი სირი.

– რა დაგემართა? – მეკითხება ბაბლზი, – რით ვეღარ გაათავე? არ შეგიძლია გათავება?

– როგორ არ შემიძლია...

– ჰოდა, თავს ნუ იკავებ.

– თავს არ ვიკავებ, ვცდილობ, ბაბლზ.

– ახლა ორმოცდაათამდე დავთვლი და თუ მანამდე ვერ მოასწარი, შენს თავს დააბრალე.

ორმოცდაათამდე? მაგრად გამიმართლებს, ორმოცდაათზე ეგ თუ კიდევ ჩემს ტანს ებმება! „ცოტა ნელა, – მინდა წამოვიყვირო, – თავს ეგრე უხეშად ნუ ეხები! "

– თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი...

მე კი ვფიქრობ, მადლობა ღმერთს, მალე ყველაფერი დამთავრდება, ასე, ორმოცი წამიც უნდა გავუძლო-მეთქი. შვების განცდასთან ერთად კი იმედგაცრუების გრძნობაც მეუფლება: ამწუთას ის ხდება, რაზეც ცამეტი წლის ასაკიდან დღე და ღამე ვოცნებობდი. ბოლოს და ბოლოს, მეღირსა და სექსი გულამოცლილ ვაშლთან ან ვაზელინით გაპოხილ რძის ბოთლთან კი არ მაქვს, არამედ ნამდვილ გოგოსთან, რომელსაც პერანგი აცვია, ორი ძუძუ და საშო აქვს და კიდევ ულვაში, მაგრამ მე ვინ ვარ, რომ ულვაშის გამო გოგო დავიწუნო? აი, ტვინში სულ ეს მიტრიალებდა და...

უცებ ვხვდები, რაც უნდა ვქნა. უნდა დავივიწყო, რომ ბაბლზი მინძრევს, უნდა წარმოვიდგინო, ვითომ მე თვითონ ვანძრევ! აჰა, ჩამუქებულ ჭერს ვაშტერდები და იმის ნაცვლად, რომ წარმოვიდგინო, თითქოს გოგოს ვუდებ (რასაც ნძრევის დროს ვაკეთებ ხოლმე), თავს ვირწმუნებ, რომ საკუთარი ხელით ვანძრევ.

შედეგიც არ ახანებს. თუმცა როგორც კი სასურველ მდგომარეობას ვაღწევ, ბაბლზის სამუშაო დღე მთავრდება.

– აჰა, მორჩა. ორმოცდაათი! – ამბობს და ჩერდება.

– არა! – ვყვირი, – კიდევ მინდა!

– იცი, რას გეტყვი? სანამ მოხვიდოდით, ორი საათი ვაუთოვე!

– ერთხელაც, რა! გთხოვ! კიდევ ერთი! ორი! გეხვეწები!

– არა-მეთქი!

როგორც ყოველთვის, იმედგაცრუებას და გეგმების ჩაშლას ახლაც ვერ ვეგუები – სირს ვწვდები, ვბღუჯავ და ეგრევე ვათავებ!

ოღონდ შესხმით საკუთარ თვალში ვისხამ. პატრონის ხელის ერთი შევლებაც საკმარისი იყო! მუნჯის ენა დედამ იცის! აბა, ვინ დამინძრევს საკუთარ თავზე უკეთესად? თუმცა რაკი გაწოლილი ვიყავი, სპერმის ნაკადი ჰორიზონტალურად წამოვიდა, ტანს ზემოთ გადამევლო და ცხელი, ბლანტი მასა ზედ თვალზე დამეტყეპა.

– შე ნაბიჭვარო ურია! – მიყვირის ბაბლზი, – მთელი დივანი დამისვარე! კედლებიც! ლამფაც!

– თვალში მომხვდა! .. და ურია აღარ დამიძახო, გაიგე?

– ურია ხარ, აბა, ვინ ხარ! ურია! ყველაფერი დამისვარე, შე ნაბიჭვარო! ხელსახოცებს ვერ ხედავ?

ზუსტად ისე ხდება ყველაფერი, როგორც მშობლები მაფრთხილებდნენ: პირველივე უთანხმოებისას, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს მისი მიზეზი, შიკსე ბინძურ ურიას დაგიძახებსო. რა საშინელი აღმოჩენა გავაკეთე – ჩემი მშობლები, რომლებიც, როგორც წესი, ყოველთვის ცდებოდნენ... მართლები გამოდგნენ! თვალი კი ისე მეწვის, თითქოს ცეცხლი მიკიდია და უცებ ვხვდები, რატომ. ერთხელ სმოლკამ გვითხრა, ეშმაკის კუნძულებზე მცველები ასე ერთობოდნენ, პატიმრებს თვალებში სპერმას აზელდნენ და აბრმავებდნენო. ჰოდა, ვბრმავდები! შიკსე ასოზე შიშველი ხელით შემეხო – ახლა სამუდამოდ დავბრმავდები! ექიმო, ჩემი ფსიქიკის გაგება ისეთივე იოლია, როგორც პირველკლასელის ფსიქიკისა. ვის სჭირდება სიზმრები, გეკითხებით? ვის სჭირდება ფროიდი? ჩემნაირი ტიპის გაანალიზებას „ნიუ-იორკ პოსტის" მიმომხილველის, როზა ფრანცბლაუს ტვინიც ეყოფა.

– წინდაცვეთილო ურია! გათავებაც არ შეგიძლია, თუ შენი ხელით არ დაინძრიე, შე მართლა ურია!

საკმარისია! სად არის მისი ადამიანური თანაგრძნობა?

– რა დროს ეგაა, თვალი! – ვყვირი და სამზარეულოსკენ გავრბივარ, სადაც სმოლკა და მენდელი სიცილით კედლებს აწყდებიან.

– პირდაპირ თვალს დაუმიზნე? – ხარხარებს მენდელი და იატაკზე ჩაკეცილი ლინოლეუმს მუშტებს უბრახუნებს. – თვალში შეისხა...

– წყალი, ვირისთავებო, ვბრმავდები! ისე მეწვის, ცეცხლი მიკიდია! – მენდელს ვახტები, უსწრაფესად მივქრივარ ნიჟარისკენ და სახეს წყლის ჭავლს ვუშვერ. ნიჟარის თავზე ვარდისფერპერანგიანი იესო ქრისტე ცად ამაღლებას განაგრძობს. უმაქნისი ნაბიჭვარი! ქრისტიანებისთვის ცოტა სიკეთე და თანაგრძნობა მაინც ესწავლებინა. მე მეგონა, თავის მიმდევრებს იმას სთხოვდა, რომ სხვა ადამიანების ტანჯვა გულთან მიეტანათ! ჩემი ფეხები! მე რომ დავბრმავდე, მაგის ბრალი იქნება! უცებ ვხვდები, რომ ჩემს თავს დატეხილი ტკივილისა და უბედურების მთავარი მიზეზი იესო ქრისტეა... და სანამ სახეზე ცივი წყლის ჭავლი ჩამომდის, იმაზე ვფიქრობ, როგორ უნდა ავუხსნა მშობლებს ჩემი დაბრმავების მიზეზი! დედაჩემს ნახევარი ცხოვრება ჩემი ტრაკის კვლევაში აქვს გატარებული, სულ ჩემი განავლის დამზადების პროცესს აკვირდება – აბა, როგორ გამოვაპარებ იმას, რომ მხედველობა დავკარგე?

– კაკუნ-კაკუნ, მე ვარ, დედიკო! აი, ამ საყვარელმა ძაღლმა მომიყვანასახლში, ეს კი ჩემი ხელჯოხია.

– ძაღლი? ჩემს სახლში? ამწუთას გააგდე აქედან, სანამ ყველაფერი არ დაუსვრია! ჯეკ, სახლში ძაღლი გვყავს! მე კი სამზარეულოს იატაკი სულ ცოტა ხნის წინ მოვრეცხე!

– ჰო, მაგრამ, დედა, ეს ძაღლი აქ უნდა დარჩეს. გამცილებელი ძაღლია, რომელიც ბრმებს ეხმარება. მე დავბრმავდი!

– ღმერთო ჩემო, ჯეკ! – გასძახის დედაჩემი მამაჩემს სააბაზანოში. – ჯეკ, ალექსმა სახლში ძაღლი მოიყვანა. ალექსი დაბრმავდა!

– ვინ დაბრმავდა, ესა? – პასუხობს მამაჩემი. – ისედაც ბრმა არ იყო, სახლში შუქის ჩაქრობა ვერ ვასწავლე!

– როგორ? – მოთქვამს დედაჩემი, – როგორ დაგემართა ეს უბედურება?

„როგორ? ამას რა კითხვა უნდა? ქრისტიან გოგოებში სიარულით".

მომდევნო დღეს მენდელი მიყვება, რომ მას შემდეგ, რაც ჯირარდების სახლიდან გიჟივით გამოვიქეცი, ნახევარ საათში ბაბლზს კეთილი უნებებია, მუხლებზე დამდგარა და მისთვის მინეტი გაუკეთებია.

– მართლა? – ვეკითხები სახტად დარჩენილი.

– იკადრა და მუხლებზე დადგა, – მპასუხობს მენდელი. – სახლში რას გარბოდი, შე შმუკო, შენა!

– ურია დამიძახა, – საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ვპასუხობ. – მეგონა, რომ ვბრმავდებოდი. მისმინე, ეგ გოგო ანტისემიტია, ბა-ბა-ლუ.

– მერე რა, არ მკიდია? – მპასუხობს მენდელი, რომელმაც, ალბათ, სიტყვა „ანტისემიტის" მნიშვნელობა არც კი იცის. – მე მარტო ის ვიცი, რომ ორჯერ შევუდე.

– შეუდე? პრეზერვატივით?

– არა, არაფერი მიხმარია.

– ჰო, მაგრამ დაფეხმძიმდება! – ვყვირი შეშფოთებული, თითქოს ამისთვის პასუხს ვინმე მე მომთხოვდეს.

– არ მკიდია? – მპასუხობს მენდელი.

მე რაღა მანერვიულებს? მარტო მე რატომ ვატარებ სარდაფში ექსპერიმენტებს პრეზერვატივების გამოსაცდელად? სიფილისის აკიდების საშიშროება მარტო მე რატომ მზაფრავს? თვალი ამეწვება თუ არა, სახლში რატომ გავრბივარ? რატომ მგონია, რომ სამუდამოდ დავბრმავდი? სად გავრბივარ, როცა ნახევარ საათში ბაბლზი მუხლებზე დადგება და პირში ყლეს მთლიანად ჩაიდებს? სახლში,

დედიკოსთან! ფხვიერ ნამცხვრებთან და ჭიქა რძესთან, ჩემს სუფთა საწოლთან! ოი, ოი, რა არის მაინც ეს ცივილიზაცია და რამდენი სიმწარე ახლავს! მიდი რა, ბა-ბა-ლუ, მელაპარაკე, მომიყევი, მითხარი, რას გრძნობდი, როცა ის გოგო მინეტს გიკეთებდა? არც ერთი წვრილმანი არ გამოტოვო, ზუსტი დეტალები მინდა! როგორი ძუძუები აქვს? ძუძუსთავები? თეძოები? ბა-ბა-ლუ, მართლა ისე შემოგაჭდო ფეხები ტრაკზე, როგორც პორნოგრაფიულ წიგნებში წერენ ხოლმე? თუ მაგრად შეატყუპა და სირზე ისე მოგიჭირა, რომ ყვირილი მოგინდა, როგორც ჩემს სიზმრებში ხდება ხოლმე? ქვემოთ როგორი თმა აქვს? ყველაფერი მომიყევი, რაც ბოქვენის თმასა და მის სუნზე უნდა ვიცოდე. არა უშავს, თუ ეს ადრეც მომისმენია. მართლა მუხლებზე დადგა თუ მაბოლებ? ეგ მაგრად მაინტერესებს, მუხლებზე მართლა დადგა? კბილები? კბილებს რას უშვრება მაგ დროს? სირს გწოვს თუ გინძრევს? თუ ორივეს ერთდროულად აკეთებს? აუ, ბა-ბა-ლუ, მართლა პირში შეასხი? აუუუ! მერე რა ქნა, მაშინვე გადაყლაპა, გადააფურთხა თუ სულ გაგიჟდა? თქვი, რა! რა უქნა შენს ცხელ სპერმას? გააფრთხილე, ვათავებო თუ პირდაპირ გაასხი? ჰო, სირი პირში თვითონ ჩაიდო, შენ ჩაუდე თუ თავისით შეუსრიალდა? ამ დროს შენი ტანსაცმელი სად იყო – დივანზე დააწყვე თუ იატაკზე დაყარე? ზუსტად მითხარი, სად იყო? ყველა წვრილმანი მჭირდება! ყველანაირი წვრილმანი! დეტალები! ლიფი ვინ გახადა? ტრუსი ვინ გახადა? შენ გახადე თუ თვითონ გაიხადა? სირი პირში რომ ედო, ბა-ბა-ლუ, ტანზე ეცვა რამე? ტრაკქვეშ ბალიში ამოუდე? ტრაკი ისე დაადებინე ბალიშზე, როგორც ჩემი მშობლების წიგნში წერია – ახლად დაქორწინებულთა სახელმძღვანელოში? რომ გაათავე, მერე რა მოხდა, იმანაც გაათავა? მენდელ, ერთი ამიხსენი – ეს აუცილებლად უნდა ვიცოდე – ქალებიც ათავებენ? რამე სითხე გამოსდით? თუ, უბრალოდ, ბევრს კვნესიან ხოლმე? იმან როგორ გაათავა? როგორია ეს გათავება! სანამ ჭკუიდან გადავსულვარ, უნდა გავიგო, როგორ ათავებენ ქალები!

სქესობრივი ცხოვრების დეგრადაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა

მოკლედ, უკვე ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მანქი ლექსინგტონ ავენიუზე შემთხვევით გავიცანი და ჯერაც გრძნობების ნიაღვარი მიმაქანებს: ერთი მხრივ, თავბრუდამხვევ სურვილს ვყავარ შეპყრობილი (ასეთ თავაშვებულ ქალს ცხოვრებაში არ გადავყრივარ!), მეორე მხრივ კი, მის მიმართ რაღაც ზიზღისმაგვარს ვგრძნობ. ერთი შესწორება: თუ მანამდე მანქისგან, სიფრთხილის გამო, თავს შორს ვიჭერდი (ამის მიზეზი მოდის სამყაროს გლამურულობა, ამ გოგოს მდაბიური წარმოშობა და, პირველ რიგში, სექსუალური თავაშვებულობა იყო), ვერმონტში გატარებული წინა შაბათ-კვირის შემდეგ ეს დაძაბულობა და უნდობლობა ერთიანად მოზღვავებულმა სინაზემ და სიახლოვის გრძნობამ ჩაანაცვლა.

ბოლო დროს წაკითხული ესეს გავლენას განვიცდი, რომლის სათაურია: „სქესობრივი ცხოვრების დეგრადაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა". როგორც ხვდებით, ფროიდის წიგნი ვიყიდე და ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ჩემს უქალო საწოლში მარტოობის

გრძნობას ასე ვიქარვებ. ხელში ხან ფროიდი მიჭირავს, ხან – ალექსი, ხშირად – ორივე ერთად. ჰო, ვწევარ მარტოდმარტო, ღილებჩახსნილი პიჟამა მაცვია და ოცნებებში წასული პატარა ბიჭივით ვატრიალებ ხელში ასოს – ვსრეს, ვზელ, ვღუნავ და ვაწვალებ, თან მონუსხულივით ვეწაფები წიგნს „ნარკვევები სექსუალობის შესახებ", ვეწაფები ყოველ წინადადებას, ყოველ ფრაზას, ყოველ სიტყვას, რომლებიც იმ ყველაფრისგან გამათავისუფლებენ, რასაც ჩემი ფანტაზიები და აკვიატებული იდეები ეწოდება.

დეგრადაციის შესახებ დაწერილ ესეში ასეთი ფრაზა შემხვდა: „გრძნობათა ნაკადი". „სავსებით ნორმალური სასიყვარულო ურთიერთობის მისაღწევად..." ეს „სავსებით ნორმალური" საგულდაგულო სემანტიკურ კვლევას მოითხოვს, თუმცა ვაგრძელებ... მოკლედ, ასეთი ურთიერთობის მისაღწევად, ფროიდის აზრით, აუცილებელია, გრძნობათა ორი ნაკადი გაერთიანდეს: ნაზი, სასიყვარულო გრძნობები და სქესობრივი ლტოლვა. სამწუხაროა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ეს არ ხდებაო. „როცა ასეთ მამაკაცს ქალი უყვარს, მისი სურვილი არ აქვს, ხოლო როცა სურს, მისი სიყვარული არ შეუძლია".

შეკითხვა: ჩემი თავიც ამ უმრავლესობას უნდა მივაკუთვნო? მარტივად და უხეშად რომ ვთქვა, უკავშირდება თუ არა ალექსანდერ პორტნოის სექსუალური ლტოლვა მის ინცესტურ ფანტაზიებს? რას ფიქრობთ, ექიმო? ნუთუ სასურველი ობიექტის არჩევანი ასეთი უბადრუკი აკრძალვით მაქვს შეზღუდული? ნუთუ მართალია, რომ ჩემი სქესობრივი ლტოლვა გასაქანს მხოლოდ იმ შემთხვევაში პოულობს, თუ სექსუალური ობიექტი დეგრადირებულობის მოთხოვნას აკმაყოფილებს? ამით ხომ არ აიხსნება შიკსეებით ჩემი უზომო გატაცება, ექიმო?

კი, მაგრამ თუ ასეა... ვერმონტში გატარებულ იმ შაბათ-კვირას როგორღა ავხსნით? იქ ინცესტის ბარიერი მთლიანად გადავლახეთ – ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. სქესობრივი ლტოლვა ისე-

თი უწმინდესი და უდიდესი სინაზის ნაკადს შეერწყა, რომლის მსგავსიც არასდროს გამომეცადა! დამიჯერეთ, ამ ორი ნაკადის შერწყმა მართლაც ფანტასტიკური იყო! ეს მხოლოდ ჩემში კი არა, მასშიც მოხდა! თავისი პირით მითხრა!

იქნებ ფიქრობთ, რომ მხოლოდ მშვენიერი ფოთოლცვენა ან ვუდსტოკის სასტუმროს რესტორანში მოგუზგუზე ბუხარი იყო ამის მიზეზი? ამან ხომ არ გაგვაფაქიზა? ნაზი გრძნობები მართლაც დაგვეუფლა თუ შემოდგომამ დაგვირბილა, გოგრებივით დაგვიბერა გულები (ჯონ კიტსი), ის ხანმოკლე ტურისტული მოგზაურობა კი ექსტაზით აღსავსე ნოსტალგიად გვიქცია – უბრალო, ზნეკეთილი ცხოვრებისადმი ნოსტალგიად? საინტერესოა, მხოლოდ საკუთარ ძირებს მოწყვეტილი, გაველურებული ეროტომანები ვიყავით, რომლებიც გახუნებული ჯინსებით დავეხეტებოდით ისტორიულ ახალ ინგლისში და ნაქირავებ კაბრიოლეტში სოფლურ იდილიაზე ოცნებით ვტკბებოდით თუ მართლაც მივაღწიეთ „სავსებით ნორმალურ სასიყვარულო ურთიერთობას", როგორც მანქისთან ერთად ვერმონტში გატარებულ მზიან დღეებში მეჩვენებოდა?

მაინც რა მოხდა? ჰო, ძირითადად, გზაში ვიყავით და ყველაფერს ვათვალიერებდით: ველ-მინდვრებს, მთებს, მზით განათებულ დაბლობებს და რა თქმა უნდა, ფოთლებს – აღფრთოვანების შეძახილებს ვერ ვიკავებდით. ერთხელ გავჩერდით და ვიღაც კაცს ვადევნებდით თვალს, რომელიც კიბეზე იდგა და ფარდულზე რაღაცას აჭედებდა – ესეც ძალიან სახალისო იყო. ჰო, ნაქირავები მანქანა. წარმოიდგინეთ, რატლენდში ჩამოვფრინდით და კაბრიოლეტი ვიქირავეთ. კაბრიოლეტი – წარმოგიდგენიათ? საუკუნის მესამედი ამერიკელი ბიჭის ცხოვრებით ვიცხოვრე და ეს პირველი კაბრიოლეტი იყო, რომლის საჭესთანაც ვიჯექი. და იცით რატომ? იმიტომ, რომ სადაზღვევო აგენტის ვაჟმა სხვებზე უკეთ იცის, რით შეიძლება დამთავრდეს ასეთი მანქანით ხეტიალი. ყველა საშინელი დეტალი იცის!

როცა საქმე კაბრიოლეტს ეხება, პატარა შეჯახებაც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს: სავარძლიდან ამოფრინდები (არაფერს ვაზვიადებ), თავის ქალას ასფალტს დაახლი და თუ იღბალი აღმოგაჩნდა, დარჩენილ ცხოვრებას ინვალიდის ეტლში გაატარებ. თუ კაბრიოლეტი ამოგიტრიალდა – აბა, რა გითხრა, შეგიძლია დარჩენილ ცხოვრებას საბოლოოდ დაემშვიდობო. ასეთიასტატისტიკა (მამაჩემისგან ვიცი). მამაჩემი ამ მონაცემებს ვინმეს შესაშინებლად ან გასართობად არ იგონებს. „სადაზღვევო კომპანიები ბიზნესში იმიტომ კი არ არიან, რომ ფული დაკარგონ. როცა ფაქტებს სადაზღვევო კომპანია გაწვდის, ალექს, ესე იგი, იმ ფაქტებს წყალი არ გაუვა! "

ბრძენ მამაჩემს სიტყვა აუცილებლად ბრძენმადედაჩემმა უნდა ჩამოართვას:

– ღამით მშვიდად რომ მეძინოს, გთხოვ, ეს ერთი თხოვნა შემისრულე. დედას ამ ერთ რამეს დაპირდი და სხვას არასდროს არაფერს გთხოვს: ოჰაიოში რომ ჩახვალ, არაფრის დიდებით კაბრიოლეტში არ ჩაჯდე. თუ ამას დამპირდები, ალექს, ღამით თვალის მოხუჭვას შევძლებ. დამპირდი, რომ საკუთარ სიცოცხლეს გაუფრთხილდები და ქარაფშუტულად არ მოეკიდები.

დედაჩემს ისევ მამაჩემი ცვლის.

– შენ ლოყაწითელი ვაშლი ხარ, ალექს! – მეუბნება ჩემი გარდაუვალი გამგზავრების გამო აღელვებული და ცრემლმორეული მამა, – საუკეთესო ჯიშის ვაშლი ხარ და მე და დედაშენს არ გვინდა, რომ ეს ვაშლი ხეს მანამდე მოწყდეს, სანამ სიმწიფე უწევს.

1. შეგვპირდი, ვაშლო, რომ კაბრიოლეტში არასდროს ჩაჯდები. ასეთ უმნიშვნელო რამეს გთხოვთ და რა მოხდება, რომ შეგვპირდე?

2. რომ ჩახვალ, ჰოვარდ შუგერმანი მოძებნე, სილვიას დისშვილი. არაჩვეულებრივი ბიჭია და თან „ჰილელის"პრეზიდენტია. იქაურობას დაგათვალიერებინებს. ძალიან გთხოვთ, მოძებნე შუგერმანი.

3. ძვირფასო ვაშლო, ჩვენო თვალის ჩინო, ხომ გახსოვს შენი ბი-

ძაშვილი ჰეში და ისიც, თუ როგორ დაიტანჯა თავი და როგორ დატანჯა მთელი ოჯახი იმ გოგოს გამო. ბიძაშენი ჰაიმი ნემსის ყუნწშიც კი გაძვრა, რომ ბიჭი სიგიჟისგან გადაერჩინა. გახსოვს? რამის დამატება საჭიროა, ალექს? გასაგებია, რას ვგულისხმობ? ნუ გაიაფდები, ალექს! ბრწყინვალე მომავალს ზურგს ნუ შეაქცევ! არა მგონია, კიდევ რამის თქმა იყოს საჭირო. ხომ მართალი ვარ? ჯერ სულ ბავშვი ხარ, თექვსმეტი წლის ხარ და სკოლას ამთავრებ – ბავშვი ხარ, ალექს, აბა, ვინ ხარ? ჯერ არ იცი, რამხელა სიძულვილი ტრიალებს ამ სამყაროში. არა, არა მგონია, კიდევ რაიმეს ახსნა იყოს საჭირო შენნაირი ჭკვიანი ბიჭისთვის. ყოველთვის სიფრთხილე უნდა გამოიჩინო ცხოვრებაში! შენი ნებით ნუ ჩაიგდებ თავს ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში! უნდა გვისმინო და დაიჯერო, რასაც გეუბნებით და ახლა წარბი ნუ შეკარი. გმადლობ, შენებური ენის შემობრუნებაც არ იყოს. ვიცით, რას ვამბობთ. მე და მამაშენმა საკმარისად ვიცხოვრეთ ამ ქვეყანაზე! ავიც გვინახავს და კარგიც! მაინც არაფერი გამოგივა, შვილო! ეგენი სულ სხვა ჯიშის და მოდგმის ხალხია! ცოცხლად შეგჭამენ, არ გაგახარებენ! ჰოვარდთან მიდი, „ჰილელში“ შეგიყვანს! მაშინვე ქერა გოგოს კი ნუ გამოეკიდები! მისთვის კარგი საკბილო ხარ! ყველაფერს გამოგწურავს და მერე გაუბედურებულს ჭუჭყსა და ტალახში დაგტოვებს, რომ სისხლისგან დაიცალო! ასეთ ბრწყინვალე ბიჭს, ასეთ უმანკო ბიჭს ცოცხლად შეგჭამს!

დედაჩემი სხვაზე მეუბნება, ცოცხლად შეგჭამსო?

ოჰ, ჩვენც ვიცით სამაგიეროს გადახდა, ბრწყინვალე ბიჭებმა და ლოყაწითელმა ვაშლებმა. ის ანეკდოტი, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, რიგითი მილტი იაპონიიდან შინ რომ რეკავს. „დედა, მილტონი ვარ, კარგი ამბები მაქვს! არაჩვეულებრივი იაპონელი გოგო გავიცანი და დღეს დავქორწინდით. როგორც კი სამსახურის ვადა გამივა, ჩამოვალ და ცოლსაც ჩამოვიყვან. ხომ უნდა გაგაცნოთ ერთმანეთი! “ „უნდა ჩამოიყვანო, აბა, როგორ! “, – პასუხობს დედა. „რა კარგია, დედი, – ეუბნება მილტი, – ოღონდ, იცი, რა მაინტერესებს? ძალიან

პატარა ბინა რომ გვაქვს, მე და მინგ ტოი სად დავიძინებთ? “ „სად და რა თქმა უნდა, საძინებელში, – პასუხობს დედა, – აბა, სხვაგან სად უნდა დაიძინოთ შენ და პატარძალმა? “ „შენ სადღა დაწვები, ჩვენ თუ საძინებელში დავიძინებთ? სხვა საძინებელი რომ არ გვაქვს? “ „მილტ, საყვარელო, – პასუხობს დედა, – ყველაფერი კარგად იქნება, არ იდარდო. დავკიდებ თუ არა ყურმილს, თავს მოვიკლავ! “

მილტი, საყვარელი, უმანკო ბიჭი! რას გამოშტერდებოდა იმ თავის იოკოჰამაში, დედამისის ნათქვამს რომ გაიგონებდა! კეთილი, მორჩილი მილტონი. ბუზიც არ აგიფრენია ცხოვრებაში, არა, ტატელე? სისხლის დანახვაც არ შეგიძლია, აზრად არასდროს მოგსვლია, რომ ვინმესთვის დაგერტყა, მით უფრო, ვინმე მოგეკლა. გეიშა იპოვე, რომელიც ამას შენ მაგიერ გააკეთებს, არა? ჭკვიანი ბიჭი ხარ, მილტი, ჭკვიანი! გეიშას რომ მიუყვან, დამიჯერე, დედაშენი კარგა ხანს გონს ვერ მოვა! გეიშას დანახვაზე სულ გადაირევა – ბუჰ! აფეთქდება, ჰაჰა! ნახე, რა ჩაიდინე, მილტი, ისე, რომ თითიც არ გაგინძრევია! შიკსეზე იყოს მისი სისხლი! შენ მხოლოდ უდანაშაულო მოწმე ხარ! ამ სროლაში სულ შემთხვევით მოყევი! მსხვერპლი ხარ, მილტი, არა?

შესანიშნავი იყო, შესანიშნავი, ეს საძინებლის ამბავი!

დორსეტის სასტუმროში შესვლის წინ მანქის ვახსენებ, თან წამოღებული ათამდე ბეჭდიდან ერთ-ერთი შესაბამის თითზე ჩამოიცვას.

– საჯარო სივრცეში სიფრთხილე მოგვეთხოვება, – ვამბობ და თან იმასაც ვატყობინებ, რომ ნომერი მისტერ და მისის არნოლდ მენდელების სახელით დავჯავშნე. იყო ასეთი ვინმე ნიუარკის წარსულში-მეთქი, – ვუხსნი.

სანამ რეგისტრაციით ვარ დაკავებული, მანქი (რომელიც ახალ ინგლისში უკიდურესად სექსუალურად გამოიყურება) ვესტიბიულში დასეირნობს, ვერმონტულ სუვენირებს ათვალიერებს.

– არნოლდ, – მეძახის.

– რაო, ძვირფასო? – ვტრიალდები და ვპასუხობ.

– დედაშენს... დედიკო მენდელს აქედან ნეკერჩხლის სიროფი უნდა ჩავუტანოთ. ძალიან უყვარს! – მეუბნება და სასტუმროს დაეჭვებულ ადმინისტრატორს იმ მაცდური ღიმილით ნუსხავს, „სანდი ტაიმსის" ქვედა საცვლების რეკლამებში მოდელებს სახეზე რომ დასთამაშებთ ხოლმე.

რა ღამე გვქონდა! არა, საწოლში ყველაფერი ჩვეულებრივად იყო: ხვევნა-კოცნა, მანქის თმის ფრიალი და ვნებიანი ვოკალიზმი. მთელ დრამას ის ვაგნერიანული დაძაბულობა ქმნიდა, რომელსაც თანდათან შევეჩვიე: გრძნობების ნაკადი, ახალი, ფანტასტიკური განცდები.

– შენთან ყოფნით ვერ ვძღები! – ყვიროდა მანქი, – ნეტავ ნიმფომანი ვარ თუ ამ საქორწინო ბეჭდის ბრალია?

– შეიძლება სასტუმროს ატმოსფერო მოქმედებს, ეს ანონიმურობა...

– სასწაულია! იცი, რას ვგრძნობ... ვგრძნობ, რომ ჭკუიდან გადავდივარ... და ისეთ სინაზეს ვგრძნობ, ისეთ არანორმალურ სინაზეს შენდამი! ჩემო პატარავ, მგონი, ახლა ავტირდები... ისეთი ბედნიერი ვარ!

შაბათს მანქანაში ჩავსხედით და ჩემპლეინის ტბაზე წავედით. გზადაგზა ვჩერდებოდით, რომ მანქის თავისი „მინოქსით" ფოტოები გადაეღო. საღამოს ვუდსტოკისკენ გადავუხვიეთ, აქეთ-იქით ვიხედებოდით, ვოხრავდით, ვგმინავდით და აღტაცებას შეძახილებით გამოვხატავდით. მანქი მთელი ტანით მეკვროდა. დილით სექსი ტბის ნაპირას, მაღალი ბალახით დაფარულ მინდორზე გვქონდა, ნაშუადღევს კი სადღაც, ცენტრალური ვერმონტის მთებში, ტალახიან გზაზე მითხრა:

– გააჩერე, ალექს, აი, აქ... მინდა, რომ პირში გამითავო, – და მინეტი იქვე გამიკეთა, მთელი გულით და მონდომებით.

რის თქმა მინდა? იმის, რომ მაშინ ნამდვილად გაჩნდა გრძნობა ჩვენს ურთიერთობაში, თან ამით ჩვენს სექსუალურ მადას არაფერი

დაკლებია!

– ერთი ლექსი გამახსენდა, – მივუბრუნდი მანქის. ისე ვლაპარაკობდი, თითქოს მთვრალი ვიყავი; მგონი, იმწუთას კაცსაც კი ავულოკავდი: – ახლა უნდა გითხრა.

მანქის თავი ჩემს მუხლებზე ედო, თვალები დაეხუჭა და ჩემი მორბილებული ასო ლოყაზე პატარა ბარტყივით მიეკრა.

– მოიცა, რა დროს ლექსია, პოეზია საერთოდ არ მესმის, – ამოიკვნესა.

– ამ ლექსს გაიგებ. სექსზეა. გედისა და ერთი ლამაზი გოგოს სექსზეა.

ამომხედა და ხელოვნურად დაგრძელებული წამწამები დააფახულა.

– ღმერთო ჩემო!

– ეს სერიოზული ლექსია.

– ჰოო, – თქვა და ასოზე ენა ამისვა, – ეს სერიოზული გადახრაა.

– თქვენი ეშხით აღარა ვარ, ენაკვიმატო სამხრეთელო ლამაზმანებო! .. ახლა შენნაირი აშოლტილიც თუა ლამაზმანი...

– ნუ მეკაიფები, პორტნოი. მითხარი ის ბინძური ლექსი.

– პორტნოი კი არა, პორტ ნუარ! – შევუსწორე და დავიწყე:

A sudden blow: the great wings beating still
Above the staggering girl, her thighs caressed
By the dark webs, her nape caught in his bill,
He holds her helpless breast upon his breast.

– სად ისწავლე? – მკითხა მანქიმ.

– ჩუ, მომისმინე:

How can those terrified vague fingers push
The feathered glory from her loosening thighs ?

– ოჰო! თეძოები! – წამოიძახა მანქიმ.

– And how can body, laid in that white rush,
But feel the strange heart beating where it lies?
A shudder in the loins engenders there

The broken wall, the burning roof and tower
And Agamemnon dead.
Being so caught up, So mastered by the brute blood of the air,
Did she put on his knowledge with his power
Before the indifferent beak could let her drop ?

– აი, ასე, – ვთქვი ბოლოს.

პაუზა.

– ვინ დაწერა? – ჩაიცინა მანქიმ, – შენ?

– უილიამ ბატლერ იეიტსმა, – ვუპასუხე და უცებ მივხვდი, როგორ უტაქტოდ მოვიქეცი, როგორ გულგრილად გავუსვი ხაზი ჩვენ შორის არსებულ სხვაობას: მე ჭკვიანი ვარ, შენ კი ბრიყვი ხარ-მეთქი, – ვაგრძნობინე. სწორედ ამას ნიშნავდა ამ ქალისთვის ერთ-ერთი ლექსის დეკლამირება იმ სამად სამი ლექსიდან, რომლებიც ოცდაცამეტი წლის ასაკში ზეპირად ვიცოდი.

– ირლანდიელი პოეტია, – მორცხვად დავძინე.

– ჰოო? და სად ისწავლე, კალთაში ეჯექი? თურმე ირლანდიელი ყოფილხარ და არ ვიცოდი.

– კოლეჯში, ჩემო პატარა.

ერთმა გოგომ მასწავლა, რომელსაც კოლეჯში ვიცნობდი. „ძალა, რომელიც მწვანე პატრუქით ანთებს ყვავილებს“ესეც იმ გოგომ მასწავლა. საკმარისია! რა საჭიროა ორი ქალის შედარება? რატომ არ უნდა მივცე მანქის იმის უფლება, რომ ის იყოს, ვინც არის? რა მაგარი იდეაა! ისეთი მიყვარდეს, როგორიც არის: არასრულყოფილი! ბოლოს და ბოლოს, არასრულყოფილება ხომ ძალიან ადამიანურია!

– რა გითხრა, – მითხრა მანქიმ, რომელიც სატვირთო მანქანის მძღოლის როლიდან არ გამოდიოდა, – კოლეჯში არასდროს მისწავლია, – მერე სამხრეთული ზლაზვნით გააგრძელა: – ჩვენთან, მაუნდსვილში, საყვარელო, ბავშვებმა მარტო ეს ლექსი ვიცოდით: „ვნახე ლონდონი, ვნახე პარიზი, მერი ჯეინის ტრუსი და ტრაკი“. აი, ტრუსი არც არასდროს მცმია... იცი, რა ვქენი, თხუთმეტი წლის რომ ვიყავი?

ქვემოთ თმა მოვიჭერი, კონვერტში ჩავდე და მარლონ ბრანდოს გავუგზავნე. იმ სირს იმდენი ზრდილობაც არ აღმოაჩნდა, რომ საპასუხოდ რამე მოეწერა".

ჩუმად ვსხედვართ. იმის გააზრებას ვცდილობთ, რას ვაკეთებთ ასეთი განსხვავებული ადამიანები ერთად, თან ვერმონტში.

– ჰო, აგამემნონი რა არის? – მეკითხება მანქი.

მეც ვუხსნი, როგორც შემიძლია. ზევსი, აგამემნონი, კლიტემნესტრა, ელენე, პარისი, ტროა... თავს საშინლად ვგრძნობ. ვხვდები, რა ცრუ და ყალბი ვარ: ვიცი, რომ იმის ნახევარი მაინც, რასაც ვამბობ, თავადაც არ მესმის.

სამაგიეროდ მანქია არაჩვეულებრივი.

– კარგი, – მეუბნება, – ახლა ყველაფერი თავიდან ამიხსენი.

– სერიოზულად მეუბნები?

– სერიოზულად! კიდევ ერთხელ! ოღონდ ახლა ცოტა ნელა.

ისევ ლექსს ვამბობ. მთელი ეს ხანი შარვალი ჩახდილი მაქვს. ბინდდება და მანქანაში, რომელიც გზიდან მოშორებით, ხეების ქვეშ გავაჩერე, ფოთლები ცვივა. დრამატული ფოთოლცვენაა. მანქი იმ ბავშვს ჰგავს, რიცხვების გამრავლებას რომ ცდილობს, მაგრამ უტვინო ბავშვს კი არა – სხარტად მოაზროვნე, უჭკვიანეს პატარა გოგოს. სულელი სულაც არ არის! სრულიად განსაკუთრებული გოგოა. მერე რა, რომ ქუჩაში ბოზივით მოვხსენი!

როცა ვჩუმდები, იცით, რას აკეთებს? ხელზე ხელს მკიდებს და ჩემს თითებს ფეხებს შორის იდებს. მერი ჯეინს ტრუსი ახლაც არ აცვია.

– გრძნობ? შენ რომ გისმენდი, სულ დავსველდი.

– საყვარელო! გაგიგია პოეზია და ეგაა!

– მგონი, მართლა გავიგე! – ყვირის სკარლეტ ო'ჰარა. – გავიგე! ლექსი გავიგე!

– თან, არც მეტი, არც ნაკლები, საშოთი!

– ჩემი ხსნა და გარღვევა ვინ არის? შენი გადამკიდე, ჩემი საშო

გენიოსი გახდება! ჩემი ხსნა! ჩემი გარღვევა! მიდი, ამლოკე, საყვარელო, – ყვირის მანქი და თითებს პირში მიდებს, ქვედა ყბით თავისკენ მიზიდავს: – მიდი, მიდი, ალოკე ჩემი განათლებული საშო!

იდილიური სურათია, არა? თან თავზე წითელ-ყვითელი ფოთლები გვეყრება...

ვუდსტოკში, ჩვენს ნომერში, სანამ მე ვახშმობის წინ ვიპარსავ, მანქი ცხელ აბაზანაში ნებივრობს და „სარდოს" მიირთმევს. მაინც რა ძალა აქვს ამ სუსტ სხეულში – რა გამაოგნებელ აკრობატულ ილეთებს ატარებს ჩემს ასოზე ამხედრებული! ექსტაზში რომ შედის, საწოლიდან ნახევარი ტანით ისე გადაეკიდება ხოლმე, იფიქრებ, ცოტაც და ხერხემალი გადაუტყდებაო. კიდევ კარგი, ტანვარჯიშის გაკვეთილებზე დადის! უჰ, რას აღარ აკეთებს საწოლში! რა სექსი გვაქვს! და მაინც, როგორც ახლა ირკვევა, მანქი, ეს მაიმუნი ესა, ადამიანიც ყოფილა – საამისოდ ყველა ნიშანს იძლევა! ადამიანი! რომელიც შეიძლება შეგიყვარდეს!

მაგრამ ვის შეიძლება შეუყვარდეს – მე?

რატომაც არა?

მართლა?

რატომაც არა!

– იცი, რა უნდა გითხრა, – მეუბნება აბაზანიდან, – ისე მტკივა ჩემი პატარა ხვრელი, რომ სუნთქვა მიჭირს.

– ვაიმე, საწყალი ხვრელი.

– მისმინე, მოდი, გემრიელად ვივახშმოთ, ბევრი ღვინო, შოკოლადის მუსი... მერე აქ ამოვიდეთ, ამ ორასი წლის საწოლში ჩავწვეთ და... სექსი არ გვქონდეს.

– როგორ ხარ, არნი? – მეკითხება მოგვიანებით, როცა შუქი ჩავაქრეთ. – რა მაგარია, არა? ვითომ ოთხმოცი წლისები ვართ.

– ან რვის, – ვეუბნები. – მოიცა, რაღაც უნდა გაჩვენო.

– არა, არა, არნოლდ.

ღამით გამეღვიძა, ჩემკენ მოვწიე და ჩახუტება დავუპირე.

– კარგი რა, – დაიწუწუნა, – თავს ჩემი ქმრისთვის ვინახავ.

– გედს ეგ ფეხებზე ჰკიდია, ლედი.

– ოოოჰ... მომშორდი.

– შეიგრძენი ჩემი ბუმბული.

– ااااჰ! ებრაელი გედი! – წამოიყვირა, როცა ხელში სირი მაინც ჩავუტენე, და მეორე ხელი ცხვირზე წამატანა. – სანამ გულგრილი ნისკარტი სადმე მოისროდა... დანარჩენი ლექსიც გავიგე! ... ხომ გავიგე?

– ღმერთო ჩემო, გასაგიჟებელი გოგო ხარ!

ამის გაგონებისას სუნთქვა ეკვრება.

– მართლა? გასაგიჟებელი ვარ?

– დიახ!

– მართლა?

– ჰო! ჰო! ჰო! ახლა შეიძლება შეგიდო?

– ოჰ, საყვარელო! ძვირფასო! – ყვირის მანქი, – სადაც გინდა, იქ შემიდე! რომელ ხვრელშიც გინდა. შენი ვარ!

საუზმის შემდეგ ვუდსტოკში ვისეირნეთ. მანქი შეღებილი ლოყით მეკვროდა პიჯაკის სახელოზე.

– იცი, რა? – მითხრა მან. – მგონი, აღარ მძულხარ.

ნიუ-იორკში საღამოს გავემგზავრეთ, თან უიკენდი რომ გაგვეგრძელებინა, მთელი გზის გავლა მანქანით გადავწყვიტეთ. ვერმონტიდან ერთი საათის გამოსულები ვიყავით, რომ მანქიმ რადიოში ჭაბჩ-სმიაგნო და ტანი როკის რიტმს ააყოლა. მერე მოულოდნელად თქვა: „ძაან წაიღეს ყურები, ამის დედაც! " – და რადიო გამორთო.

– რა კარგი იქნებოდა, უკან რომ არ ვბრუნდებოდეთ, არა?

– რა კარგი იქნებოდა სოფელში ისეთ ვინმესთან ერთად ცხოვრება, ვინც მართლა მოგწონს, არა?

– რა კარგი იქნებოდა, მზის ამოსვლისას ენერგიით სავსე რომ გაიღვიძებდი და მზის ჩასვლისას ძაღლივით ქანცგამძვრალი რომ დაიძინებდი, არა?

– რა კარგი იქნებოდა, უამრავი მოვალეობა რომ გქონოდა და მთელი დღე საქმეების კეთებაში გაგეტარებინა, თან ვერც კი გაგეაზრებინა, რომ სავალდებულო საქმეებს აკეთებდი, არა?

– რა კარგი იქნებოდა, მთელი დღეები, კვირები, თვეები შენ თავზე ფიქრის დრო რომ არ გქონოდა, არა? ძველი ტანსაცმელით გევლო, მაკიაჟის გაკეთება არც კი გაგხსენებოდა და დღე და ღამე დაძაბული არ ყოფილიყავი, არა?

დრო გავიდა. მანქიმ სტვენა დაიწყო.

– რა მაგარი იქნებოდა, არა?

– ამჯერად რა?

– ზრდასრული ადამიანის ცხოვრებით ცხოვრება.

– გასაოცარია!

– რაზე ამბობ?

– თითქმის სამი დღეა, არც შენი სოფლური მეტყველება მესმის, არც ბინძური სიტყვები...

ქათინაურის თქმა მინდოდა, მაგრამ მანქიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

– ჩემი სიტყვები არც ბინძურია და არც სოფლური... ეს მე ვარ! და თუ ჩემი ლაპარაკი და საქციელი არ მოგწონს... რა ვქნათ, ხდება ხოლმე, უფლებათა დამცველო. ნუ მამცირებ, გაიგე? მარტო იმის გამო, რომ იმ ქალაქს ვუახლოვდებით, სადაც ძაან მნიშვნელოვანი ვინმე ხარ.

– მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ახლა გაცილებით ჭკვიანი ხარ, ვიდრე მაშინ, როცა ქუჩის გოგოსავით იქცევი.

– მიდი, რა. სრულიად შეუძლებელია, ადამიანი ისეთი უტვინო იყოს, როგორიც შენ გგონივარ! – მანქი წინ გადაიხარა და რადიო ჩართო. თითქოს ეს შაბათ-კვირა არც ყოფილიყოს. ყველა სიმღერის ტექსტი იცოდა. რა აღარ იღონა, რომ ეს გამეგო. „იე-იე-იე-იე-იე-იე". მშვენიერი წარმოდგენა იყო. დიდება ნათხემს და ზოგადად, ადამიანის ტვინს!

უკვე ბნელოდა, როცა „ჰოვარდ ჯონსონისკენ“ შევუხვიე.

– ხო არ გვეჭამა, – ვუთხარი, – საჭმელი, რამე. ცოტა არ ჩავუფინოთ?

– იცი, რას გეტყვი? შეიძლება, არ ვიცოდე, ვინ ვარ და რა ვარ, მაგრამ არც შენ იცი, ვინ გინდა, რომ იყო. ნუ დაგავიწყდება!

– ეგ ძაან ფრაზა იყო.

– რა ყლე ხარ! ვერ ხედავ, რა ცხოვრებით ვცხოვრობ? გგონია, მომწონს, რომ არავინ ვარ? გგონია, მომწონს ეს უბადრუკი ცხოვრება? მეზიზღება! მეზიზღება ნიუ-იორკი! დაბრუნებაც არ მინდა მაგ სანეხვეში! ვერმონტში შენთან ერთად ცხოვრება მინდა. ზრდასრული ადამიანის ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო, რა ჯანდაბასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს! მინდა, მისაბაძი კაცის ცოლი ვიყო. ვიღაც ისეთის ცოლი, ვისით აღფრთოვანება და ვისი მოსმენაც შემეძლება! – მანქი ატირდა, – ვიღაც ისეთის ცოლი, ვინც ტვინს არ ამირევს! მგონი, მიყვარხარ, ალექს. მართლა მიყვარხარ. და ეს კარგს არაფერს მომიტანს!

სხვა სიტყვებით: მეც ხომ არ მეგონა, რომ მიყვარდა? ჩემი პასუხი: არა, არ მეგონა. გაგეცინებათ და ამ დროს იმაზე კი არ ვფიქრობდი, მეც მიყვარს თუ არა, ან შესაძლებელია, რომ შემიყვარდეს თუ არა-მეთქი. თავში ეს აზრი მიტრიალებდა: უნდა მიყვარდეს თუ არა-მეთქი.

რესტორანში უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე და ვუთხარი, რომ მინდოდა, ქალაქის მერთან ოფიციალურ სადილზე წამომყოლოდა.

– მოდი, რომანი გვქონდეს, არნოლდ, კარგი?

– რას გულისხმობ?

– კარგი რა, ნუ ხარ ეგეთი ფრთხილი. როგორ გგონია, რა იგულისხმება? უბრალოდ, რომანი. მე მარტო შენთან დავწვები, შენ – მარტო ჩემთან.

– სულ ეგ არის?

– თითქმის ეს არის. და კიდევ, დღის განმავლობაში ასჯერ მაინც

დაგირეკავ. ამ ხშირ რეკვაზე შევჯდები. რა იყო, არ შეიძლება, „შევ-ჯდები" ვთქვა? კარგი, მაშინ ესე ვიტყვი: ამ ზარების გარეშე ცხოვ-რება აღარ შემეძლება. მოსულა? ანუ სამსახურში ძალიან ხშირად დაგირეკავ. იმიტომ, რომ მინდა, ყველამ იცოდეს, რომ რომანი მაქვს. აბა, რა გგონია, ორმოცდაათი ათასი რაში გადავიხადე! ფსიქოანა-ლიტიკოსისგან ეგ ვისწავლე. სამსახურში რომ ვიქნები, ხშირ-ხში-რად დაგირეკავ ხოლმე. და გეტყვი, რომ მიყვარხარ. გასაგებად ვამ-ბობ?

– აბა რა.

– იმიტომ, რომ ყველაზე ძალიან ეგ მინდა:რომ ჩემი გესმოდეს. ოჰ, ჩემო ხსნავ და გარღვევავ, ტვინი მეკეტება შენზე! ყოველ შემ-თხვევაში, ახლა. ეი, – გააგრძელა ჩურჩულით, – გინდა, რაღაცას უსუნო? რაღაც გასაგიჟებელს? – მიიხედ-მოიხედა და როცა დარ-წმუნდა, რომ ჩვენს სიახლოვეს არც ერთი მიმტანი არ ტრიალებდა, წინ გადმოიხარა, თითქოს მაგიდის ქვეშ წინდას ისწორებსო, მეორე წუთს კი ხელი გამომიწოდა. მისი თითები ტუჩებზე მივიკარი.

– ჩემი ცოდვის სურნელი, ჩემო პატარა, მწნილი პირდაპირ კას-რიდან... მხოლოდ შენთვის! სხვა არავისთვის!

ჰოდა, მიდი რა, შეიყვარე, რა მოხდება! მიდი, გაბედე! ფანტაზია კარზე მოგდგომია და გეხვეწება, რეალობად მაქციეო! ეროტიკუ-ლობის განსახიერებაა! ასეთი გარყვნილი! ასეთი შეუდარებელი! ჰო, კარგი, ცოტა ვულგარული, მაგრამ წარმოუდგენლად ლამაზი! თუ სადმე ერთად გამოვჩნდით, გამვლელ-გამომვლელი თვალს ვერ აშორებს, კაცები თვალებით ჭამენ, ქალები ჩურჩულს იწყებენ. ერთ საღამოს გავიგონე, როგორ თქვა ვიღაცამ რესტორანში: „ეს ის არ არის? რა ჰქვია? „ტკბილ ცხოვრებაში" რომ თამაშობს?" მივტრიალ-დი, რომ გამერკვია: ვისზე ლაპარაკობენ, ანუკ ემეზე-მეთქი? თურმე ჩვენ გვიყურებენ, უფრო სწორად, მანქის, რომელიც მე მახლავს! რა, ამაოებაა ეს ყველაფერი? იყოს მერე! ნუ წითლდები, მოიშორე ეს

სირცხვილის გრძნობა, დედიკოს საყვარელი ბიჭუნა აღარ ხარ! როცა საქმე სექსუალურ მიდრეკილებებს ეხება, ოცდაათი წლის მამაკაცი თავად არის საკუთარი თავის ბატონ-პატრონი! სწორედ ეს არის ყველაზე მომხიბლავი ზრდასრულობაში. გინდა? აიღე! ცოტა აურიე, ღმერთო ჩემო! გეყო საკუთარი ბუნების უარყოფა! გეყო სიმართლეზე თვალის დახუჭვა!

ჰო, კიდევ (აქ ქედი უნდა მოვიხაროთ) „ჩემი ღირსების გრძნობა", ჩემი უმწიკვლო სახელია ანგარიშგასაწევი. რას იფიქრებს ხალხი! მე თვითონ რას ვიფიქრებ! ექიმო, ამ გოგომ ერთხელ ფული აიღო ამ საქმეში! ფული! დიახ! მგონი, ამას უკვე პროსტიტუცია ჰქვია! ერთ ღამეს მისი შექება მინდოდა (ყოველ შემთხვევაში, მეჩვენებოდა, რომ სწორედ ეს მოტივი მამოძრავებდა) და ვუთხარი: ეს შენი ნიჭი საბაზრო ამბავში უნდა გამოიყენო, ერთი კაცისთვის ბევრია-მეთქი. ჩემი მხრიდან რაინდული საქციელი იყო, ხომ გესმით... თუ ინტუიციამ მიკარნახა? მოკლედ, ასე მიპასუხა: ერთხელ უკვე გამოვიყენეო. არ შევეშვი, სანამ არ ამიხსნა, რა იგულისხმა. ჯერ იფიცებოდა, ვიხუმრეო, მაგრამ კითხვების კორიანტელი დავაყარე, წვრილად გამოვკითხე და ბოლოს ის ამბავი მაინც მოვაყოლე. სიმართლეს ჰგავს, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილი მაინც. პარიზში გატარებული თვეებისა და განქორწინების შემდეგ მანქი ჰოლივუდში გადაფრენილა (თვითონ ასე ჰყვება) რომელიღაც ფილმის სინჯებში მონაწილეობის მისაღებად (ის როლი ვერ მიუღია; ყველანაირად ვეცადე, რომ ფილმის სახელწოდება მეთქმევინებინა, მაგრამ მარწმუნებდა, დამავიწყდაო, ის ფილმი აღარც გადაუღიათო). კალიფორნიიდან ნიუ-იორკში ერთ გოგოსთან ერთად ბრუნდებოდა („ის გოგო ვინ იყო? " „ერთი გოგო იყო, რა! ვმეგობრობდით". „იმ გოგოსთან ერთად რატომ მგზავრობდი? " „ვმგზავრობდი, რა! ") და ორივეს ლას ვეგასის ნახვა გადაუწყვეტია. ვიღაც ახლად გაცნობილ ბიჭთან დავწექიო, – მითხრა მანქიმ სრულიად უმანკო გამომეტყველებით. თუმცა, მო-

ულოდნელად, იმ ბიჭს მეორე დილით უკითხავს, რამდენი უნდა გადაგიხადოო. რამდენიც ღირს, შენი შეფასებითო, – უთქვამს მანქის. ამბობს, ენიდან თავისით მომწყდაო. მოკლედ, ბიჭს სამი ასდოლარიანი დაუტოვებია.

– და შენც გამოართვი, არა?

– ოცი წლის ვიყავი. გამოვართვი, აბა რა. მაინტერესებდა, რა გრძნობა იყო, მეტი არაფერი.

– და როგორი გრძნობა იყო, მერი ჯეინ?

– აღარ მახსოვს. არც არანაირი. მგონი, ვერაფერიც ვერ ვიგრძენი.

აბა, რას იტყვით? ამტკიცებს, ასეთი რამ ერთადერთხელ მოხდა, ათი წლის წინ და ისიც შემთხვევით, გაუგებრობის გამოო. ვერ მიუხვდა ბიჭი ახირებას! გჯერათ? ან მე უნდა დავიჯერო? და ის რატომ არ უნდა დავიჯერო, რომ ეს გოგო შეიძლება ერთ დროს ძვირადღირებული მეძავი ყოფილიყო? ღმერთო ჩემო! ახლა ვფიქრობ, ამ გოგოს თუ გული გავუხსენი, იმ მაფიოზებისა და მილიონერების დონემდე დავეშვები, რომლებიც ქალებს პირდაპირ ქუჩიდან ირჩევენ-მეთქი. ასეთი გოგოები, ჩვეულებრივ, მაფიოზებსა და კინოვარსკვლავებს დაჰყვებიან მკლავგაყრილები და არა უიქვეიკის სკოლის 1950 წლის გამოსაშვებ საღამოზე სიტყვით გამომსვლელ კურსდამთავრებულს! არც კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ალმანახის რედაქტორს! არც ადამიანის უფლებების სულგრძელ და კეთილშობილ დამცველს! მოდი, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ: რა მნიშვნელობა აქვს, ბოზია თუ არა, ხომ აშკარად ჩანს, რომ შეუფერებელი ყოფაქცევის ქალია? ვინც კი ერთად დაგვინახავს, მაშინვე მიხვდება, თუ რა არის ჩემი სისუსტე ამ ცხოვრებაში! მამაჩემი ეგეთებს ჩათლახებს ეძახის. შემიძლია მე, ექიმო, ოჯახში ჩათლახის მიყვანა? „დედა, მამა, ეს ჩემი ცოლია, ჩემი ჩათლახი! ნახეთ, რა ნაშაა? რა ტრაკი აქვს?“ ეს ურთიერთობა რომ არ დავმალო, მთელი სამეზობლო გაიგებს სიმართლეს ჩემს ბინძურ ფანტაზიებზე! გენიოსად

აღიარებული ახალგაზრდა თავს გამოიჭენებს, მთელ თავის ღორულ მიდრეკილებებს და ხურუშა ბუნებას სამზეოზე გამოიტანს! სააბა-ზანოს კარი (ჩაუკეტავი დამრჩენია!) ფრიალით გამოიღება და აჰა, იხილეთ, ქვეყნიერების მხსნელი აქ არ ზის?! ნიკაპზე დორბლი ჩა-მოსდის,თვალებში აზრის ნატამალი არ ეკითხება, ხელში ყლე უჭი-რავს და ნათურას სპერმას ულუფებად სტყორცნის! რა სიცილს და-მაყრიან! საძაგელი ბიჭი! ოჯახის შანდე! დიახ, დიახ, ცხადად ვხე-დავ ამ სურათს: ჩემი ამაზრზენი საქციელის გამო ერთ მშვენიერ დღეს ჯოჯოხეთში უნიტაზზე მიჯაჭვული გავიღვიძებ – მე და ამ ქვეყნის სხვა ჩათლახთმტყვნელებიც... აბა, შტარკერებო, – გვეტ-ყვის სატანა (ჩვენ თეთრ პერანგებში, „სულკას“ ჰალსტუხებსა და ახალთახალ მოდურ აბრეშუმის პიჯაკებში ვიქნებით გამოწყობილე-ბი), – გრძელფეხება ქალების მოყვარულო ბობოლებო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ცხოვრებაში ნამდვილად ბევრს მიაღწი-ეთ, უდავოდ თავი გამოიჩინეთ. განსაკუთრებით შენ, – შემომხედავს და წარბს დამცინავად აწევს, – თორმეტი წლისა უკვე უფროსკლა-სელებთან ერთად სწავლობდი, ნიუარკის ებრაული თემის ელჩი იყა-ვი მსოფლიოში... – აჰ, ასეც ვიცოდი: ეს მთლად სატანა კი არ არის, ჩასუქებული რაბინი უორსოუა, ჩემი გაქსუებული და მაღალფარ-დოვნად მოსაუბრე სულიერი მოძღვარი. მისი დაყენებული დიქცია და „პელ მელით“ აქოთებული სუნთქვა ვიცანი! რაბინი პა-ტივ-სა-ცე-მი! ჩემს ბარ-მიცვას აღვნიშნავთ და მე, დამორცხვებული, მის გვერდით ვდგავარ, ოფლში ვიწურები და განწმენდის ამ რიტუალის-გან რაღაც სიამოვნებასაც კი ვიღებ. ალექსანდერ პორტნოი ესაო, ალექსანდერ პორტნოი ისაო – სიმართლე რომ გითხრათ, დამარ-ცვლით ნათქვამი მისი სიტყვები, მისი გაწელილი სიტყვები და წინა-დადებები დღეს ისე არ მეხამუშება, როგორც სხვა დროს. შაბათის ამ მზიან დილას დრო ნელა მიედინება, სანამ რაბინი ჩემს ღირსებებ-სა და მიღწევებს უთვლის სინაგოგაში შეკრებილ ჩემს ნათესავებსა და მეგობრებს, სულ მარცვალ-მარცვალ ახსენებს. მიდი, დააბოლე

ეგ ხალხი, უორსოუ, არ იჩქარო. მე ახალგაზრდა ვარ, მთელი დღე აქ ვიდგები, თუ საჭიროა...

– ერთგული შვილი, მოსიყვარულე ძმა, გამორჩეულად წარჩინებული მოსწავლე, გაზეთების თავგადაკლული მკითხველი; მიმდინარე მოვლენების შესახებ ყველაფერი იცის; უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლის, მინისტრთა კაბინეტისა თუ კონგრესის ორივე პალატის უმრავლესობისა და უმცირესობის წევრების, კონგრესის უმნიშვნელოვანესი კომიტეტების თავმჯდომარეების სახელები და გვარებიც იცის, თან სრულად; უიქვეიკის სასწავლებელში რომ მიიღეს, თორმეტი წლის იყო; ინტელექტის კოეფიციენტი – 158, ას-ორ-მოც-და-თვრა-მე-ტი, ხოლო ახლა... – მოახსენებს რაბინი მოწიწებით სახეგაბრწყინებულ მსმენელს, რომლის აღფრთოვანებაც ჩემამდე აღწევს და აქ, საკურთხეველთან მდგომს მელაციცება. სულ არ გამიკვირდება, ეს რომ ლაქლაქს დაამთავრებს, ამ ხალხმა ხელში ამიტაცოს და მთელი სინაგოგა ისე შემომატაროს, თითქოს თორა ვიყო! მორწმუნეები გაწევ-გამოწევას დაიწყებენ, რომ „ორბახის" ფირმის ახალ ლურჯ პიჯაკზე ტუჩებით დამაკვდნენ, მოხუცები წინ-წინ წამოიწევენ, რომ ჩემს ლაპლაპა ლონდონურ ფეხსაცმელს ხელით შეეხონ. „გამატარეთ! მიმიშვით! უნდა შევეხო! " როცა ჩემი სახელი მთელ მსოფლიოში ყველას პირზე ეკერება, ესენი შვილიშვილებს ეტყვიან: „მეც იქ ვიყავი, უზენაესი მსაჯულის ბარ-მიცვას ვესწრებოდი! "

– ჩვენი ელჩი, – ამბობს რაბინი უორსოუ, – ჩვენი არაჩვეულებრივი ელჩი... – მოულოდნელად ინტონაცია ეცვლება და აცხადებს: – ახლა მას სუტენიორის აზროვნება აქვს! დოღის ჟოკეის ღირებულებები! აბა, ამხელა კაცი წინაპრების გამოცდილებას რა თავში იხლის! მთავარია, ვიღაც გრძელფეხება კურვესთანმკლავგაყრილმა რესტორანში იაროს! იმ ბოზთან მკლავგაყრილმა, რომელსაც ტანზე მომდგარი კომბინაცია აცვია!

– ოჰ, კარგი ერთი, პა-ტივ-სა-ცე-მო, უკვე დიდი ბიჭი ვარ. მიდი

რა, დაახვიე მაგ შენი რაბინული ჭკუის სწავლებით. დღეს ეგ შენი შეგონებები, ცოტა არ იყოს, სასაცილოა! ჰო, მახინჯ და ფრიგიდულ გოგოს ლამაზი და სექსუალური მირჩევნია – მერე რა? სად ხედავ აქ ტრაგედიას? რა ეგრევე ლასვეგასელი შულერების სიაში შეგყავარ? ან ამ უნიტაზზე რას დამაბი უკუნითი უკუნისამდე? მაგარი გოგო რომ მიყვარს, ამიტომ?

– გიყვარს? შენ? ფუი, ფუი! შენ მარტო საკუთარი თავი გიყვარს, ბიჭო! სა-კუ-თა-რი თა-ვი! აი, ასე, დავმარცვლავ კიდეც. გული მა-ცივარივით გაქვს გამოცარიელებული! სისხლი კი არა, ყინულის ნა-ტეხები გაქვს მაგ ძარღვებში! მიკვირს, სიარულის დროს რომ არ წკარუნობ! მაგარი გოგო, არა? თავს დავდებ, მაგარი იქნება! ალ-ბათ ასოზე წამოსაცმელი სამშვენისი გგონია. ეგ არის ის გოგო შენ-თვის, მეტი არაფერი, ალექსანდერ პორტნოი! სად არის შენი დაპი-რება? ამაზრზენია! სიყვარულიო? ახლავე დაგიმარცვლავ სიმარ-თლეს: ხუ-რუ-ში! სა-კუ-თა-რი თა-ვის სიყ-ვა-რუ-ლი!

– ჰო, მაგრამ „ჰოვარდ ჯონსონში" ნამდვილად ვგრძნობდი, რომ რაღაც მემართებოდა...

– შენს სირს ემართებოდა! აბა, რა!

– არა!

– კი! მხოლოდ მანდ არ დაგიკარგავს მგრძნობელობა! წუწუნა! ბოღმით სავსე კასრი! პირველი კლასიდან მოყოლებული სულ საკუ-თარი თავით იყავი შეპყრობილი!

– არ ვიყავი!

– იყავი! იყავი! ეს არის შიშველი სიმართლე, მეგობარო! ტანჯუ-ლი და ჩაგრული ხალხი სულ ფეხებზე გკიდია! ეს ყველაფერი მხო-ლოდ საბაბია შენთვის და მეტი არაფერი, ჰოდა, თავს ნუ ისულე-ლებ! შენნაირებს ეუბნები, შემომხედეთ, ვის ვუდებ ამ ჩემს სირსო, დაინახეთ, ვის ვხმარობო! აი, ამ თხუთმეტმეტრიან მოდელსო! სხვე-ბი რომ სამას დოლარს იხდიან, მე, აი, ეგუფასოდ მაქვსო! რა ტრი-უმფია, არა? იმ სამასი დოლარის გახსენებაზეც ხომ არ იღგზნები,

ჰა? რას არა! ოღონდ სიყვარულზე ლაპარაკს შეეშვი, პორტნოი, კარგი?

– „ნიუ-იორკ ტაიმსს“ არ კითხულობთ? მთელი შეგნებული ცხოვრება დაუცველთა უფლებების დაცვაში გავატარე! ხუთი წელი სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვის ამერიკულ ცენტრში ვიმუშავე. პრაქტიკულად გროშებს ვიღებდი, მაგრამ ყველა წვრილმანზე ვიბრძოდი. მანამდე კონგრესის კომიტეტში ვმუშაობდი! კერძო პრაქტიკა რომ მქონოდა, ორჯერ, არა, სამჯერ მეტი ფული მექნებოდა, მაგრამ არ მოვინდომე! მე არ მოვინდომე! ახლა კი – გაზეთებს მართლა არ კითხულობთ? – თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის საქალაქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დამნიშნეს! საგანგებო ანგარიშს ვამზადებ იმ მიკერძოებული დამოკიდებულების შესახებ, სამშენებლო ბიზნესში რომ...

– მე რას მაბოლებ, ბიჭო! საშოთა კვლევის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ხარ, აი, ეგ ხარ! ნძრევის დიდოსტატი! განვითარების შეფერხების თვალსაჩინო ნიმუში! ყველაფერი ამაოებაა, პორტნოი, მაგრამ შენ მაინც ყველას აჯობე! ინტელექტის კოეფიციენტის ას ორმოცდათვრამეტივე ქულა სულ წყალში ჩაგეყარა! ნეტავ რა აზრი ჰქონდა იმას, რომ დაწყებით სკოლაში ორ კლასს გადაახტი, შე სირო?

– რაო?

– მამაშენმა კიდევ ენტიოქ-კოლეჯში გაგგზავნა სასწავლებლად. რა უაზრო ფულის ფლანგვა იყო! როგორ გასწვდა მაგ კოლეჯს მამაშენის ჯიბე! ყველა შენს უბედურებაში შენი მშობლები არიან დამნაშავეები, არა, ალექს? რაც ცუდია შენში, მათგან გამოგყვა, რაც კარგია – ყველაფერს სულ შენით მიაღწიე, არა? შე უმადურო! გული კი არა, ყინული გიდევს საგულეში! გაინტერესებს, რატომ ხარ უნიტაზზე მიჯაჭვული? მე გეტყვი, რატომ: ეს პოეტური სამართალია! ახლა შეგიძლია, ანძრიო და ანძრიო უკუნითი უკუნისამდე! იქ-

ნიე ეგ შენი ძვირფასი ასო – ად ინფინიტუმ! საქმეს შეუდექი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილევ, შე სუნიანო პუცო – მაინც ეგ არის ერთადერთი საქმე, რასაც ყოველთვის მთელი გულით აკეთებდი!

როცა სმოკინგში გამოწყობილი ვაკითხავ, მანქი ჯერ კიდევ სააბაზანოშია და შხაპს იღებს. კარი არ დაუკეტავს – როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ბინაში შემოსვლისას არ შემეწუხებინა. აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთი მაღალი, თანამედროვე შენობის ბოლო სართულზე ცხოვრობს და მაღიზიანებს იმის წარმოდგენა, რომ ნებისმიერს შეეძლო დერეფნიდან აქ ჩემსავით შემოსულიყო. საშხაპე ფარდის მიღმა მობანავეს ვაფრთხილებ, შეიძლება ასე მომხდარიყო-მეთქი. სველი პატარა სახით ლოყაზე მეკრობა.

– რატომ უნდა შემომეჭრას ვინმე? მთელი ფული ბანკში მაქვს.

– ვერ არის დამაკმაყოფილებელი პასუხი! – ვპასუხობ, სასტუმრო ოთახში ვბრუნდები და ვცდილობ, არ გავბრაზდე. მერე ყავის მაგიდაზე ქაღალდის ნაგლეჯს ვამჩნევ. ნუთუ აქ ბავშვი იყო-მეთქი? – ვფიქრობ. არა, რა ბავშვი, ამ წუთებში პირველად ვაწყდები მანქის ხელწერის ნიმუშს. დამლაგებლისთვის წერილი დაუტოვებია. თუმცა, ერთი შეხედვით, დამლაგებლის წერილს უფრო ჰგავს.

რატომ? რატომ ჰგავს? რაკი მანქი „ჩემია“, ასეთ წერილს ვერ დაწერდა?

ძვრიფისო ქთხოვ იატაკი მორცხე აბაზანის გვერძე და ნუ დაივიწყეფ მტვერი ფანჯარებშიც რო არი მერი ჯეინი

სამჯერ ვკითხულობ ამ წინადადებას და როგორც ზოგიერთი ტექსტის კითხვისას ხდება, ყოველ ჯერზე ახალ-ახალ ნიუანსებსა და ქვეტექსტებს ვპოულობ. ყოველ ჯერზე ვგრძნობ, რომ მაგარ შარში ვარ გახვეული! რატომ იმწამსვე არ გავწყვიტე ეს „რომანი“? ნეტავ ვერმონტში რაზე ვფიქრობდი? ღმერთო ჩემო, რა არის ეს ქ სიტყვაში „ქთხოვ“? ფილმის დეკორაციის სიღრმეა! „ნუ დაივიწყეფ“! ალბათ პროფესიონალი მეძავები ასე წერენ! სიტყვა „ძვირფასო“ კი რო-

გორ გაუმეტებია – რა დღეში ჩაუგდია ნაზი გრძნობის გამომხატველი ეს სამი ნაზი მარცვალი! როგორი არაბუნებრივი შეიძლება იყოს ადამიანების ურთიერთობა! ეს ქალი უწიგნურია და ამას აღარაფერი ეშველება! მის ბავშვობასთან შედარებით, ჩემი ბავშვობა ბოსტონელ ბრაჰმანებთანგატარებულად შეიძლება ჩაითვალოს! რა მესაქმება ამასთან? ერთმანეთთან რა საერთო გვაქვს? არც არაფერი!

თუნდაც სატელეფონო ზარები ავიღოთ. მაგიჟებს მისი ხშირი რეკვა! როცა მაფრთხილებდა, რომ რეკვით ამიკლებდა, პატარა გოგოსავით საყვარელი იყო, მაგრამ – ჰეჰე! სიურპრიზი! – ზუსტად ამას გულისხმობდა, რაც ახლა ხდება. ოფისში ვარ, წინ გაჭირვებული მშობლები მისხედან, ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვის დედ-მამა, რომლებიც მიყვებიან, რომ მათ შვილს საავადმყოფოში სისტემატურად აშიმშილებენ. საჩივრით ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს კი არა, ჩვენ მოგვმართეს, რადგან ბრონქსში ერთ შესანიშნავ იურისტს უთქვამს, რომ მათი შვილი აშკარა დისკრიმინაციის მსხვერპლია. საავადმყოფოს მთავარ ფსიქიატრს ვურეკავ და ეს კაცი მეუბნება, რომ ბავშვი საჭმლის მიღებაზე უარს ამბობს – პირში საათობით იჩერებს, მაგრამ ყლაპვით არ ყლაპავს. იძულებული ვარ, მშობლებს ვუთხრა, რომ არც მათი შვილი და არც თავად ისინი დისკრიმინაციის მსხვერპლი არ არიან, ყოველ შემთხვევაში, ისე და იმ აზრით არა, როგორც ეჭვობენ. აღშფოთებულებს ჩემი პასუხი ორაზროვანი ეჩვენებათ. ჩემი პასუხი მეც ორაზროვანი მეჩვენება. თან ვფიქრობ, ერთი დედაჩემის შვილი ყოფილიყო, იმასაც ვნახავდი, თუ არ გადაყლაპავდა-მეთქი. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მშობლებს თანაგრძნობის სიტყვებით მივმართავ, მაგრამ ისინიამბობენ, ოფისიდან მანამდე არ გავალთ, სანამ მერს არ შევხვდებითო. ცოტა ხნის წინ ზუსტად ასე აცხადებდნენ, სოციალური მუშაკის ოთახიდან მანამდე არ გავალთ, სანამ კომისიის წევრი არ შეგვხვდებაო. ბავშვის მამა მემუქრება, რომ მეც სამსახურიდან გამაგ-

დებენ და მათაც, ვინც დაუცველი ბავშვი შიმშილით სიკვდილის პირას მხოლოდ იმიტომ მიიყვანა, რომ პუერტორიკოელია!

– ეს ცონტრარიო ა ლა ლეყ დისცრიმინარ ცონტრა ცუალქუიერ პერსონა, – მიკითხავს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის კომისიის მიერ მომზადებული ორენოვანი ბროშურიდან, რომელიც ჩემი დაწერილია! აი, სწორედ ამ დროს რეკავს ტელეფონი. პუერტორიკოელი ესპანურად მიყვირის, დედაჩემი ბავშვობიდან დანას მიღერებს, ჩემი მდივანი კი ხმამაღლა მიცხადებს, რომ მის რიდს ჩემთან საუბარი სურს და დღეს უკვე მესამედ მირეკავს.

– მომენატრე, არნოლდ, – მეჩურჩულება მანქი.

– სამწუხაროდ, ამწუთას ძალიან დაკავებული ვარ.

– ძალიან მიყვარხარ.

– შესანიშნავია. იქნებ ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ?

– როგორ მინდა ახლა ეგ შენი დიდი და პრიალა სირი რომ შემიდო...

– უნდა დაგემშვიდობოთ!

ჰო, კიდევ რა... რაკი ამ თემაზე ჩამოვარდა საუბარი... რა და, კითხვისას ტუჩებს აცმაცუნებს. წვრილმანია? ასე ფიქრობთ? გისადილიათ იმ ქალთან ერთად, რომელთანაც, ვთქვათ, რომანი გაქვთ... ასე, ოცდაცხრა წლის ქალთან... და შეგიმჩნევიათ, რომ გაზეთში კინოს გვერდის თვალიერებისას და იმ ფილმის არჩევისას, რომელიც ერთად უნდა ნახოთ, ტუჩებს ამოძრავებს? სანამ მეტყოდეს, მანამდე შემიძლია მისი არჩევანის გამოცნობა – ტუჩების მოძრაობით ვხვდები! წიგნებს, რომლებიც მისთვის მიმაქვს, გადაღებიდან გადაღებაზე ხელჩანთით დაატარებს – გგონიათ, წასაკითხად? აბა, კი! რომელიმე ცისფერ ფოტოგრაფზე, გამვლელ-გამომვლელზე, სრულიად უცხო ხალხზე საკუთარი მრავალმხრივობით შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს! ნახეთ, გოგოს, რომელსაც უმაგრესი ტრაკი აქვს, ხელში წიგნი უჭირავს! წიგნში კი ნამდვილი სიტყვები

წერია! იმ დღეს, როცა ვერმონტიდან დავბრუნდით, ეს წიგნი ვუყიდე: „ხოტბა შევასხათ სახელოვან ადამიანებს“. ბარათზე წავაწერე: „საოცარ გოგოს“. მერე ბარათი წიგნში ჩავდე, რომელიც სასაჩუქრედ გავახვევინე და საღამოსთვის შევინახე. „მითხარი, რა წიგნები წავიკითხო? – გულისამაჩუყებლად მთხოვა მანქიმ წინა დღეს, როცა ნიუ-იორკში ვბრუნდებოდით, – რატომ უნდა ვიყო სულელი, თუ, როგორც ამბობ ხოლმე, ასეთი გონიერი ვარ?“ ჰოდა, გადავწყვიტე, მისთვის ეჯის წიგნი მეჩუქებინა, უოკერ ევანსის ფოტოებით: ბავშვობას გაახსენებდა, თვალსაწიერს გაუფართოებდა, საკუთარ ფესვებს სხვა პერსპექტივიდან დაანახებდა (თუმცა ეს ფესვები მემარცხენე შეხედულებების მქონე შესანიშნავ ებრაელ ყმაწვილს ბევრად უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა, ვიდრე თავად პროლეტარ გოგონას). როგორი შემართებით შევუდექი მისთვის საკითხავი სიის შედგენას! მანქი გონებრივად უნდა განმევითარებინა! ეჯის ადამიცის „დინამიტი“ მოჰყვა – ჩემი კოლეჯისდროინდელი, სიყვითლეშეპარული წიგნი. წარმოვიდგინე, რომ ველებზე დატოვებული ჩემი სტუდენტური მინაწერები მანქისაც გამოადგებოდა, უკეთ გააგებინებდა განსხვავებას რელევანტურსა და ტრივიალურს, გენერალიზაციასა და ილუსტრაციას შორის და ა.შ. გარდა ამისა, მარტივი ენით დაწერილი წიგნი იყო და შეიძლებოდა მანქის სურვილი გასჩენოდა, რომ ჩემ მიერ შერჩეული თავების გარდა, რომლებიც პირდაპირ ეხებოდა მის წარსულს (ასე წარმომედგინა) – ძალადობა ქვანახშირის მაღაროებში, „მოლი მაგუაირის“ ამბავი, მსოფლიო ინდუსტრიის მუშებისადმი მიძღვნილი თავი – იმ ჩაგვრისა და ტერორის ისტორიაც წაეკითხა, რომელიც ამერიკის მუშათა კლასის მიმართ ხორციელდებოდა. მანქი ხომ ამ კლასის შვილი იყო. ნუთუ მართლა არ წაუკითხავს წიგნი, რომელსაც „აშშ“ ჰქვია? მორტიმერ სნერდი: „ნწუ, არასდროს არაფერი წამიკითხავს, მისტერ ბერგენ“. ამიტომ დოს პასოსიც ვუყიდე – „თანამედროვე ბიბლიოთეკის“ სერიის მაგარყდიანი გამოცემა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, მარტივი წიგნები აურჩიე, მაგრამ

ისეთი, განათლებასა და თვითგანვითარებაში რომ დაეხმაროს-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ სასურველ შედეგს მივაღწევდი. ტექსტები? უ. ი. ბ. დიუბუას „შავი ხალხის სული“, „მრისხანების მტევნები“, „ამერიკული ტრაგედია“, შერვუდ ანდერსონის წიგნი, რომელიც ძალიან მიყვარს: „ღარიბი თეთრკანიანი“ (ჩავთვალე, რომ სათაური მანქის ინტერესს გამოიწვევდა), ბოლდუინის „ამერიკის შვილის ჩანაწერები“. რა ერქვა ამ კურსს? არ ვიცი, ღმერთმანი – ალბათ პროფესორ პორტნოის „ჩაგრული უმცირესობები, შესავალი“, ან „სიძულვილის ისტორია და ფუნქცია ამერიკაში“. მიზანი? შტერი შიკსეს ხსნა მისი მოდგმისთვის დამახასიათებელი უმეცრებისგან. უგულო მჩაგვრელის ქალიშვილი ტანჯვისა და ჩაგვრის ისტორიას დაეწაფება, თანაგრძნობას ისწავლის, მსოფლიო სევდას ეზიარება. გასაგებია ახლა? იდეალური წყვილი ვიქნებით: ის ურიას რია-რიას ასწავლის, მე კი გოის ოი-ს ვასწავლი!

სად გავჩერდი? ჰო, სმოკინგით მივედი-მეთქი. ვდგავარ ასე, საღამოს ტანისამოსში გამოწყობილი, ცივილიზებულობის განსახიერება და ხელში ჯერ კიდევ „ძვრიფისო ქთხოვ“ მიჭირავს. ამ დროს მანქიც გამოდის, საგანგებოდ ამ წვეულებისთვის შეძენილი კაბა აცვია. ნეტავ რა ჰგონია, სად მიმყავს, პორნოფილმში გადასაღებად? ექიმო, კაბა ტრაკს ძლივს უფარავს! ეს კაბა ოქროსფერი ლითონის ძაფით არის მოქსოვილი და მხოლოდ ტანზემომდგარ კანისფერ კომბინაციას თუ დაუფარავს! რა აგვირგვინებს ამ მოკრძალებულ ჩაცმულობას? ვეება პარიკი (რომელიც აშკარად „პატარა ობოლი ენის“პერსონაჟმა შთააგონა) – შავი კულულების შარავანდედი, რომლის შუაგულიდან ბრიყვულად შეღებილი სახე იყურება. როგორი პატარა და საძაგელი ტუჩები მოუჩანს! მართლაც დასავლეთ ვირჯინიიდანაა! მაღაროელის ქალიშვილი ნეონების ქალაქში! „ასე უნდა წამომყვეს მერთან? – ვფიქრობ, – ასე? სტრიპტიზის გოგოსავით ჩაცმული? „ძვირფასოს“ სწორად დაწერას რომ ვერ ახერხებს და ყოველ ოთხ ასოში ერთი რომ ეკარგება! მთელი კვირის განმავლობაში

ეჯის წიგნიდან ორი გვერდიც არ წაუკითხავს! სურათები მაინც თუ დაათვალიერა? რაღაც ეჭვი მეპარება! ..“

„მივქარავ, – ვფიქრობ და მის წერილს ჯიბეში ვმალავ, სუვენირად უნდა შევინახო; ხვალ ოცდახუთ ცენტად ლამინირებას გავუკეთებ, – მივქარავ! ეს გოგო ხომ ქუჩაში ბოზივით მოვხსენი! ჩემი სახელიც არ იცოდა, მინეტი ისე გამიკეთა! ტრაკი გაყიდა ლას ვეგასში, თუ სხვაგანაც არა! ერთი შეხედეთ, ბოზია, აბა, ვინ არის! თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ბოზი! ეს რა სიზმარში ვცხოვრობ! ასეთი ადამიანის გვერდით ყოფნა დიდი შეცდომაა! უ-აზ-რო-ბა-აა! ორივენი ამაოდ ვკარგავთ დროს, ნერვებს და ენერგიას! “

– კარგი, – მეუბნება მანქი ტაქსიში, – მითხარი, რა გიშლის ნერვებს, მაქს?

– არაფერი.

– რაღაც არ მოგწონს, როგორც გამოვიყურები.

– სასაცილოდ გამოიყურები.

– „პეკ ენდ პეკში“ წავედით, შოფერ.

– მოკეტე. „გრეისი მენშენთან“ მიგვიყვანეთ.

– ისე მიყურებ, ალექს, რადიაციულ დასხივებას მივიღებ!

– საერთოდ არ გიყურებ. გითხარი, ნერვებს არაფერი მიშლისმეთქი.

– ეგ შავი ებრაული თვალები გყიდიან, ალექს. შენ მაგიერ ამბობენ ყველაფერს.

– დამშვიდდი რა, მანქი.

– შენ თვითონ დამშვიდდი!

– მე მშვიდად ვარ! – თუმცა ეს მამაკაცური თავშეკავება მხოლოდ ერთ წუთს მყოფნის, მომდევნო წუთს კი მანქის ვეუბნები: – ოღონდ ღმერთი არ გაგიწყრეს და მერი ლინდსეისთან მუტელი არ ახსენო!

– რა?

– რაც გაიგე. იქ რომ მივალთ, პირველივე შემხვედრთან ნუ დაიწყებ იმაზე ლაპარაკს, როგორ სველდები ფეხებს შორის! და სანამ ნახევარი საათი მაინც არ გავა, დიდ ჯონს სირზე ნუ სწვდები, კარგი?

ამის თქმაა და მძღოლი ისე უსტვენს, თითქოს პნევმატური მუხრუჭის ხმა გაისმაო. გამძვინვარებული მანქი კი მანქანის უკანა კარს ეჯაჯგურება.

– რასაც მინდა, იმას ვიტყვი! რასაც მინდა, იმას გავაკეთებ და რასაც მინდა, იმას ჩავიცვამ! თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ, შე ამდგარო ებრაულო ყლეო!

ნეტავ გენახათ, როგორი სახით გამოგვხედა მძღოლმა, მენი შაპირომ, როცა მანქანიდან გადავდიოდით.

– მდიდარი იდიოტები! ნაცისტი ბოზი! – დაგვიყვირა და ისე მოსწყდა ადგილს, კინაღამ საბურავები დაწვა.

იმ სკამიდან, რომელზეც კარლ შურცის პარკში დავსხედით, „გრეისი მენშენის" კაშკაშა შუქები მოჩანს. შორიდან ვხედავ, როგორ მოდიან ერთმანეთის მიყოლებით ახალი ადმინისტრაციის სხვა წევრები. მანქის ხელებზე ვეფერები, შუბლზე ვკოცნი, ვეუბნები, რომ ტირილის მიზეზი არ აქვს. ყველაფერი ჩემი ბრალია, ჰო, ჩემი. მართლაც ამდგარი ებრაული ყლე ვარ და მეტი არაფერი. პატიებას ვთხოვ, ათას ბოდიშს ვუხდი.

– სულ შარზე ხარ, სულ კრიჭაში მიდგახარ. რომ მიყურებ, უკვე ვიცი, რომ რაღაცით გაღიზიანებ, ალექს! გუშინ საღამოს კარს რომ ვაღებდი, ვგიჟდებოდი, ისე მინდოდა შენი ნახვა, მთელი დღე მარტო შენზე ვფიქრობდი. შენ კი ყველაფერზე თვალებს მიბრიალებ, ისეთი განცდა მაქვს, რომ ყველაფერს არასწორად ვაკეთებ! თუ წინდაუხედავად მოვიქცევი და რამის სათქმელად პირს გავაღებ, მაშინვე ეგ გამომეტყველება გიჩნდება. მთელი დღე ეს გაწერია სახეზე: „ამის დედა, ახლა კიდევ რაღაც სისულელეს წამოისვრის ეს უტვინო ბოზანდარა"! შვიდს აკლია ხუთი წუთი-მეთქი, რომ გითხრა, შენ მაინც

იმას გაიფიქრებ, რა შტერიაო. არც უტვინო ვარ და არც ბოზანდარა, ალექს, უბრალოდ, იმ დედამოტყნულ ჰარვარდში არ მივლია! და აღარასდროს მითხრა, როგორ უნდა მოვიქცე ლინდსეის ოჯახის წევრებთან. ვინ ჩემი ფეხები არიან ეგ ლინდსეები? სულ ფეხებზე მკიდია მერიც და მისი ცოლიც! თუ დაგავიწყდა, გაგახსენებ, რომ თვრამეტი წლისა საფრანგეთში ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის ცოლი ვიყავი. მე რომ ალი ხანთან ვსადილობდი, შენ ისევ ნიუ-ჯერსიში ცხოვრობდი და ნიუარკელ ებრაელ გოგოებს თითებს უყოფდი! გგონია, ამას ვგულისხმობდი, როცა გთხოვე, რომანი გვქონდეს-მეთქი? რომანი იმას ნიშნავს, რომ ქალს კეთროვანივით მოექცე? – მითხრა მანქიმ და საცოდავად ატირდა.

მინდოდა მეთქვა, იქნებ მიხვდე, რომ ეს რომანი არ არის და იმას, რაც ჩვენ შორის ხდება, შეცდომა ჰქვია-მეთქი. იქნებ სჯობს, რომ ჩვენი გზები გაიყაროს და გულში წყენა არ დავიტოვოთ-მეთქი. მაგრამ არ ვუთხარი! მეშინოდა, თავი არ მოეკლა! ხუთიოდე წუთის წინ კინაღამ ტაქსიდან არ გადახტა? ჰოდა, რომ მეთქვა, მისმინე, მანქი, საქმე ასე და ასეა-მეთქი, ხელს რა შეუშლიდა, რომ პარკის მეორე ბოლომდე მიერბინა და ისტ-რივერშიგადამხტარიყო? უნდა დამიჯეროთ, ექიმო, ეს სრულიად შესაძლებელი იყო – ამიტომ არ ვუთხარი არაფერი. მერე კი მანქიმ ხელები მომხვია და, ოჰ, რა აღარ მითხრა!

– მიყვარხარ, ალექს! ვგიჟდები შენზე, გაღმერთებ! გთხოვ, გულს ნუ მტკენ! იმიტომ, რომ ამას ვერ გადავიტან! შენ ყველაზე კარგი ხარ ყველა კაცს, ქალსა და ბავშვს შორის, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი! ყველა სულიერს შორის! ჩემო ხსნავ და გარღვევავ, შენ ყველაფერი დიდი გაქვს: ტვინიც და სირიც, და მე ძალიან მიყვარხარ!

მერე იქვე, პარკის გრძელ სკამზე, ლინდსეების რეზიდენციიდან სულ რაღაც სამოც მეტრში, პარიკიანი თავი მუხლებში ჩამირგო და მინეტის გაკეთება დამიპირა.

– არა, არა, მანქი, – ვეხვეწებოდი, სანამ შავი შარვლის შესაკრავს

გულმოდგინედ მიხსნიდა, – აქ სულ გადაცმული პოლიციელები დადიან! – „გრეისი მენშენისა“ და მისი შემოგარენის დაცვას ვგულისხმობდი, – საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის დაგვიჭერენ! პოლიციელები, მანქი!

მანქიმ დაუცხრომელი ტუჩები საქმეს მოსწყვიტა და წამჩურჩულა:

– ეგ შენს ფანტაზიებში...

ერთობ მოსწრებული შენიშვნა კი იყო, ღმერთმანი. მერე შარვლის უბეში ისე მკვირცხლად ჩამიძვრა, როგორც პატარა ფუმფულა ცხოველი მიძვრება ხოლმე თავის სოროში. და პირითვე დამამარცხა.

ვახშმობისას ყური მოვკარი, როგორ უთხრა მერს, დღისით მოდელად ვმუშაობ, საღამოობით კი „ჰანტერში“ ლექციებზე დავდივარო. როგორც ვიცი, სასქესო ორგანოებზე სიტყვაც არ დაუძრავს. მომდევნო დღეს „ჰანტერში“ მართლაც წავიდა და იმ საღამოს, ჩემდა გასაკვირად, ცხვირწინ იქიდან წამოღებული სააპლიკაციო ფორმა ამიფრიალა. ძალიან შევაქე, მაგრამ ის ფორმა აღარ შეუვსია. მხოლოდ საკუთარი ასაკი ჩაწერა: 29 წელი.

ახლა მანქის ერთ-ერთი ფანტაზია, რომელიც იმ წლებით თარიღდება, მაუნდსვილის სკოლის მაღალ კლასებში რომ სწავლობდა. აი, რა ფიქრები აწუხებდა, სანამ დანარჩენები წერა-კითხვას სწავლობდნენ:

დიდ მრგვალ მაგიდას ყველა ის დასავლეთ ვირჯინიელი ბიჭი უზის, ვისაც უესტ პოინტში სწავლის გაგრძელება სურს. მათ მთელი ყურადღება პოლკოვნიკისკენ მიუმართავთ. მაგიდის ქვეშ შიშველი, მოუქნელი თინეიჯერი გოგო დაძვრება, რომელიც ეს ჩვენი უწიგნური მერი ჯეინ რიდი გახლავთ. უესტ პოინტელი პოლკოვნიკი, ხელჯოხის კაკუნით, მაგიდას გარს უვლის და ბიჭებს სახეებზე ყურადღებით აკვირდება. მერი ჯეინი კი მათ შარვლის შესაკრავებს უხსნის და რიგრიგობით მინეტს უკეთებს. სამხედრო აკადემიაში მისაღებად იმ ბიჭს შეარჩევენ, რომელიც მეომრულ სიმტკიცესა და ღირსების

გრძნობას ბოლომდე შეინარჩუნებს მერი ჯეინის პატარა, ჟინიან და გამოცდილ პირში გათავებისას.

ათი თვე. წარმოუდგენელია. ამ დროის განმავლობაში დღე არ გასულა – დღე კი არა, საათი – რომ საკუთარი თავისთვის არ მეკითხა: „რატომ აგრძელებ ამ ქალთან ურთიერთობას? ამ ველურ ქალთან! უხეშ, ნერვებაწეწილ, გზააბნეულ, ინდივიდუალურობას მოკლებულ ქალთან, რომელსაც საკუთარი თავი ეზიზღება...“ ჩამონათვალი ამოუწურავი იყო, მე კი მას უსასრულოდ ვავსებდი. როგორც კი გამახსენდებოდა, რა ადვილად მოვხსენი ქუჩაში (ჩემი ცხოვრების სექსუალური ტრიუმფი!), მაშინვე ზიზღით კვნესას ვიწყებდი. როგორ შემიძლია ურთიერთობის გაგრძელება ადამიანთან, რომლის გონებრივ შესაძლებლობებს, აზროვნების წესს და ქცევას პატივს არ ვცემ? ადამიანთან, რომელიც უკმაყოფილო შეძახილებისთვის, მოულოდნელი შენიშვნებისთვის მიზეზს ყოველდღე და ყოველ საათს მაძლევს? ეს ჩემი შეგონებებიც! თავი სკოლის დირექტორი მგონია! როგორი ლექცია წავუკითხე თუნდაც მაშინ, დაბადების დღეზე იტალიური ფეხსაცმელი რომ მაჩუქა!

– მისმინე, – ვუთხარი მანქის, როგორც კი მაღაზიიდან გამოვედით, – პატარა რჩევას მოგცემ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცე მაღაზიებში: როცა ისეთ მარტივ რამეს აკეთებ, როგორიც შენაძენისთვის ფულის გადახდაა, აუცილებელი არ არის, ყველას ცხვირწინ უფრიალო, რაც მაგ ორ ფეხს შუა გაქვს, გასაგებია?

– რა ვუფრიალო? ვერ გავიგე, ვინ რა აფრიალა?

– ვინ და შენ, მერი ჯეინ! ის ადგილი, რომელიც ინტიმურად ითვლება!

– არაფერიც!

– მოიცა ერთი! ყოველი შენი წამოდგომისას და დაჯდომისას მეგონა, რომ მუტლით გამყიდველის ცხვირს წამოეგებოდი!

– ღმერთო! ხან უნდა დავჯდე და ხან უნდა ავდგე, აბა, რა ვქნა?

– ოღონდ ისე არა, თითქოს სადაცაა ცხენს უნდა მოახტე ან ცხენიდან უნდა ჩამოხტე!

– ვერ გავიგე, შენ რა კუჭი გეწვის. ის გამყიდველი მაინც ცისფერი იყო.

– მე კუჭი იმიტომ მეწვის, რომ „ჰანტლი და ბრინკლი"არ უნახავს იმდენ ადამიანს, რამდენმაც დღეს შენი გაშლილი ლაჯები ნახა და ისიც, რაც მაგ ლაჯებს შორის გაქვს! ჰოდა, იქნებ მანამდე წამოხვიდე სცენიდან, სანამ ჯერ კიდევ ფორმაში ხარ?

თუმცა შუა ბრალდებებში რომ ვიყავი, მაშინაც კი საკუთარ თავს ვეუბნებოდი, გაჩუმდი, ბიჭო, თუ ბოზის მაგიერ ლედი გინდა, მიდი და იპოვე, ხელს ვინ გიშლის-მეთქი. ეს ქალაქი ხომ სავსეა ისეთი გოგოებით, რომლებიც მერი ჯეინ რიდს არაფრით ჰგვანან: პერსპექტიული, გაურყვნელი ახალგაზრდა ქალებით, რომლებსაც პიროვნული მთლიანობა არ დაუკარგავთ – მწველავებივით ჯანსაღი ქალებით. ეს კარგად ვიცი, რადგან მერი ჯეინს წინამორბედებიც ჰყავდა. სხვა საქმეა, რომ ვერც ისინი ვერ მაკმაყოფილებდნენ. მაშინაც რაღაც ისე ვერ იყო, ექიმო შპილფოგელ. დამიჯერეთ, ცდა არ დამიკლია: რაც მე იმათი კერძები მიჭამია და იმათ სააბაზანოებში გამიპარსავს, იმათი ბინის სათადარიგო გასაღებებიც მქონია და საკუთარი თაროც – იმათ საოჯახო აფთიაქებში! კატებსაც კი ვუმეგობრდებოდი ხოლმე: ზოგს სპინოზა ერქვა და ზოგს – კლიტემნესტრა, ზოგს – კანდიდი, ან უბრალოდ, ფისო. დიახ, დიახ, ჭკვიანი, ნაკითხი გოგოები, რომლებისთვისაც სექსუალურ გამოცდილებას ცუდი კვალი არ დაუტყვია; პრესტიჟული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები, სიცოცხლით სავსე, ინტელექტუალური, თავდაჯერებული, თავმოყვარე, კარგად აღზრდილი ახალგაზრდა ქალები: სოციალური მუშაკები და დამწყები მეცნიერები, მასწავლებლები და კორექტორები. გოგოები, რომლებთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა არც დამამცირებელი იყო და არც სამარცხვინო, რომლებისთვისაც არც მამობის გაწევა

მჭირდებოდა და არც დედობის. არც მათ განათლებაზე უნდა მეზრუნა და არც ხსნაზე. და მაინც, არც ერთთან არაფერი გამომივიდა!

ქეი კემპბელი, ჩემი იმდროინდელი შეყვარებული, ენტიოქ-კოლეჯში რომ ვსწავლობდი – აბა, მასზე სამაგალითო პიროვნება ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო? სადა, სათნო, საყვარელი, ყოველმხრივ მოსაწონი და ღირსეული ადამიანი, რომელსაც ეგოიზმის ნატამალი არ გააჩნდა. ნეტავ სად ხარ ახლა, რომელ მხარეში? როგორ ხარ, ჩემო კვახუნა? ნეტავ რომელი შეიგეცი გააბედნიერე ცენტრალურ შტატებში? არაჩვეულებრივი ცოლი იქნები, აბა, რა! ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი, ინგლისური ლიტერატურის საუკეთესოდ მცოდნე ქეი ჩემთან და ჩემს გარეკილ მეგობრებთან ერთად იელოუ სპრინგსში იმ საპარიკმახეროს პიკეტირებაში მონაწილეობდა, სადაც ზანგებს მომსახურებაზე უარს ეუბნებოდნენ – ძალ-ღონით სავსე, მხიარული, დიდი გულისა და დიდი ტრაკის პატრონი. საყვარელი ბავშვური სახე და ქერა თმა ჰქონდა – სამწუხაროდ, ძუძუები არ ჰქონია (როგორც ჩანს, უმკერდო ქალები ჩემი ბედისწერაა, ნეტავ რატომ ხდება ასე? იქნებ რამე კვლევა არსებობს ამ საკითხზე, რომ წავიკითხო? ეს მნიშვნელოვანია, ექიმო? გავაგრძელო?). ჰო, და კიდევ გლეხური ფეხები! ბლუზა ქვედაკაბიდან ყოველთვის ეჩაჩებოდა ხოლმე. როგორი გულისამაჩუყებელი მეჩვენებოდა მისი ხალისი და სიცოცხლის სიყვარული! ისიც, თუ როგორ ემსგავსებოდა ხეზე შერჩენილ კატას, როცა მაღალქუსლიან ფეხსაცმელს იცვამდა – შავ დღეში იყო, საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. ენტიოქ-კოლეჯის ნიმფებს შორის გაზაფხულობით ფეხებს პირველი ის იშიშვლებდა. კვახუნას ვეძახდი – მისი კანის პიგმენტაციისა და ტრაკის ზომის გამო. მერე რა ურყევი იყო: როცა საქმე ზნეობრივ პრინციპებზე მიდგებოდა, ისეთი შეუვალი ხდებოდა, ისე მომხიბვლელად იცოდა გაჯიქება, შეუძლებელი იყო, შური და აღფრთოვანება არ მეგრძნო.

კამათის დროს ხმას არასდროს უწევდა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ამბავი ჩემზე, ჯეკ

პორტნოისა და სოფი პორტნოის სადისკუსიო კლუბიდან ახლად თავდაღწეულ ჩვიდმეტი წლის ბიჭზე? მანამდე როგორ წარმოვიდგენდი, რომ პოლემიკის წარმოება ასე მშვიდად შეიძლებოდა? არ მახსენდება, რომ კამათის დროს ოპონენტისთვის დაეცინოს! ან ამა თუ იმ მოსაზრების გამო მის მიმართ ზიზღი გამოეხატოს! მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს თურმე გოების შვილობა, რას ნიშნავს, როცა სკოლა წარჩინებით აიოვაში გაქვს დამთავრებული და არა ნიუ-ჯერსიში. რაც აქვთ გოებს, აქვთ – ვერ წაართმევ! ავტორიტეტის მოპოვების უნარი უხეშობისა და სიფიცხის გარეშე. ღირსება თავმოწონების გარეშე. თავდაჯერებულობა თვითკმაყოფილებისა და ქედმაღლობის გარეშე. მოდი, ვიყოთ სამართლიანები გოების მიმართ და პატივი დამსახურებისამებრ მივაგოთ, ექიმო: როდესაც შთაბეჭდილების მოხდენა სურთ, მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. როგორი უდრეკები და კეთილგონიერები არიან! ყოველთვის მომნუსხველ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე ქეის გულიანობა, სიმტკიცე, მოკლედ, მისი კვახობა! ნეტავ სად ხარ ახლა, ქეი-ქეი, ჩემო გულსაღო, დიდტრაკა, ფეხშიშველო, ტუჩებშეუღებავო შიკსე! წვრილშვილის დედა ხარ, არა? ნეტავ მაგრად აისხი ქონი? უჰ, მერე რა! სახლისხელაც რომ გამხდარიყავი – შენს დიდბუნებოვნებას დიდი გარსი დაჭირდებოდა, აბა რა! – მაინც ყველაზე კარგი გოგო იქნები ამერიკის ცენტრალურ ნაწილში! არა, მაინც როგორ გავუშვი ხელიდან? ნუ წუხხართ, აქამდეც მივალ; ჩვენ ხომ უკვე კარგად ვიცით, რომ ეს განუწყვეტელი მოგონებები საკუთარ ჭრილობაში თითის ტრიალია და მეტი არაფერი. ნება მომეცით, ეს მონატრებული არსება მოვიგონო! ეს ცხიმიანი კანი! ეს დაუვარცხნელი, გაწეწილი თმა! ორმოცდაათიანი წლების ამბებს გიყვებით – მაშინ გაჩეჩილი თმა მოდაში ჯერ არ იყო! ეს ბუნებრივობა იყო, ექიმო! ჩემი ჩამრგვალებული, თეძოგანიერი, გარუჯული ქეი! თავს დავდებ, ახლა, ალბათ, ათამდე ბღარტი მაინც ეკვრის მის ვეება ტრაკს (ამასთან რა მოსატანია მანქის ციცქნა, ხმელი, მოდელის ტრაკი, ხელისგულზე რომ მეტევა!).

ალბათ პურსაც შენ თვითონ აცხობ, გამოვიცანი? (გახსოვს, გაზაფხულის ერთ ჩახუთულ საღამოს, იელოუ სფრინგსში, ჩემს ბინაში რომ გამოაცხვე, ლიფისა და პერანგის ამარა რომ ტრიალებდი სამზარეულოში და გაოფლილს ყურებსა და თმაზე ფქვილი რომ გეკროობოდა? გინდოდა, ნამდვილი პურის გემო გამეგო და სიცხის მიუხედავად, გამასინჯე კიდეც. შეგეძლო, კარაქად ჩემი გული გეხმარა, ისევდნებოდი შენი შემყურე!). თავს დავდებ, ისეთ ადგილას ცხოვრობ, სადაც ჰაერი ჯერ არ წაბილწულა და სახლის კარს არავინ კეტავს, ალბათ არც ფული გადარდებს და არც სხვა რამ საკუთრება. ეჰეი, კვახუნა, რომ იცოდე, არც მე დავხარბებივარ საშუალო კლასის ამ და სხვა სიკეთეებს! როგორი სრულყოფილად არაპროპორციული იყავი, ჩემო გოგო! ორმეტრიან მანეკენს კი არ ჰგავდი! ძუძუები არც შენ გქონდა, მაგრამ მერე რა? წელს ზემოთ პეპელასავით სიფრიფანა იყავი, წელს ქვემოთ კი – დათვივით ჩასხმული! მკვიდრად ჩასხმული – ასე ვიტყოდი! მაგ შენი მონტიორის ფეხებით მკვიდრად იდექი ამერიკულ მიწაზე!

მაშინ უნდა მოგესმინათ ქეი კემპბელისთვის, როცა მეორე კურსის სტუდენტები გრინ-ქაუნთიში კარდაკარ დავდიოდით და სტივენსონის მხარდასაჭერად აგიტაციას ვეწეოდით. რესპუბლიკელების საშინელ გონებაშეზღუდულობას, სიძუნწესა და უბადრუკ სულისკვეთებას რომ გადავაწყდებოდით, რომლისგანაც შეიძლება გონება გადაგეკეტოს, კვახუნას თავდაჭერილობა მაშინაც არ ღალატობდა. მე კი ნამდვილი ველური ვიყავი. როგორ აუღელვებლადაც არ უნდა დამეწყო (ან ქედმაღლურად – რა ვქნა, სხვანაირად არ გამომდიოდა), ბოლოს აუცილებლად ოფლში ვცურავდი და გაავებისგან ენა მებმოდა. ადრე თუ გვიან იმ საზარელ ხალხს მაინც დავცინებდი, შეურაცხვყოფდი, შევუკურთხებდი: ეგ თქვენი საყვარელი აიკი პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით სახიჩარი, იდიოტი და უწიგნურია-მეთქი. მგონი, სწორედ ჩემი წყალობით წააგო ასე პირწმინ-

დად ედლაიმ ის არჩევნები ოჰაიოში. კვახუნა კი მოწინააღმდეგე მხარის აზრს ისე აუღელვებლად, ისეთი სათნო სახით ისმენდა, რომ ველოდი, როდის მომიბრუნდებოდა და მეტყოდა: „ისე, ალექს, მგონი, ეს ბატონი ხეპრე მართალია: შესაძლოა, სტივენსონს კომუნიზმის მიმართ მეტისმეტად რბილი პოზიცია აქვს". მაგრამ არა! როგორც კი ჩვენი კანდიდატის „სოციალისტობის" ან „მოწითალო" იდეების შესახებ ბოლო იდიოტობას მოვისმენდით, როგორც კი უკანასკნელად გაკრავდნენ კბილს მის იუმორის გრძნობას, კვახუნა ლაპარაკს იწყებდა, ხმაში გამორეული საზეიმო ინტონაციით, სარკაზმის გარეშე (ეს სრულიად ფანტასტიკური იყო!). ეს გოგო ღვეზლების ცხობის კონკურსშიც კი მშვენიერი წამყვანი იქნებოდა, საღი აზრისა და კარგი იუმორის ისეთი სრულყოფილი ნაზავი ჰქონდა. თანდათან ამზეურებდა ბატონი ხეპრეს შეცდომებს, ფაქტების უცოდინრობასა და ლოგიკის ნაკლებობას, მოხდენილად გამოჰქონდა სააშკარაოზე მისი ზნეობრივი უბადრუკობა. ქეი არც დაღვლარჭნილ აპოკალიფსურ სინტაქსს მიმართავდა, არც სასოწარკვეთილი ადამიანის თავხედურ ლექსიკას. არც ზედა ტუჩი დაცვარვია ოფლით, არც ჰაერის ნაკლებობა დამართია და არც შუბლი დაფოთლვია სიძულვილისგან, ათამდე ადამიანზე ზეგავლენის მოხდენა ისე მოახერხა. ღმერთო ჩემო, ქეი უდავოდ უდიადეს შიკსეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა! ასეთი ადამიანის გვერდით რომ გამეტარებინა დარჩენილი ცხოვრება, ალბათ რაღაცას მეც ვისწავლიდი. დიახ, ვისწავლიდი, სწავლის უნარი რომ მქონოდა! ორალური სექსის, აღვირახსნილობის, სასიყვარულო ურთიერთობების, ფანტაზიისა და შურისძიების სურვილს რომ არ გადავყოლოდი, მუდამ ანგარიშსწორებაზე რომ არ მეფიქრა! ზმანებებს რომ არ გამოვკიდებოდი! არაფრისმომცემი, აზრსმოკლებული მიდრეკილებებისთვის თავი დიდი ხნის წინ რომ დამეღწია!

1950 წელია, ჩვიდმეტი წლის ვარ და უკვე ორნახევარი წელია, რაც ნიუარკი უკან მოვიტოვე (მთლად „უკანაც" არა: დილაობით

ხელში მოქცეული უცხო საბნის კუთხის დანახვით და ნაცნობი ფანჯრის გაუჩინარებით გაოგნებული, დათრგუნული და გაგიჟებული რამდენიმე წუთის განმავლობაში ვფიქრობ, რატომ შეცვალა დედა-ჩემმა ასე მოულოდნელად ყველაფერი ჩემს საძინებელში). ამ დროს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გამომწვევად ვიქცევი: იმის მაგიერ, რომ პირველივე არდადეგებზე შინ გავემგზავრო, მატარებლით აიოვაში მივდივარ, რათა მადლიერების დღე კვახუნასა და მის მშობლებთან ერთად გავატარო. სექტემბრამდე დასავლეთით ნიუ-ჯერსიში მდებარე ჰოპატკონგის ტბაზე შორს არ ვიყავი ნამყოფი, ახლა კი აიოვაში მივემგზავრები! თან ქერა გოგოს თანხლებით! ქრისტიანული რელიგიის აღმსარებელთან ერთად! ნეტავ ვინ უფრო გააოგნა ამ გაქცევამ, ჩემი ოჯახი თუ თავად მე? ღმერთო, რა გამბედაობაა! თუ ეს მთვარეულის გამბედაობაა?

თეთრმა ფიცრულმა სახლმა, რომელშიც კვახუნა გაიზარდა, ისეთი ემოციები აღმიძრა, თითქოს ტაჯ-მაჰალი დამენახოს. ალბათ მხოლოდ ბალბოათუ გაიგებდა, რა ვიგრძენი ვერანდის ჭერზე ჩამოკიდებული საქანელას დანახვისას. ესე იგი, ამ სახლში გაიზარდა-მეთქი, – გავიფიქრე. გოგო, რომელმაც ლიფის შეხსნის უფლება მომცა და რომელსაც საერთო საცხოვრებლის კართან ხელებს ვუფათურებდი, ამ სახლში დაბადებულა. ამ გოური ფარდების მიღმა! ნახე, ჟალუზებიც ჰქონიათ!

– მამა, დედა, – ამბობს კვახუნა, როცა დევენპორტის სადგურში მატარებლიდან ჩამოვდივართ, – ეს ჩვენი სტუმარია, შაბათ-კვირას ჩვენთან გაატარებს. ეს ის მეგობარია კოლეჯიდან, მე რომ გწერდით...

რაო, სტუმარიო, შაბათ-კვირას ჩვენთან გაატარებსო? მეგობარია კოლეჯიდანო? ნეტავ რა ენაზე ლაპარაკობს ეს გოგო? მე ხომ „ბანდიტი“ ვარ, „ლაწირაკი“, დაზღვევის აგენტის ბიჭი, რაბინ უორსოუს ელჩი!

– როგორ გიკითხოთ, ალექს? – მეკითხებიან კვახუნას მშობლები.

– გმადლობთ! – ვპასუხობ მათ.

და რაც არ უნდა მითხრან აიოვაში ყოფნის პირველი ოცდაოთხი საათისგანმავლობაში, ყველას ასე ვპასუხობ: „გმადლობთ! " უსულო საგნებსაც კი. სკამს რომ წამოვედები, ვეუბნები: „ბოდიში, გმადლობთ". ხელსახოცი რომ დამივარდება, აწითლებული ასაღებად ვიხრები და „გმადლობთ" – მესმის, როგორ ვეუბნები ხელსახოცს. თუ იატაკს მივმართავ? როგორ იამაყებდა დედაჩემი თავისი პატარა ჯენტლმენით! ავეჯის მიმართაც კი რა თავაზიანი ვარ!

ინგლისურ ენაში არსებობს ასეთი გამოთქმა: „დილა მშვიდობისა". ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრეს. ეს ფრაზა ცხოვრებაში მაინცდამაინც ხშირად არ გამომიყენებია. ან რატომ უნდა გამომეყენებინა? შინ, საუზმობის დროს, ოჯახის წევრები ასე მომმართავენ: „რა მჟავე სიფათით ზიხარ! " ან „რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი! " აქ კი, აიოვაში, მოულოდნელად, ადგილობრივი მაცხოვრებლების წაბაძვით, „დილა მშვიდობისას" მფრქვეველ გეიზერად გადავიქეცი. აქაურებს ამ სიტყვების თქმას ვერ დაასწრებ – სახეზე თითქოს მზის შუქი ეფინებათ, თითქოს რაღაც ქიმიური რეაქცია ეწყებათ: „დილა მშვიდობისა! დილა მშვიდობისა! დილა მშვიდობისა! " ჩაგესმის ათამდე სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქმული. ამის მერე ყველა ერთმანეთს ეკითხება: „როგორ გეძინა? " მეც მეკითხებიან! როგორ მეძინა? არ ვიცი, სიმართლე გითხრათ, უნდა დავფიქრდე – რაღაც ძალიან მოულოდნელი კითხვაა. თუმცა რატომაც არა? მგონი, კი! კარგად მეძინა. და თქვენ? გუდურასავით, – მპასუხობს მისტერ კემპბელი. ცხოვრებაში პირველად ვგრძნობ, რა ძალა აქვს ღიმილს. ეს კაცი, უძრავი ქონების მაკლერი და დევენპორტის ქალაქის საბჭოს წევრი, მეუბნება, რომ გუდურასავით ეძინა და უცებ მთელი სიცხადით ვხედავ ამ რაღაც გუდურას. თვალწინ მიდგას! უმოძრაო გუდურა! „დილა მშვიდობისა", – როცა ამ სიტყვებს მეუბნება, ისეთი განცდა მიჩნდება, რომ „დილა" იმ მნიშვნელობით, რომლითაც ეს ხმარობს, რვი-

დან თორმეტ საათამდე შუალედს ჰქვია. ადრე ამაზე არასდროს დავ-ფიქრებულვარ. ამ კაცს უნდა, რომ რვიდან თორმეტამდე საათები მშვიდობისა იყოს – საამო, სახალისო, ნეტარებით სავსე. ჩვენ, ყველანი, ერთმანეთს სიმშვიდისა და ნეტარების ოთხ საათს ვუსურ-ვებთ. და იცით რა, ფანტასტიკური ამბავია! ეჰეი, რა მაგარია! დი-ლა მშვიდობისა! იგივე შეიძლება ითქვას „დღე მშვიდობისაზე", „სა-ღამო მშვიდობისასა" და „ღამე მშვიდობისაზე"! ღმერთო ჩემო! ინ-გლისური ენა თურმე კომუნიკაციის საშუალება ყოფილა! თურმე სა-უბარი რამდენიმე მხრიდან ცეცხლის ერთდროულად გახსნას სულაც არ ნიშნავს – როცა შენც ისვრი და სხვებიც გესვრიან, როცა თავის გადასარჩენად უნდა ჩაიმალო და მოსაკლავად სხვას დაუმიზნო! სიტყვები მარტო ბომბები და ტყვიები არ ყოფილა – არა, თურმე პა-ტარა საჩუქრებია, რომლებშიც ადამიანები მნიშვნელობებს დებენ!

მოიცადეთ, ჯერ არ დამიმთავრებია. თითქოს ის არ მეყოფოდა, რომ იმ გოური ფარდების მიღმა აღმოვჩნდი, რომლებსაც მთელი ცხოვრება გარედან ვუყურებდი, თითქოს დასაბნევად და გასაოგ-ნებლად საკმარისი არ იყო, რომ გოების მთელ ჯალაბობას საათების განმავლობაში მშვიდობის ამას და მშვიდობის იმას ვუსურვებდი, დეზორიენტაციის დამაგვირგვინებელი ექსტაზიც უნდა განმეცადა! იცით, რა ჰქვია იმ ქუჩას, რომელზეც კემპბელების სახლი დგას? ქუ-ჩას, რომელზეც ჩემი შეყვარებული გოგონა გაიზარდა! სადაც დახ-ტოდა, კლასობანას თამაშობდა, ციგით სრიალებდა, სანამ მე ათას ხუთასი მილის დაშორებით მასზე ვოცნებობდი, როგორც მიმტკიცე-ბენ, ამავე ქვეყანაში. ქუჩის სახელი? არა, შანდუარა, ბევრად უფრო აბსურდული და უცნაური: ვერხვების ქუჩა! ვერხვების! თითქოს ჩვენს ძველ ფორთოხლისფერ „ზენიტში" აღმოვჩნდი, პირდაპირ „ერ-თი კაცის ოჯახში"შევაბიჯე! ვერხვების ქუჩა. ქუჩა, სადაც ხეები დგას – ვერხვები!

სიმართლე რომ ვთქვა, ოთხშაბათ საღამოს კემპბელების მანქა-

ნაში ასეთი დასკვნის გაკეთება არ შემიძლია. ჩვიდმეტი წელი დამ-ჭირდა, მუხის ცნობა რომ მესწავლა, თუმცა თუ ქვეშ რკო არ უყრია, მისი გარჩევაც მიჭირს. პირველი, რასაც პეიზაჟის ყურებისას ვამ-ჩნევ, ფლორა კი არა, ფაუნაა, რომლისთვისაც, ადამიანისგან გან-სხვავებით, სექსი ბუნებრივი რამ არის: ხან თვითონ ახტება სხვას, ხან მას ახტებიან. მწვანე საფარი ჩიტებისა და ფუტკრებისთვის და-მითმია, მაგათ თავიანთი პრობლემები აქვთ, მე – ჩემი. აბა, ჩვენს ოჯახში ვინ იცის, რომელი ხე იზრდება ჩვენი სახლის წინ, ტროტუ-არზე? ხეა და მორჩა. რა მნიშვნელობა აქვს, რა ჯიშისაა – მთავარია, თავში არ დაგეცეს. შემოდგომაზე (თუ გაზაფხულზე? ერკვევით ასეთ რამეებში, ექიმო? ზამთარში რომ არ ხდება ეს, დარწმუნებული ვარ) ამ ხიდან ნახევარმთვარისებური გრძელი პარკები ცვივა, რომ-ლებშიც პატარ-პატარა, კერკეტი მარცვლებია. კეთილი, ახლა ერთ მეცნიერულ ფაქტს მოგაწვდით ამ ხის თაობაზე, რომელიც დედაჩემ-მა, სოფი ლინეიმ დაადგინა:

– თუ ამ მარცვლებს ვინმეს ჩალის ღეროთი ესვრი, შესაძლოა მას თვალი ამოსთხარო და ცხოვრების ბოლომდე დააბრმავო (ამიტომ არ დავინახო, რომ ეს გააკეთო! ასე თამაში არ გაბედო! და თუ ვინ-მემ შენ გესროლა, მაშინვე მე მითხარი!).

ჰო, დაახლოებით ასეთი ცოდნა მქონდა ბოტანიკაში იმ კვირა სა-ღამომდე, როცა კემპბელების სახლიდან რკინიგზის სადგურისკენ გავემართე და თავი არქიმედედ ვიგრძენი: თუ ამ ქუჩას ვერხვების ქუჩა ჰქვია... ესე იგი... ეს ხეები ვერხვები ყოფილა! რა ადვილია ყვე-ლაფერი! სულ არ არის აუცილებელი, ინტელექტის კოეფიციენტი 158 გქონდეს. აუცილებელი არაა, გენიოსი იყო, რომ ამ ცხოვრებას გასაღები მოარგო!

ეს ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი შაბათ-კვირა იყო, რომელიც კა-ცობრიობის ისტორიაში ქვის ხანიდან ადამიანის გამოსვლას თუ შე-ედრება.როგორც კი მისტერ კემპბელი ცოლს მერის დაუძახებდა, სხეულის ტემპერატურა მაშინვე ას გრადუსამდე მიწევდა. იმ თეფშს,

რომლიდანაც სადილს შევექცეოდი, მანამდე ქრისტიანი ქალის ხელი ეხებოდა, ქალის, რომელსაც მერიერქვა! (იქნებ სწორედ აქ არის იმის გასაღები, თუ რატომ ვერიდები მანქისთვის სახელით მიმართვას, თუ მისთვის ჭკუა-დარიგება არ მაქვს გამზადებული? თქვენ რას იტყვით?) დასავლეთისკენ მიმავალ მატარებელში რომ ვიჯექი, გულში ვლოცულობდი, ნეტავ კემპბელების სახლში იესო ქრისტეს გამოსახულებები არ დამხვდეს, ხომ შეიძლება, ეს შაბათ-კვირა ისე გავატარო, რომ მისი საწყალობელი პუნიმი თვალში არ მეჩხირებოდეს-მეთქი; ან ისეთ ვინმესთან არ მომიხდეს ურთიერთობა, ვისაც გულზე ჯვარი ეკიდება-მეთქი! მადლიერების დღეს სადილზე რომ დეიდები და ბიძები მოვლენ, ნეტავ ვინმე ანტისემიტი არ გამოერიოს, რადგან თუ რომელიმეს „ტეტია ურია" ან „ებრაული ვაჭრუკანობა" წამოსცდა, მე მაგათ გავაურიავებ, საკუთარ კბილებს ხახაში ჩავთხრი-მეთქი. არა, რასაკვირველია, ძალადობას არ დავიწყებ (თითქოს მოძალადეობის ნატამალი მაინც იყოს ჩემში), ძალადობა მაგათთვის დამითმია, ეგ მაგათი წესი და რიგია. მე, უბრალოდ, ფეხზე წამოვდგები და (მერე-მერე?) სიტყვას წარმოვთქვამ! იმ ფანატიკოსებს დავამცირებ და შევარცხვენ! დამოუკიდებლობის დეკლარაციის ტექსტიდან ციტატებს ვეტყვი! „ვინ ჩემი ფეხები ხართ საერთოდ? – ვკითხავ, – ეს მადლიერების დღე მხოლოდ თქვენი დღესასწაული ხომ არ გგონიათ?"

მაგრამ რკინიგზის სადგურზე კვახუნას მამამ მკითხა:

– აბა, როგორ გიკითხოთ, ყმაწვილო?

მე, რასაკვირველია, ვუპასუხე:

– გმადლობთ.

ასე კარგად რატომ მეპყრობა? იმიტომ, რომ წინასწარ გააფრთხილეს (არ ვიცი, ეს შეურაცხყოფად უნდა აღვიქვა თუ შვებით უნდა ამოვისუნთქო), თუ იმიტომ, რომ ჯერ არ იცის? მანამდე ვუთხრა, სანამ მანქანაში ჩავსხდებით? ჰო, უნდა ვუთხრა! ვერ მოვიტყუები! „ძალიან კარგია თქვენთან, დევენპორტში ყოფნა, მისტერ და

მისის კემპბელ. მე, როგორც ებრაელს, მინდა…" არა, კარგად არ ჟღერს. „როგორც ქეის ებრაელ მეგობარს, მისტერ და მისის კემ-პბელ, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ დაპატიჟებისთვის…" გეყოფა კუდის ქიცინი! მერე რას იზამ? იდიშზე აღაღადდები? როგორ? იდიშზე სულ ოცდახუთი სიტყვა იცი – იქიდან ნახევარი ბინძური სიტყვებია, დანარჩენებს კი სწორად ვერ წარმოთქვამ! ჰოდა, მოკე-ტე და მანქანაში ჩაეგდე.

– გმადლობთ, გმადლობთ, – ვამბობ, ჩანთას ვიღებ და ყველანი მანქანისკენ მივემართებით.

მე და ქეი უკანა სავარძელზე ვსხდებით, ძაღლთან ერთად. ქეის ძაღლთან ერთად! ძაღლს ისე ელაპარაკება, როგორც ადამიანს! უჰ, ეს გოგო მართლა გოია! ძაღლთან ლაპარაკზე დიდი იდიოტობა არ გამიგია – ოღონდ ქეი იდიოტი არ არის! სიმართლე რომ ვთქვა, ჩემ-ზე ჭკვიანიც კია. და მაინც, ძაღლთან რა ალაპარაკებს? „რაც შეეხე-ბა ძაღლებს, მისტერ და მისის კემპბელ, ჩვენ, ებრაელები…" არა, და-იკიდე. არ არის საჭირო. ნებისმიერ შემთხვევაში, ის მრავლისმეტ-ყველი წანაზარდი გავიწყდება (ან ძალიან ცდილობ, დაივიწყო), რო-მელსაც ცხვირი ჰქვია. აფრო-ებრაულ თმოვან საფარზე რომ აღარა-ფერი ვთქვათ! რა თქმა უნდა, უკვე იციან. არ გეწყინოს, ჩემო ბუბი, ადამიანს საკუთარი ბედისწერა ფეხდაფეხ დასდევს. მე გაქცევას არც ვაპირებ! ძალიან კარგი, ესეც საქმეა – მაინც ვერ გაექცევი. ვინ გითხრა, როგორ ვერ გავექცევი – თუ მომინდა! მაგრამ შენ ხომ თქვი, რომ გაქცევა არ გინდა! რომ მინდოდეს-მეთქი, რომ მინდო-დეს!

შევდივარ თუ არა კემპბელების სახლში, ჩუმ-ჩუმად ყველაფერს ვყნოსავ (სიმართლე რომ გითხრათ, ეს თვითონვე მიკვირს): აბა, რი-სი სუნია? ჩაშუშული კარტოფილის? მოხუცი ქალის კაბის? ახლად დასხმული ცემენტის? ვყნოსავ და ვყნოსავ, ვცდილობ, ყველა სუნი მოვიხელთო. ეგ არის! ქრისიტიანობის სუნი მცემს, არა? თუ ძაღ-ლის? რაც არ უნდა დავინახო, რასაც არ უნდა შევეხო, რისი გემოც

არ უნდა გავსინჯო, თავში ერთადერთი სიტყვა მიტრიალებს: გოური! პირველივე დილას „პეპსოდენტის“ ერთ სანტიმეტრს ნიჟარაში ვღვრი, სანამ კბილის პასტას ჩემს ჯაგრისზე მოვათავსებდე – მასზე პასტის ის ნაწილი არ უნდა მოხვდეს, რომელსაც ქეის მშობლების ჯაგრისები შეეხო, რომლებითაც ისინი გოურ კბილებს იხეხავენ. საპონი აქაფებული დევს, ვიღაცას ხელები დაუბანია. ნეტავ ვის? მერის? ვფიქრობ, უბრალოდ ავიღო და ხელების დაბანა დავიწყო, თუ ჯერ წყლის ჭავლს შევუშვირო, ისე, უსაფრთხოებისთვის? მოიცა, რა უსაფრთხოებისთვის? საპნის გასარეცხად საპონი ხომ არ გჭირდება, შე შმუკო? ტუალეტში თითის წვერებზე შევდივარ და უნიტაზში დიდხანს ვიყურები: „აჰა, ესეც ნამდვილი გოური უნიტაზი. შენი შეყვარებულის მამა ამაში თავის არაებრაულ კურკლებს უშვებს. აბა, რას ფიქრობ? ძალიან შთამბეჭდავია“. მორიგი ახირებაა? ვერაფერს იტყვი!

ახლა უნდა გადავწყვიტო, უნიტაზზე დაჯდომამდე ქვეშ ქაღალდი გავიფინო თუ არა. ჰიგიენური მოსაზრებით არაა საჭირო – დარწმუნებული ვარ, აქაურობა სუფთა და გაკრიალებულია, ყველაფერს განსაკუთრებული გოური ანტისეპტიკურობის კვალი ატყვია. საკითხავი სხვა რამეა: რა უნდა ვქნა, უნიტაზის რგოლი თბილი რომ აღმოჩნდეს – რომელიმე კემპბელის საჯდომით შემთბარი? მაგალითად, დედამისის! მერის, რომელიც იესო ქრისტეს დედაცაა! კარგი, საკუთარი ოჯახის ხათრით, კიდეზე ქაღალდის პატარა ნაგლეჯს მაინც დავაფენ. ჩემი რა მიდის, ან ვინ რას გაიგებს?

კარგი, დავჯდები! დავჯდები! ვჯდები და... მართლა თბილი არ არის? აჰა,ჩვიდმეტი წლის ვარ და ტრაკით მტრის ტრაკს ვეხახუნები! რა შორს წავედი სექტემბრის მერე! ბაბილონის წყლებთან ვისხედით და ვტიროდით, ოდეს გიხსენებდით შენ, სიონო...რა სწორი ყოფილა! ვზივარ უნიტაზზე ეჭვით და სინანულით გულდაღარული და უცებ მთელი არსებით ვგრძნობ სახლის მონატრებას... მამაჩემი რომ „ვაშლის ნამდვილი სიდრის“ საშოვნელად წავა და იუნიონში

ფერმერის გზისპირა სახლს რომ მიადგება, როგორ მინდა, მეც მასთან ერთად ვიყო! მადლიერების დღეს, დილით ჰანა და მორტი უჩემოდ როგორ წავლენ „უიქვეიკ-ჰილსაიდის" თამაშზე, ვინ გაართობთ და ვინ ახარხარებთ? ღმერთო, იმედი მაქვს, მოვიგებთ მაინც (ანუ 21 ქულაზე ნაკლები სხვაობით წავაგებთ). მიდი, დაანგრიეთ „ჰილსაიდი", მამაძაღლებო! აბა, დავიწყეთ! გრძელი „ი" – უიიიიიიქ! ბერნი, სიდნი, ლეონ! მიდი, ბიჭებო, არ დაუთმოთ!

ა-ე-იიიიი, უ-რიიი-ებ-იიი, არ ვუყვარვართ არავის,

უიქვეიკის ბიჭები,

ა-ე-იიიიი უ-რიიიი-ებიიი.

ტრაკზე კოცნას ვითხოვთ

უიქვეიკელებიიიიი!

ხაზი გაამაგრეთ! ქულა დაიწერეთ! მუცელში ჩასცხეთ! მიდი, უიქვეიკ, მიდი!

ხედავთ, თავის გამოჩენის შანსს ხელიდან ვუშვებ – ხომ შეიძლება, ახლა ტრიბუნაზე ვიდგე და ჩემი მწარე და მახვილი ენით ხალხს ვაცინებდე! თამაშის შემდეგ მადლიერების დღის აღსანიშნავ ისტორიულ სადილზეც ვერ მოვხვდები! დედაჩემის, ჩემი პოლონელი ებრაელი ჟღალთმიანი და ჭორფლიანი დედიკოს კერძებს ვიკლებ! ეჰ, როგორ გაფითრდება ყველა, როგორი სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება, დედაჩემი ჩანგალს დიდ ბარკალს რომ ჩაასობს და იტყვის: „აი, ესეც! ერთი ვიღაცისთვის! " ამ ერთ ვიღაცას კი ფეხი დაუკრავს და მოუსავლეთში გაქცეულა! რატომ მივატოვე ოჯახი? შეიძლება, სუფრას რომ ვუსხედვართ, ნორმან როკუელის ნახატს არ ვგავართ, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია გართობა და დროის გატარება! მართალია, პლიმუთის კლდესთანარ იწყება ჩვენი გვარის ისტორია; რამდენადაც ვიცით, არც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეგებებიან ინდიელები სიმინდით, მაგრამ, აბა, ამ სატენს უსუნეთ! ნახეთ, შტოშის სოუსიც მაგიდის ორივე ბოლოში გვიდგას! და ჩვენს ინდაურსაც „ტომი" ერქვა! ჰოდა, რატომ არ უნდა ვირწმუნო, რომ მადლიერების

დღის სადილიდან ჩემი წილი მეც მერგება ამერიკაში, რომ ნამდვილი ამერიკა იქ არის, სადაც მე ვარ და არა რომელიმე სხვა ადგილას, სადაც ერთ დღეს გავემგზავრები. სწორედ ასეთ სხვა ადგილას – ნიუ-ჯერსის შტატში მდებარე იუნიონში მივემგზავრებით ხოლმე მე და მამაჩემი ნოემბერში, რათა კომბინეზონებში გამოწყობილი იქაური ცოლ-ქმრისგან ნამდვილი სიდრი ვიყიდოთ.

– აიოვაში მივდივარ, – ვატყობინებ ჩემს მშობლებს ჩემი სართულის სატელეფონო ჯიხურიდან.

– სად?

– დევენპორტში, აიოვაში.

– პირველივე არდადეგებზე, არა?

– ჰო, ვიცი, მაგრამ ეს ისეთი კარგი შესაძლებლობაა. ამაზე უარს ვერ ვიტყვი...

– შესაძლებლობა? ნეტავ რის შესაძლებლობა?

– მინდა, მადლიერების დღე ბილ კემპბელის ოჯახთან ერთად გავატარო.

– ვის ოჯახთან ერთად?

– კემპბელის. წვნიანის ქილებს რომ აწერია ხოლმე. აქ ერთ ოთახში ვცხოვრობთ.

თურმე ძალიან მელოდებიან. ყველა მე მელოდება. მორტის ბილეთები უკვე უყიდია. ნეტავ რა შესაძლებლობაზე ვლაპარაკობ?

– ეს ბიჭი, კემპბელი, ასე უცებ საიდან გამოტყვრა?

– ჩემი მეგობარია! ბილი!

– ჰო, მაგრამ, – ამბობს მამაჩემი, – სიდრი?

ღმერთო ჩემო! დავიფიცე, რომ ასეთი რამ აღარასდროს დამემართებოდა. ცრემლები მომდის, ამის მიზეზი კი „სიდრია" – ეს პატარა სიტყვა. არა, იცის ამ კაცმა თავისი საქმე. გრაუჩო მარქსის შოუში რომ წავიდეს, სწორედ იმ დაფარულ სიტყვას გამოიცნობს და ფულსაც მოხვეტს! ჩემს სიტყვებს ყოველთვის იცნობს ხოლმე – ერთი არ შეეშლება! პრიზად კი ჩემი სინანულის ჯეკპოტს იგებს.

– უარს ვერ ვეტყვი, მაპატიე. დაპატიჟებული ვარ და უნდა წავიდეთ!

– უნდა წახვიდეთ? როგორ, ალექს..? ამ შენი გეგმების ვერაფერი გავიგე... – სიტყვას აწყვეტინებს დედაჩემი. – ნება მომეცი, ჩაგეკითხო, ვაჟბატონო: სად მიბრძანდები? და რით? კაბრიოლეტით, არა?

– არა!

– გზები რომ მოყინული იყოს, ალექს?

– ტანკით მივდივართ, დედა, „შერმანით", გაიგე?

– ალექს, – მეუბნება მკაცრად, – არ მომწონს შენი ხმა, სიმართლეს ბოლომდე არ მეუბნები. ავტოსტოპით მიდიხართ, არა? გზაში კაბრიოლეტს გააჩერებთ, ან რამე სხვა სიგიჟეს მოიფიქრებთ... ორი თვეა, რაც სახლიდან გავუშვი. ჯერ ჩვიდმეტი წლისაა და უკვე გაველურდა!

ეს საუბარი თექვსმეტი წლის წინ შედგა. ახლა ორჯერ თექვსმეტი წლის ვარ. 1950 წლის ნოემბერი მაჯაზე მაქვს ამოტვიფრული – მონობის გადავარდნის თარიღი ჩემს ცხოვრებაში. იმ წელს დაბადებული ბავშვები, მერომ დედაჩემს ტელეფონით შევატყობინე, შინ დაბრუნებას არ ვაპირებ-მეთქი, წელს შედიან კოლეჯში. მე კი დღემდე მიწევს მშობლებთან რეკვა და ამ სიტყვების გამეორება! დღემდე ვებრძვი საკუთარ ოჯახს! რა აზრი ჰქონდა დაწყებით სკოლაში ორი კლასით წინ გადახტომას, ზოგადად, დიდი ნახტომების გაკეთებას ამ ცხოვრებაში, როცა, საბოლოო ჯამში, მაინც სულ ბოლოში მივჩანჩალებ? როგორი იმედისმომცემი ბავშვი ვიყავი – ნამდვილი ლეგენდა! როგორ ვბრწყინავდი სასკოლო წარმოდგენებში! თორმეტი წლის ასაკში მთელი „ამერიკის რევოლუციის ქალიშვილები" განვაცვიფრე! ჰოდა, მაშინ რატომ ვცხოვრობ დღემდე მარტო, შვილები რატომ არ მყავს? არა, ეს ალოგიკური კითხვა სულაც არ არის! პროფესიული თვალსაზრისით, რაღაცას მივაღწიე, მაგრამ პირად ცხოვრებაში რა მაქვს სატრაბახო? ხომ უნდა თამაშობდნენ დედამიწის გულზე

ბავშვები, რომლებიც ჩემი მსგავსები იქნებიან? რატომაც არა? ყველა შტუნკს, ვისაც ფარღალალა სახლ-კარი მაინც აქვს, შვილები ჰყავს და მე არ უნდა მყავდნენ? სად არის ლოგიკა? სხვებმა სარბენი ბილიკის ნახევარი გაირბინეს, მე კი ჯერ სტარტის ხაზთან ვდგავარ – მე, რომელმაც ჩვილის სახვევები პირველმა მოვიშორე და მორბენალის ფორმა ყველაზე ადრე მოვირგე! ინტელექტის კოეფიციენტი 158 მაქვს, მაგრამ ორგანიზატორებს ისევ წესებისა და პირობების გამო ვეკამათები! სარბენი ბილიკის მიმართულებაზე ვედავები, მსაჯების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ ვაყენებ! ჰო, მართალი იყავი, დედა, რომ მეუბნებოდი ხოლმე, რა მჟავე სიფათით ზიხარ, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირიო! ათიანში გაგირტყამს! ისტერიკა – ც'ესტ მოი!

აი, კიდევ ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც ბავშვობაში ებრაული მეგონა. „ისტერიკა". „მიდი, დაიმართე ისტერიკა, – მეუბნებოდა ხოლმე დედაჩემი, – ვნახოთ, ამით რამეს თუ მიაღწევ, ჩემო ძვირფასო ბიჭუნა". როგორ ვცდილობდი! როგორ ვაწყდებოდი სამზარეულოს კედლებს! რა მეტსახელებს აღარ ვიღებდი დედაჩემისგან! „ტანსაცმელში მოთუხთუხე", „ჭერზე მოსიარულე", „მუხრუჭაწყვეტილი"... „ღმერთმა ნუ ქნას, ალექს და ვინმემ ალმაცერად შემოგხედოს. სიცოცხლეს გაუმწარებ! " „მამიკო, დღეს სახლში დუდღუნა გვყავს, ერთ-ერთი შვიდი ჯუჯიდან! " „ჰანა, ამ საღამოს შენმა ძმამ პატივი დაგვდო და გამოგვეცხადა". „რა სიხარულია დღეს თქვენი ხილვა! " „ჰო, ჰო, – ამოიოხრებდა ხოლმე, როცა გაცოფებული ჩემი ოთახისკენ გავქანდებოდი, რომ საწოლის გადასაფარებელს კბილებით ჩავფრენოდი, – ისევ ჯორზე შეჯდა ეს ჯიუტი! "

პირველი კურსის დასასრულს ქეის ციკლი შეუწყდა და დიდი ხალისით, გატაცებით და ინტერესითაც კი – რაც მთავარია, ყოველგვარი პანიკის გარეშე – დაქორწინებაზე დავიწყეთ ფიქრი. ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომლებსაც ვუყვარდით, მომსახურებას

შევთავაზებდით: მათ სახლებში ძიძებად ვიმუშავებდით, სანაცვლოდ კი ისინი ბინას სხვენში მიგვიჩენდნენ და მაცივარში ერთ თაროს დაგვითმობდნენ. ძველ ტანისამოსს დავჯერდებოდით და სპაგეტის ვიმყოფინებდით. ქეი დედობაზე ლექსებს დაწერდა და საკურსოებს გადაბეჭდავდა, დამატებითი შემოსავალი რომ გვქონოდა. სტიპენდია ორივეს გვქონდა, მეტი რაღა გვჭირდებოდა? (ლეიბი, რამდენიმე აგური და ფიცრები წიგნის თაროების მოსაწყობად, ქეის – დილან ტომასის ჩანაწერები და დრო რომ მოვიდოდა, ბავშვის საწოლი). ცხოვრებას ისე ვუყურებდით, როგორც თავგადასავალს.

– და მერე სარწმუნოებასაც შეიცვლი, არა? – ვკითხე ერთხელ.

კითხვა უფრო ირონიის გამოსაწვევად დავსვი, ან მაშინ მეგონა, რომ – მხოლოდ ამიტომ. მაგრამ ქეიმ ძალიან სერიოზულად აღიქვა. არა, ოფიციალურ შეკითხვად არ ჩაუთვლია, თუმცა მეტისმეტად სერიოზულად კი მოეკიდა.

ქეი კემპბელი, დევენპორტი, აიოვის შტატი:

– რატომ უნდა მომინდეს სარწმუნოების შეცვლა?

შესანიშნავი გოგო! საოცარი, გონიერი, გულწრფელი! რაც იყო, ის იყო! ახლა ვხვდები, რატომ შეიძლება, ქალზე გაგიჟდე! „რატომ უნდა მომინდეს სარწმუნოების შეცვლა?“ მის ხმაში არც უხეშობა იგრძნობოდა და არც თავდაცვის სურვილი, არც კეკლუცობა და არც ქედმაღლობა – მხოლოდ საღი აზრის კარნახი.

თუმცა პორტნოიმ ისტერიკა დაიმართა – ჯორზე შეჯდა და აღარ ჩამოვიდა. რას ნიშნავს, რატომ უნდა მოგინდეს? აბა, შენ რა გეგონა, ორუჯრედიანო გოი! თუ არ იცი, წადი, შენს ძაღლს ჰკითხე. სპოტს ჰკითხე. საინტერესოა, რას ფიქრობს ამ საკითხზე ოთხფეხა გენიოსი. „სპოტ, გინდა, რომ ქეი-ქეი ებრაელი გახდეს? აბა, რას იტყვი?“ რატომ ხარ ასეთი თვითკმაყოფილი? რა გიხარია – ძაღლებთან ლაპარაკი რომ შეგიძლია? თუ ვერხვის ხეებს რომ სცნობ? თუ ის, მამაშენი რომ ხისძარიან ფურგონს ატარებს? რისთვის მიგიღწევია ამ ცხოვრებაში? ეს დორის დეის ცხვირია შენი მიღწევა?

საბედნიეროდ, ჩემივე აღშფოთებამ ისე გამაოგნა, რომ ეს ყველაფერი ხმამაღლა არ მითქვამს. ნეტავ როგორ ვიგრძენი ჭრილობა იმ ადგილას, სადაც მგრძნობელობა არც კი გამაჩნდა? მე და ქეის ყველაზე ნაკლებად ორი რამ გვადარდებდა: ფული და რელიგია. ჩვენი საყვარელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი იყო, ჩვენი რელიგია – დილან ტომასის რელიგია: ჭეშმარიტება და სიხარული! ჩვენი შვილები ათეისტები იქნებოდნენ. ხუმრობით ვიკითხე, მეტი არაფერი!

ამ ყველაფრის მიუხედავად, მგონი, ქეის ის პასუხი ვერ ვაპატიე. გაირკვა, რომ მისი ფეხმძიმობა ცრუ განგაში იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ, საუბრისდროს, უკვე მოსაწყენად პროგნოზირებადი მეჩვენებოდა. საწოლში მედუზაზე მეტ სურვილს არ აღმიძრავდა. ამიტომ, როცა საბოლოოდ ვუთხარი, რომ აღარ მიყვარდა, მისი რეაქციის სიმძაფრემ გამაოგნა. მე ხომ პატიოსნად მოვექეცი – ისე, როგორც ბერტრან რასელი მირჩევდა.

– შენი ნახვა აღარ მინდა, ქეი. ამ გრძნობის დამალვა არ შემიძლია, მაპატიე.

ქეიმ გულისმომკვლელად იტირა, მერე დიდხანს დაეხეტებოდა კამპუსის შენობაში ჩაწითლებულ-ჩამოსივებული თვალებით, საჭმელად სასადილოში აღარ ჩამოდიოდა, ლექციებს აცდენდა... გაოგნებული ვიყავი. ყოველთვის ვთვლიდი, რომ მე ვიყავი შეყვარებული, ის კი არა. რა სიურპრიზია იმის აღმოჩენა, რომ ყველაფერი პირიქით ყოფილა და არა ისე, როგორც შენ გეგონა!

წარმოიდგინეთ, ოცი წლის ხარ და ერთი საყვარელი უკვე მიტოვებული გყავს – ეს ქალის მიმართ სადისტური მოპყრობით გამოწვეული პირველი თრთოლა და ჩრდილშეუდგამი სიამოვნება იყო! სწორედ მაშინ გამიმძაფრდა იმ ქალებზე ოცნება, რომლებიც ცხოვრების გზაზე მელოდნენ. ნიუ-ჯერსიში იმ წლის ივნისში დავბრუნდი, საკუთარი „ძლევამოსილებით" რეტდასხმული. თან ჩემი თავის მიკვირდა: როგორ მომხიბლა ასეთმა ჩვეულებრივმა, მსუქანმა გოგომეთქი.

მომდევნო არაებრაელი, რომელსაც გული ვატკინე, „პილიგრიმი" სარა ებოტ მოლსბი იყო – ნიუ-კეინენიდან, ფოქსკროფტისა და ვასარ-კოლეჯის კურსდამთავრებული (პოკიპსის საჯინიბოში მეგობარი ჰყავდა, მასავით თავთუხისფერი ცხენი). მაღალი, სათნო, წესიერი და კარგად აღზრდილი ოცდაორი წლის გოგონა იყო. 1959 წლის შემოდგომაზე, როცა ერთმანეთი გავიცანით, კოლეჯი ახალი დამთავრებული ჰქონდა და კონექტიკუტის შტატის სენატორის ოფისში მდივნად მუშაობდა.

მაშინ წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთ ქვეკომისიაში ვმუშაობდი და ტელევიქტორინასთან დაკავშირებულ სკანდალს ვიკვლევდი. შესანიშნავი შანსი იყო სათბურში გაზრდილი ჩემნაირი სოციალისტისთვის: სახელმწიფო მასშტაბის კომერციული თაღლითობა, მაყურებლის გულუბრყვილობით სარგებლობა, დახვეწილი კორპორატიული მაქინაცია – მოკლედ, კარგად ნაცნობი კაპიტალისტური მომხვეჭელობა. და, რა თქმა უნდა, გაიძვერა ვან დორენი – დამაგვირგვინებელი პრიზი ჩემისთანა ახალბედასთვის. რა ხასიათი, რა ტვინი და აღზრდა-განათლება! უმანკოების განსახიერება, რაღაც ბიჭური შარმით – მოკლედ, თხემით ტერფამდე არისტოკრატი. უცებ ირკვევა, რომ ეს კაცი თაღლითია. აბა, ამაზე რა აზრის ხარ, არაებრაულო ამერიკავ? სუპერგოი და გონიფი! ფულს იპარავს. ფული უნდა. ფული უყვარს და მის მოსაპოვებლად ყველაფერს კადრულობს. ღმერთო დიდებულო, ებრაელივით საძაგელი გამოდგა – უხ, თქვე ფარისეველო პროტესტანტებო!

დიახ, ვაშინგტონში ერთი ბედნიერი კაცი გახლდით. დამოუკიდებლად ვმოქმედებდი – დაუღალავად ვანადგურებდი ჩარლის სახელსა და რეპუტაციას. ამავე დროს კი არისტოკრატი ლამაზმანი, რომლის წინაპრებმაც ამ ქვეყნის მიწაზე მეჩვიდმეტე საუკუნეში დადგეს ფეხი, საყვარლად მყავდა. ცნობილი ფენომენია: მძულხარ, გოი და გილოკავ, გოი!

რატომ არ მოვიყვანე ცოლად ის ულამაზესი გოგო, რომელიც

მაღმერთებდა? მახსოვს სასამართლო დარბაზიდან მომზირალი მისი ფერმკრთალი სახე. რა მომაჯადოებელი იყო ოქროსღილებიან ზღვისფერ პიჯაკში, როგორი სიამაყითა და სიყვარულით მიყურებდა იმ დღეს, როცა ჩემს პირველ ჯვარედინ დაკითხვაზე წავიყვანე. ერთი გაქნილი ტიპი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მყავდა გასაშავებელი. მართლაც შთამბეჭდავი გამოსვლა მქონდა პირველსავე დღეს: აუღელვებლად ვდგავარ, შეუვალი გამომეტყველებით, მხოლოდ გულს გაუდის მცირე დაგიდუგი. არადა, ჯერ ოცდაექვსი წლის ვარ. ყველა კარტი ჩემს ხელთაა, ზურგს მორალი მიმაგრებს. მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თაღლითებო! თვალებში ნაცარს ვერ შემაყრით! ვიცი, რომ ოთხასი პროცენტით მართალი ვარ!

რატომ არ მოვიყვანე ცოლად ის გოგო? ჯერ ერთი, მისი გადაპრანჭული მეტყველება და პანსიონის ჟარგონი მაგიჟებდა. ამას ვერ ვიტანდი. ადამიანურად კი არ იტყოდა, გული მერევაო – არა, გულს მაზიდებსო. გაბრაზებულ კაცზე იტყოდა, გულმოსულიაო, სასაცილო რამეზე – სახალისოაო. გიჟზე ამბობდა, შეშლილიაო, პატარაზე – ერთი ციდააო. და კიდევ ეს „ღვთაებრივია! " (რაც მერი ჯეინ რიდის ენაზე „მხეცს" ნიშნავს. ისე მოხდა, რომ ჩემს ქალებს ყოველთვის მე ვასწავლიდი სწორად მეტყველებას – მე, ნიუ-ჯერსიდან გამოყოლილი ხუთასსიტყვიანი ლექსიკონის პატრონი). მისი მეგობრების მეტსახელები! რატომ მხოლოდ მეტსახელები, თვითონ მეგობრებიც! პუდი და პიპი, პებლი და შრიმფი, ბრიუთი და თაგი, სქუიქი, ბამფო და ბება – ეს სახელები რომ მესმოდა, ისეთი განცდა მქონდა, რომ ვასარ-კოლეჯში დონალდ დაკის ძმისშვილებთან ერთად სწავლობდა. თუმცა ჩემი ჟარგონი იმასაც გულზე ხვდებოდა. როცა მისი თანდასწრებით (მისი დაქალი პებლიც იქ იყო, „ჩევი ჩეიზ კლაბში" ჩოგბურთის თამაშისგან ინდიელივით მზეზე დახრუკული და პიტერ პენის საყელოიან ჟაკეტში გამოწყობილი) პირველად ვთქვი, შეუდომეთქი, პილიგრიმმა ისეთი ტანჯვით გამომხედა, თითქოს ეს ხუთი

ასო მისთვის ტანზე ამომეშანთოს. „რატომ? – მკითხა გულდაწყვეტილმა, როგორც კი მარტოები დავრჩით, – რატომ ცდილობ ყოველთვის, რომ ასეთი საძაგელი ჩანდე? რატომ განიჭებს სიამოვნებას ეს უგვანი საქციელი? ასეთი ბინძური რომ ხარ, რის დამტკიცებას ცდილობ? " ძალიან შეუფერებელი საქციელი იყოო, – გამომიცხადა. ჩვენი პირველი უთანხმოებაც სიტყვა „ბინძურს" მოჰყვა.

საწოლში? არაფერი განსაკუთრებული. არანაირი აკრობატიკა, არანაირი გამბედაობა თუ გამოცდილება. როგორი სექსიც გვქონდა პირველ ჯერზე, მერეც ისეთივე გავაგრძელეთ: მე ვუტევდი, ის მითმობდა. თუმცა წითელი ხის საწოლზე (მოლსბების ოჯახის საგვარეულო ნივთი) ბოლოს ცეცხლს მაინც ვანთებდით. დამატებითი სიამოვნების წყარო სააბაზანოს კარზე მიმაგრებული გრძელი სარკე იყო. ჩახუტებულები მის წინ ვდგებოდით და ამ დროს ყურში ვეჩურჩულებოდი: „შეხედე, სარა, შეხედე". თავიდან მორცხვობდა და სარკეში მხოლოდ იმიტომ იხედებოდა, რომ ჩემთვის ხათრი არ გაეტეხა, მაგრამ დროთა განმავლობაში სარკის მიმართ ერთგვარი ვნება გაუჩნდა. სექსის დროს ჩვენს გამოსახულებებს რაღაცნაირი შიშითა და ჟინით აკვირდებოდა ხოლმე. ნეტავ იმას ხედავდა, რასაც მე? ქალბატონებო და ბატონებო, შავი ბოქვენის თმით გამოდის ალექსანდერ პორტნოი, შნოცი, ნიუარკი, ნიუ-ჯერსის შტატი; წონითი კატეგორია: ას სამოცდაათი ფუნტი, რომლის ნახევარს ჯერ კიდევ მოუნელებელი ჰალვა და ცხელი პასტარამი შეადგენს. მისი მეტოქე – ქერა ბოქვენის თმით, ჩამოქნილი კიდურებითა და ბოტიჩელის ქალწულებრივად ნაზი სახით; სოციალური ზნეკეთილობის განსახიერება ამ ედემში; წონითი კატეგორია: ასთოთხმეტი ფუნტი რესპუბლიკელთა ტრადიციული რაფინირებულობისა; ყველაზე გამომწვევი ძუძუსთავები მთელ ახალ ინგლისში! ნიუ-კეინენი, კონექტიკუტი, სარა ებოტ მოლსბი!

იმის თქმა მინდა, ექიმო, რომ შედებით იმდენად ამ გოგოებს არ

ვუდებდი, რამდენადაც მათ წარმოშობას: თითქოს სექსის მეშვეობით ამერიკა უნდა აღმომეჩინა. „დაიპყარი ამერიკა! " – უფრო ამას ჰგავდა ეს ამბავი. კოლუმბი, კაპიტანი სმიტი, გუბერნატორი უინთროპი, გენერალი ვაშინგტონი და ბოლოს პორტნოი. თითქოს ასეთი იყო განგების ნება: ორმოცდარვავე შტატიდან თითო გოგო მაინც უნდა შემეცდინა. თუმცა ალასკელი და ჰავაელი ქალებისადმი დიდი ინტერესი არ მქონია: არც ანგარიშსწორება მინდოდა, არც ფულის გაკეთება, არც ოცნების ასრულება. ეს ესკიმოსი და კუნძულელი ქალები რა თავში უნდა მეხალა? მე ორმოციანების პირმშო გახლავართ, მეორე მსოფლიო ომის წლების, რადიო ტრანზისტორების ეპოქის შვილი, როცა ბეისბოლის ლიგა რვა გუნდისაგან შედგებოდა, ეს ქვეყანა კი – ორმოცდარვა შტატისაგან. „საზღვაო ჰიმნისა" და „სამხედრო-საჰაერო ძალების სიმღერის" ყველა სიტყვა ვიცი. და კიდევ ეს: „ეშვებიან წყალში ჩვენი კესონები...". შემიძლია საზღვაო ავიაციის სიმღერაც გიმღეროთ: „ანძა აღმართეთ ცისკენ, წინ, წინისაკენ, ჩვენ ვართ ზეცის ნაოსნები..." სამხედრო-საზღვაო ფლოტის საინჟინრო ბატალიონის სიმღერასაც კი დაგიმღერებთ! მითხარით, რომელ ჯარში მსახურობდით, შპილფოგელ, თქვენს სიმღერას წაგიღიღინებთ! ნება მომეცით, ვიმღერო – ფულს ამაში გიხდით, ბოლოს და ბოლოს. მახსოვს, სკოლის სარდაფის დერეფანში, ბეტონის იატაკზე პალტოებს ვაფენდით და ყრუ კედელს მიყუდებულები თავის გასამხნევებლად ხმაშეწყობით ვმღეროდით: „ჯონი ზერო", „ადიდე უფალი, ამხანაგს გადაეცი ტყვია-წამალი", „მფრინავმა გითხრა, ენდე მის სიტყვას, შვილი იქნება არტილერისტის! " დამისახელეთ ნებისმიერი სიმღერა და თუ ზოლიან-ვარსკვლავიანი დროშის სადიდებლადაა დაწერილი, ისე გიმღერებთ, სიტყვა არ გამომრჩება! დიახ, მე სასწავლო საჰაერო რეიდების ეპოქის შვილი ვარ, ექიმო, კორეხიდორიცმახსოვს, „ამერიკული კავალკადაც"და იმ დაწყევლილ იოძიმაზე გულისმომკვლელად დაშვებული ჩვენი დროშებიც. კოლინ

კელის თვითმფრინავი რომ ჩამოვარდა, რვა წლის ვიყავი და თორმეტის – როცა ჰიროშიმა და ნაგასაკი ნაცარტუტად იქცა. ესენი იყო ჩემი ბიჭობის მთავარი ამბები. ის წლები სულ ტოძიოს, ჰიტლერისა და მუსოლინის სიძულვილსა და ჩვენი უდრეკი რესპუბლიკის სიყვარულში გავატარე! ამერიკულ დემოკრატიას რომ დასჭირვებოდა, ჩემს პატარა ებრაულ გულს ამოვიგლეჯდი საგულედან! ჰო, გავიმარჯვეთ, მტერი ვილჰელმშტრასესთან გავანადგურეთ! დიახ, მკვდარია მტერი, რადგან მე ვლოცულობდი, რომ მომკვდარიყო! ჰოდა, ახლა მინდა, ის მივიღო, რაც „სამხედრო პირის შრომითი მოწყობისა და პრივილეგიებით უზრუნველყოფის აქტის" თანახმად მეკუთვნის – ნამდვილი ამერიკული ტრაკი! ტრაკი და ყველა გემრიელი ხვრელი ამ ქვეყანაში! და ახლა ამერიკული მუტლის წინაშე, შეერთებული შტატებისა და იმ რესპუბლიკის წინაშე, რომლის იდეასაც ეს ქვეყანა იცავს, ერთგულების ფიცს ვდებ. მივმართავ: დევენპორტს აიოვაში! დეიტონს ოჰაიოში! სკენეკტადს ნიუ-იორკის შტატში და იქვე, ახლოს მდებარე ტროის! ფორტ მაიერსს ფლორიდაში! ნიუ-კეინენს კონექტიკუტში! ჩიკაგოს ილინოისში! ალბერტლის მინესოტაში! პორტლანდს მეინის შტატში! მაუნდსვილს დასავლეთ ვირჯინიაში! შენ გიმღერი, შიკსეების ტკბილო მიწავ!

მაღალ მთებიდან პრერიებამდე,

აქაფებულ ოკეანეებამდე,

ღმერთო, დალოცე აა-მეეე-რიიი-კა!

ჩემი ქვეყანა, ტკბილი სამშობლოოო!

წარმოიდგინეთ, რა დამემართა, როცა გავიგე, რომ მოლსბის გვარის ყველა წარმომადგენელი ნიუბერიპორტის სასაფლაოზეა დაკრძალული, მასაჩუსეტსის შტატში, ებოტების გვარის ყველა წარმომადგენელი კი – სეილემში. „სად მამა-პაპა ჩემი მიცვლილა, სად განისვენებს პილიგრიმთა ძველი დიდება…" აი, ზუსტად ეგ! და კიდევ, ამ გოგოს დედას ელეონორ რუზველტის სახელის გაგონებაზე კრუნჩხვა ემართებოდა! 1942 წელს,მამაჩემი რომ როშ ჰაშანას დღეებში

ფრანკლინ დელანო რუზველტისთვის ლოცულობდა, დედაჩემი კი ყოველ პარასკევ საღამოს მას სანთლებს უნთებდა, ამ გოგონას ფლორიდაში, ჰოუბ საუნდში უენდელ უილკიმუხლებზე წამოსკუპებულს ათამაშებდა. კონექტიკუტის სენატორი მამამისთან ერთად ცხოვრობდა ჰარვარდის საერთო საცხოვრებელში. მისი ძმა, მეტსახელად ღიპუცა, იელის კურსდამთავრებული, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე მოღვაწეობდა და კვირაობით უესტჩესტერში (ხედავთ, რა ბედნიერება გავუშვი ხელიდან?) პოლოს (ჰო, იმ თამაშს, ცხენზე ამხედრებულები ბურთს რომ დასდევენ) თამაშობდა. მოკლედ, თავისუფლად შეიძლებოდა, ეს გოგო ერთ-ერთი ლინდბერიც ყოფილიყო – მამაჩემის ბოსის ქალიშვილი! გოგო, რომელსაც ნიჩბოსნობაც ეხერხებოდა და ვერცხლის კოვზით და ჩანგლით დესერტის მირთმევაც (უნდა გენახათ, რა რთული მანიპულაციებით ჭამდა ნამცხვარს, რომელიც შეიძლება ხელით აიღო და ჩაკბიჩო; ჩანგალს და კოვზს ისე ხმარობდა, როგორც ჩინელი – ჩხირებს! სხვას რას ისწავლიდა შორეულ კონექტიკუტში!). ისეთ რამეებს, რაც ეგზოტიკურ ან ტაბუდადებულ საქმიანობად მიმაჩნდა, ისე მარტივად უმკლავდებოდა, ვითომც არაფერიო. მისი ყურება ისე მაოცებდა, როგორც (ჯერ სად ხართ!) დეზდემონას – კაციჭამიების ამბის მოსმენა. ერთხელ მის ალბომში გაზეთიდან ამოჭრილ სტატიას გადავაწყდი. საგაზეთო სვეტის სათაური იყო: „დებიუტანტის დღე. სარა ებოტ მოლსბი“ და ასე იწყებოდა: „იხვებს, მწყრებს და ხოხბებს ურჩევნიათ, ამ შემოდგომით ნიუ-კეინენის მიდამოებს გაერიდონ, რადგან სალი, მისტერ და მისის მოლსბების (გრინლი როუდი) ქალიშვილი ფრინველზე სანადიროდ ემზადება“. ექიმო, გესმით? თოფით სანადიროდ! „ნადირობა სალის ერთ-ერთი ჰობი გახლავთ. მას ცხენით ჯირითიც უყვარს, ამ ზაფხულს კი თევზაობის მოსინჯვაც სურს...“. რას აღარ გაიგებს კაცი! „იმედი აქვს, რომ იმ კალმახს დაიჭერს, რომელიც მათი სააგარაკო სახლის სიახლოვეს, გუბურაში ბინადრობს“.

სალის მარტო ჩემი სირისთვის არ უნდოდა გემოს გასინჯვა.

მწყრებისთვის თოფის სროლა – კი, ბატონო, მაგრამ ჩემი სირის პირში ჩადება – არა, ამას თავში როგორ გაივლებდა. მაპატიე, ჩემს უარს საწყენად ნუ მიიღებო, – მეუბნებოდა. ამის მოსინჯვაც კი არ უნდოდა. ეს პირადად შენ არ გიკავშირდება და შეურაცხყოფად ნუ მიიღებო... კარგი ერთი! ვის ატყუებ, გოგონი! ყველაზე მეტად სწორედ ის მაღიზიანებდა, რომ დარწმუნებული ვიყავი: სწორედ ჩემს დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი! როგორც მამაჩემს არ მისცეს დაწინაურების შესაძლებლობა „ბოსტონ & ნორსისტერნში", ისე არ კადრულობდა სალი მოლსბი მუხლებზე დადგომას და ჩემი სირის პირში ჩადებას. სად იყო სამართალი ამ ქვეყანაში? სად იყო „ანტიდიფამაციის ლიგა"?

– მე ხომ ამას გიკეთებ, – ვუთხარი ერთხელ.

პილიგრიმმა მხრები აიჩეჩა და მშვიდად მიპასუხა:

– ვალდებული არ ხარ, რომ გამიკეთო. თუ არ გინდა...

– საქმეც ეგ არის, რომ მინდა! ვალდებულების გამო არ ვაკეთებ. მინდა!

– კარგი, – მიპასუხა, – მე კი არ მინდა.

– რატომ არ გინდა?

– იმიტომ. არ მინდა.

– ოხ, ამის... სარა, რა ბავშვური პასუხია? „იმიტომ"! მიზეზი დამისახელე!

– უბრალოდ, არ შემიძლია ამის გაკეთება.

– შენი პასუხი ისევ იმასთან გვაბრუნებს, თუ რატომ არ შეგიძლია. მითხარი, რატომ?

– ალექს, არ შემიძლია. უბრალოდ, არ შემიძლია.

– ერთი გასაგები მიზეზი მაინც მითხარი!

– კარგი, გეყოფა. ვალდებული არ ვარ, მიზეზი დაგისახელო.

ჰო, საკუთარი უფლებები კარგად იცოდა.

რასაკვირველია, ვალდებული არ იყო, რამე აეხსნა. ნებისმიერ შემთხვევაში, პასუხი ისედაც ცხადი იყო: იმიტომ, რომ მე არ ვიცი,

როგორ უნდა ვიცურო იახტით ქარის საპირისპირო მიმართულებით და არც ის ვიცი, კლივერი რა არის, არც ფრაკი მცმია ოდესმე და არც კოტილიონი მიცეკვია... აბა, ერთი ვარდისფერ საცხენოსნო კოსტიუმსა და ასდოლარიან სანადირო ჩექმებში გამოწყობილი ქერათმიანი ახმახი გოი ვიყო! მაშინ კი კეთილს ინებებდა, დამიდგებოდა მუხლებზე!

შევცდი. სამი თვე ისე გავიდა, რომ მისი კეფიდან ხელი არ ამიღია – ვაწვებოდი და ვაწვებოდი მოუბეზრებლად (ამ დროს საოცარ წინააღმდეგობას ვაწყდებოდი, მისნაირი რბილი და დამყოლი ადამიანისგან ასეთი გაჯიქება შთამბეჭდავი და ამაღელვებელიც კი მეჩვენებოდა). სამი თვის განმავლობაში ვუტევდი ახალ-ახალი არგუმენტებით და ღამ-ღამობით ყურებს უხეშად ვქაჩავდი. ერთ საღამოსაც კონგრესის ბიბლიოთეკაში ბუდაპეშტის სიმებიანი კვარტეტის მოსასმენად დამპატიჟა. მოცარტს უკრავდნენ. როგორც კი ბოლო აკორდები გაისმა, სალიმ ხელი ჩამჭიდა. სახე წამოწითლებოდა... მის ბინაში რომ დავბრუნდით და საწოლში ჩავწექით, მითხრა:

– ალექს, ახლა გაგიკეთებ... იმას.

რას-მეთქი, – კითხვა ძლივს მოვასწარი. საბნის ქვეშ ჩაძვრა და წარმოიდგინეთ, გაქრა: მინეტს მიკეთებდა! ანუ ჩემი ასო პირში ჩაიდო და ცოტა ხანი ასე ედო, თერმომეტრივით, ექიმო. სამოცამდე დათვლას მოასწრებდა კაცი. საბანი გადავიძვრე – ამ სანახაობის გამოტოვება როგორ იქნებოდა! შეგრძნებების რა მოგახსენოთ, შესაგრძნობი ბევრი არაფერი ყოფილა, მაგრამ რა სანახავი უნდა ყოფილიყო! ოღონდ სალის ყველაფერიუკვე დაემთავრებინა: ასო პირიდან გამოეღო და ლოყაზე ჰილმან-მინქსის სიჩქარის გადამრთველივით ჰქონდა მიდებული, თვალებიდან კი ცრემლები ჩამოსდიოდა.

– აი, გავაკეთე, – მითხრა.

– სალი, სარა, არ იტირო რა.

– აჰა, გავაკეთე, ალექს.

– რაა?... – თავი ვერ შევიკავე, – სულ ეგ იყო?

– შენ რაღაც მეტი გინდოდა? – აღმოხდა სალის.

– გულწრფელად რომ გითხრა, ცოტა მეტი მართლა მინდა და დაგიფასებ კიდეც...

– ჰო, მაგრამ პირში ისე იზრდებოდა. დავიხრჩობი.

ებრაელმა ქალიშვილი ასოთი დაახრჩო. ვასარ-კოლეჯის კურსდამთავრებული ჯორჯტაუნში ასფიქსიით დაიღუპა. დოყლაპია იურისტი დაპატიმრებულია.

– თუ ისუნთქებ, არ დაიხრჩობი.

– დავიხრჩობი, სუნთქვა შემეკვრება...

– სარა, ასფიქსიის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალება სუნთქვაა. უბრალოდ, ისუნთქე. სხვა არაფერი მოგეთხოვება. თითქმის არაფერი.

ღმერთია მოწმე, ეწვალა. მაგრამ ბოლოს მაინც სუნთქვა შეეკრა.

– ხომ გეუბნებოდი, – ამოიკვნესა.

– ჰო, მაგრამ, არ სუნთქავდი და...

– როცა პირში ის მაქვს, სუნთქვა არ შემიძლია.

– ცხვირით უნდა ისუნთქო. უნდა წარმოიდგინო, ვითომ მიცურავ.

– რომ არ მივცურავ?

– ვითომ-მეთქი!

ჩემს რჩევას კიდევ ერთი გაბედული მცდელობა მოჰყვა, რომელიც რამდენიმე წამში ხველებითა და ცრემლებით დამთავრდა (საყვარელი, მონდომებული გოგო! მოცარტმა შთააგონა, რომ ალექსისთვის მინეტი გაეკეთებინა! ნატაშა როსტოვა ტოლსტოის რომანიდან – გრაფის ნაზი, ნორჩი ქალიშვილი). მერე ვარწევდი, ვეხუმრებოდი და ვაცინებდი. მეც მიყვარხარ, პატარა-მეთქი, – ასეთი რამე პირველად ვუთხარი, თუმცა მისი მომხიბვლელობის, მისი უამრავი ღირსების – ერთგულების, სილამაზის, შვლისებრი მოხდენილობის, ამერიკის ისტორიაში მისი როლის მიუხედავად, იმ დღეს ცხადად გავაცნობიერე, რომ პილიგრიმის მიმართ „სიყვარულს“ ვერასდროს

ვიგრძნობდი. მის სუსტ მხარეებს ვერ ვიტანდი. მისი მიღწევები შურით მავსებდა. მისი ოჯახი მაღიზიანებდა. არა, სიყვარული გამორიცხული იყო.

არადა, სალი მოლსბი იყო, თუ იყო – რითიც ვაჟიშვილი მამას გულს გაუხარებდა! აი, ეგ იქნებოდა ჯეკ პორტნოის შურისძიება მისტერ ლინდბერიზე იმ საღამოებისა და კვირადღეების გამო, ფერადკანიანთა უბნებში კარდაკარ სირბილში რომ ატარებინებდა – „ბოსტონ &ნორსისტერნის" ხელიდან გაგდებინებული პატარა პრიზი მრავალწლიანი მსახურებისა და ექსპლუატაციის სანაცვლოდ.

დევნილობაში

კვირა დილით, კარგად რომ მოთბება, ჩვენი უბნის ოცი კაცი შვიდინინგიანი სოფტბოლის თამაშს იწყებს (ის წლებია, მოედნის ცენტრალური ნაწილი მოკლე რომ იყო). ცხრაზე შეუდგებიან და შუადღის პირველი საათისთვის ამთავრებენ ხოლმე. თითოეულ თამაშზე ფსონად დოლარი იდება. მსაჯობით უბნის კბილის ექიმი, მოხუცი ვოლფენბერგი მსაჯობს, რომელსაც კოლეჯი აქვე, ახლოს აქვს დამთავრებული – საღამოს კურსები ჰაი სტრიტზე გაუვლია, მაგრამ ჩვენთვის აქაური დიპლომი ოქსფორდისაზე ნაკლებად არ ფასობს. მოთამაშეებს შორის არიან: ჩვენი ყასაბი, მისი ტყუპისცალი სანტექნიკოსი, უბნის ბაყალი და იმ ბენზინგასამართი სადგურის მფლობელი, სადაც მამაჩემი ბენზინს ყიდულობს ხოლმე – ოცდაათიდან ორმოცდაათ წლამდე მამაკაცები. თუმცა მათ ასაკს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ჩემს თვალში ესენი მხოლოდ „კაცები" არიან. დანესტიანებული სიგარები თამაშის დროსაც პირში აქვთ გაჩრილი, ბოლოებს უღეჭავენ. ბიჭები კი არა, კაცები! ღიპები! კუნთები! შავი ბალნით დაფარული მკლავები! მელოტი თავები! ახლა რა ხმები აქვთ? ერთი კვარტალის იქით ისმის მათი შეძახილები, ზარბაზანი

რომ დააქუხო, უფრო შორს მისი ხმაც ვერ გაისმება. წარმომიდგენია, რა ხმის იოგები აქვთ – სარეცხის თოკებივით მსხვილ-მსხვილი! დირიჟაბლებივით დაბერილი ფილტვები! ამათ ცხოვრებაში ვერავინ ეტყვის: „რას დუდღუნებ შენთვის, ხმა ამოიღე! " თან როგორ ბილწსიტყვაობენ! მოედანზე რომ სიტყვები ისმის, უბრალო ღლაბუცი არ გეგონოთ, ეს უკვე ღადაობის კასკადია და ჩემნაირ ბიჭუნას, რომელიც მახვილსიტყვაობის ხელოვნებას ახლა ეუფლება, წარმოუდგენლად აღაფრთოვანებს. განსაკუთრებით ბიდერმანი იკურთხება – კაცი, რომელსაც მამაჩემი „გადარეულ რუსს" ეძახის. კუთხის საკონდიტროსა და საბუკმეკეროს მფლობელი ბიდერმანი, რომელმაც რაღაცნაირი „ჭოჭმანით" იცის ხოლმე ჩაწოდება და ეს მხოლოდ სასაცილო კი არა, ძალიან მაგარი სანახავია. „აბრაკადაბრა! " – დაიძახებს ერთს და ბურთს ღონივრად მოისვრის ხოლმე. ექიმ ვოლფენბერგს სულ ასე ეუბნება: „ბრმა მსაჯი გამიგია, მაგრამ ბრმა კბილის ექიმი? " ამის წარმოდგენისას ხელთათმანს იხდის და შიგ შუბლში იტყაპუნებს. „მიდი, ითამაშე! მასხარა! – გამოსძახებს ექიმი ვოლფენბერგი, ალი-კვალი კონი მექიორფერი ტყავის დასვრეტილ ფეხსაცმელსა და პანამაში. – ითამაშე-მეთქი, ბიდერმან, თუ არ გინდა, რომ ენის წაგდებისთვის გაგაპანღუროთ! " „ნეტავ, ხელობას როგორ გასწავლიდნენ, დოკ? სტომატოლოგიურ სასწავლებელში ბრაილის შრიფტით აკითხებენ? "

ამ დროს მოედანზე ხმაურითა და გნიასით შემოდის კაცი, რომელიც ბეტონის სარევ მანქანას უფრო ჰგავს, ვიდრე ჰომო საპიენსს – ხილ-ბოსტნეულის ბაზრის მეფე, ელი სოკოლოვი. უჰ, რა პისკსაღებს და რა სიტყვებს უშვებს (როგორც დედაჩემი იტყოდა)! ნახევარი ინინგის განმავლობაში მოედნის ცენტრიდან მთავარი ბაზის მისამართით სულ გინება ისმის, მერე კი, როცა მისი გუნდი გადადის შეტევაზე, ელი პირველ ბაზაზე დგება და ახლა საპირისპირო მხარეს მიედინება გინების ნიაღვარი. სხვათა შორის, რასაც ელი პირიდან

უშვებს, არაფრით უკავშირდება იმას, რაც ამ დროს მოედანზე ხდება. თუ კვირა დილით არ მუშაობს, მოედანზე მამაჩემიც მოდის და რამდენიმე ინინგს ჩემთან ერთად უყურებს ხოლმე. ელი სოკოლოვს (ისევე, როგორც სხვა მოთამაშეებს) ბავშვობიდან იცნობს. ადრე ყველანი ნიუარკის ცენტრში ცხოვრობდნენ – სანამ დედაჩემს გაიცნობდა და ჯერსი სიტიში გადმოვიდოდა. მამაჩემი ამბობს, რომ ელი ყოველთვის ასეთი იყო: „ნამდვილი შოუმენი". როცა ელი მეორე ბაზისკენ გარბის და მთავარი ბაზის მისამართით უწმაწური სიტყვების კორიანტელს აფრქვევს (სადაც ჯერ ბეტერიც კი არ დგას – მხოლოდ ექიმი ვოლფენბერგია, რომელიც იქაურობას ცოცხით გვის), ტრიბუნაზე ხალხი აღფრთოვანებისგან ჭკუას კარგავს: იცინიან, ტაშს უკრავენ და ყვირიან: „ერთი-ორი ტკბილი სიტყვა უთხარი, ელი! მიდი, სოკოლოვ, არ დაინდო! " ბოლოს ექიმი ვოლფენბერგი, რომელიც საკუთარ მოვალეობას, არაპროფესიონალი მსაჯის კვალობაზე, მეტისმეტად სერიოზულად ეკიდება (იმიტომ, რომ გერმანელი ებრაელია), ხელს მაღლა სწევს, თამაშს აჩერებს, რომელიც სოკოლოვმა ისედაც თავდაყირა დააყენა, და ბიდერმანს მიმართავს: „ამ მეშუგენესმოედნის ბოლოში ხომ ვერ გაისტუმრებ? "

რა საყვარლები არიან ყველანი! ამ დროს მე პირველ ბაზასთან ხის ტრიბუნაზე ვზივარ, გაზაფხულის სურნელთან ერთად ბეისბოლის ხელთათმანის მომჟავო სუნი მომდის – ოფლის, ტყავისა და ვაზელინის – და სიცილით ვკვდები. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო ოდესმე სხვა ადგილას. რატომ უნდა წავიდე აქედან? რატომ უნდა ვიცხოვრო სხვაგან, როცა ყველაფერი, რაც შეიძლება ამ ცხოვრებაში მომინდეს, აქ მაქვს? მასხრობა, ხუმრობა, ღადაობა – თუ გართობა და სიცილი გინდა, აქ უნდა იყო! მიყვარს აქაურობა! და მაინც, ამ ყველაფრის მიუხედავად, ეს ხალხი საშინელ სერიოზულობას ინარჩუნებს. მეშვიდე ინინგის მერე უნდა ნახოთ, როცა ფსონად დადებული დოლარი მოგებულის ხელში გადადის. ახლა არ მითხრათ, რომ იმ დოლარს არ მისტირიან! დამარცხება და გამარჯვება

სახუმარო საქმე არ არის... და მაინც, არის! აი, ეს მხიბლავს ყველაზე მეტად. შეჯიბრში გააფთრებულები იბრძვიან, მაგრამ მასხრობას და მაიმუნობას მაინც არ ეშვებიან. შოუს აწყობენ! რა კარგია, რომ ებრაელ კაცად გავიზრდები! სიცოცხლის ბოლომდე უიქვეიკის კვარტალში ვიცხოვრებ,კვირაობით, ცხრიდან პირველ საათამდე, ჩენსელორ ავენიუზე სოფტბოლს ვითამაშებ – კლოუნი და ჟინიანი მეტოქე, მოლაყბე ბრძენი და სახიფათო ჩამწოდებელი!

სად მახსენდება ეს ამბები? როდის? მაშინ, როცა კაპიტან მეიერსონის თვითმფრინავი ბოლო წრეს კრავს თელ-ავივის აეროპორტის თავზე. სახე ფანჯარაზე მაქვს მიდებული. „ჰო, – ვფიქრობ ჩემთვის, – შემიძლია, გავქრე, სახელი შევიცვალო და ჩემზე ვერავინ ვეღარაფერს გაიგებს...“ მერე მეიერსონი იმ მხრიდან იწყებს დაშვებას, სადაც მე ვზივარ და ცხოვრებაში პირველად დავყურებ აზიის კონტინენტს, ორი ათასი ფუტის სიმაღლიდან დავცქერი ისრაელის მიწას, სადაც ებრაელი ხალხი იშვა, თან ნიუარკში კვირაობით გამართული სოფტბოლის მატჩების მოგონებები მაფორიაქებს.

გვერდით ხნიერი ცოლ-ქმარი მიზის (ცოლ-ქმარი სოლომონები – ედნა და ფელიქსი), რომლებმაც ფრენის დაწყებიდან ერთ საათში მოასწრეს და ცინცინატელი შვილებისა და შვილიშვილების შესახებ ყველაფერი მიამბეს (რასაკვირველია, იმ თვალსაჩინოებების მოშველიებით, რომლებითაც საფულეები აქვთ გაძეძგილი). ახლა ერთმანეთს იდაყვს კრავენ და თავს კმაყოფილებით იქნევენ; დროდადრო გასავლელის იქით მსხდომ მგზავრებსაც დაკრავენ ხოლმე ხელს – ახლად გაცნობილ წყვილს მაუნტ ვერნონიდან (სილვია და ბერნი პერლებს). ამ ორსაც გული სიამაყით ევსება მაღალი, მომხიბვლელი, ახალგაზრდა იურისტის ყურებისას (უცოლოა! ვის ქალიშვილს გავურიგოთ?), რომელიც მაშინვე ქვითინს იწყებს, როგორც კი თვითმფრინავი ებრაულ დასაფრენ ბილიკს ეხება. თუმცა ამ ცრემლების მიზეზი ის კი არაა, რაც სოლომონებსა და პერლებს ჰგონიათ – წინაპართა მიწის ხილვა, დევნილობიდან დაბრუნება. არა, მიზეზი ცხრა

წლის ბიჭუნას ხმაა, რომელიც მოულოდნელად ყურში ჩამესმის – ცხრა წლის რომ ვიყავი, იმდროინდელი ხმა. ცხრა წლის ალექსი! რა თქმა უნდა, დიდი უხასიათო ვინმე ვარ, სიფათის კერვა, ენის შებრუნება და ბუზღუნი მიყვარს, მაგრამ მუდმივი უკმაყოფილება (ცხრა წლისაა და თავი უკვე ისე უჭირავს, თითქოს მთელ სამყაროს ამის ვალი ჰქონდეს, – ამბობს ხოლმე დედაჩემი) მოულოდნელად მეცვლება სიცილ-ხარხარისა და მაიმუნობის განწყობით – ესეც ნუ დაგავიწყდებათ! ხალისიანიც ვარ! რომანტიკულიც! ნიჭიერი იმიტატორიც! ცხრა წლის ვარ და ცხოვრება მიყვარს! თან როგორი უბრალო, „უბნური" ოცნებები მაქვს! „მოედანზე წავედი! " – ვუყვირი დედაჩემს სამზარეულოში. კბილებს შორის ვარდისფერი ორაგულის ბოჭკოები ჯერ კიდევ საწმენდი ძაფივით მაქვს გაჩრილი. „მოედანზე მივდივარ, დე! – ვუყვირი და ჩემს პატარა, თევზისსუნიან მუშტს ბეისბოლის ხელთათმანში ვტენი, – პირველი საათისთვის დავბრუნდები..." „ერთი წამით! რომელ საათზე? სად? " „მოედანზე! – ვღრიალებ, რომ კარგად გაიგოს, ისე ხმამაღლა ვუყვირი, თითქოს გაბრაზებული ვიყო, ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ამ გაბრაზებას ჩვეულებრივი გაგრძელება არ ექნება, – კაცების საყურებლად! "

აი, სწორედ ეს ფრაზა მიღებს ბოლოს, როცა თვითმფრინავის ბორბლები აღთქმულ მიწას ეხება – „კაცების საყურებლად! "

იმიტომ, რომ მიყვარს ეს კაცები! მინდა, მეც მათნაირი გავიზარდო, ერთ-ერთი მათგანი ვიყო! კვირაობით სასადილოდ შინ პირველ საათზე ვბრუნდებოდე, სოფტბოლის ოცდაერთი ინინგის ოფლით გაჟღენთილი წინდები, ტრუსი და მაისური მეცვას, კეტის რტყმისაგან დაჭიმულ კუნთებში კი მსუბუქ თრთოლას ვგრძნობდე. ჰო, თმა ჯერ კიდევ ყალყზე მიდგას, კბილებში ქვიშა მიღრჭიალებს, ფეხები დაბეჟილი მაქვს და სიცილისგან მუცელი მტკივა, ერთი სიტყვით, თავს დიდებულად ვგრძნობ – ჯან-ღონითა და მხნეობით სავსე ებრაელ მამაკაცად. ქანცი გვარიანად გამძვრა და შინ ძალის მოსაკრებად დავბრუნდი... შინ? ვისთან? ვისთან და ჩემს ცოლ-შვილთან,

ჩემს ოჯახთან – აქ, უიქვეიკის კვარტალში! წვერს ვიპარსავ, შხაპს ვიღებ – წყალი ნაკადებად გადამდის თავზე და მტვერს და ჭუჭყს მაცილებს. უჰ, რა კარგია! იფ-იფ, რა სიამოვნებაა ცხელი წყლის ქვეშ დგომა, რომელმაც, ლამისაა, დამფუფქოს. ტკივილი სიამოვნებაში გადამყავს – არის ამ შეგრძნებაში რაღაც ძალიან მამაკაცური. მერე ფართოტოტებიან შარვალს და ახლად გარეცხილ „გაუჩოს“ სტილის პერანგს ვიცვამ – პერფექტო! საკუთარი ბიცეფსებით აღფრთოვანებული ფეხსაცმელს ჩვარს ვუსვამ და ვაპრიალებ, ჩემი შვილები კი ამასობაში სასტუმრო ოთახის ხალიჩაზე გორაობენ და ხითხითებენ, საკვირაო გაზეთებს აშრიალებენ (რომლებსაც ზუსტად ჩემნაირი ფერის თვალებით კითხულობენ). ჩემი ცოლი, მისის პორტნოი, ამ დროს სასადილო ოთახში სუფრას აწყობს – დღეს, ისევე, როგორც ნებისმიერ კვირა დღეს, სტუმრად დედაჩემი და მამაჩემი გვეყოლებიან, უკვე წუთი-წუთზე ველოდებით. მომავალიც ამას ჰქვია! მარტივი, კმაყოფილების მომგვრელი მომავალი! დილაობით მომქანცველი და გამამხნევებელი სოფტბოლი, რომელიც ძალ-ღონის დახარჯვას ითხოვს, დღისით ოჯახური ცხოვრების მსუყე ჩახოხბილი, საღამოობით კი მთელი სამი საათის გატარება მსოფლიოში საუკეთესო რადიო-შოუების სმენაში: ჰო, როგორც ბავშვობაში ვუსმენდი მამაჩემთან ერთად, თუ როგორ მოგზაურობდა ჯეკ ბენი თავის სარდაფში, როგორ ესაუბრებოდა ფრედ ალენი მისის ნასბაუმს, ფილ ჰარისი – ფრენკ რემლის, ასეთივე ნეტარებით მოუსმენენ ამ გადაცემებს ჩემთან ერთად ჩემი შვილები, მათთან ერთად – მათი შვილები და ასე, მეასე თაობამდე. მერე, კენი ბეიკერის გადაცემა რომ დამთავრდება, წინა და უკანა კარებს ჩავკეტავ, შუქს ყველა ოთახში ჩავაქრობ, შევამოწმებ – არა, როგორც მამაჩემმა იცოდა, ორჯერ შევამოწმებ – გაზის გადასაკეტ ვენტილს, რომ მთელი ოჯახი ძილში არ გავიპაროთ. ჩემს ძილმორეულ შვილებს: ლამაზ გოგონას და ჭკვიან ბიჭუნასკოცნით ვუსურვებ მშვიდობის ღამეს, მერე კი მისის

პორტნოის, ამ ნაზი და კეთილი ქალის (რომელიც ჩემს ტკბილ, თუმცა კი უფერულ ფანტაზიებში ყოველთვის უსახოა) მკლავებში ნეტარების მწვერვალზე ავალ. დილით ნიუარკის ცენტრის გზას დავადგები და საოლქო სასამართლოში მივალ, სადაც უპოვართა და დაჩაგრულთათვის სამართლის ძიებაში გადის ჩემი დღეები.

ერთ დღეს ყველა მერვეკლასელი სკოლიდან სასამართლოს შენობის დასათვალიერებლად მივყავართ. იმ საღამოს ჩემს ოთახში ახალი სასკოლო ალბომის შევსებას ვიწყებ. გრაფაში „შენი საყვარელი ლოზუნგი" ვწერ: „დაცემულს არ სცემენ! " „შენი საყვარელი პროფესია" „იურისტი". „შენი საყვარელი გმირი" „ტომ პეინი და აბრაამ ლინკოლნი". ლინკოლნი სასამართლოს შენობის წინ ზის (გუტსონ ბორგლუმის მიერ ბრინჯაოში ჩამოსხმული) – მამობრივი ზრუნვით აღბეჭდილი, ტრაგიკული გამომეტყველებით: შეხედავ და მაშინვე მიხვდები, რამდენი საფიქრალი და საზრუნავი აქვს. ვაშინგტონი კი, ავტორიტარის იერით, თავისი ცხენის გვერდით დგას და ბროუდ სტრიტს გადმოჰყურებს – ეს ჯ. მესეი რინდის ნამუშევარია (ამ უსახელო და თან სახელოვანი მოქანდაკის გვარი ბლოკნოტებში საგანგებოდ ჩაგვაწერინეს). ხატვის მასწავლებელმა გვითხრა, ეს ორი ქანდაკება ქალაქის სიამაყეაო. მერე წყვილ-წყვილად დაწყობილები ნიუარკის მუზეუმში ნახატების სანახავად მივემართებით. ვაშინგტონი, უნდა გამოვტყდე, საერთოდ არ მაღელვებს. შეიძლება, ცხენია ამის მიზეზი, ანუ ის, რომ ვაშინგტონი ცხენს ეყრდნობა. მოკლედ, მისი გოიობა აშკარად ჩანს. აი, ლინკოლნი კი! ლინკოლნზე შემიძლია ვიტირო. შეხედეთ, როგორი ზის, როგორი მოქანცული! რამდენი იღვაწა ჩაგრულთათვის! მეც ამდენს ვიშრომებ მათთვის!

საყვარელი ებრაელი ბიჭუნა ვარ, არა? აბა რა, ყველაზე საყვარელი ებრაელი ბიჭუნა დედამიწის ზურგზე! ნახეთ, რა მშვენიერი ფანტაზიები მაქვს! კაცობრიობის მხსნელის ფანტაზიები! მშობლების მადლიერი, ტომისა და მოდგმის ერთგული და სამართლის აღსრულებისათვის თავდადებული!

და რა? მეშლებოდა რამე? დაუღალავი შრომა იდეალების აღსრულებისათვის; ცხოვრება ფანატიზმისა და ძალადობის გარეშე; მხიარულად ცხოვრება ჩემნაირი აზროვნების მქონე ადამიანების გვერდით, მიმტევებლობითა და სიყვარულით სავსე ოჯახურ ატმოსფეროში. განა ცუდია, თუ ასეთი რამეების გწამს? რა დაემართა იმ საღ აზრს, რომელიც ცხრა, ათი, თერთმეტი წლისას მქონდა? როგორ მოხდა, რომ საკუთარ თავს მტრად და ჯალათად ვექეცი? და ასეთი მარტოსული გავხდი! ასეთი მარტოსული! საკუთარ თავში ჩაკეტილი! და საკუთარი თავის გარდა არც არაფერზე ვფიქრობ! ჰო, ჩემს თავს უნდა ვკითხო (სწორედ ახლა, როცა თვითმფრინავი – ამწუთას ასე მგონია – ჩემი ტანჯვის წყაროს უფრო და უფრო მაშორებს), რა დაემართა ჩემი ცხოვრების საზრისს, ჩემს ღირსეულ, კეთილშობილურ მიზნებს? სახლი? არ მაქვს. ოჯახი? არც ოჯახი! არადა, ერთიცა და მეორეც თითების გატკაცუნებით შეიძლებოდა მქონოდა... მერე რატომ არ გავატკაცუნე, ჩემს ცხოვრებას რატომ არ მივხედე? იმის მაგიერ, რომ შვილებს საბანს ვუსწორებდე და სარეცელს ერთგულ მეუღლესთან ვიყოფდე (რომელსაც თვითონაც ვუერთგულებდი), ზედიზედ ორ საღამოს ფერხორციანი იტალიელი ბოზი და უწიგნური, ნერვებაწეწილი ამერიკელი მოდელი ერთად ჩავიწვინე საწოლში! თანაც ეს ამბავი სულაც არ ემთხვევა გართობაზე ჩემს წარმოდგენას! აბა, რა ემთხვევა? რა და უკვე გითხარით! როცა ამას გეუბნებოდით, გულწრფელი ვიყავი: შინ ყოფნა და შვილებთან ერთად ჯეკ ბენის გადაცემის მოსმენა! გონიერი, მოსიყვარულე, ჯანსაღი ბავშვების აღზრდა! კარგი ქალის მეუღლეობა და მფარველობა! ღირსების გრძნობით ცხოვრება! სიჯანსაღე! სიყვარული! ყოველდღიური გარჯა! გონიერება! ურთიერთნდობა! თავაზიანობა! შემართება! თანაგრძნობა! რა ჯანდაბად გადავაკვდი ამ აწყვეტილ სექსს? როგორ დავემონე ისეთ მარტივ, ისეთ ბრიყვულ რამეს, როგორიც ქალის საშოა? რა სეირი იქნება, ბოლოს ვენერიული დაავადება რომ აღმომაჩნდეს! ჩემს ასაკში! დარწმუნებული ვარ: იმ

ლინასგან ნამდვილად რაღაც ავიკიდე! დროის ამბავია, დიდხანს ლოდინი არ დამჭირდება: ცოტაც და შანკრი აღმომაჩნდება! მაგრამ მე ლოდინს ვერ დავიწყებ, არ შემიძლია: ჩავალ თუ არა თელ-ავივში, მაშინვე ექიმთან მივალ, შანკრის ან სიბრმავის პირველი ნიშნების გამოაშკარავებამდე!

ოღონდ იმ გოგოს გვამს რაღა ვუყოთ, სასტუმროსთან რომ გდია? დარწმუნებული ვარ, ამ წუთისთვის თავისი მუქარა უკვე აღსრულებული ექნება. ნამდვილად გადახტებოდა იმ აივნიდან ტრუსის ამარა. ან, მსოფლიოში ყველაზე ციცქნა ბიკინის ამარა, ზღვაში შევიდოდა და თავს დაიხრჩობდა. არა, საწამლავს დალევდა მთვარის შუქით განათებულ აკროპოლისთან – „ბალენსიაგას“ საღამოს კაბაში გამოწყობილი! თავცარიელი, ექსჰიბიციონისტი, თვითმკვლელობის იდეით შეპყრობილი ბოზანდარა! ნუ გეშინია, ისე მოახერხებდა, რომ სანახაობა ფოტოგენური ყოფილიყო – ქალის საცვლების რეკლამას დაამსგავსებდა! როგორც ყოველთვის, „სანდი მეგეზინის“ შესაბამის რუბრიკაში იქნება, ოღონდ ამჯერად – მკვდარი! უნდა დავბრუნდე, სანამ ეს უაზრო თვითმკვლელობა სამუდამოდ დამწოლია სინდისზე! ჰარპოსთვის უნდა დამერეკა! ეს აზრადაც არ მომივიდა – უბრალოდ, ავდექი და გამოვიქეცი. უნდა მეიძულებინა, რომ თავისი ექიმისთვის დაერეკა. დაელაპარაკებოდა კი ექიმი? რაღაც ეჭვი მეპარება! ეგ ენაგადაყლაპული ნაბიჭვარი ვალდებულია, პაციენტს მანამდე დაელაპარაკოს, სანამ ის გამოუსწორებელ რამეს ჩაიდენს: შურს იძიებს! მოდელმა ამფითეატრში ყელი გამოიჭრა. სპექტაკლი „მედეა“ თვითმკვლელობის გამო ჩაიშალა... მერე მის უკანასკნელ წერილს იპოვიან და გამოაქვეყნებენ – ალბათ ბოთლში ჩადებულს და საშოში შენახულს. „ჩემს სიკვდილში დამნაშავე ალექსანდერ პორტნოია. მან მაიძულა, ბოზთან დავწოლილიყავი და მერე პატიოსან ქალად აღარ მაქცია. მერი ჯეინ რიდი“. მადლობა ღმერთს, ამ სულელის მართლწერის გადამკიდე, კაციშვილი ვერაფერს გაიგებს! ბერძნებისთვის ხომ სულ ჩინური იქნება! ამის დიდი იმედი მაქვს.

აჰა, გავრბივარ! თვითმფრინავით მივიპარები – ოღონდ ვისგან და რისგან? ადამიანისგან, რომელსაც უნდოდა, წმინდანად ვექციე! არ ვარ წმინდანი! არც არასდროს მნდომებია, რომ ვყოფილიყავი – თავშიც არასდროს გამივლია! არა და არა! სასაცილო იქნება, რომ ამის გამო თავს დამნაშავედ ვგრძნობდე! ამის გაგონებაც არ მინდა! თუ თავს მოიკლავს... თუმცა, არა, ამას არ გააკეთებს. თვითმკვლელობაზე ბევრად საშინელ რამეს ჩაიდენს: მერს დაურეკავს! აი, ამიტომ გავრბივარ! არა, არ დაურეკავს. როგორ არა, დაურეკავს. ნამდვილად დაურეკავს! ალბათ უკვე დაურეკა კიდეც. გახსოვთ? ნიღაბს ჩამოგხსნი, ალექს! ჯონ ლინდსეის დავურეკავ! ჯიმი ბრესლინს დავურეკავ! ისეთი გარეკილია, რომ ამას მართლა გააკეთებს! ბრესლინი, ის პოლიციელი! საპოლიციო განყოფილების გენიოსი! ოჰ, ღმერთო, მაშინ სჯობს, მოკვდეს! მიდი, გადახტი, შე წერა-კითხვის უცოდინარო, დესტრუქციულო ბოზანდარავ – ჩემს გადახტომას ისევ შენი გადახტომა სჯობს! ეგღა მაკლია, აქეთ-იქით რეკვა დაიწყო: ცხადად ვხედავ, როგორ გამოდის ქუჩაში მამაჩემი სადილობის შემდეგ, იქვე, კუთხეში „ნიუარკ ნიუზს“ შლის და, აჰა, აღსრულდა, მისი ძვირფასი შვილის ფოტოს ქვეშ უზარმაზარი ასოებით, მსხვილი შრიფტით წერია: სკანდალი! ან საღამოს შვიდ საათზე ტელევიზორს საინფორმაციო გადაცემის მოსასმენად რთავს, ზუსტად ამ დროს კი ჩბშ-ის კორესპოდენტი ათენში საავადმყოფოს საწოლთან დგას და მანქისგან ინტერვიუს იღებს. „პორტნოი, დიახ, სწორია: დიდი პ, მერე ო, მერე, მგონი, რ... ოჰ, დანარჩენი აღარ მახსოვს, მაგრამ ჩემს სველ საშოს გეფიცებით, მისტერ რად, მაიძულა, ბოზთან დავწოლილიყავი! “ არა, არა, არ ვაჭარბებ: გაიხსენეთ რა პიროვნებაა, უფრო სწორად, როგორი უპიროვნოა. ლას ვეგასი გახსოვთ? ხომ გახსოვთ, რა თავზეხელაღებული ვინმეა? მაშინ მიხვდებით, რომ ეს მხოლოდ ჩემი სინდისის ქენჯნა არ არის. არა, შურისძიების რამდენი ხერხიც არ უნდა მოვიგონო, ეგეც მაგდენივეს მოიგონებს! დამიჯერეთ, მერი

ჯეინ რიდი ჯერ კიდევ იტყვის თავის სიტყვას. თურმე უნდა გადამერჩინა და არ გადავარჩინე. პირიქით, ვაიძულებდი, ბოზებთან დაწოლილიყო! ჰოდა, ნუ გგონიათ, რომ მერი ჯეინ რიდმა ბოლო სიტყვა უკვე თქვა!

ქვემოთ კი, ჩემი გულის გასახეთქად, დიდი სილურჯეა გადაშლილი: ეგეოსის ზღვა. კვახუნას, პოეზიით გატაცებული ჩემი ამერიკელი გოგოს ოცნება! სოფოკლე! ღმერთო, რამდენი ხნის წინ იყო ეს ყველაფერი! ოჰ, კვახუნა, გეხვეწები, კიდევ ერთხელ გამიმეორე: „რატომ უნდა მომინდეს სარწმუნოების შეცვლა? " აი, ადამიანი, რომელმაც ნამდვილად იცოდა, ვინ იყო და რა უნდოდა! და ისეთი საღი ფსიქიკა ჰქონდა, რომ ჩემში მხსნელს და გადამრჩენელს არ ეძებდა! არც ჩემს დიად სარწმუნოებაზე მოქცევა სჭირდებოდა! რამდენი ლექსი წამიკითხა ენტიოქ-კოლეჯში, როგორ განმანათლა ლიტერატურაში, სრულიად ახალი პერსპექტივა გადამიშალა, ხელოვნების აღქმა მასწავლა... ოჰ, რატომ გავუშვი ხელიდან, რატომ? თვითონაც ვერ დამიჯერებია... ნუთუ იმიტომ, რომ ებრაელობა არ ისურვა? „სევდის უსასრულო ბგერა...", „ადამიანთა ჭირ-ვარამის მღვრიე მორევი..."

ეს არის ადამიანთა ჭირ-ვარამი? რატომღაც ვთვლიდი, რომ ეს უფრო ამაღლებული განცდა უნდა ყოფილიყო! ტანჯვის ღირსეულად ატანა – ალბათ ლინკოლნისებურად! ტრაგედია და არა ფარსი! უფრო სოფოკლეს ტრაგედიების მსგავსი. დიდი განმათავისუფლებელიდა ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, აზრადაც არ მომივიდოდა, რომ ეს დიდი გათავისუფლება ბოლოს რის, რის და ჩემი დამონებული ასოს გათავისუფლებამდე დავიდოდა. თავისუფლება ჩემს სირს! აი, ეს არის პორტნოის სლოგანი. ჩემი ცხოვრების ისტორია ამ სამი ჰეროიკულ-ვულგარული სიტყვით გადმოიცემა. პაროდიაა და მეტი არაფერი! მთელი ჩემი პოლიტიკა ჩემს ასომდე დაიყვანება! მნძრეველებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! აღარაფერი გაქვთ დასაკარგი, გარდა ჭკუისა! ღმერთო, რა გარეკილი ვარ! არავინ და არაფერი არ

მიყვარს! არც მე მიყვარს და არც მე ვუყვარვარ ვინმეს! და სადაცაა, ჯონ ლინდსის პროფიუმოგავხდები!

ასე მეჩვენებოდა ყველაფერი ათენიდან ერთი საათის წინ გამოქცეულს.

თელ-ავივი, იაფა, იერუსალიმი, ბერ-შევა, მკვდარი ზღვა, სედომი, ენ-გედი, მერე ჩრდილოეთით: კესარია, ჰაიფა, აკო, ტიბერია, საფედი, ზემო გალილეა... უფრო სიზმარს ჰგავდა ეს ყველაფერი, ვიდრე ცხადს. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ მძაფრ შეგრძნებებს ვეძებდი. ჩემი თანამგზავრის წყალობით, საბერძნეთსა და რომში უამრავი დაუჯერებელი რამე გამოვცადე. გაქცევის იმ იმპულსისთვის, რომელმაც „ელ ალის" ბორტზე ამომაყოფინა თავი და თავგზააბნეული ლტოლვილიდან კიდევ ერთხელ მაქცია კაცად, რაღაც აზრის მიცემა მინდოდა – ნებისყოფის მოკრებით, საკუთარი განზრახვების გაცნობიერებით. ის უნდა მეკეთებინა, რაც მინდოდა და არა ის, რაც ვალდებული ვიყავი, რომ მეკეთებინა. ჰოდა, ამ ქვეყანაში მოგზაურობა ისე დავიწყე, თითქოს ეს გზა წინასწარ დამეგეგმოს: გააზრებულად, სურვილის კარნახით, ბანალური, მაგრამ მოსაწონი მიზეზების გამო. დიახ, შემეძლო(რაკი, რატომღაც, უკვე აქ ვიყავი) ჩემი მოგზაურობისთვის საგანმანათლებლო დანიშნულება მიმენიჭებინა. შემეძლო თვითგანვითარებას შევდგომოდი, რაც, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად მაქვს ბუნებაში. თუ მქონდა? მქონდა, არა? წიგნებს დღემდე ფანქრით შეიარაღებული ხომ ამიტომ ვკითხულობ? ვსწავლობ, არა? ვსწავლობ, რომ უკეთესი გავხდე (ვისზე უკეთესი?)... ასეა თუ ისე, საწოლზე წამოწოლილი რუკებს ვათვალიერებდი, ისტორიულ და არქეოლოგიურ წიგნებს ვყიდულობდი და ჭამის დროს ვკითხულობდი, გიდებს ვიყვანდი, მანქანებს ვქირაობდი – იმ პაპანაქებაში ძიების სურვილი არ მასვენებდა და რისი ნახვაც შემეძლო, სულო და გულო, ყველაფერი ვნახე: სამარხები, სინაგოგები, ციხე-სიმაგრეები, მეჩეთები, უძველესი სალოცავები, ნავმისადგომები თუ ნანგრევები

– ძველიც და ახალიც. დავათვალიერე კარმელის მღვიმეები, შაგალის ვიტრაჟები (ასამდე ქალბატონთან ერთად დეტროიტის ქალთა სიონისტური ორგანიზაციიდან), ებრაული უნივერსიტეტი, ბეითშეანის გათხრები. მოვიარე მწვანეში ჩაფლული კიბუცები, გადამწვარი უდაბნოები და მთის ძნელად მისადგომი სასაზღვრო პუნქტები. მასადის მთაზე ასასვლელ ბილიკებსაც კი ავუყევი, სანამ მზე არტილერიული ცეცხლით დაუზოგავად მცხრილავდა. ყველაფერი, რაც ვნახე, გასაგები და იოლად გასათავისებელი მეჩვენა. ეს იყო ისტორია. ეს იყო ბუნება. ეს იყო ხელოვნება. ნეგევის უდაბნოც კი, ეს ჰალუცინაცია, ქვეყნიერების კიდედ აღვიქვი. რაც ყველაზე დაუჯერებელ და უცნაურ ამბად მეჩვენა – არც მკვდარ ზღვას გავუოცებივარ ასე და არც იდუმალ სინას უდაბნოს, სადაც ერთი საათის განმავლობაში დავეხეტებოდი მცხუნვარე მზის ქვეშ, თეთრ კლდეებს შორის, იქ, სადაც (ეს ტურისტულ ცნობარში ამოვკითხე) ებრაელთა ტომს ასე დიდხანს უხეტიალია (სამახსოვროდ ქვა ავიღე, რომელიც ამწუთასაც ჯიბეში მიდევს; როგორც გიდმა მითხრა, სწორედ ასეთი ქვა გამოუყენებია ციფორას მოსეს ვაჟის წინადასაცვეთად)... რამაც სრულიად გამაოგნა, მარტივი, მაგრამ ყოვლად დაუჯერებელი ფაქტი იყო: მე ებრაელების ქვეყანაში ვიყავი. ამ ქვეყანაში ყველა ებრაელი იყო.

ჩემი სიზმარი თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე იწყება. ვდგავარ აეროპორტში, რომელშიც აქამდე არასდროს ვყოფილვარ და თითოეული ადამიანი, რომელსაც ვხედავ – მგზავრები, ბორტგამცილებლები, ბილეთების გამყიდველები, მებარგულები, მფრინავები, ტაქსის მძღოლები – ებრაელია. ძალიან განსხვავდება ეს სიზმარი იმათგან, თქვენი პაციენტები რომ გიყვებიან? ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც ნორმალურ ადამიანს შეიძლება დაესიზმროს? მაგრამ სად გაგონილა, ასეთი რამ ცხადში ხდებოდეს? კედლებზეც კი სულ ებრაული წარწერებია – ებრაული გრაფიტი! დროშა ებრაულია.

ხალხს ისეთი სახეები აქვს, როგორიც ჩენსელორ ავენიუზე. ჩემი მეზობლების, ბიძების, მასწავლებლების, მშობლების და ბავშვობის მეგობრების სახეები! სახეები, რომლებიც ჩემს სახეს ჩამოჰგავს! ოღონდ ამათ თეთრი კედლის, მწველი მზის და ეკლიანი ტროპიკული მცენარეულობის ფონზე ვხედავ. არა, ეს მაიამი ბიჩი არ არის! ესენი აღმოსავლეთ ევროპული სახეებია, ოღონდ აფრიკიდან ხელის გაწვდენაზე! ეს მოკლეშარვლიანი კაცები იმ ებრაული საზაფხულო ბანაკების მწვრთნელებს ჰგვანან, სადაც სტუდენტურ არდადეგებზე ვმუშაობდი ხოლმე, ოღონდ ახლა საზაფხულო ბანაკში არ ვარ. სახლში ჩამოვედი, სამშობლოში! ესენი ნიუარკელი მასწავლებლები კი არ არიან, რომლებიც ნიუ-ჯერსის შტატში მდებარე ჰოპატკონგის მთებში ორი თვით გაემგზავრნენ. ესენი (რა ვქნა, სხვა სიტყვა არ მაგონდება) აბორიგენები გახლავთ! დავბრუნდი! აი, აქ დაიწყო ყველაფერი! მე, უბრალოდ, დიდხანს მომიწია არდადეგებზე ყოფნამ – ეგ არის და ეგ! ეჰეჰეჰე! აქ ჩვენ ვართ პილიგრიმებიც და მათი ჩამომავლებიც! ტაქსი დიდ მოედანს კვეთს, სადაც გარშემო სულ ღია კაფეებია – პარიზში ან რომში რომ გინახავთ, ისეთი. ოღონდ ეს კაფეები ებრაელებითაა გადაჭედილი. მერე ტაქსი ავტობუსს უსწრებს. მის ფანჯრებში ვიხედები. იქაც სულ ებრაელები სხედან. მძღოლიც ებრაელია. პოლიციელიც, რომელიც საგზაო მოძრაობას არეგულირებს. სასტუმროში რეგისტრატორს ნომერს ვუკვეთავ. თხელი ულვაში აქვს და ინგლისურად რონალდ კოლმანივით ლაპარაკობს. ოღონდ ესეც ებრაელია.

მერე დრამა მეტ სიმძაფრეს იძენს.

შუაღამეს გადასცდა. ამ საღამოს ზღვის სანაპიროს გასწვრივ ვსეირნობდი მხიარულ, სიცოცხლით სავსე ებრაელებს შორის – ებრაელები ნაყინს ჭამდნენ, ებრაელები გაზიან წყალს სვამდნენ, ებრაელები მუსაიფობდნენ, იცინოდნენ, მკლავგაყრილები დასეირნობდნენ. მერე სასტუმროს გზას დავადექი და აღმოჩნდა, რომ ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო. ბულვარის ბოლოში, რომელიც

სასტუმრომდე მისასვლელად უნდა გამევლო, ხუთი ახალგაზრდა დავინახე, რომლებიც სიგარეტს აბოლებდნენ და საუბრობდნენ. რა თქმა უნდა, ხუთი ებრაელი ახალგაზრდა... აი, მათ ვუახლოვდები და ჩემთვის ცხადი ხდება, რომ ჩემს მოახლოებას ელოდებიან. ერთ-ერთი ნაბიჯს წინ დგამს და ინგლისურად მომმართავს: „საათს ვერ მეტყვით?" მაჯის საათზე ვიხედები და ვხვდები, რომ ესენი გავლის საშუალებას არ მომცემენ. ჩემზე თავდასხმა აქვთ ჩაფიქრებული! ოღონდ განა ეს შესაძლებელია? ესენიც ებრაელები არიან, მეც ებრაელი ვარ და ვითომ რატომ უნდა დამიშავონ რამე, რა მიზეზით?

უნდა ვუთხრა ამათ, რომ შეცდომა მოსდით. დარწმუნებული ვარ, სულაც არ უნდათ, ისე მომექცნენ, როგორც ანტისემიტების ბანდა მომექცეოდა. „უკაცრავად", – ვამბობ და მათ შორის გავლას ვცდილობ, თან მინდა, ფერდაკარგულ სახეზე, რაც შეიძლება, მკაცრი გამომეტყველება მედოს.ერთ-ერთი მომძახის: „საათი, მისტერ...?" მე საპასუხოდ ნაბიჯს ვუჩქარებ და სასტუმროსკენ სწრაფად მივემართები. ვერ ვხვდები, რატომ უნდა ნდომებოდათ ჩემი შეშინება, ჩვენ ხომ ყველანი ებრაელები ვართ!

ძნელად ასახსნელი ამბავია, ხომ მეთანხმებით?

ნომერში დაბრუნებისთანავე შარვალს და ტრუსს ვიხდი და მაგიდის ლამპის შუქქვეშ პენისის დათვალიერებას ვიწყებ. ორგანო დაუზიანებელი მხვდება, ინფექციის ნიშნებს ვერ ვამჩნევ, მაგრამ გულზე არა და არ მეშვება. ზოგ შემთხვევაში (ალბათ ეს ის შემთხვევებია, რომლებიც ყველაზე ძნელად იკურნება) შესაძლებელია, რომ ინფექციის ნიშნები გარეგნულად არც გეტყობოდეს. დაუძლურების პროცესი – ფარულად და უხილავად – სხეულის შიგნით მიმდინარეობს, სანამ სნეულება განუკურნებელი არ გახდება. მერე პაციენტი უკვე განწირულია.

დილით ქუჩის ხმაური მაღვიძებს. ჯერ შვიდი საათია, მაგრამ ფანჯრიდან რომ ვიხედები, უკვე ხალხით გადაჭედილ პლაჟს ვხედავ. რა საოცარი სანახავია ეს სანაპირო ასე დილაადრიან – არადა,

შაბათი დღეა და ველოდი, რომ ქალაქში ღვთისმოსაობისა და კეთილგონიერების ატმოსფერო დამხვდებოდა. მე კი ისევ ებრაელების დიდ ჯგუფს ვხედავ და, გუშინდელის არ იყოს, დღესაც ყველა მხიარულობს. ასოს დილის მკვეთრ სინათლეში ვითვალიერებ და, ისევ გუშინდელის არ იყოს, ვაცნობიერებ, რომ სრულიად ჯანსაღად გამოიყურება.

ნომრიდან გავდივარ და ბედნიერ ებრაელებთან ერთად ზღვაში სადგაფუნოდ სანაპიროსკენ მივემართები. საბანაოდ იქ ვჩერდები, სადაც ყველაზე მეტი ხალხია. ებრაელებით სავსე ზღვაში ვდგაფუნობ! აცელქებული, გაონავრებული ებრაელები! ერთი ამ ებრაულ ხელებს და ფეხებს შეხედეთ, ებრაულ წყალს რომ აქაფებენ! ებრაელი ბავშვების სიცილს უსმინეთ! როგორ იქცევიან, თითქოს ამათია აქაურობა! .. და არის კიდეც! აი, მაშველიც გამოჩნდა – კიდევ ერთი ებრაელი! მთელ პლაჟზე, ზემოთ თუ ქვემოთ, სადამდეც თვალი მიმიწვდება, სულ ებრაელები არიან. ამ მშვენიერ დილით ისე გამოლაგებულან, თითქოს ვიღაცას სიუხვის რქა გადმოეპირქვავებინოს. პლაჟზე ვიშოტები, თვალებს ვხუჭავ. ზემოდან ძრავის გუგუნი მესმის: საშიში არაფერია, ეს ებრაული თვითმფრინავია. ჩემ ქვემოთ თბილი ქვიშაა: ებრაული ქვიშა! მერე ებრაელი დამტარებლისგან ებრაულ ნაყინს ვყიდულობ. „ერთ რამედ ღირს! – ვეუბნები საკუთარ თავს, – ებრაელების ქვეყანა! " სათქმელად იოლია, გასაგებად კი – არც ისე იოლი. ბოლომდე თავადაც ვერ გამირკვევია ყველაფერი. ალექსი საოცრებათა ქვეყანაში!

ნაშუადღევს მწვანეთვალება, ხორბლისფერკანიან ახალგაზრდა ქალს ვუმეგობრდები – ისრაელის არმიის ლეიტენანტს. ღამით საპორტო ბარში მივყავარ. აქაური კლიენტურა, ძირითადად, პორტის მტვირთავებისგან შედგებაო, – მეუბნება ლეიტენანტი. ებრაელი მტვირთავებისგან-მეთქი? – ვეკითხები. კიო. ვიცინი და მეკითხება, ამაში ასეთი სასაცილო რა არისო. აღფრთოვანებული ვარ მისი პატარა, გემრიელი სხეულით, რომელზეც განიერი ხაკისფერი ქამარი

აქვს მოჭერილი. მაგრამ რა სწორხაზოვანი, იუმორის გრძნობას მოკლებული და თავდაჯერებული არსებაა! ენაც რომ ვიცოდე, ეს ქალი შეკვეთის უფლებას, ალბათ, მაინც არ მომცემდა.

– რომელი გირჩევნია, – მეკითხება, როცა თითო ბოთლ ებრაულ ლუდს ბოლომდე ვცლით, – ტრაქტორები, ბულდოზერები თუ ტანკები?

ისევ მეცინება.

სასტუმროში ვპატიჟებ. ნომერში ვჭიდაობთ, ერთმანეთს ვკოცნით, ტანზე გახდას ვიწყებთ და უცებ ერექცია მეკარგება.

– ხედავ, – მეუბნება ლეიტენანტი, თითქოს საკუთარი ეჭვის საფუძვლიანობაში დარწმუნდაო, – ოდნავადაც კი არ მოგწონვარ.

– როგორ არ მომწონხარ, – ვპასუხობ, – ზღვაში დაგინახე თუ არა, მაშინვე მომეწონე. აბა, რას ამბობ! ნახე, როგორი გლუვი კანი გაქვს, პატარა სელაპივით...

მარცხით ნირწამხდარი და დაბნეული ენად ვიკრიფები:

– იცი რა, მგონი, ავად ვარ. ახლა ჩემგან წესიერი საქციელი არ იქნება...

– ესეც ძალიან სასაცილო გგონია? – კბილებში სცრის, უნიფორმას გაღიზიანებული იცვამს და მიდის.

სიზმრები? ნეტავ სიზმრებს ვხედავდე! მაგრამ მე სიზმრები არ მჭირდება, ექიმო, ამიტომაა, რომ იშვიათად ვხედავ – სიზმრებს ცხოვრება მიცვლის. რასაც სხვა სიზმრად ხედავს, მე დღისით, მზისით მემართება ხოლმე! შეუსაბამობები და მელოდრამატული სიტუაციები – ეს არის პური ჩემი არსობისა! სიზმრების, ოცნებების დამთხვევები, სიმბოლოები, შემზარავად სასაცილო სიტუაციები, უცნაურად ავისმომასწავებელი ბანალობები, უბედური შემთხვევები და დამცირებები, იღბლიანობისა და უიღბლობის ლოგიკური მონაცვლეობა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც სხვები თვალდახუჭულები განიცდიან, მე ამ ცხოვრებაში თვალღიამ უნდა ვნახო! იცნობთ

ჩემ გარდა ვინმეს, ვისაც საკუთარი დედა დანამოღერებული დამუქრებია? სხვა ვის გაუმართლა ისე, რომ კასტრაციის საფრთხე ასე პირდაპირ, დედისაგან გამოეცადოს? თითქოს დედაჩემის ამბავი საკმარისი არ იყოს, აბა, ვის ჰქონია გაჯიუტებული ცალი კვერცხი, რომელიც ქვემოთ ჩამოსვლაზე უარს უცხადებდა? კვერცხი, რომელსაც ხვეწნა-მუდარა, დარწმუნება და ჭიდაობა სჭირდებოდა, რომ თავის ადგილას დაბრუნებულიყო და სათესლე პარკში კაცურად ეცხოვრა? შიკსეების დევნაში ვინმეს ფეხი თუ მოუტეხავს? პირველ ქალთან სექსის დროს, ჩემ გარდა, თვალში ვინმეს შეუსხამს? სხვა ვინ მოახერხებდა ნიუ-იორკის ქუჩებში ცოცხალი მაიმუნის, ბანანისადმი ვნებითშეპყრობილი გოგოს პოვნას? თქვენი პაციენტები, ექიმო, ალბათ სიზმრებს ხედავენ – მე ყველაფერი ცხადში მემართება. ჩემს ცხოვრებაში ფარული შინაარსები არ არსებობს. სიზმარი ცხადად მექცა! ისრაელის სახელმწიფოში არ ამიდგა, ექიმო! რა სიმბოლურია, ბუბი, არა? აბა, ვინ მაჯობებს ქვეცნობიერი ფსიქიკური პროცესების გამომჟღავნებაში? აღქმულ მიწაზე ერექცია ვერ შევინარჩუნე! რაღა მაინცდამაინც მაშინ, როცა მჭირდებოდა, როცა მინდოდა, როცა შესადებად საკუთარ მომუჭულ ხელზე სასურველი ობიექტი მყავდა! აღმოჩნდა, რომ ტაპიოკას პუდინგს ვერავისაც ვერ შეუდებ! ამ გოგოს ხომ სწორედ ტაპიოკას პუდინგს ვთავაზობდი! სველ ბისკვიტს! რბილსა და ერთი ბეწოს... ამ დროს კი თავდაჯერებული პატარა ლეიტენანტი, რომელიც ამაყად წამომართულ ისრაელურ ძუძუებს თვალწინ მიქნევდა, ტანკისტების მეთაურის შეტევას ელოდა!

მეორე შემთხვევაც იყო, რომელიც ამაზე უარესად დასრულდა. ჩემი საბოლოო დაცემა და დამცირება – ნაომი, ებრაელი კვახუნა. ჰეროიკული არსება, მამაცი, ჟღალთმიანი, დაჭორფლილი, იდეოლოგიით გაჟღენთილი გოგო! ლიბანის საზღვართან, ჰაიფას გზაზე დავიმგზავრე. ერთ-ერთ კიბუცში მშობლების მოსანახულებლად ჩამოსულიყო. ოცდაერთი წლის და ექვსი ფუტი სიმაღლის გახლდათ –

ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ზრდა ჯერ არ დაესრულებინა. მისი მშობლები ფილადელფიელი სიონისტები იყვნენ, რომლებიც პალესტინაში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ჩამოვიდნენ. ჯარში მსახურობის ვადის გასვლის შემდეგ ნაომიმ გადაწყვიტა, რომ იმ კიბუცში კი არ დაბრუნებულიყო, სადაც დაიბადა და გაიზარდა, არამედ ახალგაზრდა ისრაელელების კომუნაში დასახლებულიყო. ისინი სირიის საზღვრის სიახლოვეს, მთებში, მიტოვებული დასახლებების მიწას ვულკანური წარმოშობის შავი ლოდებისგან წმენდნენ. მძიმე სამუშაო იყო, საცხოვრებელ პირობებს პრიმიტიული ეთქმოდა. გარდა ამისა, მათ ბანაკს მუდმივად ემუქრებოდა იმის საფრთხე, რომ ხელყუმბარებით და ნაღმებით შეიარაღებული სირიელი ჯაშუშები ღამით საზღვარზე გადმოიპარებოდნენ. ნაომის ეს ამბავი მოსწონდა. შესანიშნავი, ყოჩაღი გოგო! ებრაელი კვახუნა! მოკლედ, მეორე შანსი მომეცა.

საინტერესო ამბავია. ეს გოგონა ჩემს დაკარგულ კვახუნას მახსენებდა, არადა, ფიზიკურად, რა თქმა უნდა, დედაჩემს ჰგავდა. ფერები, სიმაღლე და როგორც გაირკვა, ხასიათიც მისი ჰქონდა – საქმეების გარჩევა და დამნაშავის ძიება უყვარდა და მალე ჩემს პროფესიონალ კრიტიკოსად გადაიქცა. მისი მამაკაცი სრულყოფილების განსახიერება უნდა ყოფილიყო. მე სრულიად დავბრმავდი: ვერ შევნიშნე, როგორი მსგავსება იყო ამ გოგოსა და დედაჩემის იმ ფოტოს შორის, მის სასკოლო ალბომში რომ ვხედავდი ხოლმე.

ახლა მიხვდებით, რა ისტერიკა მჭირდა ისრაელში და როგორი ტვინამღვრეული ვიყავი. მანქანაში რომ ჩამიჯდა, რამდენიმე წუთში თავს უკვე სერიოზულად ვეკითხებოდი: რა იქნება, ცოლად რომ მოვიყვანო და აქ დავრჩე, მთაში დავსახლდე და ახალი ცხოვრება დავიწყო-მეთქი.

კაცობრიობის ბედ-იღბალზე სერიოზული საუბარიც იქვე, მანქანაში დავიწყეთ. მეტყველება სავსე ჰქონდა იმ მგზნებარე ლოზუნგე-

ბით და ფრაზებით, მოზარდობის ხანიდან რომ მახსოვდა. სამართლიანი საზოგადოება. სახალხო ბრძოლა. პიროვნების თავისუფლება. საზოგადოებრივად პროდუქტიული ცხოვრება. ვინ იცის, რამდენად ბუნებრივია ამის იდეალიზმი-მეთქი, – ვფიქრობდი. ჰო, ზუსტად საჩემო გოგო იყო – სადა, უმანკო, გულკეთილი, ზაფტიგიდა გაურყვნელი. რა თქმა უნდა! ყელში ამოვიდა ეს ვარსკვლავები, მოდელები, ბოზები და ამათი ნებისმიერი კომბინაცია! აღარ მინდა სექსუალური ექსტრავაგანტურობა – აღარც ის მაზოხისტური ექსტრავაგანტურობა, რომელშიც ვცხოვრობ. არა, ახლა სიმარტივე მინდა, სიჯანსაღე მინდა, ეს გოგო მინდა!

ინგლისურად უნაკლოდ ლაპარაკობდა, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ლიტერატურული ენით და ერთგვარი ევროპული აქცენტითაც კი. მასში ისეთი ამერიკელი გოგოს ნიშნებს ვეძებდი, როგორიც აუცილებლად იქნებოდა, მისი მშობლები ფილადელფიიდან რომ არ გადმოსახლებულიყვნენ. ჩემი დაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო-მეთქი, – ვფიქრობდი. კიდევ ერთი მაღალი დაიკო მაღალი იდეალებით. ისიც კი წარმოვიდგინე, როგორ გადმოსახლდებოდა ჰანა ისრაელში, მხსნელად მორტი რომ არ გამოსჩენოდა. მე ვინღა მიხსნიდა? ჩემი შიკსეები? არა, არა, ისინი ხომ მე უნდა მეხსნა და გადამერჩინა. ჩემი ერთადერთი საშველი ეს ნაომი იყო! თმა, ბავშვივით, ორ გრძელ ნაწნავად დაეწნა, რაც, რა თქმა უნდა, რაღაც ხრიკი იყო, რაღაც ტრიუკი, რომ სოფი გინსკის სკოლისდროინდელი ფოტო არ გამხსენებოდა – იმ სოფის ფოტო, ვისაც ბიჭები „თავწითელას“ ეძახდნენ და დიდი მუქი თვალებისა და კარგი თავის პატრონს დიდ მიღწევებს უქადდნენ. საღამოს, მას მერე, რაც უძველესი არაბული ქალაქი აკო დამათვალიერებინა (მე თვითონ ვთხოვე), ნაომიმ ნაწნავები თავზე ორფად შემოირტყა. მახსოვს, მაშინ გავიფიქრე, ბებიაჩემივით-მეთქი. „როგორ არ ჰგავს იმ ჩემს მოდელს, სალონ „კენეტიზში“ საათობით რომ ზის, ნაირ-ნაირი პარიკებითა და შინიონებით რომ დადის.

როგორ შეიცვლება ჩემი ცხოვრება! სულ სხვა კაცად ვიქცევი ამ ქალის გვერდით! "

თურმე ღამით ტრიალ მინდორზე დაბანაკებას და საძილე ტომარაში დაძინებას აპირებდა. ერთკვირიან არდადეგებზე თავისი დასახლებიდან იმ რამდენიმე ფუნტის ამარა წამოსულიყო, დაბადების დღეზე მშობლებს რომ ეჩუქებინათ. მითხრა, ჩემი მეგობრებიდან ყველაზე ფანატიკურად განწყობილები მშობლებისგან ამ მცირე საჩუქარსაც არ მიიღებდნენ დაალბათ მეც გამკიცხავენ, ფულის აღება რომ არ ვიუარეო. დაწვრილებით მომითხრო, მის ბავშვობაში როგორი ცხარე დისკუსია გაიმართა მისი მშობლების კიბუცში იმ ფაქტის გამო, რომ დასახლებაში ზოგს ჰქონდა მაჯის საათი, ზოგს კი – არა. კიბუცის წევრებს რამდენიმე ხმაურიანი თავყრილობის შემდეგ გადაუწყვეტიათ, რომ საათს ყოველ სამ თვეში ერთხელ პატრონი უნდა გამოეცვალა.

დღისით, სადილის დროს და საღამოს, როცა აკოს ნავსადგურის რომანტიკული გალავნის გასწვრივ ვსეირნობდით, სულ ჩემს ცხოვრებაზე ვუამბობდი. მერე შევთავაზე, მოდი, ჰაიფაში, სასტუმროში წამომყევი და რამე ერთად მოვწრუპოთ-მეთქი. დამთანხმდა. მითხრა, რომ ჩემი ნაამბობის შესახებ ბევრის თქმა სურდა. მინდოდა მეკოცნა, მაგრამ გავიფიქრე, ვაი და, რომელიმე ვენერიული დაავადება მართლა ავიკიდე-მეთქი. ექიმთან ჯერ არ ვიყავი ნამყოფი – ნაწილობრივ იმიტომ, რომ უცხო ადამიანისთვის ბოზებთან ჩემი ურთიერთობის შესახებ მოყოლა დიდად არ მეპიტნავებოდა. მთავარი კი ის იყო, რომ სნეულების ვერანაირ ნიშანს თავს ვერ ვატყობდი. აშკარად არაფერი მჭირდა და ექიმი არ მჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, იმ გოგოს სასტუმროში რომ ვპატიჟებდი, თავს ძალა დავატანე, რომ ცდუნებას არ ავყოლოდი და მის სპეტაკ სოციალისტურ ბაგეებს არ დავწაფებოდი.

– ამერიკული საზოგადოება, – ნაომიმ ზურგჩანთა და საძილე ტო-

მარა იატაკზე დაყარა და ჰაიფას გზაზე დაწყებული ლექცია განაგრძო, – მხოლოდ თვალს კი არ ხუჭავს ადამიანთა შორის უთანასწორო ურთიერთობებზე, არამედ ხელსაც კი უწყობს მათ. განა შეიძლება ამის უარყოფა? არა! მუდმივი კონკურენცია, ქიშპი, შური, გაუტანლობა – ადამიანის ბუნებაში მთვლემარე ყველა ამ ბოროტებას სისტემა კვებავს. ფული, საკუთრება, ქონება – ამგვარი მახინჯი სტანდარტებით საზღვრავთ თქვენ, ადამიანები, ბედნიერებას და წარმატებას. – საწოლზე ფეხმორთხმით მოკალათდა, საუბარს კი ისევ აგრძელებდა: – თქვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმ მინიმალურ სახსარს არის მოკლებული, რომელიც ღირსეულად ცხოვრებისთვის სჭირდება. ესეც სიმართლე არ არის? თქვენი სისტემა არსით ექსპლუატატორული, დამამცირებელი და უსამართლოა. მაშასადამე, ალექს, – ჩემს სახელს მკაცრი მასწავლებელივით ისე წარმოთქვამდა, თითქოს შენიშვნას მაძლევდა, – ასეთ გარემოში ნამდვილი თანასწორობის მსგავსიც კი ვერაფერი იარსებებს. ამაზე კამათს აზრი არ აქვს. უნდა დამეთანხმო, თუ პატიოსანი კაცი ხარ. მაგალითად, რას მიაღწიე იმ ტელევიქტორინებთან დაკავშირებული სასამართლო მოსმენების დროს? მიაღწიე რამეს? ვერაფერსაც ვერ მიაღწიე. მხოლოდ რამდენიმე უნებისყოფო პიროვნების კორუმპირებულობა გამოააშკარავე. სისტემა კი, რომელიც ამ ადამიანებს რყვნის, ოდნავადაც არ შეგირყევია. სისტემას ძვრაც ვერ უყავი. სისტემა ხელშეუხებელი დარჩა. და იცი, რატომ? იმიტომ, ალექს, რომ (ვაიმე, ახლა ნახეთ, რას იტყვის) სისტემამ შენც ისევე გაგრყვნა, როგორც ჩარლზ ვან ჰორნი(ჯანდაბა! ისევ არასრულყოფილებაში მადანაშაულებენ!). შენ სისტემის მტერი არ ხარ. სისტემას უმცირეს პრობლემასაც კი ვერ უქმნი. შენ მისი ერთ-ერთი მცველი ხარ – დაქირავებული მსახური, თანამზრახველი. ბოდიში, მაგრამ სიმართლე უნდა გითხრა: შენ გგონია, რომ სამართლიანობას ემსახურები, სინამდვილეში კი ბურჟუაზიის ლაქია ხარ. შენი სისტემა ძირშივე ექ-

სპლუატატორული და უსამართლოა, ძირშივე სასტიკი და არაადამიანური, ადამიანური ღირებულებების გამთელავი. შენი სამსახური კი ის არის, რომ ეს სისტემა კანონიერად და ზნეობრივად წარმოაჩინო. ისე იქცევი, თითქოს ასეთ საზოგადოებაში სამართლის არსებობა, ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ღირსების დაცვა შესაძლებელი იყოს, მაშინ, როცა ეს აშკარად შეუძლებელია. იცი, რას გეტყვი, ალექს (ახლა რაღა უნდა მითხრას-მეთქი, – გავიფიქრე)... იცი, რატომ არ მადარდებს, ვის ეკეთება მაჯაზე საათი, ან ავიღებ თუ არა ჩემი „შეძლებული" მშობლებისგან იმ ხუთ ფუნტს? იცი, რატომ მგონია, რომ ასეთი კამათი სისულელეა, რატომ ვერ ვიტან ამ დისკუსიებს? იმიტომ, რომ ძირშივე... გესმის, ძირშივე... (კი, მესმის! ძალიან უცნაურია, მაგრამ ინგლისური ჩემი მშობლიური ენაა!) ძირშივე სწორი და სამართლიანია ის სისტემა, რომლის ნაწილიც მე ვარ. ჩემივე ნება-სურვილით! ეს ძალიან მნიშვნელოვანია – ჩემივე ნება-სურვილით! თუ კომუნა წარმოების საშუალებებს ფლობს, თუ ის ყველა ადამიანის საჭიროებებს აკმაყოფილებს, თუ მის არც ერთ წევრს არ ეძლევა ქონების დაგროვების ან სხვა ადამიანების შრომით გამდიდრების საშუალება, კიბუცის ყველა ძირითადი ნიშანთვისება შენარჩუნებულია. თითოეული ადამიანი ღირსეულად ცხოვრობს. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ყველა თანასწორია. აი, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

– ნაომი, მიყვარხარ.

ნაომის იდეალისტის ფართოდ გახელილი მუქი თვალები დაუწვრილდა.

– როგორ შეიძლება, შენ მე „გიყვარდე"? რას გულისხმობ?

– მინდა, ცოლად შეგირთო.

ნაომი წამოხტა. საწყალი სირიელი ტერორისტი, რომელიც ამაზე თავდასხმას შეეცდება!

– რა დაგემართა? ეს სასაცილო გგონია?

– ცოლად გამომყევი. იყავი ჩემი შვილების დედა. ყველა შტუნკს,

ვისაც ფარღალალა სახლ-კარი მაინც აქვს, შვილები ჰყავს. ჰოდა, მე რატომ არ უნდა მყავდეს? გვარი ხომ უნდა გავაგრძელო!

– ეტყობა სადილზე ძალიან ბევრი ლუდი დალიე. ჰო, ასეა. მგონი, ჩემი წასვლის დროა.

– არ წახვიდე! – შევძახე და გოგოს, რომელსაც თითქმის არ ვიცნობდი და რომელიც არც კი მომწონდა, ხელახლა ავუხსენი სიყვარული. „სიყვარული" – ოჰ, მაკანკალებს ამ სიტყვაზე! „სიიიყვაააარუუული". თითქოს ამ სიტყვას გულში გრძნობის გაჩენა შეეძლოს.

წასვლა დააპირა, მაგრამ წინ გადავუდექი და კართან არ მივუშვი. ვემუდარებოდი, დარჩენილიყო. ვეუბნებოდი, სადღაც, ნესტიან პლაჟზე რატომ უნდა გაატარო ღამე, როცა შეგვიძლია, „ჰილტონის" ამ უზარმაზარ, კომფორტულ საწოლში ერთად დავწვეთ-მეთქი.

– ბურჟუად გადაქცევას არ გიპირებ, ნაომი. თუ შენთვის საწოლი მეტისმეტი ფუფუნებაა, მაშინ იატაკზე დავწვეთ!

– სქესობრივ კავშირს მთავაზობ? – წამოიძახა. – შენთან?

– ჰო! ჩემთან! ძირშივე უსამართლო სისტემის წარმომადგენელთან! სისტემის თანამზრახველთან! დიახ! პორტნოისთან, რომელიც არასრულყოფილების განსახიერებაა!

– მისტერ პორტნოი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თუ ამ სულელურ ხუმრობებს...

აქ ჩვენ შორის პატარა ძიძგილაობა დაიწყო. მივვარდი და როგორც კი მისი ძუძუები ხელებში მოვიგდე, ქვემოდან თავი ამომარტყა: ყბის ძირში მწარე, ელვისებური დარტყმა მივიღე.

– ეს სად ჯანდაბაში ისწავლე! – წამოვიყვირე. – ჯარში?

– დიახ.

სკამზე მოწყვეტით დავეშვი.

– ასე უნდა გაწვრთნან გოგოები, აბა რა...

– იცი, – მითხრა ნაომიმ დაუნდობლად, – შენ რაღაც ძალიან მაგრად გიჭირს.

– ჰო, ენიდან სისხლი მომდის..!

– ყველაზე უბედური ადამიანი ხარ, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. პატარა ბავშვს ჰგავხარ.

– არა! სულაც არა!

ნაომიმ ჩემი სავარაუდო განმარტებები ხელის აქნევით გაფანტა, მერე კი ლექცია დაიწყო იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დამეძლია ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჩემში იმ დღეს შენიშნა.

– შენი ცხოვრება არ მოგწონს! რატომ? საკუთარი თავით ასეთი უკმაყოფილება ადამიანს არაფერს არგებს! მგონი, განსაკუთრებულ სიამოვნებას განიჭებს, ერთგვარად გეამაყება კიდეც, როცა შენი სპეციფიკური იუმორის ობიექტად საკუთარი თავი გამოგყავს. არა მგონია, ცხოვრების შეცვლა მართლაც გინდოდეს. ყველაფერს, რასაც შენს თავზე ჰყვები, საბოლოოდ ისე აბრუნებ, რომ სასაცილოდ გამოიყურებოდე. მთელი დღე სხვას არაფერს აკეთებ – ირონიით ლაპარაკობ საკუთარ თავზე ან თავს იმცირებ. ხომ თავს იმცირებ?

– თავს ვიმცირებ. თავს ვისულელებ.

– სწორედაც! თავს ისულელებ! არადა, მეტისმეტად ჭკვიანი კაცი ხარ. ამის გამო ეს ყველაფერი კიდევ უფრო უსიამოვნოდ გამოიყურება. რამდენი სასარგებლო საქმის გაკეთება შეგეძლო! შენ კი თავს ასე სულელურად იმცირებ! რა უსიამოვნოა!

– არც ვიცი, რა გითხრა, – ვუპასუხე, – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავის დამცირება ებრაული იუმორის კლასიკური ხერხია.

– ებრაული იუმორის არა! ებრაული გეტოების იუმორის!

უნდა გითხრათ, რომ ამ შენიშვნაში დიდი სიყვარული არ იგრძნობოდა. მზის ამოსვლისას უკვე ვიცოდი, რომ იმ ყველაფრის განსახიერება ვიყავი, რაც კი ყველაზე სამარცხვინო იყო „დიასპორის კულტურაში". უსამშობლოდ ცხოვრების საუკუნეებს უკვალოდ არ ჩაუვლიათ: ამან მამაკაცის ისეთი უსიამოვნო ტიპი წარმოშვა, როგორიც მე ვარ – შეშინებული, დაუცველი, უთავმოყვარეო, უხერხემლო, არაებრაულ სამყაროში ცხოვრებისგან გახრწნილი. სწორედ ჩემნაი-

რები იყვნენ ის ებრაელები, რომლებიც მილიონობით მიემართებოდნენ გაზის კამერებისკენ და ჯალათების წინააღმდეგ ხელის აღმართვა აზრადაც არ მოსდიოდათ, სისხლის ფასად საკუთარ სიცოცხლეს ვერ იცავდნენ. დიასპორა! ამ სიტყვის გაგონებისას წონასწორობას კარგავდა.

როცა დაამთავრა, ვუთხარი:

– ძალიან კარგი. ახლა გაიხადე და გვერდით მომიწექი.

– ამაზრზენი ხარ!

– მართალია! თანდათანობით შენც იწყებ რაღაც-რაღაცების მიხვედრას, მშვენიერო საბრა! მიდი, იცხოვრე მთებში მაგ შენი სამართლიანობით. აჩვენე მაგალითი კაცობრიობას! შექანებულო ებრაელო წმინდანო!

– მისტერ პორტნოი, – მითხრა და იატაკზე დაგდებულ ზურგჩანთას დასწვდა, – თქვენ ერთი თავმოძულე ებრაელი ხართ.

– ეჰ, ნაომი, შეიძლება ებრაელის საუკეთესო ტიპიც ეგ იყოს.

– ლაჩარო!

– ქალაბიჭა!

– შლემიელ!

ნაომი კარისკენ გაემართა, მაგრამ მე ზურგზე მოვახტი, ეს დიდი ჟღალთმიანი დიდაქტიკოსი იატაკზე დავაგდე და ზედ გადავემხე. ამას ვაჩვენებ, ვინ არის შლემიელი! და ბავშვი! მოიცა, ვენერიული დაავადება რომ მქონდეს? ძალიანაც კარგი! გადასარევი! სისხლით წაიღოს მთებში ინფექცია! გადასდოს იქაურ მამაც და კეთილგონიერ ებრაელ გოგოებს და ბიჭებს! ცოტა ტრიპერი არ აწყენთ! ახლა გაიგებთ, რას ნიშნავს დიასპორა, უმწიკვლოგოგო-ბიჭებო! გაიგებთ, რას ნიშნავს დევნილობაში ცხოვრება! ცდუნებას და პატივის აყრას! გარყვნილებას და საკუთარი თავის დაცინვას! თავის დამცირებას და თავზე ლაფის დასხმას! წუწუნს, ისტერიულობას, უკანდახევას, თავგზააბნეულობას, ავადმყოფობას! ჰო, ნაომი, მე გასვრილი ვარ, უწმინდური ვარ... თან საშინლად დავიღალე, ჩემო კარგო...

იმით, რომ რჩეული ხალხის ღირსი ვერ აღმოვჩნდი!

თქვენ არ იცით, ის სოფლელი ნაშა რას მეჭიდავა! ნაჯარისკაცარი ნაშა! მეორე დედაჩემი იყო! მისმინეთ, მართლა ასეა საქმე? ასე მარტივად აიხსნება ეს ყველაფერი? არა, ჩემს შემთხვევაში – არა! ამ შემთხვევაში შეუძლებელია, ყველაფერი მარტივად აიხსნას! რადგან თავზე წითელი თმა და სახეზე ჭორფლი ჰქონდა, ჩემმა სწორხაზოვანმა არაცნობიერმა დედაჩემთან გააიგივა? მხოლოდ იმიტომ, რომ ესეც და ჩემი წარსულის ქალბატონიც პოლონელი ებრაელების ფერმკრთალი შთამომავლები იყვნენ? ეს უკვე ოიდიპოსის დრამის კულმინაციაა, არა, ექიმო? უფრო ფარსის, ჩემო მეგობარო! არა, მგონი, ეს ჩემთვისაც მეტისმეტია! „ოედიპუს ღეხ" ცნობილი ტრაგედიაა, შე შმუკო, ანეკდოტი ხომ არ გგონია! შენ კი სადისტი, შარლატანი და საცოდავი კომედიანტი ხარ! იმის თქმა მინდა, რომ ეს სასაცილო სულაც არ არის, ექიმო შპილფოგელ, ექიმო ფროიდ და ექიმო კრონკაიტ! ადამიანის ღირსების პატივისცემაზე როგორა ხართ, თქვე ნაბიჭვრებო! „ოედიპუს ღეხ" ყველაზე საზარელი და სერიოზული პიესაა ლიტერატურის ისტორიაში, კომედიური სკეტჩი ხომ არ გგონიათ?

ასეა თუ ისე, ღმერთს მადლობას ვწირავ ჰეშის ჰანტელებისთვის. ჰეშის სიკვდილის მერე ის ჰანტელები მე მერგო. თოთხმეტი-თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, უკანა ეზოში გამქონდა და მზის გულზე ვწევდი და ვწევდი.

– იმდენს იზამ, ამ ვარჯიშით რამე უბედურებას დაიმართებ, – გამომძახებდა ხოლმე დედაჩემი საძინებლის ფანჯრიდან. – გაცივდები მაგ ტრუსის ამარა!

ჩარლზ ატლასისა და ჯო ბონომოს ბუკლეტები გამოვიწერე. ჩემი ოთახის სარკეში საკუთარი გაოფლიანებული სხეულის ყურებით ვსულდგმულობდი. სკოლაში ტანისამოსის ქვეშ კუნთებს ვათამაშებდი. ქუჩის კუთხეში რომ შევჩერდებოდი, მკლავებს ხელით ვისინჯავდი. ავტობუსში ჩემი ვენების თვალიერებით ვტკბებოდი. ერთ

მშვენიერ დღეს ვინმე მხარზე მუშტს თუ დამარტყამდა, ამას მთელი დარჩენილი ცხოვრება ინანებდა! თუმცა, მადლობა ღმერთს, დარტყმით არავის დაურტყამს.

არავის – ნაომიმდე! გამოდის, რომ ამდენი ქშინვა და ხვნეშა, დედაჩემის უკმაყოფილო მზერის თანხლებით, იმისთვის ყოფილა საჭირო, რომ ნაომისთან მეჭიდავა. წვივებსა და ბარძაყებში ჩემზე ნაკლები ძალა არ ჰქონდა, მაგრამ მხრები და გულმკერდი მე უფრო ღონიერი მქონდა და ბოლოს ქვეშ მოვიქციე. ენის წვერი ყურში შევუყავი და მთელი დღის განმავლობაში დაგროვებული ქვიშა ამოვლოკე – ისრაელის წმინდა მიწა.

– ახლა კი შეგიდებ, – ვუჩურჩულე ბოროტად.

– გიჟი ხარ, ვიღაცა ხარ! – მიყვირა და ქვემოდან მთელი ძალით მომაწვა, – დასაბმელი გიჟი!

– არა, ჩემო კარგო, – შევუღრინე ხორხიდან წამოსული ხმით, – ახლა კარგ გაკვეთილს მიიღებ. ჭკუას გასწავლი, ნაომი, – ჭკუის სასწავლებლად მას უფრო და უფრო მაგრად ვაწვებოდი. – როლები შეიცვალა, ზნეკეთილო ებრაელო ქალწულო, ახლა შენ დაიცავი თავი, ცაცკელე! მთელ კიბუცს აუხსენი, რატომ გაქვს ვაგინალური გამონადენი! მაჯის საათების გამო ერთი ამბავი ატყდაო – ამის სუნი რომ ეცემათ, წიოკობა მერე ნახე! რას არ მივცემდი იმ თავყრილობაზე მოსახვედრად, რომელზეც სიონის სიამაყის შებღალვისა და მისი მომავლის წაბილწვისათვის ბრალს წაგიყენებენ! იქნებ მაშინ ისწავლო ჩვენი, ზნედაცემული, ნევროზიანი ებრაელი მამაკაცების პატივისცემა! სოციალიზმი არსებობს, როგორ არ არსებობს, მაგრამ სპიროქეტებიც არსებობენ, საყვარელო! ახლავე გაგაცნობ, ძვირფასო, ცხოვრების წებოვან და ლორწოვან მხარეს! ეგ შენი პატრიოტული ხაკისფერი შორტი ჩაიხადე, ფეხები გაშალე, სისხლო სისხლთაგანო, კარგად გადაშალე ეგ მიტყუპებული ფეხები და შენი მესიანისტური ებრაული ხვრელი დამანახე! მოემზადე, ნაომი, ახლა რეპრო-

დუქციული ორგანოები უნდა წაგიბილწო! ცოტაც და მთელი მოდგმის მომავალს შევცვლი!

რა თქმა უნდა, ვერაფერიც ვერ შევცვალე. ყურის ნიჟარებს ვულოკავდი, დაუბანელ ყელს ვუკოცნიდი, ნაწნავებზე ვკბენდი... მაგრამ სწორედ მაშინ, როცა წინააღმდეგობა თანდათან შეასუსტა, განზე გადავგორდი და დაღლილი და მარცხნაჭამი გულაღმა გავწექი კედლის მხარეს.

– არაფერი გამომდის, – ვუთხარი, – აქ არ მიდგება.

ნაომი წამოდგა. წამოდგა და თავზე დამადგა. ჯერ სული მოითქვა, მერე მე დამხედა. გავიფიქრე, რომ სანდლიანი ტერფის მკერდში ჩაზელას მიპირებდა, ან ცხვირ-პირის მინგრევას. გამახსენდა, პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ჟურნალებიდან ასეთ სურათებს ვჭრიდი და რვეულში ვაკრავდი ხოლმე. აქამდე როგორ მივიდა საქმე?

– იმ-პო-ტენ-ტი ის-რა-ელ-ში, ლა ლა ლა ლა, – წავიღიღინე „ჩიტების იავნანას" მელოდია.

– ისევ მაიმუნობ, არა? – მკითხა.

– კი, ისევ. ისევ და ისევ. ჩემს ცხოვრებაზე უარს ხომ არ ვიტყვი?

მერე ნაომიმ კარგი რამე მითხრა. თავზე მადგა და, რა თქმა უნდა, შეეძლო ეს ეთქვა:

– შინ უნდა დაბრუნდე.

– ჰო, რა თქმა უნდა, სწორედ ეგ მჭირდება: დევნილობაში დაბრუნება.

ცალყბად ჩაეცინა. ჯანსაღი, მონუმენტური საბრა! ეს მუშა ფეხები, პრაქტიკული შორტი, ჭიდაობაში ღილებაწყვეტილი ზედატანი... და გამარჯვებულის მოწყალე ღიმილი! მის გაუხეშებულ, სანდლებიან ტერფებთან კი... მოიცა, ეს ვინ არის? ვაჟიშვილი, ბიჭი, პატარა ბიჭუკა! ალექსანდერ პორტნუა! პორტნუატრაკებ! პორტნოი, ოი, ოი, ოი, ოი!

– ნახე, როგორი ხარ, – ვუთხარი, – როგორი დიდები ხართ ქალები! როგორი ხარ... როგორი პატრიოტი! ტკბები გამარჯვებით, არა,

საყვარელო? იცი, როგორ უნდა გაიტანო შენი! უჰ, როგორი უმანკო ხარ! ვეცემი... დიდი პატივია შენი გაცნობა. მისმინე, თან წამიყვანე, გმირო! მთებში. ქანცგაწყვეტამდე ვიმუშავებ, თქვენს ნიადაგს ლოდებს მოვაშორებ, თუ ეგაა საჭირო, რომ თქვენ შორის კარგ კაცად ვითვლებოდე. კარგ კაცად ყოფნაზე უკეთესი რა უნდა იყოს ამ ქვეყნად? მხოლოდ პრინციპების კარნახით ცხოვრება! უკომპრომისოდ! მოდი, ახლა სხვა იყოს გარეწარი! დაე, გოებმა აკეთონ საზიზღრობები, დაე, მხოლოდ მათი ბრალი იყოს ყველაფერი. თუ იმისთვის დავიბადე, რომ ასკეტივით ვიცხოვრო, დაე, ასე იყოს! მკაცრი და სასიამოვნო ზნეობრივი ცხოვრება, ყოველდღიური თავგანწირვა და მოზომილი ვნება! აჰ, რა კარგად ჟღერს ეს სიტყვები! აჰ, ლამის იმ ლოდების გემოც კი ვიგრძნო! რას იტყვი, ხომ წამიყვან? პორტნოიადას ასკეტურად გაგრძელებაში ხომ დამეხმარები?

– შინ უნდა დაბრუნდე.

– პირიქით! უნდა დავრჩე. ჰო, უნდა დავრჩე! ეგეთი ხაკისფერი შორტი უნდა ვიყიდო და კაცად უნდა ვიქცე!

– როგორც გინდა, ისე მოიქეცი, – მითხრა ნაომიმ. – მე წავედი.

– არა, გმირო, არა, – წამოვიძახე, რადგან, მგონი, ეს გოგო უკვე მომწონდა. – რა უაზრობაა ეს ყველაფერი!

ნაომის ეს სიტყვები მოეწონა. მოზეიმე ადამიანის იერით შემომხედა, თითქოს საკუთარი თავის შესახებ ბოლოს და ბოლოს სიმართლე ვაღიარე. ერთი მაგის დედაც.

– იმის თქმა მინდა, შენნაირი დიდი და ჯანმრთელი ქალი მოუტყნავი როგორ გავუშვა-მეთქი.

ნაომის ზიზღით გააჟრჟოლა.

– მითხარი, თუ შეიძლება: რატომ ამბობ ასეთ სიტყვებს ასე ხშირად?

– თქვენთან, მთებში, ბიჭები არ ამბობენ ასეთ სიტყვებს?

– არა, – მიპასუხა ქედმაღლურად, – ისე არა, როგორც შენ.

– აბა, რა გითხრა, ალბათ იმდენი რისხვა და ზიზღი არ უდევთ

გულში, რამდენიც მე, – ვუთხარი და ფეხში ვეძგერე.

მე ვერასდროს ვერ დავწყნარდები. ვერასდროს! მე ჩემი უნდა მივიღო!

ოღონდ ნეტავ რისი მიღება მინდა?

– არა! – დამკივლა ზემოდან.

– კი!

– არა!

– მაშინ, – ხვეწნაზე გადავედი, რადგან ნაომიმ თავისი ძლიერი ფეხით კარისკენ წამათრია, – მაშინ ამალოკინე მაინც. ეგ მაინც შეიძლია, ზუსტად ვიცი.

– ღორო!

და მერე წიხლი მითავაზა. მთელი ძალით! პირველმოსახლის ფეხი პირდაპირ გულქვეშ ჩამაზილა. ნუთუ ჩემი ქცევით ასეთი დარტყმის მიღება მინდოდა? ნეტავ რისთვის ვიღვწოდი? შეიძლება, არც არაფრის. შეიძლება, უბრალოდ, ის ვიყავი, ვინც ვარ. შეიძლება, ზუსტად ეგა ვარ – მუტლის მლოკავი, ქალის ხვრელის მონა. დაე, იყოს ასე! იქნებ ჩემთვის ყველაზე სწორი გამოსავალი ოთხით სიარულია? ასე უნდა ვიარო და საშოები ვლოკო ცხოვრების ბოლომდე, უსამართლობასთან ბრძოლა და ოჯახის მამობა კი ორ ფეხზე მოსიარულეებს უნდა დავუთმო! ჩემს სახელზე აღმართულ მონუმენტებს რა თავში ვიხლი, როცა ქუჩებში ნადიმის სუფრაა გამოფენილი!

კარგი, იფორთხე სიცოცხლის ბოლომდე – დღეს თუ გადარჩი! .. თავბრუ მესხმოდა, ყელში რაღაც საძაგელი წვენი ამომდიოდა... ვაიმე, გული! თან სად – ისრაელში! იქ, სადაც დანარჩენმა ებრაელობამ თავშესაფარი, სიმშვიდე და მშვიდობა ჰპოვა, პორტნოი იღუპება! სადაც სხვა ებრაელები ყვავიან და იფურჩქნებიან, მე სულს ვღაფავ! არადა, მხოლოდ ის მინდოდა, რომ ამ გოგოსთვის სიამოვნება მიმენიჭებინა და ცოტა სიამოვნება მეც მიმეღო. რატომ, რატომ არ

შემიძლია სიამოვნების ისე მიღება, რომ ამას საზღაურად მთელი ვაგონი უბედურება არ მოჰყვეს! ღოროო? ვინ არის ღორი – მე? უცებ ყველაფერი მეორდება, წარსული მეორდება – ის, რაც იყო და რაც აღარასდროს იქნება! კარის გაჯახუნების ხმა მესმის. წავიდა ჩემი მხსნელი! ჩემი თანამემამულე! მე კი, მოგონებებში ჩაძირული, იატაკზე ვყმუი! ჩემი უსასრულო ბავშვობა! რომლისგანაც ვერასდროს გავთავისუფლდები, ან რომელიც ჩემგან ვერასდროს გათავისუფლდება! ზუსტად ასეა! რა სიყვარულით ვზრდიდი ბოლოკს ჩემს „გამარჯვების ბოსტანში", ჩვენი სარდაფის კართან. აი, ეგ იყო ჩემი კიბუცი. ბოლოკი, ოხრახუში, სტაფილო – ჰო, მეც პატრიოტი ვარ, გასაგებია? ოღონდ სხვა ქვეყანაში (თუმცა თავს შინ ვერც იქ ვგრძნობ!)! ფოლგას რომ ვაგროვებდი, ამაზე რას იტყვი? სკოლაში გაზეთები რომ დასტა-დასტა მიმქონდა? ალბომში სათუთად რომ ვაკრავდი მარკებს, რომლებზეც ნაცისტების დამარცხება იყო ასახული? ჩემი თვითმფრინავების მოდელები – „პაიპერ კაბი", „ჰოუკერ ჰარიკეინი", „სპიტფაირი"! ასეთი რამე როგორ უნდა დამართოდა ჩემნაირ საყვარელ ბავშვს, რომელსაც დიდი ბრიტანეთის სამხედრო ავიაცია და „ოთხითავისუფლება"უყვარდა! როგორი იმედი მქონდა იალტის კონფერენციისა და დამბარტონ-ოუკსის კონფერენციის! გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე ვლოცულობდი! ახლა კი უნდა მოვკვდე? რატომ? სასჯელია? რისთვის? იმისთვის, რომ იმპოტენტი ვარ? რაიმე მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს!

მანქის შურისძიება – აბა, რა!

„ალექსანდერ პორტნოი, რომში გატარებული ორი ღამის განმავლობაში მერი ჯეინ რიდის ადამიანური ღირსების გათელვისთვის, ასევე სხვა ურიცხვი დანაშაულისთვის (მისი საშოს ექსპლუატაციის ჩათვლით), რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს, თქვენ მოგესაჯათ იმპოტენციის ყველაზე საშინელი ფორმა. ისიამოვნეთ თქვენი ახალი მდგომარეობით". „ჰო, მაგრამ, თქვენო ღირსებავ, ეს ქალი

სრულწლოვანია და საკუთარ ქმედებებზე პასუხს აგებს...“ „კანონებზე საუბრით თვალს ვერ ამიხვევთ, პორტნოი. კარგისგან ცუდის გარჩევა ხომ შეგეძლოთ. იცოდით, რომ მეორე ადამიანის ღირსებას ფეხქვეშ თელავდით. იმის გამო, რაც გააკეთეთ და როგორც გააკეთეთ, სამართლიანად მოგესაჯათ ასოს მომჩვარება. ეძიეთ ახლა ადამიანისთვის გულის ტკენის სხვა ხერხები“. „თუ ნებას მომცემთ, თქვენო ღირსებავ, მოგახსენებთ: სანამ გავიცნობდი, მისი ადამიანური ღირსება მანამდეც გათელილი იყო. მოვყვე თუ ლას ვეგასის ხსნებაც საკმარისი იქნება?“ „ოჰ, არაჩვეულებრივი თავდაცვაა, არაჩვეულებრივი. სასამართლოს გადაწყვეტილების შერბილება გარანტირებული გაქვთ. ასე ექცევით ბედისაგან დაჩაგრულ ადამიანებს, არა, საქალაქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილევ? ასე აძლევთ ადამიანს – აქ თქვენივე დეფინიცია უნდა მოვიშველიო – ღირსეული და ადამიანური ცხოვრების შანსს? ეს ნაბიჭვარი, ესა!“ „თქვენო ღირსებავ, შეიძლება, რომ უფრო ახლოს მოვიდე და ისე მოგახსენოთ?... სხვას რას ვაკეთებდი, თუ არა... ყოველთვის მინდოდა... ჰმ, რა მინდოდა?... ცოტა გართობა, სხვა არაფერი“. „ოჰ, შე მართლა ნაბიჭვარო!“ „ჯანდაბა! რატომ არ შეიძლება, რომ გავერთო? რატომ ხდება, რომ სულ მცირე სიამოვნებაც კი, ჩემს შემთხვევაში, აუცილებლად უკანონობა აღმოჩნდება ხოლმე – მაშინ, როცა დანარჩენი მსოფლიო სიცილით იხევა და ტალახში გორაობს? ღორიო? მაგას ის საჩივრები და ბრალდებები უნდა ვაჩვენო, ჩემს ოფისში დილაობით რომ გროვდება: რას აღარ უკეთებენ ადამიანები ერთმანეთს სიხარბითა და სიძულვილით! ფულის გამო! ძალაუფლების გამო! გაბოროტების გამო! ან სულაც არაფრის გამო! რამდენი წვალების გამოვლა უხდება ერთ ჩვეულებრივ შვარცეს, რომ სახლის შესაძენად კრედიტი აიღოს! კაცს ის სჭირდება, რასაც მამაჩემი წვიმიანი დღისთვის გადანახულ ქოლგას უწოდებს, მაგრამ უნდა ნახოთ, ეს ღორები რა დღეში აგდებენ! მართლა ღორები არიან! პროფესიონალი ღორები! როგორ გგონიათ, ვინ დაიყოლია ამ ქალაქში ბანკები, რომ

სამსახურში ზანგები და პუერტორიკოელები აეყვანათ? ვინ გაგზავნა კადრების განყოფილების ხალხი ჰარლემში კანდიდატებთან გასასაუბრებლად? ვინ და, ამ ღორმა, ქალბატონო – პორტნოიმ! თუ ღორებთან საუბარი გნებავთ, ოფისში შემომიარეთ, კვირის ნებისმიერ დღეს ჩემს ნაგვის კალათაში ჩაიხედეთ – ღორებს მე გაჩვენებთ! სხვები რას აღარ სჩადიან და ყველაფერი ხახვივით შერჩებათ ხოლმე! ჩადენილზე ფიქრითაც კი არ იწუხებენ თავს. დაუცველი კაცის დაჩაგვრა ამ ადამიანებში ღიმილს იწვევს! ღმერთმანი! მთელი დღით უხალისებს გუნება-განწყობას! ცრუობენ, თაღლითობენ, ქრთამს იღებენ, ქურდობენ და ძარცვავენ, ექიმო, თან ისე, რომ თვალსაც არ ახამხამებენ. გულგრილობა! სრული ზნეობრივი განურჩევლობა! ჩადენილი დანაშაულის გამო კი არც არაფერი ემართებათ – ხანდახან კუჭი თუ აეშლებათ ხოლმე! მე კი ნახეთ, რა დამემართა: გავბედე და ცოტა განსხვავებული სიამოვნების მიღება მოვინდომე – თანაც ამ დროს შვებულებაში ვიყავი! – და ახლა აღარ მიდგება. ღმერთმა დამიფაროს, რომ საკუთარ ლეიბს ის იარლიყი მოვაძრო, რომელსაც აწერია: „იარლიყის მოძრობა ისჯება კანონით". ნეტავ ამისთვის რას მომისჯიან, ელექტროსკამზე დამსვამენ? ასეთი შეუსაბამო სასჯელის გამო ყვირილი მინდა! შეიძლება, ვიყვირო? მოსაცდელში ხალხს ძალიან ხომ არ შევაწუხებ? ახლა ყველაზე მეტად ყმუილი მიშველიდა! მხოლოდ ყმუილი, უსიტყვებოდ. „პოლიცია გესაუბრებათ. თქვენ ალყაში ხართ, პორტნოი. სჯობს, გარეთ გამოხვიდეთ და საზოგადოების წინაშე თქვენი ვალი მოიხადოთ". „ერთი მაგ საზოგადოების დედაც, ძაღლებო! " „სამამდე ვითვლით. სანამ „სამს" ვიტყვით, ხელებაწეული გამოდი მანდედან, ცოფიანო ძაღლო, თორემ შემოვალთ და ცეცხლსაც გავხსნით… ერთი! " „გახსენი ცეცხლი, შე ნაბიჭვარო, სულ ცალ ფეხზე არ მკიდია? ახლა ჩემს ლეიბს იარლიყს მოვაძრობ…" „ორი! " „ამ ცხოვრებას ხომ მაინც გემოზე ვირგებდი, სანამ ცოცხალი ვიყავი! "

ااااااااااااااااااااااااا! ! ! ! !

აბა, – თქვა ექიმმა, – ახლა შეგვიძლია დავიწყოთ, არა?